



ტომი №14 არჩილ სულავეური

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შეიძლება ტომი

ნიკო ლორთქიფანიძე

1168
2010

ინ დანიპრო ორენა ბეგაშვილის შული

ჩისტვის დანიბარა ოსლოს მერმა სოფო ნიშარაძე კაბინეტში

რა სიღუმელი გასცა „პროვიზიის“ გამარჯვებულმა

„გამაკაცები მიბრუნდებიან“ ...

ექსკლუზივი





რამომ გაუორდა ია ფარულავა მეუღლას



როგორ ცხოვრობს ინებული — დუმბაქისელი „ველადოსიძან“





უაღრესი ხარისხის
 ფაქტო აჩვენანი
 ხანსიხუი და მოქონის
 სტილი ბადაწყვაბილი
 ღოზინის უახლესი
 მოქადაბი

სამინებლაბი
 710 ლარიდან



პანცი
 ლიონი LION PANTSI

სამზარეულოები
 400 ლარიდან

კაბლაბი
 540 ლარიდან

ოფისი

ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. №1
 ტელ: (995 32) 664-458
 ფაქს: (995 32) 664-522

მაღაზია სალონი "პანცილიონი":
 1. თბილისი, ერისთავის ქ. №2 (მე-2სართული)
 ტელ: 66-41-90

2. თბილისი, ერისთავის ქ. №5
 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი "საბა")
 ტელ: 69-29-20

3. ღილოს სავაჭრო ცენტრი
 (ღილოს საბითუმო ბაზრობა)
 ტელ: 14-36-41

ქ. თელავი, ჭავჭავაძის ქ. 5
 ტელ: 895 61 41 21

ქ. ხაშური, სტალინის ქ. 150
 ტელ: 899 25 62 57

ქ. ახალციხე, თამარ მეფის 9
 ტელ: 899 94 83 47

e-mail: ccpp@inbox.ru

www.senator-panci.ge



სასწავლო ცენტრი

“British Connection”

გთავაზობთ სხვადასხვა სასერტიფიკატო
გამოსცდებისათვის მოსამზადებელ კურსებს:

•FCE (B1-B2) •CAE •TOEFL •IELTS

მაგისტრატურის ინგლისური ენის გამოსცდისათვის
მოსამზადებელი ჯგუფები
ფუნქციონირებს იწყებენ 1 – 7 ივნისიდან. კურსის
ხანგრძლივობა – 12 კვირა.

☎ 308 135 / 855 301 390
www.britishconnection.ge

😊 **სასარგებლო რჩევა – ენციემ სანიტს**


www.britishconnection.ge

British Connection-ი გვრ სანიტარესო
პროექტს გთავაზობთ
მაგალითად: ერთობლივი პროექტი
(British Connection & Etcetera education)
ინგლისურენოვანი ბანაკი კვარიათში

მისამართი: ბუღაკეშტის 1
www.etcetera.ge ☎ 8 907 907 07

"ELH" ბთავაზობთ

- ინგლისური ენის სწავლების მაღალი ხარისხის ინტენსიურ კურსს ამერიკელ პედაგოგთან ერთად 7 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით.
- მეკადინეობები ტარდება ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა. თითო გაკვეთილი მიმდინარეობს 2 საათის განმავლობაში.
- სასაუბრო ენის განმტკიცებაზე მუშაობს გამოცდილი ამერიკელი მასწავლებელი.
- კურსის დასასრულს გაიცემა სერთიფიკატი.
- კურსის ღირებულება მხოლოდ 180 ლარი .



„მე შენა. სამ ქადატელის ხადასაქ ქოდატელ გოდატელ. ათა ქადასაქ“

- ინგლისური ენის სახლთან არსებული საგანმანათლებლო ცენტრი იწყებს აბიტურიენტების მიღებას 2010 – 2011 სასწავლო წლისთვის.
- სასწავლო ცენტრში შეგიძლიათ მოემზადოთ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა ; მათემატიკა; ზოგადი უნარები; ინგლისური ენა.
- ჩვენთან არსებული სწავლების მაღალი ხარისხი და სამაგალითო დისციპლინა თქვენი წარმატებული მომავლის საწინდარია!
- მობრძანდით, მიიღეთ დეტალური ინფორმაცია, მოისმინეთ ჩვენი სპეციალური შემოთავაზებები და მოემზადეთ პროფესიონალ პედაგოგებთან !
- სწავლას ვიწყებთ 2010 წლის 14 სექტემბერს.
- რეგისტრაციისთვის დარეკეთ და მობრძანდით ქვემოთ მითითებულ მისამართზე

ELH - ში შეგიძლიათ მოემზადოთ შემდეგი საერთაშორისო გამოცდებისთვის:

FCE , IELTS, TOEFL (IBT)

მისამართი: გლდანის I მ/რ; მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია.

ტელ: (+995 32) 36 80 57
E-mail: l.house@mail.ru

მარტივი და ბემრიელი ხერძები უმოხლეს დროში

მარტივი და ბემრიელი ხერძები უმოხლეს დროში

მხოლოდ 5 ინგრედიენტი

რეინელ ლეინი

მარტივი

იკითხოეთ წიგნის მარჯვნივში



„ცოტნეს სისოსხლე შეიქლება, ფატალურად დასრულდეს“

„ცოტნე რამდენიმე დღეა, წყალსაც არ იღებს. შიშხილობის მიზეზი — პატიმრების ტანჯვა-წამებაა: საკანში მუდმივად ესმის, როგორ აწამებენ პატიმრებს, როგორ სცემენ, როგორ ითხოვენ შველას. პატიმართა უფლებები სასტიკად ირღვევა“...

7



გახმაურებული რომანის „ჩუმი“ დასასრული

„ჩვენ დაახლოებით 3 თვის წინ გავიყარეთ და ეს ორივეს გადანყვეტილებით მოხდა. თუმცა კარგ მეგობრებად დავრჩით და ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.“

18



ცხოვრება

ახალგაზრდა მამაკაცმა ქალი მისივე ნაჩუქარი დანით მოკლა



„აღმფოთებული მამაკაცი წინოს ურეკავდა და მოკვლით ემუქრებოდა. მოითხოვდა, ქალს მასთან ერთად ეცხოვრა. შეშინებულმა წინომ თბილისი დატოვა და საცხოვრებლად ბორჯომში, მშობლებთან გადავიდა, მაგრამ მუქარის ზარები არ წყდებოდა“.

28



- **მინიატიურები** 5
 - „მრეკველები“ გვინდა, ბევრი „მრეკველი“!
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **საოქაუასიოო ზონა** 9
 - რა ღირს სეპარატისტის გვერდით ცხოვრება?!
- **საზრდო** 12
 - „ცხოვრებაშიც ისეთივე ლაკონიური ყოფილა, როგორც ცხოვრებაში“...
- **თეფილა** 14
 - „ცოტნეს სიცოცხლე შეიძლება, ფატალურად დასრულდეს“
- **კონკურსის კულუარები** 16
- **მსახიობი** 18
 - შორენა ბეგაშვილი: „გარეგნობა რომ არ მქონდეს, სამსახური არ მექნება“
- **ქარიშხარა** 20
 - გულდანყვეტილი „ჯეოსტარელის“ სიხარული და რესტორნის „შიდა სამზარეულო“
- **პირადი სხოვრება** 22
 - გახმაურებული რომანის „ჩუმი“ დასასრული
- **ფსიქოლოგია** 23
 - დათო როსტომაშვილის გერმანული ხასიათი და ესპანეთში მოპარული შარვალი
- **სხანის მიღვა** 25
 - ქართული სულის ზეიმის წამდვილი დედოფალი
- **ვარსკვლავები** 26
- **პეიზაჟი** 28
 - გაგურულებული ბერძნები და ზღვის კენჭების დიდოსტატი
- **კრიმინალი** 30
 - ახალგაზრდა მამაკაცმა ქალი მისივე ნაჩუქარი დანით მოკლა

მეცნიერები

მფრინავი ლეო და ჭირვეული მეზობლები



„ყველამ იცით ალბათ, ჯარში წასვლამდე ახალგაზრდები ანალიზებს აბარებენ. მათ შორის — შარდის-ასაც. ერთ ბიჭს თურმე ცოლის შარდი მიუტანია, უეჭველი მიმიღებენ, არ ენევა და არც სვამსო. ჰოდა, პასუხზე რომ მივიდა, გაცინებული სახით შეეგება ექიმი: გილოცავ გენაცვალე, ორსულად ხარო...“

76

■ მინიროვანი	33
ყველაფერი კარგად იყო	
■ ოსტატი	36
„უსულომ სულიერს ვერ უნდა აჯობოს“	
■ ავტო	39
■ ანტიდავრესანტი	40
■ ეს სამყაროა	40
■ საქითხავი ქალაქისათვის	42
■ ისტორიის ლაბირინთები	44
სოლომონ II — უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი	
■ ტაქარი	47
■ ჯანმრთელობა	49
ცუდი სუნი	
■ ჩემი ცხოვრების გზა	53
■ პროფესია	54
ძალის ჯიში, რომელიც ბრძემბისა და ინვალიდების დასახმარებლად იწვრთნება	
■ სულის სიბჟიყსა	55
რისთვის დაისაჯა ბესო სარჯველაძე	
■ თინეიჯერული პონტები	57
რას შესწირა ვაჟა მანიამ ბავშვობის წლები	
■ ავტოპორტრეტი	61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)	
■ ფანტასტიკური დეტაქივი	65
ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)	
■ რომანი	69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)	
■ რეალური	73
ULTRIX (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
მფრინავი ლეო და ჭირვეული მეზობლები	
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოზილი-ზაზია	82
■ მოზაიკა	86
■ ფაქორიტები	88
■ მუნდიალი	89
■ ერუდიტი	92
■ ბაიმ-აუბი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანვორდი	97
■ საფირმო ქროსვორდი	98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვლით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კვიციანი**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიძე**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



სოლომონ II უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი

„მეტიც, 1801 წლიდან სოლომონ II აღმოსავლეთ საქართველოში ყველა ანტირუსულ გამოსვლას მხარს აქტიურად უჭერდა და რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავად-აზნაურებს იმერეთში თავშესაფარს აძლევდა“.

36

ადამიანი



რის გამო რცხვენია გურულ „არმსტრონგს“

„მარიამი პატარაობიდანვე მღერის. ჩემს 11 წლის ბიჭს, ლაშასაც ძალიან კარგი სმენა აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, ფეხბურთს ამჯობინებს. დარწმუნებული ვარ, მალე ისიც „მონამღება“ მუსიკით“.

52

ბიბლუსი




ინტერვიუ მიცვალებულთან

გენერალური დირექტორის კაბინეტთან მისულ ლაშას პირველი სიახლე მისაღებში შესასვლელ კართანვე დახვდა. კარის გვერდით გამოკრულ ფირნიშზე გოგი გელოვანის ნაცვლად უკვე ახალი შეფის გვარ-სახელი გამოეჭიმათ. „ოპერატიულობაც ამას ჰქვია“, — ბოლმიანად გაეღიმა ლაშას და კარი ჯიქურ შეაღო.

60

ბაიმ-აუბი



„ოქროს ბავშვები“

ფრეიზერ დოჰერტიმ საკუთარი ბიზნესი 17 წლის ასაკში წამოიწყო. უშაქრო მურაბებისა და ჯემების დასამზადებლად ბანკიდან სესხი აიღო. ბიზნესმა 2 მლნ დოლარი მოგება მოუტანა. ახლა იგი 21 წლისაა და მარმელადისა და არაქისის ზეთის წარმოება აქვს ჩაფიქრებული.

86

„მრესველები“ გვინდა, ბევრი „მრესველი“!



შსავლის ნაცვლად

ახალა მივხვდი, როგორ შეცვლილა ჩვენი ქვეყანა

— ორიოდ დღის წინ არჩევნები ჩატარდა და მე კი გასული კვირის უმთავრეს მოვლენებად სულ სხვა ამბები მიმაჩნია. არადა, ადრე ასეთი თარიღების წინ ორ-სამი თვით ადრე ვილესავდი კბილებს... ახლა?.. რა ახლა, მე კი არა თვით დამარცხებულ-დაგომებულმა, უკაცრავად პასუხია და, პოლიტიკოსებმაც ერთი ჯიგრიანი პროტესტი ვერ გამოთქვეს — მიტინგი და დემონსტრაცია თუ არა, ან შეეგინებინათ, ან პანაღური ამოურტყათ საარჩევნო კომისიის რომელიმე რიგითი წევრისთვის მინც! თქვენც არ მომიკვდეთ — ვულოცავთ გამარჯვებულსო! საბოლოო შედეგებს დავლოდებით... ჰმ, ეს „საბოლოო შედეგები“ დაახლოებით რა არის, იცით? ადამიანი რომ მოკვდება, ჯერ დასაფლავებული რომ არ არის და ოჯახში რომ ფაციფუცია — კუბო, მუსიკა, ქელეხი, რამე... და იციან, რომ მოკვდა, მაგრამ საფლავში ჩაშვებულ კუბოს პირველი „ლაფატკა“ მინა რომ მიეყრება, მაშინლა რომ აღიქვამენ საბოლოოდ მწარე სინამდვილეს — აი, სწორედ ეგ „ბოლო ლაფატკა“ იქნება ის „საბოლოო შედეგი“, თორემ მკვდარი უკვე „ზალაში“ დევს გაჭიმული!

მკითხველთან ბოდიში (და არა იმ „მკვდართან“ — დავიღალე, ამდენი წელია, მაგათი ჭირისუფლობით), თუკი „შავი იუმორით“ ვცადე ჩემი დამოკიდებულების გადმოცემა, მაგრამ გპირდებით, არჩევნებს აღარ ვახსენებ (დღეს, თორემ...).

სხვა ამბები-მეთქი, დასაწყისში ვთქვი: „ევროვიზიის“ ფინალური კონკურსი, პრეზიდენტი დასავლეთ საქართველოში (ახალი ბანაკის გახსნით), ჩემპიონთა ლიგის ფინალი, ვანო მერაბიშვილის მორიგი ინტერვიუ რუსულ პრესაში... აუჰ! სიტყვა უნდა გავტეხო!!! არჩევნები უნდა ვახსენო ისე — ძალიან მომეწონა „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორები, ყველაფერი იციან, ყველას იცნობენ... ჩემს სახლთან (ვაქტობრივად — ეზოში) ორი საარჩევნო უბანი იყო — სკოლაში და საბავშვო ბაღში, ორივეში შევიარე, დავათვალიერე (სიაში მაინც არ ვიყავი — კარგად მიცნობს „კოორდინატორი“ და ამომშალეს)... იჯდა ეს ჩემი მეზობელი, ზუსტად ისე, როგორც 20 წლის წინ იჯდა პურის მალახისთან მიდგმულ „ტაბურეტკაზე“, და მგონი, ზუსტად იგივე რეული და ფაქტური ეჭირა და შემსვლელ-გამომსვლელს „აბლუსებადა“. მიყვარს წესრიგი. ევროპელებსაც უყვართ და იმიტომ განაცხადეს იქაურმა დამკვირვებლებმა: წინა არჩევნებთან შედარებით, სერიოზული პროგრესია — არავის არავისთვის არაფერი უსვრია და არაფერი მოუჭამიაო...

ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ ვახსენე — ამას წინათ ჯერ რუსული „რენ-ტი-ვი“ გააცოცა, რუსულ ფორუმებზე რომ შეგხედათ, გადარეოდით: მოსტავთა ერთი ნახევარი იფიცებოდა — ტყუილია ეგ ყველაფერი და უნდა დავბომბოთ საქართველო; მეორე ნახევარი უმტკიცებდა — რა ტყუილი, ნაღდად ვიცი, მართლა მაგარი პოლიცია ჰყავთ და რატომ უნდა ჰყავდეთ, უნდა დავბომბოთ, აბა რაო!..

ჰოდა, სხვა რუსული „მასრედსტაც“ დაინტერესდა და ამჯერად „ეხო მოსკვიში“ იყო რადიოინტერვიუ... დიდი ხანია, ბუბიაჩევი არ მისხენებია და რა მაგის პასუხია, მაგრამ მერაბიშვილის ამ ინტერვიუების შემდეგ სწორედ ცხონებული ბუბია გამახსენდა: ბავშვობაში, როდესაც დედა მე და ჩემს ძმას გამოგვიპრანჭავდა, სტუმრად წასასვლელად მოგვამზადებდა და დარიგებას დავრიწყებდა, — „აბა, ახლა იქ ქვეყანა კი არ გააკვირვოთ, კი არ იღრიალოთ და კი არ დაღწეოთ ყველაფერი, როგორც იცით...“, — ამ დროს ბუბიაჩევი გვესარჩლებოდა: „რას ერჩი მაგ ბაღნებს?! აქანე არიენ გადარეულები, თვარა საგარეო საქციელი ქე იციან...“ ჰოდა, საგარეო საქციელი იცის ჩვენმა ვანომ...

ისე, საგარეო ასპარეზზე კინაღამ სერიოზული მარცხი მოგვივიდა: „ევროვიზიის“ ფინალურ კონკურსში საქართველოს წარგზავნილმა სოფო ნიჟარაძემ ოდენ მეცხრე ადგილი დაიკავა და ამ პროექტზე ჩვენი გადღეტილი ბიუჯეტიდან დახარჯულ მილიონ ევროს ჩაიღურის წყალი დააღვეინა... კინაღამ! კინაღამ დააღვეინა! „კინაღამ“ იმიტომ, რომ აქაც ქართულმა „პოლიტიკურმა გენიამ“ იმარჯვა და ჩაფლავებული „ევროვიზია“ პოლიტიკურ გამარჯვებად აქცია: 39 ქვეყნიდან ოთხმა (სლავებმა და სომხებმა) მისცა ბელარუსს მე-12 ადგილი (ანუ თითო ქულა), 34-მა — 0 ქულა, ხოლო საქართველომ — პირველობა და 12 ქულა!!! არა, მოფიქრება ხომ გინდა?! ეს ამბავი 29 მაისს ხდებოდა, არჩევნების წინაღამეს — ყველა ქართულ არხზე ყველა ინტერაქტივიანი პოლიტიკური ტოქშოუ დამთავრებული იყო და „მრეკველების“ უმეტესობას უკვე ეძინა, რადგან „შეთავსებით“, სწორედ მათი უმეტესობა იყო ზემოთ ნახსენები „კოორდინატორი“ და დილით საარჩევნო უბნის გახსნას უნდა დასწრებოდა. ამ დროს დაურეკეს „კოორდინატორთუხუცესებმა“ და ფიცხელი ბრძანება მისცეს: თითო ნომერზე (ყოველ მათგანს 5-5 ნომერი აქვს, „კონსპირაციის“ მიზნით), — უკვე გადმორიცხულია 50-50 ლარი, სასწრაფოდ დაიწყეთ რეკვა და ხმა მიეცით ჩვენი მოძვე ბელარუსის წარმომადგენლებსო! ჰა?.. როგორია?! იცით, რომ მას მერე 2 დღეა, მინსკში, ბრესტში, გომელსა და განსაკუთრებით ვიტებსკში, ყველა „პაიფხდსა“ და ყველა ბუჩქის ძირას უკვე საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ „ტრანინო ადეკალინი“!.. მერედა, თქვენ გგონიათ, ეს სპონტანური პოლიტიკური სვლა იყო? ნურას უკაცრავად (ხომ იცით, ვისი ტერმინია?..) სწორედ ამ ტერმინის მოყვარულმა „დემოკრატიის შუქურამ“ უთხრა რამდენიმე დღით ადრე ანაკლიაში ახალგაზრდული ბანაკის გახსნისას ერთ იქაურს: უკვე წელს ამ ბანაკში ჩვენი მეგობარი ევროპელები დაისვენებენ — 300-300 ბავშვი პოლონეთიდან და ბელარუსიდანო! იმ კაცმა უპასუხა: ნამდვილი დავით აღმაშენებელი ხართ, ბატონო პრეზიდენტო (ეტყობა, ყივანაღა ჩამოსასლება გაახსენდა).

კი გამიკვირდა, მაგრამ მე რას მივხვდებოდი შორს მიმავალ პოლიტიკას? გავიდა სამიოდე დღე და ისევ ქართულ-ბელარუსული ძმობა... ჰმ, ლიბიანი ბიძები რომ ოხრავენ: „რა დრო იყო?! ნახვიდოდი მოსკოვში 37 მანეთად...“ — და ა.შ. ასეთ რამეს ისინიც კი არ მოსწრებია: ის 300 „ბავშვი“ ბელარუსიდან 18-დან 21 წლამდე ყოფილა და ანაკლიის სანაპიროზე ბუჩქი ცოტაა, მაგრამ მანამდე რაღაცას მოავკარებენ. ამის შემდეგ ვილაცებს არ სჯერათ, რომ ახალგაზრდებს მართლა უყვართ „ნაციონალური მოძრაობა“...

დასაწყისში ჩემპიონთა ლიგის ფინალი ვახსენე. აგერ ერთ კვირამი მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება — ანუ იმის თქმა მინდა, რომ ქვეყნად კარგა რაღაცები მინც ხდება...

P.S. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ეკა სოფერიას ახალი გადაცემის მხოლოდ ანონსის ნახვა მოვასწარი, მაგრამ რაც ვნახე, საკმარისია: ქართველმა ახალგაზრდებმა დაახლოებით იცინა, ვინ არის ილია ჭავჭავაძე, ხოლო ილიას უნივერსიტეტის რექტორს ეს სულაც არ მიაჩნია ქვეყნის დაქცევად!

და აქ ისევ გამახსენდა „მრეკველები“, ოღონდ — არა „კოორდინატორ-მრეკველები“, არამედ ცხონებული სუტა: „მრეკვეთ, მრეკვეთ თავში ბოთლი, ქალბატონო მარგალიტა, რაა!..“

ეეჰ... ვახვენწინებდი კი არა, ისეთს ვრეკავდი, ინგლისურსა და კომპიუტერს დავავინწყებდი! მაგრამ ბევრი გვინდა, ბევრი „მრეკველი“!

პრომოკატორი



„ევროვიზიის“ გამარჯვებულის სკანდალური წარსული...



ჟურნალისტებმა ჯერ კიდევ ევროვიზიის კონკურსის დაწყებამდე მოიპოვეს ვიდეორგოლი, რომლის მეშვეობითაც გაირკვა, რომ 17 წლის გერმანელი მომღერალი, ლენა მაიერ-ლანდრუტი ეროტიკულ ფილმებში მონაწილეობდა. სკანდალური ვიდეო შარშანაა გადაღებული. ფილმში არასრულწლოვანი ლენა ახალგაზრდა ბიჭთან ერთად, აუზში სექსითაა დაკავებული. გერმანელები ამ ფაქტმა აღაშფოთა, მაგრამ თავიანთ წარმომადგენელს კონკურსში მონაწილეობის უფლება მაინც მისცეს. „ეს სიმართლეა, მაგრამ არ მრცხვენი. ეს პორნოგრაფია არ იყო. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ამ ვიდეოს ტელევიზიით უჩვენებდნენ. დღეს ამას არ ვაკეთებდი“, — განაცხადა ლენამ ბერლინში სატელევიზიო შოუში მონაწილეობისას. ეთერში მან საკუთარი გრძობების შესახებაც ილაპარაკა და აღნიშნა, რომ უკვე 3 წელია, ბელარუსი წარმომავლის ნორვეგიელი მომღერალი, ალექსანდრ რიბაკი უყვარს.

ნიკოლა სარკოზის ბოთლი მსროლავს

„საფრანგეთის პრეზიდენტს სკოლის მოსწავლემ წყლით სავსე პლასტიკის ბოთლი მსროლა“ — იტყობინება საინფორმაციო სააგენტოები. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ნიკოლა სარკოზი ქალაქ ბოვის ერთ-ერთ საშუალო სკოლას ესტუმრა. პრეზიდენტი მოზარდებთან საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის საკითხის განხილვას გეგმავდა... სარკოზის პირადი დაცვის თანამშრომელი გადაეფარა, რომელსაც პრეზიდენტისთვის ნასროლი ბოთლი სახეში მოხვდა. ინციდენტის შემდეგ, სახელმწიფოს მეთაურმა მოსწავლეებთან ერთად, სატვის კაბინეტში გადაინაცვლა, სადაც ბავშვებმა მათ მიერ გადაღებული ფოტოები დაათვალიერებინეს. ჯერჯერობით უცნობია, დასჯიან თუ არა ბიჭუნას, რომელმაც ნიკოლა სარკოზის ბოთლი მსროლა.



ჩინეთის დიდი კედლის გამძლეობის საიდუმლო ამოხსნილია

„ჩინელმა ქიმიკოსებმა დაასკვნეს, რომ ჩინეთის დიდი კედლის გამძლეობის საიდუმლო — ბრინჯის ფაფაა“, — წერს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. როგორც მეცნიერები ამბობენ, ბრინჯის, ამილოკეპტინისა და კალციუმის კარბონატის შერევით ზეგამძლე ნივთიერების მიღება შესაძლებელი და სწორედ ეს ნივთიერება გამოიყენეს მშენებლებმა ჩინეთის დიდი კედლის ასაშენებლად.

ინდონეზიელ ქალებს ჯინსის უარვლით სიარული აკრძალა

„ინდონეზიაში, პროვინცია აჩეხის ხელისუფლებამ შარვლიანი ქალბატონების წინააღმდეგ ნამდვილი ომი გააჩაღა“, — იუწყება სააგენტო „ასოშიეტივ პრესი“. როგორც გაირკვა, აჩეხის ხელისუფლებამ ადგილობრივ მაღაზიებში ქალებისთვის განკუთვნილი ჯინსის შარვლების გაყიდვა აკრძალა და შემოიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, შარვლით მოსიარულე ქალს 2 კვირით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან. ინდონეზიელი მამაკაცების აზრით, ჯინსის შარვლით ქალის შემოსვა ისლამურ ადათ-წესებს ეწინააღმდეგება.

გუანტანამოს პატიმრებს ბერძენი პოლიცია მიიღებს

გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა გუანტანამოს ციხიდან რამდენიმე პატიმრის მიღებას დათანხმდა. კანცლერის გადაწყვეტილებას შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია გერმანიის შს მინისტრმა, ტომას დე მეზერმა მიანოდა. ამჟამად მინისტრი, ჰამბურგისა და ბრანდენბურგის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ყოფილი პატიმრების ადაპტაციის სპეციალურ პროგრამაზე მუშაობს, რომელიც საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მოძებნას ითვალისწინებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ პატიმარს მიიღებს გერმანია. ჟურნალისტები ამბობენ, რომ მათთვის კანცლერის გადაწყვეტილება მოულოდნელია, რადგან წელს, მარტის დამლევს ბავარიის მთავრობამ გუანტანამოს 3 პატიმრის (პალესტინელი, სირიელია და იორდანელი) მიღებაზე ამერიკულ მხარეს უარი უთხრა. მაშინ შს მინისტრმა იოაკიმ ჰერმანმა განაცხადა, რომ ეს ადამიანები ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოდგენდნენ, რადგან მათ შესაძლოა, ტერორისტული საქმიანობა გერმანიაშიც გაეგრძელებინათ. გერმანიამ გუანტანამოდან რამდენიმე პატიმრის მიღებაზე 2009 წელსაც განაცხადა უარი.

მეხნიერება გაეროს კიბოს სანიტარულ პროგრამას

ამერიკელ მკვლევართა ჯგუფი ირწმუნება, რომ შეიმუშავა პრეპარატი, რომელიც მკერდის კიბოს განვითარების პრევენციას ახდენს. კვლევის შედეგები ჟურნალში — Nature Medicine გამოქვეყნდა. იმუნოლოგებმა ცდები თავებზე ჩაატარეს და ახლა უკვე ადამიანებზე გამოცდას აპირებენ. ახალი პრეპარატი შედის ურთიერთქმედებაში პროტეინთან, რომელიც მკერდის კიბოს ნეოპლაზმებში გვხვდება. „ვიმედოვნებთ, რომ ეს ვაქცინა მომავალში ისეთივე ეფექტიანი იქნება, როგორცაა ბავშვთა დაავადებების სანიტარულ პროგრამა ვაქცინები“, — განაცხადა კლივლენდის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ვინსენტ ტუოხიმ.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები



ქვეყანა

„ვიმედოვნებ, რომ ბრძოლის არასივილიზებული მეთოდები ქართველებმა ისტორიას საბოლოოდ ჩავაბარეთ“

ოპოზიციურად განწყობილი, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო საზოგადოება ხელისუფლების ნაცვლად, ოპოზიციას აკრიტიკებს. ადამიანების აზრით, ოპოზიციონერმა ლიდერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ადგილობრივი არჩევნები ისევ „ნაციონალებს“ მოეგოთ. დამარცხებული კანდიდატების უმრავლესობა კი საკუთარი წარუმატებლობის მიზეზად არჩევნების გაყალბებასა და ხელისუფლების მიერ საზოგადოების დაშინებას ასახელებს. ხელისუფლება, თავის მხრივ, ბრალდებებს უარყოფს, ხოლო გამარჯვებული უკვე ყოფილ კონკურენტებს თანამშრომლობას სთავაზობს. გიგი უგულავამ განაცხადა, რომ ირაკლი ალასანიას საინტერესო მოსაზრებები აქვს ჯანდაცვის სფეროსთან, გოგი თოფაძეს — სანარმოების ამუშავებასთან, გია ჭანტუიას კი — კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით...

სათუნა ბახტურიძე

შევეცადე გამერკვია, რას ფიქრობენ მერის ინიციატივაზე თავად დამარცხებული კანდიდატები, რა შეხედულება აქვს განვლილ არჩევნებზე საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს და რამდენად რეალურად მიიჩნევენ პოლიტიკური ექსპერტი ქალაქისთვისა და ოპოზიციონერი ლიდერების ურთიერთ-თანამშრომლობას.

ირაკლი ალასანიას:

— არა მგონია, უგულავას ეს შემოთავაზება რეალური იყოს. თუ ის მართლაც მოინდომებს ჩვენს პროგრამაში არსებულ თემებზე მუშაობას, შეუძლია, „ალიანსის“ ექსპერტებს შეხვდეს და მათთან ერთად განიხილოს კონკრეტული საკითხები.

გიორგი თარბამაძე:

— ჩვენმა მერობის კანდიდატმა უგულავას ინიციატივაზე თანხმობა განაცხადა. ეს მისი მხრიდან ლოგიკურიც იყო. ძნელია, რაიმე სანინალმდგომო უთხრა გამარჯვებულ კანდიდატს, როდესაც ის შენი იდეების გათვალისწინებას გპირდება. მე უფრო მეტი პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, შესაბამისად, უგულავას შემოთავაზებასაც უფრო მეტი პესიმიზმითა და უდნობლობით ვეკიდები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო — მისი სულგრძელობა ხალხს უნდა დაენახა!.. ახლა ვნახოთ, რეალურად რას იზამს. ქრისტიან-დემოკრატები ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ, აუცილებლად გავაგრძელებთ მუშაობას იმ თემებზე, რომლებიც ჩვენს საარჩევნო პროგრამაში იყო.

ძალიან მალე გამოჩნდება, უგულავამ რეალურად შემოგთავაზა თანამშრომლობა თუ ეს ცარიელი სიტყვები იყო.

გოგი თოფაძე:

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლება ძალიან მაღიზიანებს და მისი არ მჯერა, მზად ვარ, ჩემი ხალხის გადასარჩენად მის გვერდით დავდგე. ისე კი ძალიან მეეჭვება, უგულავას ეს შემოთავაზება რეალური იყოს. პირადად მე, ბევრჯერ მომიხმენია მაგის ცრუდაპირებები.

რეზაზ მიშვილაძე, მწერალი:

— კარგი იქნება, თუ ოპოზიცია და ხელისუფლება ხალხის სასარგებლოდ ითანამშრომლებს. უგულავამ დაამტკიცა, რომ საქმის მკეთებელი კაცია, აი, ოპოზიცია რას იზამს, ეგ აღარ ვიცო. ოპოზიციონერმა ლიდერებმა ხალხის ნდობა უკვე დაკარგეს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, გაუთავებელი „ნაჯექ-უკუჯექობით“ დაამტკიცეს, რომ ქართველი ხალხის გადარჩენის სურვილი კი არ აქვთ, არამედ სკამის მოპოვება უნდათ. ამაში საბოლოოდ მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც ბურჯანაძე და ნოლაიდელი თავიანთ რიგებში მიიღეს.

— როგორც მასსოვს, თქვენ ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერი იყავით...

— დიას, ასე იყო. 9 აპრილიდან 21 აგვისტომდე ერთგულად ვიდექი ოპოზიციის მიტინგებზე, სიტყვითაც გამოვდიოდი, მაგრამ დავიდალე მათი გაუთავებელი ტრაბახით და ტყუილებით. სულ რაღაც ორი კვირის წინ ოპოზიციის

ლიდერები გამარჯვებულის ჩოხას წინასწარ ირგებდნენ ტანზე და ამაყად აცხადებდნენ, — 26 მაისს სააკაშვილს ალღუმს არ ჩავატარებინებთო. თავადაც ხომ იცოდნენ, რომ ამას ვერ გააკეთებდნენ! ვერ ვხვდები, კიდევ ერთხელ რატომ შელახეს თავიანთი იმიჯი. მე, გამოუსწორებელი ოპოზიციონერიც კი, დავრწმუნდი, რომ უგულავა ნამდვილად, საქმის მკეთებელი კაცია.

ნოდარ ნათაძე, პოლიტიკოსი:

— მე არც უგულავას მჯერა და არც ვინმე სხვისი. ყველა დამნაშავე ჩვენი ქვეყნის წინაშე. ვიცოდი, რომ უგულავა გამარჯვებდა (იმიტომ, რომ ხალხი დემორალიზებულია, ხელისუფლებას გაყალბების მექანიზმი შესანიშნავად აქვს დახვეწილი, ოპოზიცია კი არაფრის მაქნისია), მაგრამ მე ის მიკვირს, 55% რომ აიღო: ზუსტად ვიცი, ამდენი ხალხი ფიზიკურად არ მისულა არჩევნებზე. მე დილით გავფედი ხმის მისაცემად, ჩემი მეუღლე — შუადღისას. ორივემ ვნახეთ, რომ საარჩევნო უბანში ხალხი კანტიკუნტად იყო.

— თუ არავის ენდობით, ხმავის მივით?

— თოფაძეს. ფიქრობ, ის მეურნე კაცია და ხალხს მაინც დაასაქმებს.

ირმა სოსხაძე, მომღერალი:

— ვერ ვიტყვი, რომ ეს არჩევნები ხელისუფლებამ მასშტაბურად გააყალბა. მას შეეძლო, რაც ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე ვერ შეთანხმდა, რაც უამრავჯერ გაგვიცრუა იმედი და მოგვატყუა, კიდევ რამე უკვირთ?! ძალიან მწყინს, როდესაც ოპოზიციონერი ლიდერები ერთს მელაპარაკებინან და მეორეს აკეთებენ. მაინც რამდენ ხანს აპირებენ ადამიანებით მანიპულირებას?!

— იმის იმედი თუ გაქვთ, რომ უგულავა, ალასანიას, ჭანტურია და თოფაძე თანამშრომლობას შეძლებენ?

— იმედი მაქვს კი არა, პირდაპირ მოვიტხოვ, რომ ამ ადამიანებმა, ხალხის საკეთილდღეოდ, ითანამშრომლონ. მათი რევანშისტული განწყობილება და კონფრონტაცია ხალხს კარგს არაფერს მოუტანს. მე მარტო ოპოზიციონერი ლიდერების მიმართ როდი მაქვს პრეტენზია. უგ-



ულავასაც ბევრი რამ აქვს გასათვალისწინებელი. ძალიან კარგია გმირთა მოედანზე აშენებული ობელისკი და გზა, მაგრამ თუ ადამიანების დიდი ნაწილი შიშვით დაიხსობა, ალარც გზა მიღირს რამედ და ალარც ობელისკი. ყველაზე კარგი ის იქნება, თუ ყველა ერთად იფიქრებს ხალხის დასაქმებაზე და მისი ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე.

მათი დოლიძე, რეჟისორი:

— როგორ შეიძლება, ვინმე თქვას, რომ არჩევნები მასშტაბურად არ გაყვალდა?! მთელი სახელისუფლებო რუსურსი უგულავას გამარჯვებისთვის იყო მობილიზებული. დარწმუნებული ვარ, ირაკლი ალასანიამ იმაზე გაცილებით მეტი ხმა მიიღო, ვიდრე გვეუბნებიან. ზუსტად ვიცი, რომ 30 მაისს, დღის 2 საათზე „ნაციონალის“ აქტივისტები ხალხს სახლებში ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ... ხელისუფლების ასეთ თავნებობას ოპოზიციის უნიათობამაც შეუწყო ხელი. თუ ოპოზიცია აზრზე არ მოვა და კონკრეტულ მიზანს არ დაისახავს, არაფერი გვეშველება. ისეთივე რეჟიმში მოგვიწევს ცხოვრება, როგორშიც რუსი ხალხი ცხოვრობს.

თეიმურ ჯარჯანიძე, სტუდენტი:

— არც უგულავასი მჯერა და არც დანარჩენების. არ ვიცი, სხვა ქვეყნებში როგორ არის, მაგრამ საქართველოში ყველა პოლიტიკოსი იტყუება, ყველას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, ხალხი არავის ანალვებს. უგულავამ ნამდვილად გააკეთა რაღაც-რაღაცები თბილისში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ მიფუჩინებულია და მალევე „ჩამოიშლება“. ისე, კარგი იქნება, ის „შვიდობის ხიდი“ მალე თუ დაინგრევა, ძველ თბილისს რომ ამახინჯებს.

ვიტარ ნაზლიძე, პედაგოგი:

— ნამდვილად, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი ვარ, მაგრამ ხმა გიგი უგულავას მივეცი. რატომ უკერო ოპოზიციას თავისი მარცხი?! ჯერ ერთი, ეს თვითმმართველობის არჩევნებია და მგონია, რომ ოპოზიციონერი მერი ვერაფერს გაგვიკეთებს, ძალიანაც რომ უნდოდეს: ხელისუფლება არ მისცემს ამის საშუალებას. მერე კიდევ, ისე შეჩვეული ჩირი სჯობია შეუჩვეველს. ოპოზიციაც ისევე გვატყუებს და საკუთარი მიზნებისთვის გვიყენებს, როგორც ხელისუფლება. არც იმის მჯერა, რომ უგულავამ გულწრფელად შესთავაზა თანამშრომლობა დამარცხებულ კანდიდატებს, ხალხს მოაჩვენა, ვითომ გულისხმიერი ადამიანია.

ირაკლი ბაროშვილი, სპორტსმენი:

— ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გაყალბების დიდოსტატია, ოპოზიციამ კი ისევ თავისი უნიათობა დაგვანახვა. უგულავასა და ოპოზიციონერი ლიდერების თანამშრომლობის არ მჯერა. რაც უნდა „დემოკრატიულობანა“ ითამაშოს ხელისუფლებამ, ხალხს მაინც ვერ მოატყუებს. გიგი უგულავამ აქამდე არ იცოდა, რომ სამუშაო ადგილები არ იყო, ან ხალხს კომუნალური გადასახადები სულ რომ უხუთავს, ეს

მხოლოდ ჭანჭურისაგან გაიგო? მეცინება, როდესაც ალასანიას მოსაზრებებს ინონებს, ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებით. იმ გუნდის წარმომადგენელი არ არის, რომელმაც ხალხს სამედიცინო დახმარებით მოუხსნა და სასიკვდილოდ განირაა?!

— **ბატონო კახა, ელოდით თუ არა, რომ უგულავა ასეთი დიდი პროცენტით მოუგებდა, ოპოზიციონერ კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი ხმის მქონე კანდიდატს?**

კახა გომილაშვილი, ექსპერტი:

— ასეთ შედეგს ნამდვილად ველოდი, იმიტომ, რომ უგულავას საარჩევნო პროგრამა გათვლილი იყო თბილისსა და თბილისელებზე. ჩემი აზრით, ალასანიას მხრიდან, ქვეყანაში პოლიტიკურ ცვლილებებზე საუბარი მცდარი გადაწყვეტილება იყო: ეს იყო ადგილობრივი და არა საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნები. დარწმუნებული ვარ, უგულავას თბილისელების იმ ნაწილმაც კი მისცა ხმა, ვინც ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურადაა განწყობილი. ეს იმითაა განპირობებული, რომ მან ქალაქის მერობის პერიოდში საკმაოდ ბევრი საქმე გააკეთა. უფრო მეტიც — ის ფაქტი, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქალაქის საკრებულოშიც სხვებზე მეტი მანდატი მოიპოვა, ოპოზიციის უუნარობასთან ერთად, გიგი უგულავას ფაქტორითაც იყო განპირობებული.

— **გაყალბებისთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებზე რას იტყვით?**

— პატარ-პატარა დარღვევები იქნებოდა, მაგრამ მასშტაბური გაყალბებისა და კანონდარღვევის ფაქტები უცხოელ დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ. გარდა ამისა, არც „სამართლიან არჩევნებს“ გაუკეთებია რაიმე განცხადება და არც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.

— **მიუხედავად ამისა, კონკრეტული ადამიანები ზენოლისა და მუქარის ფაქტებზე საუბრობენ.**

— ამ საკითხებზე სპეკულირება პოლიტიკურ პარტიებს კარგს არაფერს მოუტანს. ასეთი განცხადებებით ისინი საზოგადოებაში მხოლოდ პანიკას თესენ და ნიპილიზმს აღვიგებენ. თუ ნამდვილად ახორციელებენ ვინმეზე ზენოლას ან ემუქრებიან, სასამართლოში რატომ არ შეაქვს სარჩელი?

— **იმიტომ, რომ სასამართლოს დამოუკიდებლად არ მიიჩნევენ.**

— ეს მხოლოდ საბაბია. შესაძლოა, სასამართლომ მართლაც არ დააკმაყოფილოს სარჩელი, მაგრამ ზენოლის ან ემუქარის ამბავი ხომ გახსნაურდება?! იცით, ოპოზიციამ რა გააკეთა?.. ხელისუფლების წინააღმდეგ იმდენი უსაფუძვლო (არ უარყოფო, რომ ზოგჯერ საფუძვლიანიც) ბრალდება წამოაყენა, იმდენჯერ დაადანაშაულა არადემოკრატიულობაში, რომ მმართველი გუნდი იძულებული გახდა, თავის მართლების მიზნით, ბევრად უფრო კონსტრუქციული და დემოკრატიული გამხდარიყო. ამის შედეგად, დღეს ბევრად უფრო დემოკრატიული გარემო გვა-

ქვს, ვიდრე წლების წინ იყო. ამისთვის ოპოზიციას ნამდვილად, უნდა გადაუხადოთ მადლობა.

— **რამდენად რეალურად მიგანიათ უგულავას მხრიდან ალასანიას, ჭანჭურისა და თოფაძისათვის თანამშრომლობის შეთავაზება?**

— უგულავას მხრიდან ეს დიპლომატიური განცხადება იყო. იმაშიც მეპარება ეჭვი, რომ ოპოზიციური ძალები ხელისუფლებასთან ფორმალურ თანამშრომლობას დაინწყენ. შესაძლოა, გარკვეული კონსულტაციები მართლაც ჰქონდეთ, მაგრამ ეს კულუარებს არ გაცდებდა. აშკარაა, რომ „ალიანსი“, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობას, ბრძოლის გაგრძელებას არჩევს. მით უმეტეს, რომ ამ გაერთიანებამ საკმაოდ სერიოზულ შედეგს მიიღწია: სულ რაღაც ერთი წლის დაფუძნებული ორგანიზაციისთვის დედაქალაქში 20%-ის მიღება ცოტა ნამდვილად, არ არის.

— **იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ორგანიზაციაში რამდენიმე პარტია შედის?**

— რამდენიმე პარტია კი შედის, მაგრამ „რესპუბლიკელებს“ 4%-ზე მეტი არც ერთ არჩევნებში არ მიუღიათ. რაც შეეხება „ახალ მემარჯვენებს“, მათი ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი 10% იყო. ფაქტია, რომ ეს პარტიები ერთად, უკეთეს შედეგს უჩვენებენ, ვიდრე ცალცალკე. ვფიქრობ, ალასანიას გუნდი საპარლამენტო არჩევნებისთვის კიდევ უფრო კარგად მოემზადება და შედეგსაც უკეთესს უჩვენებს.

— **როგორ ფიქრობთ „ეროვნული ფორუმი“ და ლეიბორისტები საპარლამენტო არჩევნებსაც ბოიკოტს გამოუცხადებენ?**

— არა, კიდევ ერთი ბოიკოტი მათ ინტერესებში ნამდვილად, არ შედის. მათ ისედაც დიდი შეცდომა დაუშვეს, რომ ადგილობრივ არჩევნებში არ მიიღეს მონაწილეობა. პოლიტიკური პარტია სწორედ არჩევნების დროს სინჯავს საკუთარ ძალას, ხალხის წინაშე გამოდის და თავის პროგრამას აცნობს. სწორედ ამ დროს მიმდინარეობს შიდაპარტიული ცვლილებებიც, იმიტომ, რომ რეალურად იკვეთება — ვინ რისი დამკვეთებელია და ვის რამდენი მხარდამჭერი ჰყავს. ეს პროცესი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის აუცილებელია. მე მგონი, ეს ძალები მომავალი არჩევნებისთვის სერიოზულად მოემზადებიან. სხვათა შორის, არ გამოვირიცხავ იმასაც, რომ „ეროვნული ფორუმი“ „ალიანსთან“ ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანდეს. ვფიქრობ, საპარლამენტო არჩევნების დროს სულ ცოტა, 2 ან 3 სოლიდური ოპოზიციური პარტია მაინც გვეყოლება და საინტერესო პოლიტიკური პროცესების მომსწრენი გავხდებით. იმასაც ვიმედოვნებ, რომ დესტაბილიზაცია, ქუჩის აქციები და ბრძოლის სხვა, არაცივილიზებული მეთოდები ქართველებმა ისტორიას საბოლოოდ ჩაებავენ.



რა ღირს სეპარატისტის გვერდით ცხოვრება?!

ანუ რამდენიმე ზონად დაყოფილი ტერიტორია

სარისკო, ამოუწურავი, დაუსრულებელი — ასეთია კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა პრობლემები. მათი გაჭირვება ზოგ შემთხვევაში კუროზოზულიც კი არის. ისინიც ცდილობენ, რაღაცებს იუმორით შეხედონ. უმეტეს შემთხვევაში ეს შეუძლებელია, მაგრამ ხანდახან გამონაკლისიც ხდება... მუდმივი არასტაბილურობის შეგრძნება ისედაც მძიმე სოციალურ ცხოვრებას კიდევ უფრო ამწვავებს, მაგრამ როგორღაც მაინც გააქვთ თავი. მათი ყოველდღიური ცხოვრება აუტანელია, მაგრამ იტანენ, რადგან ბევრი რამე გამოცადეს — უსახლკარობაც, სხვისი ხელის შემყურობაც და საბოლოოდ, ერთ დასკვნამდე მივიდნენ, — მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს..

როგორ ცხოვრობენ უფლის, საკუთარი თავისა და „მფარველი აფხაზების“ იმედად, იქ, სადაც ქალაქის ქუჩებსა და სოფლის ორღობებში თავისუფლად მოსიარულე შეიარაღებული ადამიანი აღარავის უკვირს, — ამის შესახებ ჩემი რესპონდენტები ჰყვებიან.



ლალი პაპასკირი

გურამი, 62 წლის, გალის მკვიდრი:

— ჩემი სახლი არც ერთი დღე არ დამიტოვებია: თუ მომკლავენ, ბარემ ჩემს ეზოში დავლიო სული, სხვაგან რაღაზე ვინანწალო-მეთქი?! სახლში მოხუცი დედი-მამა მყავს, „დალოგინებული“ არ არიან, მაგრამ მიხედვა უნდათ, მარტო ვერ გაჩერდებიან... ერთი სიტყვით, იმ ომისა და უბედურების დროს, სახლში დარჩენა ვარჩიე და აქამდე რის ვაი-ვაგლახით მოვალნიე. დრომ მაინც თავისი ქნა და ეს ორი, ერთმანეთს მოსისხლე მტრებად გადაკიდებული ერი როგორღაც მოვრიგდით... მიჭირს ამის თქმა — ხშირად, თავმოყვარეობის ფასად ვუთმობთ, მაგრამ ნუ დაუთმობ, თუ კარგი ბიჭი ხარ, სვალ და ზეგ ისევ აქ, მის გვერდით უნდა იცხოვრო, სადაც მისი გავლენა ვრცელდება, ამიტომ ბევრ რამეზე გვინევს თვალის დახუჭვა... არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, ერთი სოფლის ბოლოში მცხოვრებ ოჯახს შეუცვივებოდნენ (გალის რაიონში დაყარალება არავის უკვირს) და აანოკებდნენ, გზად კი საჭმელად, იმავე სოფლის თავში, გაძარცვული ოჯახის მეზობლებთან შევივლიდნენ, ქეიფი უნდოდათ... 10, კბილებამდე შეიარაღებული კაცი რომ დაგადგება, ნუ გაულებ კარს, თუ ბიჭი ხარ... დღეს რომ დაემალო და გადაურჩე, სვალ სად გაიქცევი, მაინც მათ ხელში არა ვართ?! ყოფილა შემთხვევა, როცა, „ჯიუტი მეგრელებისთვის“ სახლები დაუნვათ და ამისთვის მიზეზი არ ელევათ, — კარი არ გაგვიღო, არ გაგვიმასპინდლო, — ან სულაც, — ვილაცაზე ვკითხეთ, სად ცხოვრობსო? — და არ მიგვასწავლაო... აქ ყველას თავისი „მფარველი აფხაზი“ ჰყავს და ვალდებული ვართ, მათ პატივი ვცეთ. თუმცა ზოგჯერ იმ აფხაზს სხვები ანგარიშს არ უწვენ და იმ ოჯახში მაინც დაუკითხავად

მიდიან... ქართველებს ომი არ გვიკვირს, მაგრამ ომის შემდეგ რაღაც ან კარგისკენ იცვლება, ან ცუდისკენ, ჩვენთან კი უკვე წლებია, არაფერი შეცვლილა, აქ არც ომია და არც მშვიდობა... კონფლიქტის ზონაში გამუდმებით ცუდი რაღაცები ხდება და ამიტომ, ერთ სახალისო ამბავს მინდა მოგიყვებ, რომელიც დედაჩემის სოფელში მოხდა: საბჭოთა წყობილების დროს ერთი მეზობელი ბიჭი რუსეთში სწავლობდა და შემდეგ იქ სამუშაოდაც დარჩა. ახლა ეს კაცი 50 წელს გადაცილებულია. სტუდენტობის დროს იქ ცოლიც ჰყოლია, რომლისგანაც ბიჭი ჰყავდა. ოჯახის წევრებმა მისი გაბედნიერების შესახებ გაიგეს და გადაირიგნენ: ერთადერთი ბიჭი ჰყავდათ და რუსი რძალი არ უნდოდათ. დაურეკეს და უთხრეს, — დედაშენი გარდაიცვალაო და საქართველოში ჩამოიბრუნეს... აქ ჩამოსულს დედა კი ცოცხალი დახვდა, მაგრამ არჩევანის წინაშე დააყენა: როგორც კი რუსეთში წახვალ, იმ დღესვე თავს ჩამოვიწრობო... რა ექნა, კარგა ხანს ურევავდა თურმე თავის ცოლს და ჩასვლას ჰპირდებოდა, მაგრამ ვერ ჩავიდა. მერე კი აქაური გოგო მოიყვანა ცოლად და მ ქალიშვილი შეეძინა. ამის შემდეგ, დედისა და ცოლის მოთხოვნით, პირველ ოჯახთან კავშირი საერთოდ გაწყვიტა... ერთ დღესაც, ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, ამ კაცის ქიშკარს „ვილისი“ მოადგა, საიდანაც რუსულ სამხედრო ფორმაში ჩაცმული ბიჭი გამოსულა. ახალგაზრდა „სამშვიდობო“ თურმე იმდენად ჰგავდა მამას, რომ არც კი უკითხავთ, ვინ იყო და რა უნდოდა... გარკვეული ხნის შემდეგ მეც ვნახე ის ბიჭი; მამა-შვილი მართლაც, წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს. დედამის მიუცია მამის მისამართი და სოფელში კაცის პოვნას რა უნდა?!. თუ არ ვცდები,

წოდებით კაპიტანია და სანამ როტაცია არ განხორციელდა, მისი „წყალობით“, სოფელში სინყნარე იყო.

— მამასა და დებთან ურთიერთობა ახლაც აქვს თუ ისევ განწყვიტა?

— არა, რას ამბობთ?! ძალიან თბილი და ახლო ურთიერთობა აქვთ. ორი და თან ნაიყვანა, იქ უნდა გასწავლოთო, მე-სამე — ჯერ პატარაა. კარგი ბიჭია, ფხიანი. ეტყობა, ქართული სისხლი მაინც თავისას შვრება (იციინის). მამამისს უთქვამს, — ეს შენი სახლია, თუ შეძლებ, ჩამოდი და იცხოვრე, გოგონები მაინც გათხოვდებიანო. არ ვიცი, რას იზამს... მისი პატივისცემით, სხვა რუსი სამხედროებიც კარგა ხანს ჭკვიანად იქცოდნენ და სოფლის მოსახლეობას სახლებში აღარ უცვივებოდნენ.

ზურაბი, 53 წლის:

— მშვიერი სეპარატისტების გვერდით ცხოვრება ძალიან ძნელია, მაგრამ უკვე შეჩვეული ვართ. გამუდმებით კარდაკარ დანანწალებენ, რაღაცას ეძებენ, ცდილობენ, რაღაც ნაგართვან ან სულაც მოგპარონ... ახლა გაზაფხულზე ხალხი მიწის სამუშაოებზეა გასული. აქაურები დიდიან საღამომდე მინდორში ვართ გასული. მთელი დღის ნამუშევრებს საჭმელი ხომ გვინდა?! როგორც კი საჭმელად დავსხდებით, მშვიერი რუსი ჯარისკაცები და აფხაზები უჩინმანინოვით ჩვენთან გაჩნდებიან, ან თავს დაიპატიჟებენ, ან პირდაპირ გვეტყვიან, — საჭმელი გვინდა, მშვირები ვართო... ჯობია, ვაჭამოთ, თორემ მეგრე უფრო გვაზარალებენ: ან ძროხას დაავლებენ ხელს, ან ქათმებს (ლორს ერიდებიან, მაინც); ნოდარ დუმბაძის რომანის — „მე ვხედავ მზეს“ — ერთ-ერთ პერსონაჟს გამოლეჭილი თხები რომ მისდის სახლში, ხომ გახსოვთ?!



მე ფეხმოჭრილი ძროხა მინახავს. მთლიანად არ გვინდოდა და რამდენიც გვინდოდა, „ავიღეთო“, — მითხრეს. ვილაცამ შეიძლება, ეს ყველაფერი შორიდან არაფრად მიიჩნიოს, მაგრამ სოფელში ძროხა და ღორი ოჯახის მარჩენალია. სამსახური და დალაგებული ცხოვრება ჩვენთვის აუხდენელ ოცნებად რჩება და ამიტომაც, ჩვენი შემოსავალი — ციტრუსი, ბოსტნეული და საქონელია. სოფლის მეურნეობით ვცხოვრობთ და თუ ესეც წაგვართვს, მშვიდები დარჩებით... არ მინდოდა, ოჯახი მშვიდნი მყოლოდა და იმიტომაც ვერ გავეძელი ენგურს მიღმა, ამიტომ ვცხოვრობ აქ, ჩემს მიწაზე, მონასავით. არ მინდა, რომ ჩემს შვილებს საქმელი მოვაკლო და დღე და ღამეს შრომაში ვასწორებ... დევნილი და გაჭირვებული არავის სჭირდება ამქვეყნად. როცა სხვისი ხელის შემყურე და მონყალების მომლოდინე ხარ, ყველას მალე ჰბურბურდები. ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადე და არავის ვამტყუნებ, მაგრამ როცა



პატრიოტობისკენ მოგვინოდებენ, ერთი წამით მაინც წარმოიდგინონ საკუთარი თავი ჩვენს ადგილზე და შეიძლება მიხვდნენ, ვინ უფრო პატრიოტიკია... ახლახან მე და ჩემმა მეუღლემ დიდი წვალებით მოვაგროვეთ ფული; მინა რომ მოგვეხნა და ყანა დაგვეთესა, სანჯავისა და ტრაქტორისტისთვის მისაცემი თანხა გვჭირდებოდა. როგორღაც გადავწყვიტეთ ეს პრობლემა. გზაში, ყანისკენ მიმავალთ, აფხაზები შემოგვხვდნენ და ჩვენი დაქირავებული ტრაქტორისტი თავიანთ საქმეზე წაიყვანეს... მინის სამუშაოებით თავს არ ინუხებენ, მაგრამ ოჩამჩირეში შეუა ჰქონიათ წასაღები — „კაკ რაზ“ ახლა ტრაქტორი გვჭირდებოდაო! — თან დასათესად გამზადებული სიმინდიც გააყოლეს ხელს... ამის შემდეგ, რომელ მშვიდ ცხოვრებაზეა ლაპარაკი, მაგრამ ხომ გაგიტონიათ, — დათვი რომ

მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახო; ასეა ჩვენი საქმე. აფხაზი დათვი არ არის, შვილო, ის ქართველებთან შედარებით, ყოველთვის საწყალი იყო, მაგრამ ახლა ჩვენს დასაჩაგრავად, რუსი უმაგრებს ზურგს და „დათვობს“, როგორც შეუძლია...

მერი, 22 წლის:

— როცა ჩვენი ხალხი ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრებაზე ლაპარაკობს, ყოველთვის ერთი უკიდურესობა იკვეთება: ადგილობრივი ქართველები ვერ იტანენ აფხაზებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ხშირად ჩვენი ხალხიც სცოდავს, როგორც აფხაზის, ისე თავისი მოძმის, მისნაირი გაჭირვებულის წინაშე აქ, ამ ხალხთან ვცხოვრობ და ვხედავ, სად გადის ზღვარი მათ ცუდ და კარგ საქციელს შორის. არ ვიცი, შეიძლება, ასეთებად მუდმივი წნეხის ქვეშ ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ აქ ყველა თავის ტყავს უფრთხილდება, ერთმანეთს არ ენდობიან... ყველა ცდილობს, ვინმე გავლენიანი აფხაზის ნდობა მოიპოვოს და ამისთვის ათასგვარ გზასა და ხრიკს მიმართავს. ნაწილი უკვე შეგუებულია ასეთ ცხოვრებას, ასეა თუ ისე, ამ ხალხთან საერთო ვიპოვეთ; მთავარია, ომი არ დაიწყო და ყველაფერი თავდაყირა არ დადგეს. იმათ, ვისაც გავლენიანი აფხაზები მფარველობენ, მათთან ბიზნესში არიან და ათასგვარ ოსრობაში აქვთ თავი გაყოფილი, ურჩევნიათ, ყველაფერი ისე დარჩეს, — როგორც არის. საბედნიეროდ, არსებობს მეორე ნაწილი, რომელიც უფრო საღად აზროვნებს. ისინი საკუთარ მიწაზე ვილაცის მფარველობისა და გავლენის ქვეშ ცხოვრებას ვერ ეგუებიან, ხშირად რუს სამხედროებსაც არ უნევენ ანგარიშს და ამიტომაც არის შესლა-შემოსლა... თვით კონფლიქტის ზონა კიდევ რამდენიმე ზონად არის დაყოფილი: მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არიან „რისკიანები“ — ისინი, ვისაც აფხაზი არც „მფარველი“ ჰყავს და არც ახლობელი. ისინი ალაღებდნენ ცხოვრობენ იქ და ამის ფასად, უამრავ „ლალასა“ და „ბეგარას“ იხდიან (ზოგი რუსს მიაქვს და ზოგიც — აფხაზს) — ეს იქნება ფულადი გადასახადი, თხილი, ციტრუსი, საქონელი თუ სხვა სახის პროდუქტი (ასეთ ოჯახებში ახალგაზრდები არ არიან, მშობლები მათ იქ დატოვებენ ვერ რისკავენ). ასევე არიან აფხაზების მფარველობის ქვეშ მყოფი ქართველები, რომლებიც შედარებით თავისუფლად, გადასახადების გარეშე ცხოვრობენ, მაგრამ გამუდმებით შარში არიან გახვეული. ე.წ. „მესამე ზონა“ — რუსების ბლოკ-პოსტებთან მცხოვრები ოჯახებია, რომლებსაც დღე-დღეზე სადაც გადასახლებას უპირებენ. მათ ყველაზე კარგად იციან რუსთან ახლოს ცხოვრების „გემო“. იქ, ძალიანაც რომ გინდოდეს, სახლს ვერ გაყიდ; თუ

წასვლა გინდა, ნადი, მაგრამ ვერ გაყიდი. რუსი სამხედროები არც გავლენიან ქართველებს უნევენ ანგარიშს, არც აფხაზებს ერიდებიან და არც ერთმანეთს... ერთი სიტყვით, გალისა და ოჩამჩირის რაიონები (მას სახელს უცვლიან, მაგრამ სახელზე ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ) ის ჭაობია, რომლიდანაც აფხაზი კრიმინალები ყველაზე მეტ მოგებას იღებენ. ოჩამჩირის იქით ვითარებას, სრულად არა, მაგრამ მაინც აკონტროლებენ რუსები და სომხები. იქ აფხაზ კრიმინალს, თუ ძალიან გავლენიანი არ არის, „ფრთების გაშლის“ საშუალებას არავინ მისცემს. გალსა და ოჩამჩირეში კი იმხელა შავი ფული ტრიალებს, წილები სეპარატისტულ ხელმძღვანელობასაც მისდის და იქ მოსამსახურე რუს სამხედროებსაც. აქ ყველანაირი ბიზნესია — მოპარული მანქანების, იარაღის, ნარკოტიკების, ყალბი ფულის, თხილის, ციტრუსის... წილების გადანაწილებას კი ყოველთვის ხმაურიანი გარჩევა მოჰყვება.

ნინა, 35 წლის, სოხუმის სკოლის მასწავლებელი:

— რუსეთის ჩანაფიქრს ადგილობრივი მოსახლეობა და არა მარტო ის, თანდათან ხვდება, მაგრამ რაღა დროს?! რუსეთის ზენოლით, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთში რუსული ენა „უფრო ინტენსიურად“ უნდა ისწავლებოდეს და ეს აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობების (სომხების, ბერძნების, ქართველების) ინტერესების დაცვას ემსახურება. ამიტომაც, თუ გალის რაიონების სკოლებში IV კლასამდე ყველა საგანი აფხაზურად ისწავლებოდა, მომავალი სასწავლო წლიდან, აფხაზური ენა პროგრამაში მხოლოდ ერთ-ერთ საგნად იქნება შეტანილი და სწავლება რუსულ ენაზე წარმართება.

— ამას აფხაზების უმცაყოფილება არ მოჰყოლია?

— მხოლოდ აფხაზი ოპოზიციონერები შეშფოთდნენ, მაგრამ არავის სჯერა, რომ მათ შეშფოთებას შედეგი მოჰყვება. აფხაზეთში უკვე ყველაფერი ისე ხდება, როგორც რუსეთი მოისურვებს. უირონოვსკის უთქვამს, — აფხაზეთის საკურორტო ზონა ამ პრინციპით უნდა აღორძინდეს — ნაკლები განათლება და მეტი მუშახელი... ყველაფერი აქეთკენ მიდის. რუსეთის ღია ექსპანსიის პასუხად, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ მხოლოდ ისლა მოიფიქრა, ყურადღების გადასატანად, სკოლის სასწავლო პროგრამაში, ქართულის ნაცვლად, მეგრული ენა რომ შეიტანოს. ამისთვის ჯერ საჭიროა სახელმძღვანელო შემუშავება და გამოშვება ანუ — შესაძლოა, ეს ჩანაფიქრი სულაც ვერ განახორციელდეს, მაგრამ ამით მოსახლეობის ყურადღებას სხვა საკითხზე გადაიტანენ. ჩემი ინფორმაციით, მომავალი სასწავლო წლიდან აფხაზეთის ყველა სკოლაში სწავლა მთლიანად, რუსეთის პროგრამით გახორციელდება...



“ავერსი-რაციონალი” კიდევ ერთი აღიარება მოიპოვა

20 მაისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, “ავერსი-რაციონალს” 2009 წლის საუკეთესო საშუალო ბიზნეს კომპანიის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მცირე და საშუალო საწარმოებისა და ინდემწარმეებისთვის კონკურსს ყოველწლიურად მართავს და მათ შორის საუკეთესოებს აჯილდოებს. კონკურსის მიზანი ყველაზე ნაყოფიერ და წარმატებულ ბიზნესმენთა ნახალისებაა. წლებიდან გამარჯვებულთა ოთხეული ასეთია:

- საუკეთესო ფერმერი - კოპოპრატორი “ქვენატკოცა”;
- საუკეთესო ექსპორტიორი მცირე და საშუალო ბიზნესიდან - შპს “მები ბერიძეები”;
- საუკეთესო მცირე ბიზნესკომპანია - შპს “ჯი-ჯი-ჯი კომპანი”;
- საუკეთესო საშუალო ბიზნესკომპანია - “ავერსი-რაციონალი”.

“ავერსი-რაციონალის” აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ მალხაზ კურტიანიძეს, ჯილდო ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა გადასცა. “მასსოფს დრო, - ბრძანა ბატონმა მინისტრმა, - როდესაც მსგავს კონკურსებში გამარჯვებული ყოველთვის ის კომპანია აღმოჩნდება ხოლმე, რომელიც კონკურსის სპონსორი იყო. მიხარია, რომ დღეს ასეთი რამ არ ხდება. გამარჯვებული ინდემწარმეები და საწარმოები მართლაც ღირსეულნი არიან და ამ აღიარებას ნამდვილად იმსახურებენ. მათ უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში ფეხზე დააყენეს საკუთარი ბიზნესი, განავითარეს და იხელა წარმატებას მიაღწიეს, რომ დღეს თავიანთი საქმიანობით ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სიკეთე მოაქვთ. მოხარული ვარ, რომ ნილად მხედა ისეთი წარმატებული საწარმოს დაჯილდოება, როგორც “ავერსი-რაციონალი”. ის მართლაც სამაგალითოა და უფსურვებ კიდევ უფრო განვითარებას, გაფართოებას, რადგან ასეთი წარმატებული ბიზნესი მთელი ქვეყნის, თითოეული ქართული ოჯახის წარმატებაა”.

“ავერსი-რაციონალის” აღმასრულებელმა დირექტორმა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას იუბილემ მიულოცა და აღნიშნა, რომ საწარმო პალატის მხარდაჭერას ყოველთვის გრძნობდა: “ავერსი-რაციონალის” განვითარებასა და წარმატებას ხელი შეუწყო ასევე ბიზნესისთვის ხელსაყრელმა საგადასახადო სისტემამ. ჩვენი უცხოელი პარტნიორები ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოში საკმაოდ ლოიალური საგადასახადო კანონია. სწორედ ამ ფაქტორების, ასევე სწორი მენეჯმენტისა და დაუღალავი შრომის წყალობით გახდა ჩვენი საწარმო წარმატებული და საუკეთესო. ჩვენთვის ხარისხი უპირატესია და ეს არა მხოლოდ ნაწარმს, არამედ საწარმოს აღჭურვილობასა და კადრების კვალიფიკაციასაც ეხება. მაღალი ხარისხის პროდუქციაზე მეტი მოთხოვნა საზღვარგარეთაც, ამიტომ ნაწარმის ექსპორტს ვახორციელებთ ყირგიზეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და უკრაინაში. ჩვენთვის ხარისხი ყველა სფეროში სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ამის დასტურია ის ჯილდოც, რომელიც დღეს გადმოგვცეს”. “ავერსი-რაციონალი” ქართული ფარმაცევტული



წარმოების ლიდერია. აქ წარმოებული მედიკამენტები მაღალი ხარისხითა და ეფექტანობით გამოირჩევა. ამის დასტურია საერთაშორისო სერტიფიკატები ISO 9001:2000 და ISO 9001:2008, რომელთა მფლობელიც გახლავთ ეს ფარმაცევტული საწარმო.

2008 წლის II დეკემბერს “ავერსი-რაციონალს” ოფიციალურად გადაეცა GMP (Good Manufacturing Practice) და FDA (Food and Drug Administration) სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატი, რაც იმის დასტურია, რომ “ავერსი-რაციონალი” ევროპული დონის უმაღლეს სტანდარტებს შეესატყვისება. საწარმო უმაღლესი ხარისხის დამამაგალიტებელი არაერთი სხვა სერტიფიკატისა და ჯილდოს მფლობელიც არის. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გამართულ კონკურსში გამარჯვება კი მისი კიდევ ერთი აღიარება გახლავთ.

კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების გამოვლენა სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საკონკურსო კომისიას დაევა, რომელშიც ბიზნესმენები, ექსპერტები და მომხმარებლები შედიან. თავად პალატა 1960 წლის 30 აპრილს იმდროინდელი მინისტრთა საბჭოს ინიციატივით დაფუძნდა. რა თქმა უნდა, იმხანად კერძო ბიზნესი არ ვითარდებოდა, მაგრამ მსგავსი ორგანიზაციის შექმნა მაინც დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

დღესდღეობით არ არსებობს ქვეყანა, სადაც სავაჭრო-სამრეწველო პალატა არ ფუნქციონირებდეს, საქართველოსთვის კი ასეთი ორგანიზაციის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო - მას შემდეგ, რაც მუშობელმა ქვეყანამ ქართულ ნაწარმზე ემბარგო დაანება. ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა და პოპულარიზაცია დღეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ამ საქმეს სავაჭრო-სამრეწველო პალატაც ერთგულად ემსახურება. მისი მთავარი მიზანი სწორედ ქართული ნაწარმის ექსპორტისა და საზღვარგარეთ პოპულარიზაციის ხელშეწყობაა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელმა ჯემალ ინაიშვილმა აღნიშნა, რომ დღეს პალატის აქტიური მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ნაწარმის ექსპორტს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, ორგანიზაცია დიდ ძალისხმევას ახმარს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერასა და ნახალისებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ყოველწლიური კონკურსიც.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ეკონომიკური განვითარების სააგენტოსა და ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ინიციატივით გამართული ღონისძიება სტიმულია კერძო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, ასე რომ, მომავალი წლისთვის კიდევ მრავალი მათგანი იბრძობს საკუთარი საქმიანობის გასაფართოებლად და საუკეთესოს სტატუსის მოსაპოვებლად. კიდევ ერთხელ ვულოცვთ “ავერსი-რაციონალს” ამ წარმატებას და უფსურვებთ უფროდაუფრო დიდი მწვერვალებისთვის მიეღწიეთ.



ბისურვავთი ჯანმრთელობას და სულიერ სიოჰიდას!
ჭირნახულის ქ. 14. WWW.AVERSI.GE
☎ 40-70-90 ; 40-70-91



„სსოპრეზუმიც ისეთივე ლაკონიური ყოფილა, როგორც ნაწერებში“...



დღეს მკითხველმა „ქართული პროზის საგანძურის“ მეთოთხმეტე ტომი — არჩილ სულაკაურის ნაწარმოებები მიიღო, მომავალ ხუთშაბათს კი მე-15 ტომში ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებასთან შესხვედრა მოგიწევთ.

მწერალი იმერელ თავადთა შთამომავალი გახლდათ და იმერეთის მეფის კარზე დანიშნულებული წინაპრებიც ჰყოლია. მათ თურმე, „ფიცის კაცებს“ უწოდებდნენ. თვითონ მწერალსაც საინტერესო ცხოვრება გაუვლია: რამდენიმე სასწავლებელი გამოუცვლია, სხვადასხვა ქვეყანაში უცხოვრია და ორ დუელშიც მონაწილეობდა, ფაქტია — წარმატებით, რადგან ცოცხალი გადარჩა...

შვილიშვილი — ქალბატონი თამარ ლორთქიფანიძე მწერალ ბაბუას არ იცნობდა, არასდროს შესხვედრია, თუმცა წარმოუდგენელი იქნებოდა, მასზე არავის მოეყოლა — თუნდაც ბებიას, ან ბიძებს, ან მამას...

ირმა ხარშილაძე

— ბაბუა და ბებია ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში, ოპერის პირდაპირ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. 3 ვაჟი ჰყავდათ: ნოდარი,

რომ გაუცნია. ძალიან რომანტიკული ურთიერთობა ჰქონიათ, — ბაბუა ფაქტონით აკითხავდა ხოლმე, თავადებს რომ შეეფერებოდათ, — ისე (ილიმის). მალევე დაქორწინებულან. ამ სურათზე სწორედ ქორწინების დღეა აღბეჭდილი: 1914

თქვენს ბებიას არაფერს უყვებოდა?

— ვერაფერს გეტყვით, რადგან ბებოც ბაბუასავით, სიტყვაძუნწი იყო. მისი მონათხრობი ერთი ამბავი გამახსენდა, 1937 წელს მომხდარა. ნიკო მწერალთა კავშირის შეკრებაზე მისულა და ერთ-ერთ მწერალს (ბებო გვარს არ ასახელებდა) უთქვამს: ჯერ ჩვენი რიგები განმენდილი არ არის, ვიდრე ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენს რიგებშიაო. ნიკო შინ რომ დაბრუნებულა, არალიტერატურული ხელნაწერები დაუწვავს, თათუშასთვის ბარგი ჩაულაგებინებია და უთხოვია, ბავშვები წაიყვანეო... მაგრამ მერე ჩვენი ერთ-ერთი ნათესავი — შალვა დადიანი ჩარეულა და ნიკო

ერთ-ერთ მწერალს (ბებო გვარს არ ასახელებდა) უთქვამს: ჯერ ჩვენი რიგები გაწმენდილი არ არის, ვიდრე ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენს რიგებშიაო

მერაბი და მამაჩემი — გოგი. ბებო ამბობდა ხოლმე, ნიკო ძალიან ხელშესაწყობი კაცი იყო. დღე შინიდან გასვლა არ უყვარდა, საღამოს კი აუცილებლად გადიოდა და რუსთაველზე სეირნობდა, მერე „ორიენტშიც“ შეივლიდა ხოლმე. ზამთარში, როდესაც ჭავჭავაძის ქუჩის აღმართი იყინებოდა, ბაბუა კი ტრადიციულად, სასეირნოდ გადიოდა, ბებო ძალიან ნერვიულობდა. მიყვებოდა ხოლმე, — ხშირად ბუხრიდან ნაცარი გამომიღია, ვედროთი წამიღია და მთელ ქუჩაზე დამიყრია, ნიკოს ფეხი რომ არ დასცურებოდაო.

— ეს ნიკომ იცოდა?

— კი, იცოდა და ამას ჩვეულებრივად იღებდა.

— თუ იცით, სად გაიცნეს ერთმანეთი?


— ბებო — თამარიც ქუთაისელი იყო, ჩხეიძის ქალი. თათუშას ვეძახდით. ნიკოზე უმცროსი, 22 წლის ყოფილა, ბაბუა

წლის 14 ოქტომბერი. პატარა ქორწილი ჰქონიათ. მერე კარგა ხანს ქუთაისში ცხოვრობდნენ და თბილისში მოგვიანებით გადმოსულან.

— მამა შეიღებს, წინაპარ „ფიცის კაცებზე“ ან თავის დუელებზე არ უამბობდა?

— ვიცი, რომ ნიკოს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარდა. ვერც ქების მოსმენას იტანდა — ძალიან ღიზიანდებოდა თურმე. მაგრამ შვილებთან წინაპრებზე ხშირად საუბრობდა. უყვებოდა, რომ სოლომონ მეფის კარზე ერთ-ერთ ლორთქიფანიძეს რომელიღაც ბრძოლაში გმირობა ჩაუდენია და მეფეს მთელი მისი გვარისთვის „ფიცის კაცობა“ უბოძებია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნისთვის რთულ პერიოდში მეფე მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტას სწორედ მათ ანდობდა.

— ნუთუ არც მეუღლეს —



ქართული პროზის საგანძური

ნიკო ლორთქიფანიძე მრისხანა პატონი



„ფილოსოფიური კანფერენციები“ და სკოლა, სადაც „პროფესიით“ გაითხოვლებს ალზრდინს

„სიბრძნე მინიატიურაში“ — ასე ჰქვია იგავების ახალ კრებულს, რომელიც ცოტა ხნის წინ საზოგადოებას ლიტერატორმა ბიბა მშრ-ლუღიბამ წარუდგინა. კრებულში სხვადასხვა დროისა და ხალხის 150-მდე ფილოსოფიური იგავია შეტანილი. მინიატიურებში ჩადებულ სიბრძნეს კრებულის შემდგენელი „ფილოსოფიურ კანფერენციებს“ უწოდებს. ეს „კანფერენციები“ ბევრმა უკვე დააგემოვნა, ბევრს კი მისი წაკითხვის სიამოვნება წინ აქვს.

თამუნა კინიკაძე

— სიტყვა „იგავი“ ქართულ ცნობიერებაში არაკეთილ ენადად ასოცირდება. იგავი უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე არაკეთილ. არაკეთილ ანდაზას ჰგავს, იგავი — აფორიზმს. იგავური მეტყველება უძველესია. ყველა კულტურულ ხალხშია გავრცელებული.

— „სიბრძნე მინიატიურაში“ როგორ „დაიბადა“?

— საერთოდ, იდეები უეცრად ჩნდება ხოლმე... ერთ დღეს საიტებს ვათვალიერებდი, მცირე ტექსტები მაინტერესებდა. არაერთ იგავს გავეცანი, მათ შორის იყო ძველი ბერძნული, ჩინური, იაპონური, ინდური იგავები. მათგან საუკეთესოები წიგნისთვის შევარჩიე. კრებულში 150 ფილოსოფიური იგავია შესული, პატარა ტექსტებს ხშირ შემთხვევაში დიდი უპირატესობა აქვს; როცა ლაკონიურობას ესთეტიკური გემოვნებაც ერთვის და დასასრულს ე.წ. ბოლო წინადადების ეფექტი ემატება, ეს უკვე ნიშნავს, რომ ტექსტი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

რეპრესირებისგან გადაურჩენია. საერთოდ, ნიკო აქტიური კაცი არ ყოფილა, საკუთარი თავის წარმოჩენა სრულიად არ ჰყვარებია.

— შვილებს თავისი ნაწარმოებების შესახებ აზრს არ უზიარებდა ან მათი მოსაზრებით არ ინტერესდებოდა?

— თვითონ — ნაკლებად. ცხოვრებაშიც ისეთივე ლაკონიური ყოფილა, როგორც ნაწარმოებში. შვილები კი ეკითხებოდნენ რაღაც-რაღაცებს. განსაკუთრებით, მერაბი ინტერესდებოდა მამის ნაწარმოებით. ჟურნალისტი იყო და მამასთან შემოქმედებასა და ზოგადად, ლიტერატურაზე ძირითადად, ის საუბრობდა. მამის არქივიც მან დაამუშავა. საერთოდ კი ბიძებისგან და მამისგან ვიცი, რომ ნიკო მათ არასდროს უბრაზდებოდა, არც ტუქსავდა და არც სჯიდა, თუმცა სამივეს მისი დიდი რიდი ჰქონია. მახსოვს, ბებოსაც მორიდებითა და პატივისცემით ექცეოდნენ. ოთახში შემოვიდოდა თუ არა, სამივე შვილი ფეხზე დგებოდა.

— ნიკო ლორთქიფანიძის შთამომავლებიდან, წერის ნიჭით არავინ გამოირჩეოდა? კიდევ ვინ არიან მისი შთამომავლები?


— ჩემი შვილი წერდა (ქალბატონ თამარს ამ თემაზე მეტი არაფერი უთქვამს. — ავტ.)... იცით, რატომღაც მგონია, ბაბუას რომ ეცოცხლა, დაფუხლოვდებოდა კიდევ; რადგან მასთან ახლოს იყო ბიძაჩემი — მერაბი, მე და მერაბი კი განსაკუთრებულად კარგად ვუგებდით ერთმანეთს, მამაზე ახლოსაც კი ვიყავი მასთან... ისე, ნიკო ახალგაზრდა — 64 წლისა გარდაიცვალა, უფროსი ვაჟი — ნოდარი კიდევ უფრო ახალგაზრდა იყო; დანარჩენი ორი ვაჟიც გარდაცვლილია. ბებომ კი დიდხანს იცოცხლა და 86 წლისა გარდაიცვალა. ერთადერთი შთამომავალი მე დავრჩი და როგორც ხედავთ, მეც საკმაოდ სიტყვაძუნწი ვარ (ილიმის)...

მოზარდებისთვის ეს იგავები ინტელექტუალური და ზნეობრივი წვრთნის ძალიან კარგი შესაძლებლობაა, ხოლო ახალგაზრდებისა და შედარებით ასაკოვანი ადამიანებისთვის — ქვეყნისთვისა და ზიარებისა და ესთეტიკური ტკბობის საგანი. ამ ნიგნვე მუშაობის დროს ხშირად მახსენდებოდა იგავი, სადაც იესოს მისი მოწაფეები ეკითხებიან, — იგავებით რატომ გველაპარაკებო? — ადამიანის ცნობიერებისთვის ქვეყნისთვის პირდაპირ ალქმა ძალიან ძნელიაო, — პასუხობს იესო. იგავით, სიბრძნის გასაგებ ენაზე „გადმოთარგმნა“ ხდება.

— რომელი ეპოქისა და რომელი ხალხების იგავებმა მიიპყრო თქვენი ყურადღება?

— ამ კრებულში არც ერთ იგავს თარიღი და ქვეყანა მითითებული არა აქვს. ასე სპეციალურად გავაკეთე — სიბრძნეს ნაციონალიზმმა არა აქვს, მთავარია არა წარმომავლობა, არამედ „ფიქრის სიმაღლე“ და ორიგინალობა. ბუნებრივია, რამდენიმე იგავი განსაკუთრებით მომწონს, სადაც გამჭვირვალე სიბრძნისა და მსუბუქი იუმორის საოცარი შეზავება ხდება.

ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“
პჯრ (PCR) — მეთოდი



1. გენომური დაქტილოკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მემკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:
 - ორივე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
 - ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმანჯრების გამოწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
 - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამოწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომაავირუსის გამოვლენა;
 - B, D და C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა;
 - C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

კონსულტაციის უფასოა

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com



ხშირ შემთხვევაში იგავი სევდიანია, ზოგჯერ — „მოლიმარიც“. ადამიანებს ეს, მეორე კატეგორიისა უფრო ამასხოვრდება. როცა იგავეები შევარჩიე, წიგნის გამოცემამდე სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე წავიკითხე. ჩემი მსმენელები იყვნენ უმცროსკლასელებიც, ახალგაზრდებიც, პენსიონერებიც, სუფრასთან სადღეგრძელოს თქმის დროსაც გამომიყენებია და უინტერესო არავისთვის ყოფილა.

— ზოგადად, ხალხში სიბრძნის აღქმისკენ ლტოლვა არსებობს...

— რა თქმა უნდა. ადამიანებს სიბრძნე ძალიან იზიდავს, მაგრამ მის „მოსაპოვებლად“ და „დასაუფლებლად“ დიდად არ ირჯებიან.

— მითხარით, ბევრი თანამედროვე იგავი წავიკითხეო. ძველი იგავეებისგან რა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არსებობს?

— ძველ და ახალ იგავეებს შორის ფორმალურად, დიდი სხვაობა არ არსებობს, უბრალოდ, თანამედროვე რეალობის ამსახველია.

— კარგი იქნება, ერთ თანამედროვე იგავს თუ გვიამბობთ.

— სიამოვნებით. ეს იგავი ძალიან მომწონს: ერთი ჟურნალისტი იერუსალიმში მასალის მოსამზადებლად ჩადის. მისი სასტუმროს ნომერი გოდების კედელს გადაჭყურებს. ჟურნალისტი ამჩნევს, რომ ერთი მოხუცი კაცი ყოველ დილას და შუადღეს კედელთან მიდის და ლოცულობს. ჟურნალისტი ამ პიროვნებით დაინტერესდა. ჩავიდა, გაეცნო, ჰკითხა, რას აკეთებდა? 40 წელია, აქ დავდივარ, — უპასუხა მოხუცმა, — დღითი ღმერთს ვევედრები, მსოფლიოში მშვიდობა, ადამიანთა შორის სიყვარული და ჰარმონია იყოს; მერე სახლში მივდივარ, ვსადილობ, ცოტას ვისვენებ, შემდეგ ისევ ამ კედელთან მოვდივარ და ღმერთს ვევედრები, ჩემი ახლობლები კარგად იყვნენ, არ იავადმყოფონ, ჭკვიანურად იცხოვრონო. ჟურნალისტმა ჰკითხა: — ამ 40 წლის განმავლობაში რას გრძნობდითო? მოხუცმა შესედა და უპასუხა: მეჩვენება, რომ მთელი 40 წელი კედელს ვლაპარაკებო... ამ იგავში ყველა ფორმალური ნიშანი დაცულია: სიბრძნეც არის, სევდაც, ბოლო წინადადების ეფექტიც. თუ ადამიანი ამ მცირე ტექსტებს ჩაუღრმავდება და საკუთარ თავთან (ან სხვა პიროვნებასთან) დიალოგში შევა, აღმოაჩენს, რომ ბევრი შრე აქვს. იგავის მრავალმხრივად აღქმა შეიძლება.

— წიგნის პრეზენტაციაზე აღნიშნეს, — სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ შემდეგ იგავეების კრებული აღარც გამოცემულაო...

— ამ კრებულის სულხან-საბას გამოცემასთან შედარება უხერხულია. „სიბრძნე-სიცრუისა“ — ჩვენი ერის სიმდიდრეა. ლიტერატორები დიდხანს კამათობდნენ — მწერალმა გამოგონილი ამბავი უნდა დაწეროს თუ რეალობა ასახოსო? სულხან-საბამ კრებულს პირდაპირ „სიბრძნე სიცრუისა“ ანუ „გამოცონილის სიბრძნე“



გია მურდულია (მარცხნივ) პრეზენტაციამე

დაარქვა.

— „სიბრძნე მინიატიურაში“ მკითხველმა როგორ მიიღო?

— ჯერჯერობით გამოხმაურება დადებითია. სიმაღლე გითხრათ, ვიცოდი, რომ მკითხველს მოეწონებოდა. ის ფილოსოფიური კანფეტებივითაა, „გემრიელად“ იკითხება.

— კიდევ ერთ იგავსაც სიამოვნებით მოვისმენდი...

— ერთ ბრძენ კაცთან ახალგაზრდა მივიდა და სთხოვა, მოწაფედ ამიყვანეო. — ამის სურვილი რატომ გაგიჩნდაო? — ჰკითხა ბრძენმა. — ჩემზე მეტი გამოცდილება გაქვთ, მინდა, თქვენს სიბრძნეს ვეზიაროო. ბრძენკაცი წამით ჩაფიქრდა და უთხრა: — წარმოიდგინე, გემზე ხარ და შტორმი დაიწყო; როგორ მოიქცევი, ტალღამ რომ არ წაგიღოს, რაიმე ხელჩასაჭიდა იპოვი თუ გემის კაპიტანს დაუწყებ ძებნასო? — ცხადია, რამეს ჩაგეჭიდები, სანამ კაპიტანს ვიპოვი, გემიდან რომ არ გადავვარდეო. — რატომ? გემის კაპიტანმა ხომ შენზე უკეთ იცის, როგორ მოიქცესო? — არა, მე მას ძებნას ვერ დავუწყებო, — მიუგო ახალგაზრდამ. — აბა, ცხოვრებაში „კაპიტანს“ რატომ ეძებო? — მე თქვენ გეძებთ, თქვენ ხომ აქ ხართო... — არა, მე უკვე ტალღამ წამიღოო... — უპასუხა ბრძენკაცმა.

— ბატონო გია, თანამედროვე ქართველ მეიგავეებს თუ იცნობთ? ამ მხრე ჩვენთან რა ვითარებაა?

— არ ვიცნობ, მაგრამ მეტ-ნაკლებად ლიტერატურულ ცხოვრებას თვალყურს ვადევნებ. თვალის ერთი გადავლებით, უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ღირებულ იგავეები არ მახსენდება. რადგან მასალა ძალიან დიდი იყო, ამ მიმართულებით საგანგებო კვლევა-ძიება არ დამიწყია. თუ საზოგადოების დაინტერესება იქნება, შეიძლება, იგავეების მე-2 და მე-3 წიგნებზე ფიქრიც დავიწყო. ამ შემთხვევაში, თანამედროვე ქართველ მეიგავეებს მოვიძიებ და დავეუკავშირდები.

— თქვენი კრებულის მხატვრული გაფორმება ბატონ რეზო ესაძეს ეკუთვნის. მასთან მუშაობის პროცესი საინტერესო იქნებოდა...

— გეთანხმებით, ბატონი რეზო მართლაც, საინტერესო პიროვნებაა. ის ჩემთან იყო მოსული, წიგნზე მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა; მკითხა, რას აკეთებო? ერთი ჩინური იგავი წავუკითხე: მოწაფეები ახალგაზრდა მასწავლებელთან ერთად, სასტუმროში გაჩერდნენ. მასწავლებელი იმდენად ახალგაზრდაა, მოწაფეებისგან გამორჩევაც კი შეუძლებელია. მეორე დილას სასტუმროს მეპატრონემ ყველას ჩაიდაუსხა. ცოტა ხნის შემდეგ, მასწავლებლის წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: — ბედნიერებაა, რომ ასეთი მასწავლებელი მეწვიო. სასტუმროს მეპატრონის ქცევით მოსწავლეები გაკვირვებულნი დარჩნენ. მასწავლებელთან მივიდნენ და ჰკითხეს, — როგორ მიხვდა, რომ თქვენ იყავით? მასწავლებელმა ურჩია, ეს კითხვა სასტუმროს მეპატრონისთვის დაეცავთ. მასპინძლისგან კი ასეთი პასუხი მიიღეს: — აქ ყოველდღიურად 100-მდე ადამიანი მაინც მოდის, ყველას ჩაის ვუსხამ და ჯერ არ მინახავს, ფინჯისთვის ასეთი სიყვარულით ვინმეს ემზიროსო. შესანიშნავი იგავია. ბრძენი ადამიანი ყველაფერში ღმერთს ხედავს... ბატონმა რეზომ ყურადღებთ მომისმინა, ადგა და წავიდა. 2 დღის შემდეგ ამ იგავის ამსახველი ნახატი მომიტანა. ადამიანი, რომელიც ფინჯანს უყურებს, წიგნის გარეკანზე გავიტანეთ. ასე დაიწყო ჩვენი აქტიური თანამშრომლობა. ბევრი ვიკამათეთ, ვინჩუბეთ, უამრავი იდეა განვიხილეთ.

— ბატონო გია, წიგნებთან „მეგობრობა“ როგორ დაიწყეთ?

— რაც თავი მახსოვს, წიგნებთან სულ „ვეგობრობო“. ვერც ერთი დღე წიგნის გარეშე ვერ წარმომიდგენია, წიგნი ნარკოტიკით არის. სტუდენტობის დროს, როცა არისტოტელს ვრავა — „არაფერი შეედრება შემეცნების სიამოვნებას“ — წავიკითხე, დავიმასხოვრე, მაგრამ ბოლომდე ვერ დავიჯერე. ახლა, რაც ასაკში შევდივარ, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში უფრო და უფრო ვრწმუნდები.

— ამჟამად რას კითხობთ?

— ერთდროულად რამდენიმე წიგნს ვკითხულობ სოლომე. ბიბლიას ყოველდღე ვუბრუნდები. გუშინწინ შატბერდის კრებული გადამოვიღე. თანამედროვე რომანებიც მაინტერესებს — მაგალითად, პავიჩის და ეკოს შემოქმედება. იაპონურ მოთხრობებზე ხომ საერთოდ, ვგიჟდები. ჩემი იდეაა, გავხსნა ლიტერატურული სკოლა, სადაც არ იქნება ე.წ. საპროგრამო მასალა, — იქ ადამიანის მკითხველად აღზრდა მოხდება.

— ამ იდეის განხორციელებას როდისთვის გეგმათ?

— დიდი ხანია, მინდა, მაგრამ ამ ეტაპზე ლუარსაბის სიზარმაცე შემიყარა. იქნებ სექტემბრიდან მაინც გავაკეთო. ამ სკოლაში, მოზარდებთან ერთად, ზრდასრულ ადამიანებსაც შეეძლება „სწავლა“.



„სოცნეს სისოცხლე უიქლება, ფატალურად დასრულდეს“

ცოტნე გამსახურდია 4 მაისიდან შიმშილობს. 24 მაისიდან კი მშრალ შიმშილობაზე გადავიდა. მისი ადვოკატის, გიორგი ქოიავას განცხადებით, პატიმრის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და შეიძლება, მისი სიცოცხლე ფატალურად დასრულდეს. როგორც ცნობილია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ციხეში შექმნილ პატიმრების მდგომარეობას აპროტესტებს.

თაა ხურცილაძე

„ცოტნე რამდენიმე დღეა, წყალსაც არ იღებს. შიმშილობის მიზეზი — პატიმრების ტანჯვა-წამებაა: საკანში მუდმივად ესმის, როგორ აწამებენ პატიმრებს, როგორ სცემენ, როგორ ითხოვენ შევლას. პატიმართა უფლებები სასტიკად ირღვევა, არაადამიანური დამოკიდებულება და სწორედ ამიტომ, პროტესტის ამ უსაშინლეს ფორმას მიმართა. ამ დღეებში კიდევ ერთი პატიმრის წამება შეიტყო. ოსი ეროვნების ბესტაევია ნანაშები. სასტიკად ირღვევა თავად ცოტნეს, როგორც პატიმრის, უფლება“ — აცხადებს ადვოკატი **გიორგი შოიავა** და კონკრეტულ ფაქტებსაც იხველიებს:

— შიმშილობის დაწყების შემდეგ, პატიმართა და მსჯავრდადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ცოტნეს სანახავად მივდი. მითხრეს, რომ გამოიყვანენ, მაგრამ ცოტა ხანში ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განმიცხადა, რომ ჩემთან შეხვედრა არ სურდა. ძალიან გამიკვირდა, რადგან ჩვენ შორის კარგი დამოკიდებულებაა. შევთავაზე, ცოტნესთვის წერილი მიეტანათ და მას საკუთარი ხელით მოეწერა პასუხი, თუ რატომ არ სურდა ჩემთან საუბარი. ამაზეც უარი მითხრეს. დაწესებულების დირექტორთან, ბუთლიაშვილთან ვცადე სიტუაციის გარკვევა. მითხრა, რომ ცოტნეს ჩემთან შეხვედრა არ უნდოდა, თან დასძინა, — მასთან არავის სურს ლაპარაკი, რადგან უხეშად ექცევა დაწესებულების თანამშრომლებსო. მოვიითხოვე, წერილობით მოეცათ ცნობა, სადაც აღნიშნული იქნებოდა, ჩემთან შეხვედრა რომ არ სურდა. ასეთ ცნობას არ გავცემთო, — მიპასუხეს. ალბათ გახსოვთ, მსგავსი მტკნარი სიცრუე ერთხელ უკვე ითქვა, როცა სასამართლოზე ცნობა წარადგინეს და თქვეს, ცოტნეს პროცესზე მონაწილეობა არ სურსო. ეს ტყუილი აღმოჩნდა. ასეთი მაგალითის შემდეგ უფრო მეტად დავეჭვდი, მაგრამ იძულებული გავხდი, იქიდან წამოვსულიყავი. 3 დღის შემდეგ ისევ შევედი და იგივე გამეორდა. მაშინ 2 ფურცელზე დავეწერე ერთი და იმავე შინაარსის განცხადება — რომ ირღვეოდა ჩემი, როგორც დამცველის, უფლებები — და კანცელარიაში დავტოვე. ამ განცხადების მიღება არ სურდათ, ჩემგან ორდერს ითხოვდნენ, რომელიც ცოტნეს პირად საქმეში უდევთ. ასეთი ქმედებით არღვევენ კონსტიტუციას, კანონს, სადაც გარკვევით წერია, რომ დამცველს უფლება აქვს, თავის დასაცავს განუსაზღვრელი დროით შეხვედს.

— თავად ცოტნესთან ეს ინფორმაცია გადაამონშეთ?

— როცა შევხვდი, ვკითხე, რატომ არ სურდა ჩემთან შეხვედრა? მიპასუხა: არ დაიჯეროთ, ჩემთვის არავის უთქვამს; როგორ არ გამოვიდოდ?! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პატიმარმა, რომელიც საკანში სრულ იზოლაციაშია, როგორ შეიძლება, უარი თქვას ადამიანთან შეხვედრაზე?! ფანჯრიდან დავინახე, უკან რომ ბრუნდებოდით და მივხედე, ერთმანეთს რომ არ შეგვახვედრესო.

— როგორია ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ძალიან დასუსტებულია. არაერთი თხოვნის მიუხედავად, ვერ შევძელით, მიგვეღწია, რომ შიმშილობა შეენწყვიტა ან წყალზე მაინც არ ეთქვა უარი. მას სთხოვა საპატრიარქოს წარმომადგენელმა; მისთვის ცნობილია დედამისის, ქალბატონ მანანას თხოვნაც და საზოგადოების წარმომადგენლებმაც არაერთხელ შეუთვალეს. სამწუხაროდ, შეუვალია. ეს კი საშიშია მისი სიცოცხლისთვის. ცოტნე გამსახურდია ამ შემთხვევაში, საკუთარი ინტერესებისთვის არ იბრძვის. ის ითხოვს, შეწყდეს პატიმრების არაადამიანური მოპყრობა და წამება. 27 მაისს, როცა შევხვდი, პრობაციისა და სასჯელაღსრულების მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის სახელზე დაწერილი განცხადების კანცელარიაში ჩაბარება მსოფო, რადგან მისგან განცხადებებსაც არ იღებენ. 14 საათსა და 50 წუთზე, შესვენების დრო დამთავრებული იყო, მაგრამ კანცელარიის კარი ჩემ თვალწინ ჩაიკეტა...


— რას ითხოვდა მსჯავრდადებული?

— სრულიად უწყინარი შინაარსის განცხადება იყო: „გთხოვთ, მომცეთ კორესპონდენტის მიღების საშუალება, რადგან ვიმყოფები სრულ იზოლაციაში, და შეწყვიტონ ჩემი უფლებების დარღვევა“. ეს ის უფლებაა, რომელიც კანონითა და კონსტიტუციით გარანტირებული აქვს... ბევრი მცდელობის მიუხედავად, განცხადება ვერ ჩავაბარე. არ დამიმაღავს, ხელში მეჭირა ეს ფურცლები და გარეთ გამოქონდა, მაგრამ ჩამომართვეს. ცოტნე გამსახურდიას უფლებები სასტიკად ირღვევა, მაგრამ ამის მიუხედავად, ის საკუთარი ინტერესებისთვის არ შიმშილობს. ცოტნე კაცთმოყვარე ქართველი ვაჟაკია, იმ უსამართლობას, რომელსაც ხედავს, ვერ ეგუება და აპროტესტებს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად.

— როგორ ფიქრობთ — ვის შეუძლია, შიმშილობა შეანწყვტინოს?

— ყოველ შემთხვევაში ადვოკატები ამას ვთხოვთ, ასევე — საპატრიარქოს წარმომადგენლები. სასტიკად განიცდის შვილის მდგომარეობას ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცოტნემ ჩვენი ვედრება არ შეისმინა. ცოტნესთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა. მისი უწმინდესობა ყველაფერს აკეთებს პატიმართა უფლებების დასაცავად და კარგად იცის ცოტნეს ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებაც. 30 მაისს პატრიარქმა კიდევ ერთხელ მოინახულა ცოტნე გამსახურდია, შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა, მაგრამ... გამსახურდიას ჯერჯერობით პოზიცია არ შეუცვლია და ამბობს, რომ სანამ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, შიმშილობას არ შეწყვეტს. ცოტნეს სიცოცხლე შეიძლება, ფატალურად დამთავრდეს, ამის საფრთხე რეალურად არსებობს...

ტყავის სამეშალები 2300 ლარი



შეატოპ არჩვაძეანი

- ქაშმისშეატი
- გორდოსშეატი
- გაპოსშეატი

www.classica.com.ge

ალ. შაზავის გამზ.14ა
პატა-ფშავილას გამზ.25

☎ 38 88 11
37 11 11



ბელაითერში გამჟღავნებული საიდუმლო და მერის კაზინოში მიწვეული მომღერალი

როგორც ცნობილია, 30 მაისს, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში „ევროვიზიის“ კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელმა, სოფო ნიჟარაძემ მეცხრე ადგილი დაიკავა. სოფოსთან ერთად, ნორვეგიაში მისი სტილისტი, მიშა ბასიტაშვილიც გახლდათ წასული. ჩამოსვლის დღესვე მათ სასაუბროდ, პირდაპირ სალონში ვენფიე. სამწუხაროდ, მომღერალი სასაუბროდ ვერ მოვიხელთეთ, ამიტომ წლევანდელი „ევროვიზიის“ კულუარების შესახებ მიშას ვკითხეთ, რომელმაც ხალისიანად გვიამბო ოსლოში გატარებულ დღეებზე.

ნათია ჟივიკა

— მიშა, როგორ მოხვდი ნორვეგიაში გასამგზავრებელ დელეგაციაში?

— სოფო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კლიენტია. საქართველოში ყოფნის დროს, სულ ჩემთან დადის. გარდა ამისა, უკვე რამდენიმე წელია, საზოგადოებრივი მაუწყებლის სტილისტი ვარ, „ევროვიზია“ კი მისი პროექტია და შესაბამისად, ჩვეულებრივი ამბავია, რომ ნორვეგიაში მეც გავემგზავრე. თანაც, სოფომ თქვა, — მიშა იქ აუცილებლად მჭირდებაო. ასე აღმოვჩნდი ოსლოში.

— ვინ იყვნენ დელეგაციის წევრები?

— დელეგაციის მთავარი წარმო-

მადგენელი — მაია ბარათაშვილი გახლდათ. გარდა ამისა, ჩვენთან ერთად იყვნენ: ნათია უზნაძე, თამუნა ლილუაშვილი, რამდენიმე რეჟისორი, მოცევავეები, ბექვოკალები და ა.შ. მოკლედ, ბევრი ვიყავით.

— თბილისიდან როდის გამგზავრეთ?

— 17 მაისს. ოსლოში ორი კვირის განმავლობაში ვიმყოფებოდით.

— როგორ მიმდინარეობდა რეპეტიციები?

— ძალიან კარგად. დელეგაციის აბსოლუტურად ყველა წევრი სოფოს გულშემატკივრობდა. რეპეტიციების დაწყებამდე, ინტერნეტგამოკითხვის მიხედვით, პირველ ადგილზე გერმანელი ლენა იყო, მეორე ადგილი კი, ხმათა უმრავლესობით, სოფოს ეკუთვნოდა. როგორც კი სოფომ პირველ რეპეტიციაზე იმერა და ეს ნამღერი „ევროვიზიის“ საიტზე დაიდო, მაშინვე აინია მისმა რეიტინგმა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მაშინ ჩატარდა ნორვეგიაში გამოკითხვა — თუ ვინ არის ყველაზე პოპულარული კონკურსანტი — და ყველაზე მეტი ხმა ამჯერადაც სოფომ დააგროვა. ამ ყველაფრის გადამონშება ნებისმიერ მსურველს ინტერნეტის მეშვეობით შეუძლია. იქ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. იმის გამო, რომ ზედმეტად ცნობისმოყვარე ვარ, დელეგაციის აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელთან ვკონტაქტობდი. ნებისმიერი მათგანი მეუბნებოდა, რომ სოფო მათი ფავორიტი იყო. მეტსაც გეტყვი — შარშანწინდელი „ევროვიზიის“ გამარჯვებული რუსლანას ქმარი მოვიდა ჩვენთან (რომელიც ახლა აზერბაიჯანელების „პიარი“ იყო) და გვითხრა, — ძალიან მშურს და გული მწყდება, რომ ეს ვარსკვლავი ჩემთან არ არისო. ამ სიტყვების გამო, აზერბაიჯანის დელეგაციამ უკმაყოფილებაც კი გამოთქვა.

— სოფოს ფინალში გასვლას სხვა დელეგაციების წარმომადგენლები როგორ შეხედნენ?



ნორვეგიაში მეც გავემგზავრეთანაც, სოფომ თქვა, — მიშა იქ აუცილებლად მჭირდებაო

— ნახევარფინალის დროს დარბაზში ვიჯექი. გვერდით კი აზერბაიჯანის, სომხეთისა და გერმანიის დელეგაციების სელმძღვანელები მესხდნენ. ამ დროს აზერბაიჯანელს რამდენიმე „ესემესი“ მოუვიდა. მომიბრუნდა და მითხრა, — ეს რომ არ ნაგაკითხო, არ შემძლიაო. ერთი შეტყობინება მისი მეგობრის იყო, რომელიც სწერდა, — საქართველო საუკეთესოაო. მეჩრე ცოლის „ესემესი“ წამაკითხა: „სოფია ყველაზე მაგარი იყო“. ბოლოს კი აზერბაიჯანელი კონკურსანტის, საფურას ნათესავის მესიჯი მოვიდა, სადაც ეწერა, რომ საქართველო გამარჯვებას იმსახურებდა. ისინი მართლებიც იყვნენ, რადგან ისეთი ძლიერი ხმები, როგორიც ბრიტანეთის, ირლანდიის, ისრაელის წარმომადგენლებს ჰქონდათ, სოფომ დაჯობა — ყველა უკან მოიტოვა. ისინი ფინალში ვერ გავიდნენ. ჩვენ კი ფინალში მხოლოდ 9 ქულა დაგვაკლდა, ხუთეულში რომ მოხვედრილიყავით და 15 ქულა — სამეულში მოსახვედრად. დიდი იმედი გვქონდა, რომ ლატვია ბევრ ხმას მოგვცემდა. სამწუხაროდ, ისინი ასე არ მოიქცნენ... ნორვეგიაში ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სატელევიზიო გადაცემაში ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე გერმანელი კონკურსანტი, ლენა მიინვიეს. მას ჰკითხეს, — ყველაზე დიდ კონკურენტად ვინ მიგაჩნიათო? ლენამ უპასუხა, — ჩემი ყველაზე დიდი კონკურენტი — საქართველოს წარმომადგენელი, სოფია ნიჟარაძეაო. იმ დღიდან, ლენას გაპიარება უფრო მეტი ძალისხმევით დაიწყეს. მსგავსი შემთხვევა არასოდეს ყოფილა: „ევროვიზიის“ დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ლენაზე 25-წუთიანი სატელევიზიო სიუჟეტი გავიდა ეთერში. მთელი ამ დროის მანძილზე გვიჩვენებდნენ, თუ როგორ ჩავიდა შარშანდელი გამარჯვებული რიბაკი გერმანიაში და როგორ ჩანერა დუეტი ლენასთან, მერე



მეორე ადგილი კი, ხმათა უმრავლესობით, სოფოს ეკუთვნოდა



ფინალში სულ 25 მონაწილე გავიდა, მაგრამ სიუჟეტი მხოლოდ ლენაზე გააკეთეს

ლენა როგორ ჩამოვიდა ნორვეგიაში და ა.შ. ბოლოს კი ამ სულელმა გოგომ თქვა, — გამარჯვებული აუცილებლად მე ვიქნები, რადგან ანგელა მერკელი მიჭერს მხარს, მან მითხრა, — შემდეგი „ევროვიზია“ გერმანიაში უნდა ჩატარდესო. პატარა გოგონა იყო და ალბათ არ იცოდა, რა უნდა ელაპარაკა... არ შეიძლება, მხოლოდ ერთ კონკურსანტზე ამხელა სიუჟეტი გაკეთდეს. ფინალში სულ 25 მონაწილე გავიდა, მაგრამ სიუჟეტი მხოლოდ ლენაზე გააკეთეს. მაშინვე გასაგებია გახდა, თუ ვინ იქნებოდა გამარჯვებული. გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლებმა პირდაპირ გვითხრეს, — ქართველებს ჭკუა არ ჰყოფნით და ისეთი უგემოვნოები არიან, რომ „პუბლებს“ ანუ ბელარუსებს 12 ქულა მისცეს და თავიანთ მეგა-ვარსკვლავს არ მიხედოსო... სოფოს ყველა სელინ დიონს ეძახდა. გარდა ამისა, ყველა მის სიმღერას მღეროდა. ყოველ საღამოს თითოეული კონკურსანტის სახელით წვეულება იმართებოდა. ისრაელის წარმომადგენელთა წვეულება რომ იყო, გამოაცხადეს, რომ მათი ფავორიტი სოფია იყო, სცენაზე აიყვანეს და ერთი სიმღერის შესრულება სთხოვეს.

— ქართული წვეულებაც გაიმართა?

— რა თქმა უნდა. სხვა წვეულებები პატარა კლუბში ტარდებოდა, მხოლოდ ჩვენი გაიმართა ოპერაში, რომელიც „მიგ ზღვაშია“ ამუშავებული. ვერ წარმოიდგენთ, რა ლამაზია. ჩვენს კონცერტში ჯგუფი „შინი“, ანსამბლი „ერისიონი“, მაია ბარათაშვილი და თავად სოფია მონაწილეობდნენ. მეოთხე დღეს, მერიაში ფესტივალის ოფიციალური გახსნა იყო. მაშინ მერის მოადგილემ გვითხრა, რომ მერს სოფიას ნახვა სურდა. რა თქმა უნდა, მას მეც გაყვავი, მაგრამ კაბინეტში მხოლოდ სოფო შეუშვეს. მერმა სოფოს უთხრა, რომ ის მისი ფავორიტი იყო და სთხოვა, შენი სიმღერიდან ერთი ფრაზა მიმღერო. მერე ავტოგრაფიც ჩამოართვა. სოფომ რაღაც სუფენირი გადასცა საუქურად, რაც მერს ძალიან ესიამოვნა. სოფო ერთადერთი კონკურსანტი იყო, რომელიც ოსლოს მერმა მიიღო... ოფიციალური გახსნის შემდეგ ყველა ლაპარაკობდა: როგორ შეიძლება — მერის მიერ მოწყო-

ბილ გახსნას საქართველოს წვეულება სჯობდო?! სომხეთის დელეგაციამ კი განაცხადა, — ან ისეთი „ფესტივალი“ უნდა გააკეთო, როგორც საქართველომ, ან საერთოდ არ უნდა გააკეთო.

— იქაური პრესა თუ ინერდა სოფოსგან ინტერვიუებს?

— რა თქმა უნდა. პრესა სოფოს ძალიან სწყალობდა. თავად მაქვს რამდენიმე იქაური გაზეთი, სადაც სოფომ წერენ. ერთ საღამოს ნომერში ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი. უეცრად რაღაც კადრი აჩვენეს ფესტივალიდან, სადაც სოფოს გვერდით უწანიდი. ისე გამიხარდა, ნორვეგიის არხზე რომ გამოვიჩინე (იციინის).. სხვათა შორის, ყველა აღფრთოვანებული იყო, რომ საქართველოს დელეგაციის თითქმის ყველა წევრმა არაჩვეულებრივად იცოდა ინგლისური. სხვას ყველას თარჯიმანი ჰყავდა. შესაბამისად, ჟურნალისტებმა იცოდნენ, რომ სოფო მათ თავისუფლად გასცემდა პასუხს და მასთან ხშირად მიდიოდნენ კომენტარის ჩასაწერად.

— მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოფოს გულშემოტიკვრობდა, როგორ ფიქრობ — მან რატომ ვერ გაიმარჯვა?

— ეს პოლიტიკის საკითხია. ყველა ამბობდა, რომ გერმანელი გაიმარჯვებდა. ყველა იმდენად გულშემოტიკვრობდა სოფოს, რომ უკვე იმაზე ვნერვიულობდით, ნეტავ, სად უნდა ჩავატაროთ „ევროვიზია“ — ბათუმში თუ თბილისში-მეთქი?.. ამის გამო, სერიოზუ-

ლად ველავდი და სოფო სულ მეჩხუბებოდა, — სისულელეებს ნუ ლაპარაკობო!.. გეფიცები, დარბაზში, წინა რიგებში სომხები ისხდნენ და საქართველოს დროშას აფრიალებდნენ... კონკურსის ბოლოს ჩატარდა გამოკითხვა „ევროვიზია 2010“-ის საუკეთესო ხმა“ და ხმათა უმრავლესობით, ყველაზე ძლიერი ხმის პატრონად სოფო ნიჟარაძე დასახელეს.

— იქ ყოფნის პერიოდში საქართველოდან თუ გიკავშირდებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და გგულშემოტიკვრობდნენ?

— არა, არავის დაურეკავს.

— აქ ჩამოსულებს თუ დაგვგდნენ?

— კი, ჟურნალისტები დაგვგდნენ აეროპორტში, სხვა არავინ.

— სოფოს იქ თავიანთი ცემლები თუ გაუჩნდა?

— უამრავი. ვიდრე სასტუმროდან გამოვიდოდა, გარე 11 ბიჭი მაინც ელოდა. ზოგი მაისურზე სთხოვდა ხელის მონერას, ზოგიც — ხელისგულზე... მეც უამრავი ადამიანი მთხოვდა, სოფოსთვის ავტოგრაფი ჩამომერთმია და მისთვის გადამეცა. ქუჩაში რომ გავდიოდით, ყველა „შაინს“ (სოფოს მიერ „ევროვიზიაზე“ შესრულებული სიმღერის სახელწოდება) ეძახდა. მოკლედ, ნორვეგიაში სოფო ძალზე პოპულარული გახდა.

ფიგურინი - მსახიური და ეფექტური საშუალება ჭარბი წონის აღსაქმისთვის

სწრაფად და უსაფრთხოდ ახლანს სხეულის ზომა

უკუიბრუნებს მანს და ახ სარჩიობს მანსი იბრუნებს

შლის სხიბებს, ზადებახი ფიგურინი დახვიბითვის ბაჩაშა

სხეულოფიდი სხეულის ფიგურინი!

ლოზინაბა:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფულა ორჯერ დღეში ან 2 კაფულა ორჯერ დღეში (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გონივრულ მათითებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ.

გვარდითი მოვლენები:
მომატებული მგრანობლობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

კურსინება:
ორსულობა და ლაქტაცია. 18 წლამდე ასაკი.

ყოველი კაფულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოზა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრეგალფოთლოანი მრავალძარდა-30მგ.
მცავე ენზელის ნაყოფი-20მგ.
დარფილილის ნაყოფის შრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჭა-20მგ.
სამეც-250მგ.
ინფორ ტეფიაბალა-25მგ.
აკაცია კატეხუს შრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (უმელა, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩეხულა)-100მგ.

საპარალელით გაყვანილი საგარანლო საშუალების გამოყენების ინსტრუქცია

ფიგურინი

საქართველოში მისაღები
PSP აკაცია ფარმა ჯინთიკი
განთი ოჯახის აფთიაქი
ალბაშენალოს 148/III

აკაცია ფარმა ჯინთიკი
100%

რ. № 0003504



სასხე

შორენა ბაგაშვილი: „გარეგნობა რომ არ მქონდეს, სამსახური არ მეძნება...“

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადაცემა — „ღამე შორენასთან“ აღარ გადის. მსახიობი და ამ გადაცემის წამყვანი შორენა ბაგაშვილი ამბობს: ვერც მიხვდებოდი, გადაცემა სექსზე რომ იყო, რადგან ამ თემის გარდა, ლამის ყველაფერს ვეხებოდით; მიმანია, ქართველი ხალხი ნაკლებად „გახსნილია“, სწორედ ამიტომ „შეურაცხყო“ „კრიტიკით შეიარაღებული“ ადამიანები... მოკლედ, „ღამე შორენასთან“ დახურეს, შორენა კი თავისუფლებით ტკბება და დროის დიდ ნაწილს საყვარელ ადამიანებთან ერთად ატარებს.



ეთერში აღარ გადის. მისი დახურვის მიზეზი რა იყო?

— ამჟამად, დასვენებით ვტვები — იმ ხალხს ვხვდები, ვის ნახვასაც ხშირად ვერ ვახერხებდი: დედაჩემს, მეგობრებს, ახლობლებს, და „საქმებს“ ვაგვარებ, რადგან ვიცი, რომ ეს შესვენება დროებითია.

— რაიმე შეთავაზებები თუ გაქვს?

— კი, რაღაც პროექტები არის, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია.

— დაახლოებით თვე-ნახევარია, რაც გადაცემა „ღამე შორენასთან“

ეთერში აღარ გადის. მისი დახურვის მიზეზი რა იყო?

— არ ვიცი. ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ ასე იყო საჭირო. როგორც ვიცი, გადაცემა საკმაოდ რეიტინგული იყო, მაგრამ ქართველი ხალხი სექსზე არ გალაპარაკებს. არადა, ვერ მიხვდებოდი, რომ გადაცემა სექსზე იყო, რადგან მგონი, ამ თემის გარდა, ყველაფერს ვეხებოდი (იციან). საქართველოში სექსის შესახებ გადაცემა მაინც არ შედგა — ალბათ, მაყურებელს არ უნდა.

— ამბობ — ხალხი სექსზე არ გალაპარაკებსო. არადა, მაყურებლების ნაწილი გადაცემით იმიტომ იყო უკმაყოფილო, რომ უფრო მეტს ელოდა...

— კი, მეტს ელოდნენ და უფრო კრიტიკულადაც იყვნენ განწყობილი, — აბა, ერთი, რა უნდა თქვას სექსზეო? ჰოდა, „ცოტა სექსი“ რომ შეთავაზებთ, არ ესაიამოვნათ — შეურაცხყოფილები დარჩნენ, რადგან გადაცემის ეთერში გასვლას „კრიტიკით შეიარაღებული“ ელოდნენ (იციან). „ღამე შორენასთან“ ჩვეულებრივი, „ლაითი“ გადაცემა იყო. თბილისი არ არის მოსკოვი, რომ ქუჩაში ვიღაც გააჩერო, პლასტილინის მსგავსი რამ მიანოდო და სთხოვო: შენი შეყვარებულის პენისი გამოძინეო... აქ ბევრად უფრო შეზღუდული ვართ. ერთხელ გადაცემა კოცნის თემაზე მქონდა; შეყვარებულ წყვილს ვთხოვე, — ერთმანეთს აკოცეთ-მეთქი. გაოცებული დაეჩიო, რადგან საკუთარი გრძნობების გამოხატვის რცხვენიდათ. ეს მით უმეტეს გასაკვირია, როცა საქმე ცოლ-

ქმარს ეხება... ასე რომ, საქართველოში სექსზე გადაცემა როგორი უნდა ყოფილიყო? ცხადია, ძალიან მოკრძალებული (იციან). ქართველები ნაკლებად „გახსნილი“ ხალხი ვართ.

— გადაცემისთვის კონკრეტული თემის შერჩევაში თავად თუ მონაწილეობდი?

— თემას ძირითადად, პროფესიონალები არჩევდნენ, ტექსტს ადგენდნენ, მაგრამ რამდენჯერმე მეც გამოვთქვი აზრი და გაითვალისწინეს. მაგალითად: ქალწულობის აღსადგენად, საქართველოში ბევრი ქალი „იკერება“. კუზანოვის კლინიკაში მივედი და ეს ინფორმაცია დაგვიდასტურეს. ასე რომ, ქალების „გაკერვასთან“ დაკავშირებული თემა გადაცემისთვის ჩემი შერჩეული იყო (იციან). არავის პირად ცხოვრებაში არ ვერევი — ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს.

— იმ მამაკაცებზე რას ფიქრობ, რომლებსაც სურთ, რომ მათი რჩეული ქორწინებამდე აუცილებლად ქალწული იყოს?

— ქალბატონები ალბათ სწორედ ასეთი მამაკაცებისთვის „იკერებიან“ და ხდება საქალწულე აკვის „აღდგენა-რესტავრაცია“ (იციან). ძალიან სასაცილოა!.. ასეთი საქციელი ჩემთვის მიუღებელია. ხშირია შემთხვევა, როცა გოგონა „თავისუფალი ცხოვრებით“ ცხოვრობს, მერე კი უცებ, გათხოვება მოუწდება. გამოდის, მუუღლეს თანაცხოვრების პირველივე დღიდან





ატყუებს. მაგრამ თუკი ამით, ცოლიც ბედნიერია და ქმარიც, იყოს მამაკაცი მოტყუებული, რა ვქნათ (იციან)!..

— მართალია, შენს გადაცემაში „ცოტა სექსი“ იყო, მაგრამ თავად ყოველთვის ძალიან სექსუალურად გამოიყურებოდი. შენს სამოსზე ვინ ზრუნავდა?

— ვიცოდით, რომ სექსუალური სამოსი უნდა ჩამეცვა. ამიტომ ხან რას ვიგონებდი, ხან — რას.

— თავად იგონებდი?

— ზოგს — კი, ზოგი კი სხვისი შერჩეული მეცვა ან არ მეცვა, ნახევრად (იციან)!.. გადაცემისთვის ყოველთვის ისეთ კაბას ვარჩევდი, რომ სექსუალურად წარმოგჩენილიყავი.

— ნიკა გრეგოლიას მიერ შექმნილი შენი „ორეული“ თუ მოგეწონა?

— (იციან) ძალიან მომეწონა! ნიკა კეთილი ადამიანია და თავის საქმეს აკეთებს, თან — ძალიან კარგად! „კომედი შოუში“ „ჩემი“ გამოსვლა საოცრება იყო: ნიკას ხელში ქათამი ეჭირა და ტუჩებს საყვარლად ბზეკდა. ქათამს ხელი რომ გაუშვა და წყალი „გადაეშეფა“, სიცოცხლისაგან ლამის ცუდად გავხდი (იციან). როგორ შეიძლება, ამის გამო გაბრაზდე?! ნიკასთან ვმეგობრობ, ვგიჟდები ამ ადამიანზე!

— შორენა, თავის დროზე „გულანდელი“ ფოტოები რომ არ გადაგეღო, დღეს ისეთივე პოპულარული მსახიობი იქნებოდი, როგორიც ახლა ხარ?

— კი, აბა, რა! ჩაცმული ბევრად უფრო ლამაზი ვარ საერთოდ (იციან). შეიძლება, ვინმეს ჰგონია, რომ პოპულარობას იოლად მივაღწიე. ყველას თავისი აზრი აქვს. ფაქტია, რომ ვიყავი გოგონა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს რუსთავიდან თბილისში ჩამოვიდა და წარმატების მიღწევა გადაწყვიტა. ადამიანი, რომელსაც გავლენიანი ნაცნობები არ ჰყავს და წარმატებას აღწევს, ყოველთვის დასაფასებელია. ჩემი ცხოვრება ძალიან მიყვარს და საკუთარ თავს პატივს ვცემ, რადგან არავინ არაფერში დამხმარებია. თუკი ვიღაცას მიაჩნია, რომ წარმატებას იოლად მივაღწიე, რა ვქნა?!

— ტელემეყურებელმა პირველად, სვეცრაზმელი გოგონას როლში გინლა. თამუნა ამონაშვილის კლიპში როგორ მოხვდი?

— მაშინ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. პარალელურად, გარკვეული შეთავაზებები მქონდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, არც ერთი წინადადება არ მომეწონა. თამუნა ამონაშვილის კლიპში ჩემი როლი კი საინტერესო იყო. შეთავაზებას დაეთანხმდი, გადამიღეს, გადამიხადეს და წამოვიყვანი (იციან). მანამდეც და მერეც, სარეკლამო რგოლებში ვმონაწილეობდი. მერე ფილმებში თამაში დავიწყე. ჩემი მონაწილეობით გადაღებული პირველი ფილმი ჯერ არ გამოსულა. ეს არის ლევან თუბერძის „love you, baby“. ძალიან კარგი ფილმია. ოდესმე გამოვა,

აბა, სად წავა (იციან)!?. მასში მონაწილე თითქმის ყველა მსახიობი კინოში პირველად ვთამაშობდით: მე, ლევან ხურცია, გიორგი ზანგური...

— შენი სექსუალურობა ამ ფილმშიც „ხაზგასმულია“?

— ძალიან — არა. ჩემი პერსონაჟი საკუთარ თავში ჩაკეტილი, დინჯი გოგონაა. ეს როლი ძალიან მიყვარს: პირველი იყო და მახსოვს, ძალიან ვნერვიულობდი, ხელები მიკანკალებდა (იციან). დღეს კამერა ჩემი „მეგობარია“ — მის წინ თავს კომფორტულად ვგრძნობ...

— ყველაფერი კარგად იქნება, „მაილა ნასოი“, „ოცნების ქალაქი“ — ყველა ფილმში სექსუალური ქალის როლს ასრულებ. არადა, ამბობდი, — არ მინდა სექსუალური ქალის „იარაღი“...

— ჰო, მაგრამ ამას ვერ გავუქვი: რაც უნდა ჩავიცვა, მინც „რაღაც ისეთი გამოვა“ (იციან). მესმის, რომ საქართველოში ბევრ ფილმს არ იღებენ, მაგრამ მრავალნაირი როლების შესრულება მინდა. ჯერჯერობით ისევ ასეთ როლებს მთავაზობენ. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. ვნახოთ...

— შორენა, შენს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით ჭორი ხშირად გრცელდება. ამაზე შენი რეაქცია ვიცი — გეცინება ხოლმე. საინტერესოა, იმ მამაკაცებს როგორ რეაქცია აქვთ, რომლებზეც „გათხოვებენ“?

შენი გულის დაპყრობის ამბიცია მართლა ხომ არ უჩნდებათ?

— რა თქმა უნდა, ასეთი ჭორები სასაცილოა. ჭორის გავრცელების საფუძველიც კი არ არსებობს! რადგან „იმედში“ ვმუშაობდი, ე.ი. იქ აუცილებლად „ვინმე უნდა მყოლოდა“?.. როცა რომელიმე მამაკაცის გვერდით ვდგავარ, ვაფრთხილებ: არ გიცნობ, ცოტათი გაიწიე, თორემ შეიძლება, ვინმე გადაგვიღოს და შენც პრობლემები შეგექმნას და მეც-მეთქი... ამჟამად შეყვარებული მყავს, გეფიცები (იციან)!

— თავყანისმცემლები განუხებენ?

— თავყანისმცემლები მყავს და უნდა მყავდეს კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიტყოდი — ვაიმე-მეთქი! მაგრამ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც აგრესიულები ხდებიან, როცა თავზიანად ვემშვიდობები, ბრაზდებიან, — რას ჰქვია, არ მელაპარაკები, იცი, ვინ ვარო?! ადამიანი თუ არ მომეწონება, მისი არაფერი მინტერესებს; ისე მუუხუშებიან, გაოგნებული ვარ! საქართველოში თუკი ქალს სექსუალური იმიჯი აქვს, მსუბუქი ყოფაქცევის ჰგონიათ... და კიდევ — აუცილებლად აღნიშნეთ, რომ არც ერთ საიტზე დარეგისტრირებული არა ვარ. ვისაც ჰგონია,

რომ ინტერნეტით შორენა ბეგაშვილს ეკონტაქტება, ძალიან ცდება — ჩემი ფოტოებითა და სახელით ვიღაცები სარგებლობენ. ერთხელ დავრეგისტრირდი და შავი დღე მაყარეს, — შე მატყუარა, შორენა ბეგაშვილი არა ხარო (იციან)!..

— შორენა, პლასტიკური ქორუგისთვის თუ მიგიმართავს? საკუთარ გარეგნობაში რაიმე თუ გაქვს შეცვლილი?

— ზედა ტუჩი... „ყელში ამომაღინეს“ ეს ზედა ტუჩი! რას არ ამბობენ: აუ, შორენას ცხვირი, ლანჯები აქვს „გაკეთებული“, თვალის ჭრილი — შეცვლილი... „დიდი ბოდიში“, რომ დღეს ისე არ გამოვიყურები, როგორც 16 წლის ასაკში პასპორტისთვის გადაღებულ ფოტოზე. მას შემდეგ



შევიცვალე, მაღლობა ღმერთს — უკეთესობისკენ. ზედა ტუჩი კი თითქმის მთელ თბილისს აქვს „გაკეთებული“. ისეთ რაღაცებს ამბობენ, უბრალოდ სასაცილოა. 16 წლის 120 კგ-იანი...

— 120 კგ-ს იწონიდი?

— ნუ, მთლად 120-ს არა, მაგრამ საკმაოდ მსუქანი ბავშვი ვიყავი. 16 წლის ასაკში პასპორტისთვის გადაღებულ ფოტოს ჩემს ახლანდელ გარეგნობას ადარებენ და მეუბნებიან, — ცხვირი „გაკეთებული“ გაქვსო! სხვათა შორის, კიდევ უამრავი ფოტო მაქვს, რომლებზეც მე და ჩემი მეგობრები ბევრს ვიცინით. იმ სურათების ნახვის შემდეგ ალბათ იტყვიან, რომ საერთოდ სხვა ადამიანზე ვარ „გადაწყობილი“ (იციან).

— დღესდღეობით გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობ?

— ვიცი, რომ ჩემი გარეგნობა — ჩემი „სავიზიტო ბარათია“. არ ვუნევი, არ ვსვამ, ვვარჯიშობ. არ დაუშვებ, რომ გვიან დავიძინო, თუმცა იშვიათად, გამოწვავს სიცხდება, მაგალითად — როცა კლუბში ვერთობი. თავს ვუვლი, რადგან ვიცი — კარგი გარეგნობა რომ არ მქონდეს, სამსახური არ მექნება.



გულდაწყვტილი „ჯეოსტარლის“ სისარული და რესტორნის „შიდა სამზარეულო“

„ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის სიყვარული“



თათა დაღევილი

— ახალ სიმღერებს ვწერ, მათგან რამდენიმე უკვე რადიოეთერშიც ტრიალებს. ვიდეორგოლი კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არა მაქვს გადაღებული; ამისთვის ორ სიმღერას ვამზადებ. მართალია, მცირე შემოქმედებითი პაუზა მქონდა, მაგრამ არ მინდა გაეჩერდე.

— მას შემდეგ, რაც „ჯეოსტარი 2“ დამთავრდა, რამდენად განვითარდი, როგორც მომღერალი? სულ რამდენი სიმღერა ჩანერგე?

— უპირველეს ყოვლისა, იმას აღვნიშნავ, რომ თუ ადრე ყოველთვის ვამბობდი, — პედაგოგი არ მინდა-მეთქი, — ეს აზრი მერე შევიცვალე. დაახლოებით 3 წლის წინ ქალბატონ ლალი ბერაძესთან მივედი, რომელიც ძალიან კარგი პედაგოგი და ჩემი დიდი მრჩეველია. სმა დამიმუშავა, ბევრი რამ ვისწავლე, ტექნიკური კუთხით საკმაოდ გავმდიდრდი და სიმღერების ჩანერგაც უფრო გამიადვილდა. გია მაჭარაშვილის 2 სიმღერა ჩავწერე, ასევე — ჯემალ სეფიაშვილის, ჯუბა ჯანდიერის, თამარ სალუქვაძის, ვასიკო კვეციანიშვილის. კომპოზიტორები კიდევ რამდენიმე სიმღერას მპირდებინა და მინდა, ალბომი ჩავწერო. როგორც მაშინ ვიყავი აქტიური, ისეთივე დავუბრუნე მათ მას შემდეგ.

— რამ გამოიწვია ეს პაუზა? ფინანსურმა პრობლემებმა ხომ არა?

— ბევრი ფაქტორი იყო, ფინანსური — იმდენად არა. ბავშვი რომ შეგვეძინა, ოჯახსაც სხვანაირი ყურადღება სჭირდებოდა. თუმცა თავიდან, როცა „ჯეოსტარი“ დამთავრდა, დაახლოებით 1 წელი ორთოპედთან დავდიოდი, კბილებს ვისწორებდი. არის ასეთი ქალბატონი — ქეთი ღონიაშვილი, რომელმაც პროექ-

„ჯეოსტარი 2-ის“ ერთ-ერთი ფინალისტი — გიორგი გუშკი-ლაშვილი კარგა ხანია, საზოგადოებას ეკრანზე აღარ უხილავს. რამდენიმე ხნის წინ მას თბილისის ერთ-ერთ რესტორანში შევხვდი და გადავწყვიტე გამეგო, თუ რას საქმიანობს ამჟამად 2005 წლის პროექტის არაერთი კონცერტის ლიდერი.

ტის შემდეგ ჩემი დახმარების სურვილი გამოთქვა. ასეთი ადამიანი იმ პერიოდში ბევრი იყო. მანაც პატივი მცა, ის კბილები ძალიან მიშლიდა ხელს მეტყველებაშიც, სიმღერაშიც. მახსოვს, ჯემალ სეფიაშვილის სიმღერა — „სხვა არავინ მახსოვს“ — ძლივს ჩავწერე, რკინები რომ მქონდა ჩასმული, ძალიან ვიტანჯებოდი. მაგრამ მერე ჩვეულებრივად გავაგრძელე მუშაობა. ერთი პატრიოტული სიმღერაც მაქვს, რომელზეც კლიპის გადაღება მინდა.

— ვინ დაგინერა ეს სიმღერა?

— ესეც გია მაჭარაშვილმა, ლექსი კი ნანა ცინცაძეს ეკუთვნის. ვინც მოისმინა, ყველას ძალიან მოსწონს და ერთი სული აქვთ, როდის გადავიღებთ ვიდეორგოლს, მაგრამ ამისთვის სპონსორი მჭირდება.

— სხვა სიმღერების ჩანერგას თუ დაგასპონსორა ვინმემ?

— დიას, რამდენიმე კახელი და თბილისელი ბიზნესმენი დამეხმარა და 6 სიმღერა ჩავწერე.

— ალბომისთვის რამდენი სიმღერის ჩანერგას აპირებ?

— საერთოდ, როგორც წესი, ალბომში 12-13 სიმღერა შედის და ვნახოთ; 15 სიმღერა მინდა შევაგროვო.

— რა ჟანრის სიმღერები იქნება?

— სხვადასხვანაირი. შინაგანად ისეთი ადამიანი ვარ, ცხოვრებაშიც — მრავალფეროვნება მიყვარს, ყველაფერს მივედმოდები. ასევეა სიმღერაშიც — სივრცე ჩქარია, ზოგი — რომანსი, ზოგი — სიყვარულზე, პატრიოტული; რამდენიმე ქალაქურსაც ჩავწერ და ა.შ.

— შენი აზრით, რომელი გაპიტდებდა? რომელი მათგანია საუკეთესო?

— მგონია, რომ ყველა სიმღერას თავისი მსმენელი ეყოლება, მაგრამ გია მაჭარაშვილის „მიყვარხარ“ ალბათ გამორჩეული იქნება. ჯერ მისი შავი ვარიანტი მაქვს და ვინც მოისმინა, ყველა ლილინებს და ხშირად მამღერებენ; ადვილად დასამახსოვრებელი მისამღერი აქვს.

— ამჟამად შენი რამდენი სიმღერა ტრიალებს რადიოეთერში?

— ამჟამად 4 სიმღერა: თამარ სალუქვაძის „საცოცარი ფერია“, ჯემალ სეფიაშვილის „სხვა არავინ მახსოვს“, „მამისი

ველები“ და „მოგონება“, რომელიც ადრე ერთმა ჩემმა გიტარისტმა მეგობარმა, გიორგი ძამუკაშვილმა დაწერა, ახლა კი 2 გიტარის თანხლებით, თანამედროვე სტილში გავაკეთეთ. საერთოდ, სახლში კომპიუტერთან როცა ვჯდები, თვითონ ვამუშავებ ხოლმე რაღაც სიმღერებს.

— „ჯეოსელიდან“ თუ გეკონტაქტებინა და თუ გთავაზობენ ხოლმე იმ კონცერტებში მონაწილეობას, რომლებსაც პერიოდულად ატარებენ?

— არა, არავინ მეხმინება. მარტო მე კი არა, ჩემი თაობის სხვა „ჯეოსტარელებიც“ ასე არიან. ეს მაინც, ბიზნესია, ამით კომპანია ფულს აკეთებს, მერე კი აღარ აინტერესებს, ვინ სად წავა.

— თუმცა, როდესაც „ჯეოსელის“ წარმომადგენელთან ამ საკითხზე ინტერვიუ მქონდა, მან აღნიშნა, რომ ეს არის სახალხო პროექტი, რომელსაც კომპანიისთვის არანაირი ფინანსური მოგება არ მოაქვს, რადგან ხარჯი გაცილებით მეტია, ვიდრე ზარებიდან შემოსული თანხა და რომ ეს უბრალოდ, საჩუქარია ქართველი მაცურებლისთვის.

— რა თქმა უნდა, ასე იტყვიან. მე არა მაქვს უფლება, ფინანსებთან დავკავშირებით რაიმე დავაკონკრეტო, მაგრამ როდესაც მაგალითად, 70-80 ათასი ზარი შედის ერთ კონცერტზე და იცი, SMS რა ღირს, უმარტივესია, გაამრავლო და მისხვედ, თუ რა თანხა შესუფი... გეთანხმებით, რომ ხარჯიც ბევრია და რომ საჩუქარცაა მაცურებლისთვის, მაგრამ შემდეგ, კონკურსანტები იმედგაცრუებულები რჩებიან.

— რა მხრივ?

— როცა ადამიანი „ჯეოსტარელი“ ხდება, დიდი იმედი ესახება, მაგრამ პროექტი მთავრდება და ისიც ხვდება, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ დროებითი იყო.

— ბოლო 2 „ჯეოსტარის“ ფინალისტები მაინც უფრო ჩანან ასპარეზზე...

— დიას, რადგან ამას „რუსთავი 2“ უწყობს ხელს. მათთან კონტრაქტებიც სხვანაირია, ვიდრე ჩვენს დროს იყო: რაც პროექტი „მზიდან“ „რუსთავი 2“-ზე გადავიდა, მონაწილეებს უფრო აქცევენ ყურადღებას. „ჯეოსელის“ აქციები რომ



ტარდება, ქალაქებში დაატარებენ და კონცერტებზე ამღერებენ. ყვარელში რომ გაიმართა მსგავსი კონცერტი, ყველა მირეკავდა და მეკითხებოდა, არ ჩამო- დისხარო? ჩემი მხარეა და ეგონათ, მეც იქ ვიქნებოდი, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არავის გავსენებია.

პროექტი მომღერალთა პოპ-ულარობას ხომ მაინც უწყობს ხელს?!

— უდავოდ. 5 წელი გავიდა და გაკვირვებული ვრჩები ხოლმე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში თუ ქუჩაში კიდევ რომ მცნობენ და დიდი სიყვარულით შესაღებებინ, — ჩვენი გამარჯვებული მაინც შენ ხარო, — მეუბნებიან (იციან); ეს ძალიან სასიამოვნოა. ერთ-ერთმა „ჯეოსტარელმა“ მითხრა, — მთელი ამ წლების მანძილზე ყველაზე გამოჩენილი „ჯეოსტარელი“ იმით ხარ, რომ ყველა ტურში ლიდერი იყავი: ამის პრეცედენტი მას შემდეგ აღარც დაფიქსირებულა. როცა ძველი ვიდეომახალა ვნახე, მართლა ასე ყოფილა. ზოგმა მაშინ ჭორიც დამიყარა, თითქოს ვილატები მეხმარებოდნენ, მაგრამ ვინც ჩემ გარშემოა, ყველამ კარგად იცის, ვინ რას მეხმარებოდა. ერთადერთი, რაც იყო, ქალბატონმა ნანა პატარკაციშვილმა დამაფინანსა „ჯეოსტარის“ შემდეგ — ესპანეთში, ფესტივალ „ოპოსზე“ წასასვლელად, სადაც ბევრი ქვეყანა მონაწილეობდა და პირველ ადგილზე გავიდი. შემდეგ „კოკა-კოლამ“ დაგვაფინანსა და საფრანგეთში წავედით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მაშინ მხარში მედგა და დღესაც მეშვეობრება. მაშინ 20 წლის ვიყავი. არ მეგონა, 5 წლის შემდეგაც ასეთი სიბოთი და სიყვარულით თუ მომიკითხავდა ყველა. ამიტომაც გადავწყვიტე, ისევ გავაქტიურდე და ხალხს ისეთი სიმღერა ვუმღერო, როგორც მოეხატება.

რომელიმე ხალხური ანსამბლიდან ხომ არ გქონია შემოთავაზება? თუ არ გვცდები, ამ ჟანრშიც კარგად მღეროდი.

— მცდელობა იყო. 2 „ბუმბერაზ“ და ძალიან ცნობილ ანსამბლთან მქონდა შეხება, მაგრამ მათთან მუშაობა რომ დამეწყო, ესტრადისთვის საერთოდ უნდა დამენებებინა თავი, ამიტომ არ შედგა ჩვენი შეთანხმება. ქალბატონი მარინა ბერიძე მეუბნებოდა, — შეეშვი ესტრადას, დაგეხმარები და კონსერვატორიაში ჩააბარე, კლასიკა იმღერო, — მაგრამ ეს რალაც, ვერ მოდიოდა ჩემს გულთან. კარგია, მაგრამ ესტრადა უფრო მეტად მიყვარს. თუმცა ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის მუსიკალურ სასწავლებელში კლასიკურად ვამუშავებდი ხმას.

როგორ ფიქრობ — დაიმკვიდრებ ადგილს ქართულ შოუბიზნესში?

— ვერ შოუ არა გვაქვს (იციან), ბიზნესი კი — ძალზე მცირე დოზით. თუ არ გააჩერდები და საქმეს გავაკეთებ, სპონსორიც თუ მეყოლება, — ეჭვიც არ მეპარება ამაში; ხალხს დიდი იმედი მაქვს. ბევრი პროექტი ჩატარდა, მაგრამ არც მიფიქრია მასში მონაწილეობაზე. მიმან-

ნია, რომ ჩემი სათქმელი იქ ვთქვი, სადაც გამოვედი. ახლა მთავარია, სიახლეები შევთავაზო საზოგადოებას.

გარდა სიმღერისა, რას საქმიანობდი მთელი ეს პერიოდი? რესტორანში რამდენ ხანს მუშაობდი?

— ცოტა ხანს ვიმუშავე და იქიდან წამოვედი. მიზეზის დაკონკრეტება არ მინდა, არის საკითხები, რომლის ბოლომდე თქმა არ ღირს.

საერთოდ, რატომ გადაწყვიტე, იქ შემღერა? კარგი გასამრჯელო შემოთავაზეს?

— დავინწყით იმით, რომ კონცერტები არ ტარდება და მინდოდა, ყოველდღიური შემოსავალი მქონოდა. გარდა ამისა, ერთხელ ეკა კვალიაშვილმა დამაპირა, — რესტორანში სიმღერა იგივე ყოველდღიური რეპეტიციაა, როგორც კონცერტზე მღერი, იქაც ისევე უნდა იმღერო, — ეკა კი ჩემთვის, დიდი ფიგურაა და მისი რჩევა ბევრს ნიშნავს. მართლაც, თან ვერთობოდი ჩემი სიმღერით, თან გარკვეულ გასამრჯელოსაც ვიღებდი.

შრომის ანაზღაურება საკმარისი იყო?

— ისეთი მხარჯველი ვარ, ალბათ, საკმარისი არასდროს მექნება, მაგრამ ოჯახისთვის ყოველდღიურად ცოტა თანხა მქონდა. ასე თუ ისე, სახლში ჯდომას სჯობდა. 8-დან 10 საათამდე ვმღეროდი. რეპერტუარსაც ჩემი სურვილით ვარჩევდი.

როგორია რესტორნის „შიდა სამზარეულო“?

— უხეშია, ვერ ვეგუებ. ესტრადის სცენა და რესტორნის სიტუაცია ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ორივეგან მღერი, მაგრამ სხვადასხვა წესებია, სცენაზე მეტი თავისუფლებაა.

რა წესებია რესტორანში?

— მაგალითად, ზოგი მეპატრონე ითხოვს, იქაური ფორმა ჩაიცვა, რისი წინააღმდეგაც ვიყავი. ვთქვით, საღამოზე რიგით მეხუთემ უნდა იმღერო, მაგრამ მაინც ზუსტად იმ საათზე უნდა მიხვიდე, როცა იწყებენ და ა.შ.

კონცერტზეც ხომ ასეა?

— დიას, მაგრამ მაინც... — **კიდევ აპირებ რომელიმე რესტორანში მუშაობის გაგრძელებას?**

— დიას. შარშან ახალგაზრდა, 46 წლის მამა დამელუბა მოსკოვში. მანამდე ის მეხმარებოდა. ეს უბედურება რომ დამატყდა თავს, გადავწყვიტე, რაიმე სამსახური მომიქნებოდა და რესტორანში მუშაობა დავინწყე.

გარდა სიმღერისა, რისი კეთება შეგიძლია?

— ვერ გეტყვი. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა ვაკეთო, სიმღერის გარდა? საერთოდ, ტექნიკასთან შეხება მიყვარს, „ჩალიჩა“ ვარ (იციან) — დავუმი-ავანყობო ხოლმე მობილურს ან მსგავს ტექნიკას.

რაიმე მუსიკალურ ინ-

სტრუმენტზე თუ უკრავ?

— შეიძლება, შინაურულ წრეში დავუკრა გიტარაზე ან ფორტეპიანოზე, საზოგადოების წინაშე — არა.

მოსწავლეების აყვანა არ გიცდია?

— მქონდა იდეა, ჩემს მეგობართან ერთად, პატარა სტუდია გამეხსნა, მაგრამ ვერ განვახორციელებ. ის ბიჭი ახლა უკვე, თამრიკო ჭოხონელიძის სტუდიაში ასწავლის ბავშვებს.

როგორ ფიქრობ — პედაგოგის მონაღება გაქვს?

— საინტერესო კითხვაა: ბევრს სიმღერა ეხერხება, მაგრამ არა აქვს უნარი, სხვას გადასცეს. ფიქრობ, მე ეს შემოძლია, მაგრამ ძალიან დიდი ენერჯია იხარჯება... სხვათა შორის, რამდენიმე ბავშვი მოვიდა ჩემთან, რომ „ჯეოსტარისთვის“ მომეზადებინა და რჩევები მიმეცა.

გამოადგათ შენი რჩევები?

— დიას: პირველ ტურში გავიდნენ.

შენ მაინც ფიქრობ, რომ „ჯეოსტარმა“ ისე არ დაგაფასა, როგორც იმსახურებდი?

— დიას. თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე მეტი ფული ჩემი წყალობით შეუვიდა (იციან). შეიძლება, ზოგმა თქვას, — რა იყო, რით ვერ დაივიწყა ამ ბიჭმა ეს ამბავი?! — მაგრამ გული დამწყდა, ყველა ტურში რომ ვლიდერობდი და ბოლოს... ზოგმა ისიც კი მითხრა, — ინტერაქტივი შეცვალეს და ერთმანეთის SMS-ები მოგივიდათო. რა ვიცი, ასე იყო თუ ისე, ღმერთმა შეარგოს!.. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის სიყვარულია, რისთვისაც მაღლიერი ვარ.

შენს ოჯახზე რას გვეტყვი ერთი შვილი გყავთ?

— დიას და სექტემბერში მეორეს ველოდებით — ბიჭს, რომელსაც ლაზარეს დავარქმევთ.

ძალიან კარგი კარიერაშიც წარმატებებს გისურვებ!

— დიდი მადლობა!





გახმაურებული რომანის „ჩუმი“ დასასრული

ფადისა და იას გზები გაიყარა

ბიზნესმენ ფადი ასლის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ქართველი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია. მართალია, პირველ ქორწინებასა და ლიბანურ ოჯახზე საჯაროდ ძალზე იშვიათად საუბრობს, მაგრამ თავისი შვილებისა და ია ფარულავასთან დაშორების შესახებ პირველად, „გზის“ მკითხველს მოუთხრობს.



თამთა დაღუპული

— ბატონო ფადი, გვიამბეთ, თქვენი შვილების შესახებ, ამჟამად სად ცხოვრობენ ისინი და რას საქმიანობენ?

— მე 3 შვილი მყავს — ერთი ვაჟი და 2 ქალიშვილი. ოსკარი 22 წლისაა, ოდრი — 21, კიმი კი — 17-ის. სამივე ლიბანში ცხოვრობს. წელს ოსკარი სამოქალაქო საინჟინრო ფაკულტეტს ამთავრებს და ფინანსურ სფეროში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სწავლას ლონდონში გააგრძელებს. ოდრის ერთი სასწავლო წელი დარჩა და უნივერსიტეტს ინტერიერის დიზაინერის სპეციალობით დაასრულებს, კიმი კი სკოლის ბოლო კლასს ამთავრებს.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ შვილებთან? ხშირად ჩამოდიან

სტუმრად საქართველოში?

— დიას. ჩემს შვილებთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო მეგობრები ვართ. ისინი ყველა საიდუმლოს მანდობენ და მეც ყველაფერს ვუყვები ჩემ შესახებ. ადამიანები ყოველთვის გაოცებული რჩებიან, როცა იგებენ, თუ რამდენად ახლოს ვართ ერთმანეთთან და როგორი საოცარი მეგობრობა გვაკავშირებს.

— მოსწონთ საქართველო? მათაც ხომ არ უფიქრიათ აქ დარჩენაზე?

— საქართველო სამივეს ძალიან უყვარს და როგორც კი შესაძლებლობა ეძლევათ, ყოველთვის ჩამოდიან, თუნდაც 3-4 დღით მაინც. აღსანიშნავია, რომ ისინიც ჩემსავით, საქართველოს მოქალაქეებად იქცნენ, რითიც ძალიან ამაყობენ! უნდა უსმინოთ, როგორ ტრაბახობენ თავიანთ მეგობრებთან იმ ფაქტით, რომ ქართველები არიან!

— როგორც ადრე ინტერვიუში აღნიშნეთ, მშობლები საკმაოდ მკაცრად გზრდიდნენ. თქვენ

როგორ აღზარდეთ შვილები? ასეთივე მკაცრი მამა ხართ თუ უფრო ლმობიერი?

— მართალი ბრძანდებით, ჩემი მშობლები მკაცრები იყვნენ. მე განსხვავებული მეთოდებით აღზარდე ჩემი შვილები და სხვანაირი ცოდნა მივეცი, რომელიც დიალოგსა და მსჯელობას ეფუძნება და მეტად დამაჯერებელია, ვიდრე წესები და ინსტრუქციები. ამ მეთოდმა გაამართლა! მე მეჯერა დიალოგის, პრობლემებზე გახსნილი საუბრის: შვილები დაგიჯერებენ არა იმიტომ, რომ ეშინიათ შენი, არამედ იმიტომ, რომ ენდობი და მართალი ხარ მათთან.

— როგორ ფიქრობთ — თქვენი შვილებიდან რომელი უფრო გგავთ ხასიათით, თვისებებით?

— ვფიქრობ, სამივეს აქვს ჩემი რაღაც თვისება, მაგრამ რომელიმე რომ ზუსტად მგავდეს — ამას ვერ ვიტყვი, თუმცა ვფიქრობ, რომ ხასიათით, ოდრი მაინც ძალიან მგავს.

— რომელიმე ბიზნესმენობას ხომ არ აპირებს? თქვენთან ერთად ამ დიდ საქმეში ჩაებმებიან?

— დიას, სამივე გემგავს ბიზნესში მუშაობას, როგორც კი სწავლას დაამთავრებენ. ოსკარი და ოდრი ძალიან მჭიდრო კავშირში არიან ჩემს ბიზნესთან და ისინი ყველაფერში ერკვევიან, ზოგიერთ კომპანიაში მენილენიც კი არიან და ზოგჯერ ისეთ კითხვებს სვამენ, რომელიც აუდიტორმა არ უნდა დასვას, მაგრამ მე ეს მომწონს. როცა ვინმე ძალიან ღრმად იჭრება დეტალებში, ეს ნიშნავს, რომ პიროვნება წარმატებული იქნება, იმიტომ, რომ „ეშმაკი“ ყოველთვის დეტალებში იმალება.

— თქვენი ბიზნესი საქართველოში საკმაოდ წარმატებულია. პოლდინგში ბევრი ქართველი გყავთ დასაქმებული?

— დაახლოებით 130 ქართველი მუშაკი გყავს ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის აქტივობაში და ბევრი მათგანი მთელი ამ 13 წლის მანძილზე ჩვენთან ერთადაა, ერთი დიდი ოჯახი ვართ.

— რამდენად შრომისმოყვარე და ერთგული თანამშრომლები არიან





ქართველები?

— ისინი ძალისხმევას არ იშურებენ საქმისათვის, ძალიან თავდადებულები არიან და ზოგჯერ, როცა გვიან ღამით ოფისთან მანქანით გამივლია, სინათლე ჯერ კიდევ ანთებული დამინახავს, კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას. ეს დასაფასებელია.

— ქალბატონ იასთან თქვენს ურთიერთობაზე რას გვეტყვი? გაგიგე, ერთმანეთს დაშორების-ართ. ეს სიმართლეა?

— დიას. ჩვენ დაახლოებით 3 თვის წინ გავიყარეთ და ეს ორივეს გადაწყვეტილებით მოხდა. თუმცა კარგ მეგობრებად დავრჩით და ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.

— თუ საიდუმლო არ არის, რა იყო თქვენი გაყრის მიზეზი?

— აღსანიშნავია, რომ ჩვენ 5 წლის მანძილზე პარტნიორები ვიყავით და დაცილება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ იამ ცხოვრება უნდა გააგრძელოს. მე შვილები მყავს, მას თავისი ოჯახი უნდა ჰქონდეს, კარიერასა და მომავალზე ორიენტირებული... ია ძალიან კარგი პიროვნებაა და ყველა შესაძლო წარმატებას იმსახურებს. ჩემი მხრიდან, ყოველთვის ვეცდები, დავხმარო და სასარგებლო რჩევებიც მივცე.

— ახლა რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?



— ჩემი გეგმები ისევ და ისევ საქართველოში ბიზნესის გაფართოებას უკავშირდება. ამჟამად 2 ახალი პროექტზე ვმუშაობთ, რომელსაც უახლოეს თვეებში დავასრულებთ. რაც შეეხება გულს — ამ მხრივ, ჯერჯერობით გეგმები არ მაქვს. მჯერა ბედისწერის!

დათო როსტომაშვილის ბერძნული ხასიათი, ესპანეთში მოპარული შარვალი

და „ბაბროვკით“ შეხდენილი მიხოს სიღადრი

რა გრძელიც ამ დაწესებულების სახელია (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დანშარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი), ისეთივე გრძელია გზა გავიარე, დათო როსტომაშვილთან შესახვედრად იქ რომ შევსულიყავი. მსახიობი და იურისტი ამ დეპარტამენტში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გახლავთ.

ნიმუშაღიშვილი

— დათო, როგორ მოხვდი სახელმწიფო სამსახურში?

— 1992 წელს დავინყე აქ მუშაობა, მაგრამ მაშინ №1 საგამოძიებო იზოლაციური ერეკა, იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა.

— სახელმწიფო მოხელე „იუმორინაში“ ხელისუფლებას რომ აკრიტიკებ, უზერსულობის გრძობას არ განიცდი?

— არა, მთავარია, იუმორი შავი არ იყოს. ბატონი ჯემალ ბალაშვილი შავ იუმორს არასდროს გააკეთებს. იცის, სად, როდის და რა უნდა თქვას. თან ჩვენ ისეთ რამეს არ ვაკეთებთ...

— რომ აქ საქმე გაგიფუჭდეს?

— თუნდაც. მე სახელმწიფო მოხელე ვარ და სცენაზე ისეთ რამეს არ ვიტყვი, სახელმწიფოს წინააღმდეგ რომ იყოს მიმართული. თვითონ ბატონი ჯემალიც არ ჩამაყენებს ამ სიტუაციაში. მეც არ ვაგაკეთებ ამას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან „იუმორინას“ დავტოვებ, ან — ამ თანამდებობას.

— მაინც რომელს აირჩევ?

— ორივეს (იცინის)...

— ჩვენს რუბრიკას „უსიქოპორტრეტი“ ჰქვია და შენი უსიქოპორტრეტის შესადგენად შენი გულწრფელობა აუცილებელია.

— სვანი რომ დაიჭირეს, იცი?

— არა.

— უთხრეს, — ჩვენ დეტექტორი გვაქვს და ტყუილს რომ იტყვი, წითელი აინთება; ასე რომ, გირჩევნია, სიმართლე გვითხრა, გაიგე? — კიო, უპასუხა სვანმა და წითელი აინთო. რა



გინდა ახლა, დეტექტორზე უნდა შამაერთო?!

— არა, დეტექტორით არ მოვსულვარ; დეტექტორი კი არა, ტელეფონიც საშუაა ბიუროში დამატოვებინეს.

— მა რას იზამ? ჩემს თვალებში ამიკითხავ სიმართლეს?.. გულზე ხელის დადებით ვდებ პირობას, რომ არ მოგატყუებ. საერთოდ, არ მიყვარს ტყუილი. მხოლოდ მაშინ ვიტყუებ, როცა ამით კეთილი საქმის გაკეთება შეიძლება.

— ჟურნალისტებთან ურთიერთობა გიყვარს?

— აზრიან ჟურნალისტთან მიყვარს, რომელსაც შენი ესმის და რასაც ამბობ, იმას წერს. რაც არ მიტყვამს, იმას როგორა წერ, კაცო?! გამოშტერებული რესპონდენტები ხომ არც თქვენ მოგწონთ. ეგრეა, რა...

— პუნქტუალური ხარ?

— გერმანელზე მეტად პუნქტუალური ვარ. მაქსიმალურად ვცდილობ, არსად დავიგვიანო. არც ვიგვიანებს. არ მიყვარს ლოდინი და იმ ადამიანის მდგომარეობაშიც შევდივარ, ვინც მელოდება.

— დილით თავად ილვებიდ თუ მალევიძარას დანშარებით?

— რას ლაპარაკობ?! რუფლექსი მაქვს გამომუშავებული: დილის 6 საათზეც რომ დავიძინო, 9-ის 20 წუთზე ფეხზე ვარ.



— რთული არ არის ასეთი რეჟიმით ცხოვრება?

— სანამ ჯანი მომყვება, ყოჩაღი ვარ. ცოტა შემერყა ჯანმრთელობა, მაგრამ თავს თუ გავუფრთხილები, ყველაფერი კარგად იქნება. არც ვსვამ, არც ვწვევი.

— გიყვარს საკუთარი თავი?

— საკუთარი თავი თუ არ გიყვარს, სხვას ვერ შეიყვარებ, გენაცვალე.

— რა არ მოგწონს შენს ხასიათში?

— ფიცხი ვარ და ისეთი ვარ ამ დროს, არ გენახოს: ვყვრი, ვიგინები „სართულბიანს“. ბუნებით მშვიდობის-მოყვარე ადამიანი ვარ, სიმთვრალეში რომ ქუდავს ზოგი, ისეთი — არა. მთავარია, ვინმემ რაიმე ისეთი არ მაკადროს, თორემ კონფლიქტს თავად არ ავტებ. „პადარკა“ არც მე ვარ, ხანდახან ისეთი მთვრალიც ვყოფილვარ, მეც გამიჩმახებია, მაგრამ ეგ ხშირად არ ხდება.

— დაფუშვათ, მეუღლემ იყიდა კაბა, რომლის ფასიც დაგიმალა. მოგვიანებით ამ კაბის ნამდვილი ფასი გაიგეთ, როგორი იქნება შენი რეაქცია?

— მინდა გითხრა, რომ ეგ ამბავი ჩემს თავს არ მოხდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი ცოლი არ მატყუებს.

— მეგონა, იტყოდი, კაბის ფასებს არ ვეკითხებიო.

— არა, არ მატყუებს ჩემი ცოლი. მეორეც — კაცი თუ ხარ, ისიც იცი, რომ ცოლს კაბაც სჭირდება, „კალგოტკაც“ და ფეხსაცმელიც. რატომ უნდა მომატყუოს? მეუბნება, რაც სჭირდება და ვაძლევ ფულს.

— კაბის ფასი 300 ლარს რომ აღწევდეს, მაინც არ გააპროტესტებ?

— არა. ის ჩემი ცოლია, ჩემი შვილების დედა, ჩემ გვერდით დადის და მსიამოვნებს, როცა კარგად გამოიყურება.

— თუნდაც, მამაკაცები მუშტრის თვლით აკვირდებოდნენ?..

— მმმ... აი, კინალამ წამომცდა... რა გინდა ახლა, უნდა შემაგინებინო?! კაცს ხარბი თვალი აქვს, ხშირად გაურბის კიდეც, მაგრამ გააჩნია, ვის გვერდით დგას ის ქალი, ვისაც უყურებ. ასეთ შემთხვევაში ქალიც არის ხოლმე მიზეზი. არ უნდა მისცე კაცს საბაბი, მუშტრის თვლით შემოგხედოს. ჩაცმულობითა და საქციელით, კვებამოსილი უნდა იყო.

— თუ შენი მეგობრის გვერდით ვულგარულად ჩაცმული ქალი დგას და იმის საფუძველსაც იძლევა, რომ მუშტრის თვლით შეხედო?..

— ტრადიციულ ოჯახში ვარ აღზრდილი და ოჯახში როცა შევდივარ, იქ ქალებს არ ვუყურებ.

— თუ ოჯახში არა ხარ და, მაგალითად, რომელიმე კლიბის პრეზენტაციას ესწრები?

— ეს რა გასამართლებელი საბუთია?! რა ვუთხრა მეგობარს — შენს ცოლს იმიტომ შეეხედე, რომ პრეზენტაციაზე ვიყავით-მეთქი?! თუ ის ქალი ჩემი მეგობრის გვერდითაა, ზედაც არ შევხედავ, თავდახრილი ვიჯდები; შეიძლება, მეორე დღეს ქუჩაში რომ შემხვდეს, ვერც ვიცნო.

— ერთგული ხარ?

— ძალღივით.

— შენი საქმე მეგობრის გამო გადაგიდგია?

— მთელი ცხოვრება ასე არ ვიქცევი?! ჯერ მეგობრობაა და მერე — ჩემი საქმე. ადამიანში ყველაზე დასაფასებელი თვისება — ერთგულებაა. დღეს ძალიან ცუდი ტენდენციაა: ადამიანები ინფორმაციის მონოდების დონეზეც არ გეხმარებიან. მაგალითად, რომ ეტყვი, ამას და ამას დაურეკე და ესა და ეს ამბავი გამოგეო, დაგვირდებ, დაურეკავო და „გადაგადგებს“. ასეთ რამეს მე ვერ გავაკეთებ.

— როდის ბრზდება დათო როსტომაშვილი ოჯახში — როცა სადილი მზად არ არის, ჭურჭელი დასარეცხია თუ პერანგი დასაუთოებელი?..

— ასეთი რამ ჩემს ოჯახში პრაქტიკულად, არ ხდება. ამ მხრივ პრეტენზიული ვარ, შეიძლება 35 პერანგი ეკიდოს კარადაში და მაინცდამაინც ის მოვითხოვო, რომელიც გუშინ გაირეცხა და დაუთოებელი არ არის... არიან ტიპები, რომლებიც ბოლმას სახლში ანთხევენ. ეს სისულელედ მიმაჩნია. 19

წლის ცოლ-ქმარი ვართ და ასეთი შემთხვევა არ მახსოვს.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ხატია, ქეთევანი და გიორგი დავიღოვჩი.

— 3 შვილზე რატომ გაჩერდით?

— შუქი მოვიდა (იცინის)... მანამდე „დევიჟოკი“ გვიყიდეს, — კარგი, გაჩერდითო!..

— რაიმე მოგიპარავს?

— კი, ბავშვობაში — თხილი; დიდობაშიც ერთხელ, ლონდონში, მაღაზიაში ბოთლის გასასხნელი, ე.წ. „ატკრივალკა“ „გამოვიყოლე“ შეგნებულად. აუ, მაგარი ამბავი გამახსენდა ქურდობაზე: ესპანეთში ვართ გასტროლებზე, ქალაქ მურსში კონცერტი გვაქვს. ბესო ბერულაშვილს გაერღვა შარვალი. ხელით ვერ გავკერავდით, საკერავი მანქანა იყო საჭირო. კონცერტები ჯერ არ ჩავგიტარებია. ფული გვაქვს, მაგრამ იმდენი, რომ თუ შარვალს ვიყიდით, აღარ დაგვრჩება, — ნორმალური შარვალი 58 ევრო ღირს!.. მაინც შევედით მაღაზიაში. ბესო იზომებს შარვალს და უეცრად მეძახის, — როსტიკ, ეს შარვალი რომ ჩავიცვი, დეტექტორი მოსძვრა და რა ვქნაო?.. — რა უნდა ქნა, შე კეთილძალლო, ხალხი სპეციალურად აძრობს, რომ მოიპაროს, შენ თვითონ მოგიძვრა; ჩაიცვი ძველი შარვალი, ე მაგ „ვემოლკაზე“ გადავიდეთ და წამოდი-მეთქი, — დავაკვალაინე. თავიდან გამიძალიანდა, მერე დამეთანხმა. სანამ ის „ოპერაციას“ ატარებდა, მე გარეთ გამოვედი: ვინიცობაა, მაინც „იყვიროს“ შარვალმა, ვინმეს ესპანურის მცოდნეს ვიპოვი-მეთქი. ამ ფიქრებში ვარ, ოფლი მომდის და გამოვიდა ბესოც. მოვიპარეთ შარვალი!.. დავამთავრეთ კონცერტი და ბესომ თავში ხელი შემოირტყა: ფულიც შარვლის ჯიბეში დამრჩა და რაც რაიმე ტელეფონის ნომრები მქონდა, ისიცო. ერთი კვირა ეკლებზე ვიჯექით — ან ახლა დარეკავენ, ან ახლა-თქო, — ვფიქრობდით. თურმე რას დარეკავენ? — დღეში იმდენს იპარავენ!..

— ზარმაცი ხარ?

— არა, საქმეში „შვიდთვიანი“ ვარ: საქმეს რომ დავინწყებ, სანამ ბოლომდე





მივიყვან, ტვინს ვბურღავ. მაგრამ მორიდებული ვარ მაინც. მაგალითად, ვინმეს ვასესხე ფული; მერიდება — ჩემს ფულზე ვერ დაფურეკავ, რომ დამჭირდეს.

- ბევრი ვალი აქვთ შენი?
- საკმაოდ.
- მაინც?
- ეჰ (ამოიხვნემა), დაკარგულია...
- შენ გაქვს ვინმეს ვალი?
- სამშობლოსი...

დასასრულს ერთი კარგი კახური ანექდოტი უნდა მომიყვე...

— ორს მოგიყვები... მიხო ეფერება თავის ხუჭუჭა ბავშვსა, — მამაი ოქრო, გენაცვალე... მარო, ე, ბალღი გააჩინე თუ მოქსოვეო?... ნაღდი ამბავი უნდა მოგიყვე, კახეთში ერთ-ერთ სოფელში კაცსა 9 ბიჭი ჰყავდა. პატარა ყველაზე ჭკვიანი აღმოჩნდა, იფიქრა, სანამ ესენი ცოლებს მიაყვანენო... გავარდა და დედისერთა გოგო შეერთო ცოლად; შეძლებული ოჯახის შვილი მათგან იგრე, როგორც ახალი „ნოლ შესტი“. ისეთი პირობები შექმნა, გოგოს დედ-მამა ეხვნებოდა, — ამოტონა სახლ-კარი გვაქვს, მარტო დავრჩით, მოდით, ჩვენთან იცხოვრეთო. — რას ამბობ, როგორ ჩევესიძებო?! — უყადრისობდა სიძე. დიდი ხვეწნის შემდეგ გადავიდა სიდედრ-სიმამრის სახლში, გაისტელა ჯიბე, მაინყო ცხოვრება ბიჭმა, ქერის ორმოშია ჩავარდნილი. ბევრი ძროხა ჰყავდათ, სიდედრი მანონსა და ყველსა ყიდდა. მეზობლის ქალი ყოველდღე მოდიოდა და მანონი ერთი და იმავე ადგილიდან მიჰქონდა. ბიჭმა თვალი დაადაგა ამ ქალს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. თავის ძმაკაცს გაანდო ეს ამბავი. იმანაც ურჩია, — შეკეთილძალლო, ვერა ხედავ, რამდენი ზოოაფთიაქია, ნადი, „ბაბროკვა“ იყიდე, ჩაუყარე მანონში, ძროხასა ტყეხას და ქალ ვერ ატეხამსო?!. იყიდა ამანაც, დაუფერა, დაფხვნა და ჩაყარა მანონში. დგას ესლა, ვითომ ვენახს აკავებს, იცის, რომელ საათზე უნდა მოვიდეს მეზობლის ქალი და რასა ხედავს?! სადღაა ის ქილა, სადაც „ბაბროკვა“ ჩაყარა?!. შევიდა სახლში და სიდედრსა ჰკითხა, — დედი, მანონი რო იდგა, ვინ წაიღოო? — არავინ, შვილო, ძალიანა ცხელოდა და მე შევჭამე, გული გავიგრილო, — უპასუხა სიდედრმა. არადა, სიმამრი ალაზნის პირას იყო წასული, დიდ ვენახში... გაიქცა ბიჭი, სუ ოფლიანი მივიდა სიმამრთან, მოუყვა ეს ამბავი. აგინა სიმამრმა, მემრე ჩაისვა თავის „მატ-აკიკლექში“ და გამოაქცია სახლში. ორ ბორბალზე მოჰქონდა სამბორბლიანი „მატაკიკლექი“. რო შემოვიდნენ ეზოში, სახლის კარი გაიღო და „მანტიორი“ გამოვიდა; „პაპა“ ჰქონდა ილღიაში ამოდებული ჯიგარსა; ამოჰკრა შარვლის „ზმეიკას“ თითი, — ამ წლისა თქვენი გადახდილიაო, — უთხრა კაცებსა და წავიდა...

ქართული სულის ზეიმის ნამდვილი დედოფალი...

„მადლოვა რეზო ლალიძის სულს“...

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“
— ასე ერქვა საღამოს, რომელიც თამრიკო ჭოსონელ-იძემ დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა (ამ საოცარი პროექტის შესახებ „გზის“ ფურცლებიდან ვრცლად, თავად მომღერლის ინტერვიუს მეშვეობით მოგიტხრობდით).



სოლო კონცერტს საფუძვლად ედო უკვდავი რეზო ლალიძის შემოქმედება, რომელიც ქალბატონმა თამრიკომ საოცარი სიბოთი, სიყვარულითა და უდიდესი პროფესიონალიზმით გამოიტანა მსმენელის წინაშე.

ლალი ფასია

ნუნუ გაბუნია:
— არაჩვეულებრივი, თბილი და ძალზე სასიამოვნო საღამო იყო. თამრიკომ განუმეორებელი ნუშები გვაჩუქა. რაც შეეხება მუსიკას — რეზო ლალიძე ხომ უსაყვარლესი კომპოზიტორია ყველასთვის!

ნინო არაზაშვილი:
— თამრიკომ დიდი ხნის ოცნება აისრულა. რეზო ლალიძის შემოქმედების თავმოყრა და სოლო კონცერტის სახით წარმოდგენა იოლი როდია. მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციები საკმაოდ ექსტრემალურ პირობებში (მოკლე ვადებში) მიმდინარეობდა, პროფესიონალიზმისა და არაჩვეულებრივი ტემპის წყალობით, თამრიკოსთვის ეს ვადაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ტრადიციული და ჭეშმარიტი ქართული სიმღერის ზეიმის ნამდვილ დედოფლად წარმოჩენილიყო.



მომღერალთან ერთად, სცენაზე უკრავდა ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკა მემანიშვილის ხელმძღვანელობით. სადირიჟორო პულტთან, ნიკას გარდა, კობა მერმანიშვილი ვიზიტით, როიალთან — ახალგაზრდა კომპოზიტორი, ნიკა ნიკვაშვილი. მღეროდა საპატრიარქოს გუნდი, ასევე — თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტი.

ნუნუ დულაშვილი:
— სიტყვები არ მყოფნის, რაიმე ვთქვა: თამრიკო ნოვა-



ტორია! სრულიად ახალი რამ შემოგვთავაზა. არაჩვეულებრივად გააცოცხლა ბატონი რუზოს შემოქმედება. ის ბოლომდე დაინარჯა — ხმის მთელი დიაპაზონით მღეროდა. უდიდესი სიამოვნება მივიღე. ეს იყო სიმღერის შეუდარებელი დღესასწაული. ვულოცავ თამრიკოს ამ წარმატებას!

თინათინ არჩვაძე:

— დღეს აქ უდიდესი სიხარული განვიცადე. ფინალიც როგორი საოცარი იყო! ძალიან კმაყოფილი ვარ. ღმერთმა დალოცოს ამ სიკეთისთვის!

პროექტის რეჟისორი დათო დოიაშვილი გახლდათ, რომელმაც ენერჯია არ დაიშურა, რათა კონცერტი წარმატებული ყოფილიყო. სიმღერებს უკვდავი კომპოზიტორის კადრები გასდევდა ფონად, აგრეთვე — კადრები კომპოზიტორის მიერ გაფორმებული ფილმებიდან...

სოფო კუჭავა:

— დიდი შთაბეჭდილების ქვეშ გახლავართ. ბედნიერი ვარ, რომ ეს საღამო შედგა, რომ რევაზ ლალიძის უკვდავი, არაჩვეულებრივი სიმღერები და მელოდიები ასეთმა არაჩვეულებრივმა მომღერალმა ჩვენ წინაშე წარმოადგინა. დიდი მადლობა ქალბატონ თამრიკოს ამ საჩუქრისათვის!

ლელა წურჭუბია:

— საოცარი კონცერტი გახლდათ. თამრიკო საოცრად აკადემიური იყო. სცენაზე უდიდეს სითბოს ასხივებდა. ყველაფერი გემოვნებით იყო გაკეთებული. დიდი მადლობა ამ სიამოვნებისთვის! წარმატებას ვუსურვებ!

მომღერალს ტრადიციულად, მისი დები — სოფიკო და თინიკო უმშვენებდნენ გვერდს. მღეროდა მისი ქალიშვილი — მარიამ როინიშვილი.

მარიამ როინიშვილი:

— დღეს ისე, როგორც ყველა, დედაჩემს, როგორც მომღერალსა და შემოქმედს, მეც ვულოცავ წარმატებას. ბედნიერი ვარ, რომ ეს კონცერტი დაბრკოლებების მიუხედავად, შედგა და ხალხს ლამაზი წუთები აჩუქა...

იკა კახიანი:

— არაჩვეულებრივი კონცერტი იყო, რომელშიც უზარმაზარი შრომა ჩაიდო: თამრიკო ამ პროექტზე მრავალი წელი მუშაობდა. სულ არქივში აქვს მოძიებული ისეთი მელოდიები, რომლებიც არც ისე ცნობილი იყო, კინოფილმებისთვის იყო დაწერილი და სიმღერებად ააჟღერა.

დიახ, რევაზ ლალიძის მელოდიებით ახალი სიმღერები ნანა ცინ-

ცაძის, მანანა გურგენიძის, ნიკო გომელაურისა და პეტრე გრუზინსკის ლექსებზე შეიქმნა... სწორედ რუზო ლალიძის მუსიკაზე შექმნა მისი უკანასკნელი ლექსი — „ჩემი ხარ“ — ნიკო გომელაურმა, რომლის პრემიერაც აღნიშნულ საღამოს შედგა...

გიბ გაღაფილი:

— როგორც თამრიკოს მეგობარი და კოლეგა, საოცრად კმაყოფილი ვარ. მეტსაც ვიტყვი — აღფრთოვანებული იმით, რომ იმ მრავალწლიანი მზადების, თუნდაც დუმილის, შემოქმედებითი გადახარშვისა და ახლებური ხედვის ჩამოყალიბების პერიოდს არამცთუ ფუჭად ჩაუვლია, არამედ ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. თამრიკო ყოველთვის მიმაჩნდა დიდი რეზო ლალიძის ერთ-ერთ საუკეთესო ინტერპრეტატორად. ამ საღამომ კი ნამდვილად გვირგვინი დაადგა იმას, რასაც თამრიკოსეული ხედვა (მისეული პრინციპებით, მხატვრული აზროვნებით) ჰქვია... ქართული სული, საოცარი უბრალოება, შინაგანი მასშტაბურობა ანუ ის, რაც მოსდგამს რეზო ლალიძეს, თვითონ თამრიკოს შემოქმედებითი „მეს“ ორგანული შემადგენელი ნაწილიცაა. დღეს კი ეს ყველაფერი საოცარი მასშტაბურობით შეერწყა ერთმანეთს. ეს მუსიკა კი შინაგან დახვეწილობასა და არისტოკრატიულობასთან ერთად, წითელ ზოლად გასდევდა დღევანდელ კონცერტს.

საღამოზე ბევრი ახალგაზრდის დებიუტი შედგა. როგორც თამრიკომ თქვა, რუზო ლალიძე მადლიანი შემოქმედი გახლდათ და სწორედ მისი სიმღერებით დაილოცნენ ისინი... საღამოს ყველაზე ამაღლევებული ნაწილი მისი ფინალი აღმოჩნდა, როდესაც დარბაზის კარი გაიღო და სცენაზე 200-მდე პატარა მომღერალი ამოვიდა, რომელიც თამრიკოსთან ერთად ამღერდა...

თამრიკო ჭორონელიძე:

— სწორედ ეს მინდოდა, რომ ყოფილიყო — ქართული სულის ზემი! ამ ყველაფერს კი აკეთებს მისი უდიდებულესობა — მელოდია, რომლის უდიდესი ოსტატი რუზო ლალიძე გახლდათ. მადლობა მის სულს, რომ მომცა იმის საშუალება, ეს ყველაფერი ხალხისთვის მეთქვა და მომეტანა ისეთი სითბოთი, რომლითაც გამთბარია თვითონ ბატონი რუზოს შემოქმედება. ყველაფერს წლები წაიღებო, ნათქვამია, მაგრამ ერთადერთი, რამაც არ დამტოვა, ეს სიმღერა აღმოჩნდა!..



**ბრედ ჰიტის
თავჯანისმცემლები
შოკირებული არიან**

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბრედ ჰიტმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მსახიობმა გაამხილა, რომ იგი პოლიტიკაში ჩაბმას აპირებს. პოლიციის ვარსკვლავს, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ-ის პრეზიდენტობა სურს და თეთრი სახლის ოვალური კაბინეტისთვის ბრძოლას გეგმავს. „ბრედი კარგა ხანია, პოლიტიკით დაინტერესდა და გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს ესმარება“, — იუწყება დასავლეთის პრესა.

46 წლის მსახიობს ჯერ ამერიკის სენატში მოხვედრა სურს, შემდეგ კი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაებმება. პიტების ოჯახის ახლობელი ამბობს, რომ ბრედის პოლიტიკურ ამბიციებს აწვევლინა ჯოლიც იზიარებს და ქვეყნის პირველი ლედი სიამოვნებით გახდებოდა... საგულისხმოა, რომ ბრედ პიტს ბოლო ხანებში არაერთხელ განუცხადებია, — კინოკარიერის დასრულებას ვფიქრობო. ■



**მონიკა ბელუჩის
მეორე შვილი შეეძინა**

მონიკა ბელუჩი უკვე 2 შვილის დედაა. მსახიობს ქალიშვილი შეეძინა. ახალშობილის წონა 3 კგ და 220 გ-ია, სიმაღლე — 53 სმ. მშობიარობამ გართულების გარეშე ჩაიარა, დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლებმა მომავალ შვილს დაბადებამდე შეურჩიეს სახელი, რადგან წინასწარ იცოდნენ, რომ გოგონა შეეძინებოდათ. 45 წლის მონიკა ბელუჩი და 43 წლის ვენსან კასელი 10 წლის წინ დაქორწინდნენ. მათ უკვე ჰყავთ 5 წლის ქალიშვილი დევა, ხოლო ერთ-ერთ ინტერვიუში მონიკა გამოტყდა, რომ მეორე ქალიშვილის დაბადების შემდეგ, ვაჟიშვილებეც ენებოდა. ■



კლაუდია შიფერიმა შვილს უჩვეულო სახელი დაარქვა


გერმანელი სუპერმოდელი კლაუდია შიფერიმა ახალდაბადებული ქალიშვილის სახელს იმ დრომდე არ ამხელდა, ვიდრე გოგონა ყველა ახლობელმა და ნათესავმა არ გაიცნო. რამდენიმე დრის წინ კლაუდიამ, როგორც იქნა, შვილის სახელი გაამხილა. კოსიმა ვაიოლეტ ვონ დრიუმონი — ასეთი უჩვეულო სახელი დაარქვა მოდელმა ჩვილს, რომელიც 14 მაისს ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში დაიბადა. კლაუდია შიფერიმა ამბობს, რომ „კოსიმა“ იტალიური სახელია და „ნესრიგს“ ნიშნავს... 39 წლის კლაუდია შიფერიმა და მეტიუ ვონი 8 წლის წინ შეუღლდნენ. კოსიმა ვაიოლეტ ვონ დრიუმონის გარდა მათ ოჯახში 5 წლის გოგონა კლემენტინა და 7 წლის ბიჭი კასპარი იზრდებიან.



რუსი მომღერალი დიანა დიეზი დააპატიმრეს

მომღერალი დიანა დიეზი პუნტა-კანას აეროპორტის საბაჟოზე დააკავეს, რადგან ახალგაზრდა მომღერალმა დეკლარაციაში არ შეიტანა თანხა, რომელიც ხელჩანთაში ედო. დომინიკის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურმა 20.000 დოლარი ამოიღო, თავად მომღერალი კი 6 საათის განმავლობაში ადგილობრივ იზოლაციაში იყო დაკავებული. დიანა ამბობს, რომ ფული მისი ახალი კლიპის — H!ype Williams რეჟისორისთვის უნდა გადაეცა. კლიპის გადაღებები კუნძულზე იყო დანიშნული, რადგან ამ უანრში სახელიანი რეჟისორი ეგზოტიკური ოკეანის კადრებს სწორედ დომინიკის რესპუბლიკაში იღებს. „ძალიან შემეშინდა, რადგან თავიდან ვერც კი მივხვდი, რა ხდებოდა. შემდეგ, თარჯიმანი მოვიხვეით. სამწუხაროა, რომ ჩემი სისულელის გამო საპატიმროში აღმოვჩნდი და მთელი ფული დავკარგე, რომლითაც კლიპი უნდა გადაემეღა.“ მომღერალმა კლიპი ვეღარ გადაიღო, სამაგიეროდ, კარიბის ზღვის სანაპიროზე დასვენება მაინც შერჩა...

ახალი ტრაგედია მსახიობის ოჯახში



ამერიკელი მსახიობის, ბრიტნი მერფის გარდაცვალებიდან 5 თვის შემდეგ, იმავე სახლში მისი ქვრივი, სცენარისტი, პროდიუსერი, კომპოზიტორი და რეჟისორი საიმონ მონჯეკი გარდაიცვალა. პოლიციამ საიმონის ცხედარი ჰოლივუდ-ჰილსში მდებარე სახლში მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც ბრიტნის დედამ „911“-

ის სამსახურში დარეკა და დახმარება ითხოვა. შარონმა სიძე საძინებელ ოთახში უგონო მდგომარეობაში მყოფი იპოვა. სარეანიმაციო ლონისძიებები უშედეგოდ დასრულდა და ექიმებმა გარდაცვალების ფაქტი შემთხვევის ადგილზევე დაადასტურეს.

39 წლის საიმონ მონჯეკი გულს ადრეც უჩიოდა. „შეტევები მტანჯავს; შარშან, როდესაც პუერტო-რიკოდან ვბრუნდებოდი, გულის შეტევა მქონდა“, — განაცხადა საიმონმა მეუღლის გარდაცვალების შემდგომ მიცემულ ინტერვიუში.

ბრიტნი მერფი 2009 წლის 20 დეკემბერს ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა. დედამ გონებადაკარგული შვილი დილის 8 საათზე სააბაზანოში აღმოაჩინა. ახლობლებმა „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახეს, მსახიობი კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს და 10 საათსა 4 წუთზე სიკვდილს ფაქტი დააფიქსირეს. ბრიტანული გაზეთი „სან“ წერდა, რომ მსახიობის გარდაცვალების მიზეზი შესაძლოა, პლასტიკური ოპერაციების სერიის შემდეგ გამოწვეული, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები გახდა. გამოცემა იუწყება, რომ გარდაცვალების შემდგომ მისთვის დანიშნული ნაწილების სიაში ის პრეპარატებიც აღმოჩნდა, რომლებმაც მაიკლ ჯექსონის სიცოცხლე შეინარა.

ბრიტნი მერფი იმავე სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც მაიკლ ჯექსონი დაკრძალული. მემორიალურ პარკში — Forest Lawn — სამგლოვიარო ცერემონიაზე მხოლოდ ვარსკვლავის ნათესავები და ახლო მეგობრები დაუშვეს.

სკარლეტ იოჰანსონის დედამ ეთიოპიელი გოგონა იშვილა

ამერიკიდან ჰოლივუდის ვარსკვლავს, სკარლეტ იოჰანსონს უმცროსი დაიკო ეყოლება, რადგან მსახიობის დედამ, მელანი სლოანმა პატარა ეთიოპიელი გოგონა იშვილა. სლოანი სკარლეტის ფილმის — „რკინის კაცი 2“ პრემიერას ვერ დაესწრო, რადგან ამ დროს შვილად აყვანის საკითხების მოსაგვარებლად საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მელანი სლოანი ეთიოპიაში გაემგზავრა და 19-20 თვის გოგონა, ფენანი იშვილა. სკარლეტს უფროსი ძმა — ადრიანი, ტყუპის ცალი ძმა — ჰანტერი და უფროსი ნახევარძმა — კრისტიანი ჰყავს.

სერიალ „მეგობრების“ გმირის ვარცხნილობა ყველაზე პოპულარულია

როგორც The Daily Star იუწყება, სერიალში — „მეგობრები“ — ჯენიფერ ენისტონის გმირის ვარცხნილობა ბრიტანელ ქალთა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. გამოცემის მონაცემების თანახმად, რეიჩელის საფირმო ვარცხნილობა 10,6 მილიონმა ბრიტანელმა ქალმა გადაიღო.

ვარცხნილობას „საფეხურები“, რომელიც ენისტონის გმირს ცნობილი სერიალის უკლებლივ ყველა სეზონში აშვენებდა (თმის სიგრძისა და ფერის მცირედი ცვლილებებით), ჟურნალის — In Touch — მიერ შედგენილ, კინემატოგრაფის საკულტო ვარცხნილობათა რეიტინგში რამდენიმე წლის წინ მიენიჭა პირველობა. თავად მსახიობი ამბობს, რომ ეს ვარცხნილობა მისმა პირადმა სტილისტმა მისთვის მოიგონა და ექსპერიმენტის მიზნით, „დაფლეთილი კულულების“ ეფექტის მისაღწევად, მაკრატლის ნაცვლად, სამართებული გამოიყენა.

აღნიშნულ რეიტინგში მეორე ადგილზე მეგ რაიანის ვარცხნილობა — დაგრძელებული „კარე“ აღმოჩნდა, მესამეზე — მომღერლისა და ტელენამყვანის, დანი მინოუგის „კარე“, მეოთხე საფეხური კი შერილ კოულის კულულებს მიაკუთვნეს.





ცხოვრება

გაგურულაბული ბარძნები, ზღვის კენჭების დიდოსტატი და იანგული — დუმბაძისეული „კელადოსიდან“

„მე გახლავართ ოთარ ალექსანდრიდი, ასე ვთქვათ, გურულზე დამყნოლი ბერძენი. სხვათა შორის, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების — „ჰელადოსის“ მთავარი გმირი, იანგული ჩემი ბიძაშვილია“, — გვითხრა ბატონმა ოთარმა, რომელსაც ემიგრანტებზე წაკითხული წერილის შემდეგ „გზასთან“ დაკავშირების სურვილი გაუჩნდა.

ანი აბულავა

„შენვედრა წარსულთან“ და სიკო დოლიძის „გალიფა“

ჩვენი გვარის ისტორიის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ბებია და ბაბუა 1915-1920 წლებში თურქეთიდან საქართველოში გადმოვიდნენ, ქალაქ ბათუმში დასახლდნენ და აქვე შეუღლდნენ.

ბაბუაჩემს ორი ძმაც ჩამოჰყვა. რაც შეეხება ბებიას, მას რვა დედამიწვილი ჰყავდა. ვიდრე საბჭოთა კავშირსა და საბერძნეთს შორის მიმოსვლა თავისუფალი იყო, ჩემი ნათესავები ვაჭრობდნენ, 30-იან წლებში კი საბჭოთა ხელისუფლებამ მათი საქმიანობა კონტრაბანდად მიიჩნია, რის შედეგად

გადაც, ნაწილი ნათესაობისა საბერძნეთში დარჩა, ნაწილი კი საქართველოში ცხოვრება არჩია... ბაბუას ძმამ, სოკრატემ გურული მეგრული ქალი შეირთო და ცოლისძმის თხოვნით ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში დასახლდა. ბაბუაც მის კვალს მიჰყვა. ისინი მკერავები იყვნენ და ეს საქმე იმდენად კარგად გამოსდიოდათ, რომ ბაბუაჩემის შეკერილ „გალიფს“ ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის, სიკო დოლიძის დიდი მოწონებაც დაუთმასხურებია — ის შარვლის შესაკერად ხიდისთავში რამდენჯერმე ჩამოვიდა. აქვე ერთ ამბავს მოგიყვებით: 1966 წელს სიკო დოლიძე იღებდა ფილმს — „შეხვედრა წარსულთან“. გადაღებები ჩვენს სოფელში მიმდინარეობდა და ერთ-ერთ ეპიზოდურ როლში ბაბუაც მონაწილეობდა. გარკვეული დროის შემდეგ მის სახელზე ფოსტით, 80 მანეთი მოვიდა.

ბერიკაცო ალტაცებული იყო და სულ იძახდა: „ნეტავ, რაიმეს კიდევ არ გადაიღებენო?..“

აქვე მინდა ვახსენო ბაბუას ერთ-ერთი ძმისშვილი, გიორგი ალექსანდრიდი, რომელსაც ჟორა ექიმად იცნობდნენ. სხვათა შორის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში მდებარე სამედიცინო ცენტრი დღემდე მის სახელს ატარებს“.

40 წლის განმავლობაში დაგროვებული კენჭებითა და საკუთარი რეცეპტით დამზადებული წებოს წყალობით ქოთნებს საუცხოოდ რთავს

ბადასახლება — „სტალინის ბრძანებით“

„ბაბუას სამი შვილი ჰყავდა: მამაჩემი — გიორგი დედამიწვილებში უფროსი იყო, მამიდა ნინა — შუათანა და ხოლო უმცროსი — ნიკოლოზი — ნოდარ დუმბაძის ცნობილი პერსონაჟის პროტოტიპის, იანგულის მამა გახლდათ.

მამაჩემმა ცოლად ბასილეთელი ჟენტიქის ქალი — ცუცა შეირთო. შეეძინათ პირველი ვაჟი, რობერტი... ამის შემდეგ იყო ივლისის ლამე, „ჩეკისტების“ მოულოდნელი ვიზიტი და „სტალინის ბრძანება“ — უნდა გადაგასახლონო! დედაჩემი მაშინ 6 თვის ორსული იყო. ის ყაზახეთისკენ მიმავალ მძიმე გზაზე მუშლეს საკუთარი ნებით გაჰყვა და ყველაფერი — შიშხილი, წყურვილი, სიბინძურე, ცრემლი, სასონარკვეთა, ერთი სიტყვით, უკიდურესი გაჭირვება გმირულად აიტანა. ბოლოს, ყაზახეთამდე ჩააღწიეს და დაბა ბორისოვკაში დასახლდნენ, სადაც 1949 წლის 27 ნოემბერს დავაბდეზულვარ. იმდენად სუსტი ვყოფილვარ, რომ მამა გურიაში დარჩენილ ნათესავებს სწერდა: ბავშვის გადარჩენის იმედ არა მაქვსო, მაგრამ ხომ ხედავთ — ცოცხალი ვარ... მძიმე პირობების მიუხედავად, ჩვენი ოჯახი უცხო მხარეშიც ნელ-ნელა, ფეხზე დადგა და მამამ სამკურნალო ბიზნესიც წარმატებით ააწყო. 7 წელი გადასახლებაში ვიცხოვრეთ. მოხერხებულმა დედამ იმდენი ქნა, რომ ერთ ზაფხულს მე და ჩემი ძმა ბახმაროშიც დაგვასვენა.

საქართველოში 1956 წელს დაბრუნდით. მამაჩემს ყაზახეთში საქმე ისე ჰქონდა აწყობილი, რომ თურმე, იქიდან წამოსვლა აღარ უნდოდა, მაგრამ დედას ხათრი ვერ გაუტეხა. მერე სულ საყვედურობდა: ყაზახეთში რომ დავრჩენილიყავით, არაფერი გაგვიჭირდებოდაო. ეს იმიტომ, რომ გადასახლებიდან ხიდისთავში დაბრუნებულბმა ცხოვრება „ნულ-იდან“ დაიწყეს“.

სავაჭრო ტექნიკუმის კურსდამთავრე-





იანგული ბავშვობაში ზუსტად ისეთი იყო, როგორც ნოდარმა აღწერა

დაგროვებული კენჭებითა და საკუთარი რეცეპტით დამზადებული ნებოს წყალობით ქოთნებს საუცხოოდ რთავს. ბატონმა ოთარმა ერთ-ერთი ნამუშევარი უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს საჩუქრად მიართვა. თურმე, უწმინდესი ალფრთოვანებულა: ასეთი ლამაზი ქოთანი არსად მინახავსო. ეს შექება ბატონი ოთარისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ახლა გადაწყვეტილი აქვს, გამოიყენა მოაწყოს...

იანგული

ბატონი ოთარის ბიძაშვილის — იანგული ალექსანდრიდის პროტოტიპი ყველასათვის საყვარელმა მწერალმა, ნოდარ დუმბაძემ მოთხრობაში — „ჰელადოს“ გამოიყენა.

„იანგული ბავშვობაში ზუსტად ისეთი იყო, როგორც ნოდარმა აღწერა: ნაფოტივით თხელი, ბეჭებგანიერი, სწორი, ლამაზი ცხვირით, ნახშირისფერ შავი თვალებითა და მაიმუნივით გრძელი ხელებით. თანატოლ ბიჭებს მართლაც, შიშის ზარს სცემდა... აი, მკერდზე კი ნამდვილად არ ეწერა „ჰელადოს“ — ეს სულმნათი ნოდარის შელამაზებული ვარიანტი იყო. დღესაც, კაცური კაცის სახელი აქვს იანგულის“, — გვითხრა ბატონმა ოთარმა.

თვით იანგული ალექსანდრიდიც შემოგვეხმინა ხიდისთავიდან: „მე და ნოდარ დუმბაძის მამიდაშვილი, თამაზ ჩიგოგიძე თანაკლასელები ვიყავით. მწერალი სწორედ ხიდისთავში გავიცანი. ის ჩემი სახელით, წარმომავლობით დაინტერესდა... და მოგვიანებით შექმნა ულამაზესი მოთხრობა, რამაც პოპულარობა მომიტანა (იციინის). ჩხუბი მიყვარდა და შეუპოვარიც ვიყავი, მაგრამ უსამართლოდ არასდროს მიჩხუბია. რაც შეეხება წარწერას მკერდზე — „ჰელადოს“, ამით ბევ-

რად დაინტერესდა. პოლიტიკოსმა, წარმომოხებით ხიდისთაველმა აკაკი ასათიანმა შვილს ქორწილი სოფელში გადაუხადა. მას ელიტა ჰყავდა დაბატიუებული. როცა გაიგეს, ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსის“ მთავარი გმირის პროტოტიპი, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოვექცევი. მთხოვეს, — მკერდზე გაკეთებული წარწერა გვიჩვენო და ვიდრე მაისური არ გავიდრე, ვერც ერთი მათგანი ვერ დავარწმუნე, რომ წარწერა არ მქონდა.

— ჩხუბისთავი რომ იყავით, ამის გამო მშობლები არ გასვდნენ? — მამის სილა არ მახსოვს, ის მშვიდი ადამიანი იყო. აი, დედა კი ხშირად „მაჯილდოებდა“ თბილისს წვეპლით.

— ვირი მართლა გყავდათ? — არა, ეს ნოდარმა შევლამაზა. სინამდვილეში, თხა მყავდა, რომელსაც კარგად ვუვლიდი“.

რაფერ შესვლილხარ, ბაბაია!..
იანგულის თურმე, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ბათუმში ფოტოსალონი ჰქონია, სადაც ერთი აჭარელი მისულა და უკითხავს:
— იანგული, ბიჭო, ბაბაიას სურათს ვერ დამიბეჭდავ?
იანგულის უფიქრია, ძველი, დახეული სურათის განახლება უნდაო და უთქვამს:
— მოიტა, სურათი და ახალს დაგიბეჭდავ.
— სად მაქვს, იანგული, ბაბაიას სურათი, ის ხომ 30 წლის წინ ფრონტზე დაიღუპა?
იანგული ხუმრობის ხასიათზე დამდგარა:
— წადი და ერთ კვირაში გამეიარე, მზად მექნება და მოგცემ.
ერთი კვირა წვალობდა იანგული. ბოლოს, ვიღაც ჯარისკაცის ფოტო დაამონტაჟა და დაბარებული აჭარელს დაახვედრა. აჭარელმა ფული გადაუხადა, მერე სურათს დახედა და სინანულით ჩაილაპარაკა:
— ეჰ, ჩემო ბაბაია, რაფერ შეცვლილხარ ამ 30 წელიწადში... ■

ბატონი ოთარი ზღვის კენჭებს ბავშვობიდანვე აგროვებდა და შინ მიჰქონდა. მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ ოდესმე, ამ კენჭებით ლამაზ ნაკეთობებს შექმნიდა: როცა გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო სამსახურიდან წამოვიდა, მშვენიერი იდეა გაუჩნდა — 40 წლის განმავლობაში



ოთარ ალექსანდრიდი ოჯახთან ერთად



ასალგაზრდა მამაკაცმა ქალი მისივე ნაჩუქარი დანით მოკლა

თბა სურსილავა

ცოტა ხნის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ევა არეშიძე) კიდევ ერთი ხმაურიანი მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა — ცოლის მკვლელობისთვის ასალგაზრდა მამაკაცი გაასამართლეს.

დანაშაული თბილისში, თეძეაზე, მოკლულს საცხოვრებელ კორპუსთან მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, რევაზ კუჭუხიძე ნინო კაპანაძესთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა და მეუღლის ბინაში ცხოვრობდა. თანაცხოვრებიდან რამდენიმე კვირაში მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ქალმა მასთან კავშირის განწყვეტა განიზრახა და რევაზს ეს ფაქტი ტელეფონით აცნობა. აღშფოთებული მამაკაცი ნინოს ურეკავდა და მოკვლით ემუქრებოდა. მოითხოვდა, ქალს მასთან ერთად ეცხოვრა. შეშინებულმა ნინომ თბილისი დატოვა და საცხოვრებლად ბორჯომში, მშობლებთან გადავიდა, მაგრამ მუქარის ზარები არ წყდებოდა.

2008 წლის 16 თებერვალს ბორჯომში, ქუჩაში ფეხით მიმავალ ნინოს რევაზ კუჭუხიძე მოულოდნელად, უკნიდან მიეპარა და აგრესიულად ჰკითხა, — გადაწყვეტილება ხომ არ შეგიცვლია? ნინომ უარყოფითად უპასუხა. ამ დროს რევაზმა რეგისტრირებულ იარაღზე წაივლო ხელი და დაემუქრა, რომ ამ იარაღით სიცოცხლეს გამოასალმებდა. შეშინებული ნინო კაპანაძე შემთხვევის ადგილს სწრაფად გაეცალა.

ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 151-ე მუხლით აღიძრა და კუჭუხიძეს მუქარისთვის 2.000-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს.

იმის გამო, რომ ნინომ ცოლობაზე უარი უთხრა, რევაზ კუჭუხიძემ შურისძიების მოტივით, მისი მოკვლა განიზრახა და 2008 წლის 29 სექტემბერს ყოფილ მეუღლეს საცხოვრებელ კორპუსთან ჩაუსაფრდა. დაახლოებით 23 საათზე შენიშნა ნათესავ გოგონასთან, ოლია გოგინაიშვილთან ერთად სადარბაზოდან გამოსული ნინო, მიეპარა და დანით სხეულის დაზიანება რამდენჯერმე მიაყენა. მუცლისა და გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა — კაპანაძე გარდაიცვალა, რევაზ კუჭუხიძე კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. კუჭუხიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით — განზრახ მკვლელობა — აღიძრა. რევაზი გამოძიებას კარგა ხანს ემაღე-

ბოდა, მაგრამ შემდეგ, ბრალის აღიარებით, პოლიციაში გამოცხადდა. იგი ყოფილი ძალოვანია.

მოსამართლე ევა არეშიძემ საქმე არსებითად განიხილა. მოწმის სტატუსით რამდენიმე პირი დაჰკითხეს, მათ შორის — ფაქტის ერთადერთი თვითმხილველი, მოკლულის დეიდაშვილი ოლია გოგინაიშვილი. მისი თქმით, ყველაფერი ნამებში მოხდა. სადარბაზოდან გამოსულებს რევაზ კუჭუხიძე თავს დაესხა; ოლია რამდენიმე ნაბიჯით წინ მიდიოდა; უცებ, ნინოს კივილის ხმა მოესმა, მიიხედა და დანახა, თუ როგორ მიუახლოვდა რევაზ კუჭუხიძე ნინოს, ხელები დაუჭირა და დანა ჩაარტყა. გოგინაიშვილმა დეიდაშვილის დახმარება ვეღარ შეძლო, რადგან დამნაშავე მასაც მოკვლით ემუქრებოდა. „მათ ირგვლივ ვტრიალებდი, წრეზე დავბოდი, ვცდილობდი დახმარებას, მაგრამ ვერ შევქედი. თან გამწარებული ვკივიდი და დახმარებას ვითხოვდი. კარგად დავინახე ნინოს დასისხლიანებული სახე. სანამ ნინო არ დაეცა ძირს, ის არ მოეშვა, მერე გაიქცა...“ — აღნიშნა მონემ.

პროცესზე მოწმის სტატუსით, რევაზ კუჭუხიძის მეგობარი, გიორგი ჩაჩანიძეც დაიკითხა. როგორც გაირკვა, რევაზი ნინოს სანახავად ბორჯომში სწორედ მისი მანქანით ჩავიდა.

ბიორგი ჩაჩანიძე:

„რეზომ მთხოვა, ბორჯომში წამეყვანა. როგორც მითხრა, ნინო და დედამისი სახლიდან ეკლესიაში უნდა წასულიყვნენ. მანქანა სახლთან გააჩერეთ. ნინა დღეს მორიგე ვიყავი და ჩამეძინა. საჭესთან ვიჯექი, რეზომ გამაღვიძა და მითხრა, — გამოვიდნენ, გავეყვით. ნახევარი კილომეტრი გავიარეთ. ნინო დედას დაშორდა, რეზო მასთან მივიდა და 5-10 წუთი განმარტობით ისაუბრეს. ამ დროს ნინოს ვიღაც ბიჭი გამოელაპარაკა. მალე რეზო მანქანაში ჩაჯდა და პოლიციაში მოვიდა; განყოფილებაში წაგვიყვანეს. რეზოს ჰკითხეს, — თქვენ ხართ ის პოლიციელი, ნინოს რომ აწუხებდნენ?.. არ ვიცოდი, იმ დღეს ვისთან და რაზე მივდიოდი. ბორჯომში რომ ჩავდივით, მერე გავიგე, გოგოს რომ უნდა შეხვედროდა. რეზო დაქორწინებული რომ იყო, ესეც არ ვიცოდი. გაბრაზებული იყო და სამსახურში ამბობდა, — გაშორებას არ ვაპატიებო. მკვლელობის დღესაც სამსახურში ჩემი მანქანით მივიყვანე. მერე უფროსისგან გავიგე, რომ გოგო მოუკლავს. ნინოსთან განშორების შემდეგ მას საცოლე ჰყავდა. მეც ვარ

იმ ოჯახში, ზაჰესში წამყოფი. ვეუბნებოდი, ნინოსთვის თავი დაენებებინა და ცოლად ხათუნა მოეყვანა. როგორც ვიცი, ნინო ორსულად იყო, დედამისმა მუცელი მოაშლევინა და ამის გამო დაშორდნენ ერთმანეთს. რეზომ მუსიკალური ცენტრი და ტელევიზორი ხათუნას აჩუქა. ამბობდა, ნინოს თავს მახსენებს და სახლში არ მინდა მქონდესო“.

სასამართლო პროცესზე განსასჯელი რევაზ კუჭუხიძე დაიკითხა:

„დაცვის პოლიციაში ვმუშაობდი. ტექნიკური უნივერსიტეტის დაცვის უფროსი ვიყავი. კანცელარიის უფროსმა (იგულისხმა ნინოს დეიდა) საშვთა ბიუროში მისი დისშვილის დანიშვნა მთხოვა. შტატი თავისუფალი იყო, უფროსს დაველაპარაკე და ნინო მივიღეთ. შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე მუშაობდა. ძალიან დავახლოვდი, მთელმა სამმართველომ იცის, როგორი ურთიერთობა გვქონდა. ნინოს შეყვარებული ჰყავდა და თავის პირადულს მიყვებოდა... ვაკის პოლიციაში განთავისუფლდა ადგილი; ვთხოვე უფროსს და იქ გადავიყვანეთ. ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია. ერთ დღეს ატირებულმა დამირეკა და მთხოვა, მასთან მივხუთიყავი. იმ დღეს შეყვარებულს დაშორდა, ამას ძალიან განიცდიდა.“

ნელ-ნელა ყველაფერი მწყობრში ჩადა და ჩვენი ახლო მეგობრობა სხვა რამეში გადაიზარდა. სახლში დამპატიყა. მეგობართან ერთად მივედი. ვიქეიფეთ. რამდენიმე დღის შემდეგ მითხრა, შენთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ რაღაცას ვაჭყობ... ხომ არ გიყვარვარო? ეს ტელეფონზე სალაპარაკო არ არის, შეგხვდები-მეთქი. ვუთხარი, რომ მომწონდა და მიყვარდა. კატეგორიული უარი მითხრა, ეს საქმე არ გამოვაო. მიზეზის თქმა ვთხოვე... მორიგი შეხვედრა ქაშუეთის ეკლესიასთან, სკვერში მოხდა. მაშინ გავიგე, 15-16 წლის ყოფილა, ბიჭმა რომ მოიტაცა. არც თვითონ ყოფილა მის მიმართ გულგრილი. მათ შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობა მომხდარა, მაგრამ დედამისმა წამოიყვანა. ეს არის ჩემი პრობლემაო. — როცა ადამიანი გიყვარს, ეს პრობლემა არ არის-მეთქი. ამ საუბრის შემდეგ გავაიციე, მეგობართან მიდიოდა. საღამოს დამირეკა და სახლში მისვლა მთხოვა. ვისადილეთ, კონიაკი დავლიეთ; წასვლა დავაპირე, მაგრამ მითხრა, თუ გინდა, დარჩიო. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობა... 2007 წლის ოქტომბერი იყო, 27 თუ 29 რიცხვი,



მითხრა, — მგონი, ორსულად ვარო. ექიმთან წავიდა და დამიდასტურა, რომ ორსულად იყო. გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ერთ დღეს დამირეკა და მითხრა, დედა უნდა გაგაცნო. სახლში დედამისი დამხვდა. 2-3 საათი ვი-საუბრეთ, დედამისი ბორჯომში წავი-და... 25 ნოემბერს ნიშნობა გვქონდა. ძალიან მორწმუნე ადამიანი იყო. მეორე დღეს მარხვა იწყებოდა. ნინოს დედამ ჩვენს ურთიერთობაზე აბსოლუტურად ყველაფერი იცოდა. ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად ბორჯომში ნიშნობაზე ჩავედი, ძალიან კარგად მიგვიღეს. დიდხანს არ გავჩერებულვარ-თ. ამის შემდეგ ჩვეულებრივად გრ-ძელდებოდა ურთიერთობა. ნივთები ნი-ნოსთან გადავიტანე, რადგან მითხრა, ბინას გატეხავენ, ხან შენთან ვიყოთ, ხან — ჩვენთანო. მეც დავეთანხმე და ასე ვცხოვრობდით. დედამისი ჩამოვიდა, ჩემი ძმაც არ იყო სახლში, სოფ-ში მუშაობ-და და დედასთან წავედი; ნინოს ვუთხ-არი, — სანამ დედაშენი იქნება, მე დე-დასთან ვიქნები-მეთქი. 24 დეკემბერს ნინო მორიგე იყო. ტელეფონი გამორთუ-ლი ჰქონდა; ვრეკავდი; ბოლოს ჩართო და მითხრა, დედას ვახლავარ სამშობი-აროში, ექიმთან არის ჩამოსულიო. მერე ისევ გამორთული ჰქონდა ტელეფონი. გამიკვირდა. სამსახურის შემდეგ სახლ-ში წავედი, იქიდან ვრეკავდი. სახლის ნომერზე დედამისმა მიპასუხა და მითხრა: შვილო, ცუდად ვიყავი, ექიმთან მახლ-და, ისე, ხომ იცი, როგორი დეპრესიუ-ლი გოგოა; ახლა სამსახურში წავიდა და უკვე ტელეფონი ჩართული ექნებაო. მართლაც, 20 წუთში ნინოს ველაპარ-აკე, აბსოლუტურად შეცვლილ ადამი-ანს. ახლა ტრანსპორტში ვარ, რაღაც მოხდა, სამსახურში რომ მივალ, და-გირეკავ და ყველაფერს გეტყვიო. რომ დავურეკე, მითხრა, ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოვა, შენ — შენთვის, მე — ჩემთვის-სო. მიზეზი ვკითხე. ტირილი დაიწყო. მეც ავწვრივდი და ხმაშავდა ვე-საუბრებოდი. მითხრა, — ყველაფერს ხვდა ავიხსნი, დედაჩემი კატეგორიული წინააღმდეგიაო. რახან სამშობიაროში იყვნენ, ვკითხე, — აბორტი ხომ არ გაგიკეთებია-მეთქი? კატეგორიული უარი მითხრა. რა გაშორებაზე მეუბნე-ბი, ხალხი მილოცავს, რა ვთქვა-მეთ-ქი?! — ვთქვათ, რომ ხასიათით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთსო... მერე მეგობარ-თან, ლამრიკოსთან იმალებოდა. ჩემთვის მისი სახლის მოძებნა პრობლემა არ იყო, მაგრამ შეგნებულად მოვერიდე. მუშაობის ხალისი არ მქონდა. ნინოს მენყვილე, მაია ვნახე და გამოველაპარ-აკე. მაიამ მითხრა, მუსცელი მოიშალაო. ორი თვის ორსულს დედამ მუსცელი მოუშალა, ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ჩემთვის. სამარშრუტო ტაქსი-დან ნათქვამი სიტყვები მაკმარეს: შენ — შენთვის, მე — ჩემთვისო. მაიას ვუსაყვედურე, ეს ადრე რომ გეთქვა, იმ

ბავშვს გადავარჩენდი-მეთქი. ეს ყვე-ლაფერი დედის ზენოლით გააკეთა. ად-ამიანი, რომელიც მარხულობს, ეკლე-სიაში დადის, ამას აკეთებს?! მერე ვე-ცადე, დამედიანა რომელ სამშობიარო-ში იყვნენ, მაგრამ ვერ შევძელი. ვცდი-ლობდი, რამენაირად მენახა. ბორჯომ-ში დავრეკე, მამამისს ვუთხარი, — დედა-შვილი მემალემა და იქ ხომ არ ჩამოსუ-ლან-მეთქი? — შენ ვინ გეკითხება, ჩემი ცოლი სად წავა?! ნინოსთან შენ გაარკვეე ურთიერთობაო. მერე დამირეკა და მა-გინა, — ნინოსთვის გიგინებიაო. ვთხ-ილე, ნინოს ტელეფონი ჩაერთო. მარ-თლაც, ნახევარ საათში ჩართო. შეხვე-დრა დამითქვა, მაგრამ არ მოვიდა. ვე-ლარ ვუკავშირდებოდი. რამდენიმე დღე-ში მამამისმა დამირეკა და სახლ-იდან ჩემი ნივთების წაღება მიბრ-ძანა. სახლში ნინო არ დამახვედრეს, — გოგოს არ უნდა და მორჩაო. წამოვილე ნივთები; საუბრის სა-შუალება არ მქონია. რატომ გაუკეთეს აბორტი? თუ თვითონ არ უნდოდათ, მოეცათ ის ბავშვი და მე გავზრდიდი“.

მონმის სტატუსით დაკითხული მეგობრის ნათქვამი განსასჯელმა არ დაადასტურა და განმარტა, სხვა სა-ცოლე არ მყოლიაო. „ნინოს ვუყ-იდე ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრი, შემდეგ არ შემეძლო ამ ნივთების ყურება და ამიტომ ვაჩუ-ქე იმ გოგოს. ნინომ მითხრა, — რეზო, შენ რომ შეგირიგდე, ჩემი მშობლები და ნათესავები უნდა დაგვარგო“.

განსასჯელის მტკიცებით, ნინო მასთან პერიოდულად რეკავდა.

მისი ჩვენება დაზარალებული მხ-არისთვის გამაღიზიანებელი აღ-მოჩნდა. მოკლულის დედა ირწმუ-ნებოდა, — კუჭუხიძის ყველა სიტყვა ტყუილია, მას მეზობლები აწვდიდნენ ინფორმაციას ნინოს გადაადგილების შესახებო. დაზარალებულის მტკიცებით, განსასჯელი მის შვილს გამუდმებით მოკვლით ემუქრებოდა და ეს მუქარა აასრულა კიდევ.

კუჭუხიძემ თავის ჩვენებაში ბორჯომში მომხდარ ინციდენტზეც ისაუბრა:

„პროვოკაციაზე წამოვეგე. როცა ბორჯომში ჩავედი, ტაბელური იარაღი თან მქონდა და მკვლელობა რომ მნდო-მოდა, ვესროდი, რა პრობლემა იყო?! ნინოსგან ვიცოდი, ეკლესიაში რომ მიდ-იოდა... ხელი დავადე, შემოტრიალდა; როგორ ხარო? ჩვეულებრივად ვსაუბრობდით. ამ დროს ბიჭი მოგვი-ახლოვდა და ნინოს უთხრა, — წამოდი, გელოდებიანო. ნინომ მითხრა: მეჩქარე-ბა, საუბარი არ გამოვა; რეზო, წადი თბილისში, თორემ დაგიჭერენო... ჩავჯექი მანქანაში და პოლიციაც მოვიდა. ნინოც მოიყვანეს განყოფილებაში. „მშლილი“ იყო, ხმა არ ამოუღია. პოლიციას არას-

ნორი ინფორმაცია ჰქონდა. ნინოს განცხ-ადება დამიდეს წინ, მაგრამ მისი დან-ერილი არ იყო. იქ ეწერა, რომ ტუ-ბერკულით დაავადებული ვიყავი და დაშორების მიზეზი ეს იყო... მუქარის ბრალდებით დამაკავეს. ერთი დღე-ღამე ვიყავი დაკავებული. სასამართლომ გი-რაო, 2.000 ლარი შემეფარდა“.

განსასჯელმა დაადასტურა, რომ ნი-ნოს მამასთან რეკავდა და აგინებდა.

მან მკვლელობის დღე ასე გაიხსენა: „ნინოსთან მინდოდა, ჩემი უსამართ-ლო დაჭერა გამეჩვენებოდა და რატომ დან-ერა არარსებული რამ საჩივარში. გი-რაოს თანხა ბოლო დღეს, ჩემი ოჯახის წევრების დაუჩინებელი მოთხოვნით გა-დავიხადე, არადა, მინდოდა, სიმართლე



მოკლული ნინო კაკაბაძე

დამემტკიცებინა. ნინომ დამირეკა სამ-სახურის ნომერზე და მითხრა, რომ ჩამოდიოდა. საღამოს 10 საათი იქნე-ბოდა, მის კორპუსთან რომ მივედი. იქვე კორპუსთან, სკამზე ვიჯექი. ბინა-ში მუქი ენთო. 11 საათი სრულდებო-და, ნინო და ის გოგონა სადარბაზოდან რომ გამოვიდნენ. ნინოს ფერფლისფერი, კაპიუშონიანი ზედა ეცვა, კაპიუშონი თავზე წამოხურული ჰქონდა. სადარბა-ზოდან გამოვიდნენ, მეც მათკენ წავედი. ნინო ვერ შევადგავ და დაუძახე. შემო-ტრიალდა. ის გოგო რამდენიმე ნაბიჯით წინ იყო. მოვიკითხე. ნინოს ნაჩუქარ დანას ვატარებდი. ტაბელური იარაღიც თან მქონდა. მისი მოკვლა გამიზნული რომ მქონოდა, ვესროდი. დიდი ხანი არ გვისაუბრია, 2-3 წუთი. ძალიან ბევ-რი მქონდა სალაპარაკო. პირველი, რაც ვუთხარი, — ბავშვი რატომ მოიცდილე-მეთქი? — მომხდარი ამბავია, შენ არაფერი საქმე არ გაქვს, ეს ბავშვი შენი არ იყოო. ამ სიტყვებმა წყობიდან გამომიყვანა, კონტროლი დავკარგე. იმ



გოგოს ვერ ვხედავდი. მაშინ ამოვიღე დანა. ცაცია ვარ, მარცხენა ხელში მეკავა. ნინოს უნდოდა, მოეგერიებინა, ხელი მაჯაში წამავლო, ნელში მოხრდი იყო, დანა რომ დავარტყი. ერთი ხელი მეკიდა. არ მახსოვს, დანა რამდენჯერ დავარტყი. მერე ნელში გაიხრდა და ხელი გავეშვი. კვილი ატყდა. ბეტონის ნატეხს წამოვარტყი ფეხი და ნაძვებში შევედი. ნინო ფეხზე იდგა, კვილი ისევ მესმოდა. აჩქარებული ნაბიჯებით წავედი, არ გავეცეულვარ. ტაქსი გავაჩერე და სადგურში წავედი, იქიდან — ხონის რაიონში, სოფელში. იარაღი იმ დროს დავკარგე. მეორე დღეს ტელევიზიით გავიგე, რომ ნინო მოკვალა. არ ვიცოდი, ამხელა დაზიანებები თუ მივაყენე. ერთი ნელი ვიმალებოდი, შემდეგ ჩემი ფეხით მივედი პოლიციაში. დედამისის ნათქვამი, რომ ნინოს ვემუქრებოდი, ტერორში მყავდა და ჩემი გამოჩენის ეშინოდა, ტყუილია. მისი მოკვლის განზრახვა არ მქონია. ყველაფერი სპონტანურად მოხდა, ნინოს პასუხიდან გამომდინარე“.

სასამართლო სხდომაზე მოკვლეის მშობლებიც დაიკითხნენ. ნინოს დედამ დეტალურად ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ არ აძლევდა გასაქანს მათ ქალიშვილს კუჭუხიძე, სთხოვდა შერიგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლით, ოჯახის წევრების ამონეცხვით ემუქრებოდა; იძულებული გახდნენ, პოლიციისთვის მიემართათ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც სისასტიკით მოუკლეს შვილი. „რატომ მომიკალი ჩემი ანგელოზივით შვილი?!“ — ეს კითხვა დაუსვა განსასჯელს ნინოს დედამ და თან, მისი უმკაცრესად დასჯა მოითხოვა.

სასამართლო სხდომები დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. რეპლიკებს ორივე მხარე ისროდა. განსასჯელსა და დაზარალებულს შორის შელაპარაკება რამდენჯერმე მოხდა. ფაქტი იყო, დარბაზში მყოფები ჩადენილის გამო მას სინანულს ვერ ატყობდნენ და კუჭუხიძის ირონიული გამოხედვა მათ აღშფოთებებს იწვევდა. მოსამართლემ რამდენჯერმე მისცა მხარეებს შენიშვნა, ბოლოს კი, მოკვლეის დედის მისამართით წარმოთქმული სალანძღავი რეპლიკის გამო, განსასჯელი სხდომის დარბაზიდან გააძევა. განსასჯელი დარბაზში მხოლოდ განაჩენის გამოცხადების დროს შემოიყვანეს. პროკურორმა მისი ორივე მუხლით გასამართლება მოითხოვა. განსასჯელის ადვოკატი, თემურ გოქსაძე მიიჩნევს, რომ აშკარაა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული და კუჭუხიძე ამ მუხლით უნდა დაესჯათ.

დაზარალებულის ადვოკატი ცისანა ქველაძე კი ბრალის დამძიმებასა და უმკაცრესად დასჯას მოითხოვდა. დაზარალებულმა აგრეთვე, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებად, 150 ათასი ლარის დაკისრება, ადვოკატმა კი კუჭუხიძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების დაყადაღებაც მოითხოვა.

მორალური ზიანის ანაზღაურებაზე

განსასჯელმა უარი განაცხადა და რეპლიკა ისროლა: „მე რა ტრავმატ მომაყენეს, იმას ვინ ამინაზღაურებს?..“ მის ამ სიტყვებსაც დარბაზის რეაქცია მოჰყვა.

მოსამართლემ 35 წლის რევან კუჭუხიძე წარდგინებულ ბრალდებებში დანაშაულსა და მკვლელობისთვის 14 წელი შეუფარდა, ხოლო მუქარისთვის — 1 წელი. საბოლოოდ, 15-წლიანი პატიმრობა განუსაზღვრეს. გამოტანილი განაჩენით ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩა და განაჩენი სააპელაციო სასამართლოში ორივემ გაასაჩივრა. დაზარალებულის ინტერესს ადვოკატი ცისანა ქველაძე იცავს. იგი 30 წელიწადი გამომძიებლად მუშაობდა და აცხადებს, რომ ასე არასწორად დავკალაფიცირებული საქმე არ უნახავს. ადვოკატმა, ბრალის დამძიმების მოთხოვნით, პროკურორატურას სასამართლო გამოძიების ეტაპზე მიმართა, მაგრამ უშედეგოდ:

— საქმეში რომ ჩავერთე, მასალები უკვე სასამართლოში იყო გადაგზავნილი. ბრალდება არაკვალიფიციურია, არ არის შეტანილი ის რეალობა, რაც განსასჯელმა ჩაიდინა. როცა პროკურატურამ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა აიღო, როცა გაირკვა, რომ გოგოს 10 ჭრილობა მიაყენეს და როცა სახეზე იყო განსაკუთრებული სისასტიკე, პროკურატურა ვალდებული გახლდათ, საქმე 109-ე მუხლით აღეძრა და ისე გაეგზავნა სასამართლოში. კუჭუხიძე გამუდმებით, მთელი წელი ემუქრებოდა ნინოს, — უნდა დაგამახინჯო, ღორივით უნდა დაგკლაო. მისი სურვილი და მიზანი იყო, ეს ლამაზი გოგო დაემახინჯებინა და მისთვის ტანჯვა მიეყენებინა. მისი დასახიზრება სახიდან დაიწყო: პირველად ტუჩები გადაუჭრა, სახე დაუმახინჯა; ექსპერტი ამბობს, რომ ეს დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია; ეს განზრახვა კი გამოძიებამ საქმეში არ გამოაჩინა. ყველა ის დარტყმა, რომელიც მიაყენეს, ბრალში უნდა იყოს აღწერილი. მარტო გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობაა დაფიქსირებული. სახეზე მიყენებული ჭრილობები ვის დაუტოვეს?! ვინ მიაყენა ნინოს სახეზე დაზიანებები?.. თუ სხვამ, მაშინ გაუხსნელია?! დაზიანებები კუჭუხიძის ბრალად შერაცხული არ აქვს, ეს დიდი ლაფსუსია. მოვითხოვე კვალიფიკაციის შეცვლა. საუბედუროდ, სასამართლოს უფლებები მოუსხპეს და ბრალის დამძიმება არ შეუძლია. კუჭუხიძის მიზანი ტანჯვის მიყენება იყო და არა უბრალოდ სიცოცხლის მოსპობა. მარტო მოკვლა რომ ნდომოდა, იარაღით მოკლავდა. მან დანიტ დასერა და მერე მოკლა, აუსრულა ის, რასაც დაჰპირდა. პირველ რიგში, ტუჩები გადაუჭრა, სისხლი ჩაუდგა და ვეღარ დაივიწყა გოგომ... როცა დაიკმაყოფილა სურვილი, მისი დამახინჯებული, გასისხლიანებული სახის ყურებით, მერე გულზე, მხარზე და სხეულის სხვა ნაწილებში მიაყენა მრავლობითი და-

ზიანება. მან ნინო დედაშვილის თვალწინ მოკლა. მოწმე ამბობს, — დავინახე, ტუჩებიდან სისხლი როგორ სდიოდაო. ნათესავის თვალწინ ჩადენილი დანაშაული სწორედ არის 109-ე მუხლი, სახეზე განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, მაგრამ არა ამ მუხლით, არამედ 108-ე მუხლით გაასამართლეს და 15 წელი მიუსაჯეს. მკვლელობამდე 6 თვით ადრე მუქარაზე აღიძრა საქმე... მათ ერთმანეთი სამსახურში გაიცნეს. რამდენიმე თვე გოგოს ბინაში ცხოვრობდნენ, შემდეგ ოფიციალურად დაინიშნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ გოგომ შეიტყო, რომ რევანს თირკმელების ტუბერკულოზი ჰქონდა; გარდა ამისა, ის სულ ემუქრებოდა, რომ ეს არავისთვის ეთქვა და თუ თავს დაანებებდა, მოკლავდა. მშობლების თქმით, ნინობაც ამ მუქარის ქვეშ მოხდა. ალბათ ტუბერკულოზის ფაქტორიც იბოქმედა — მას აღარ სურდა მასთან ცხოვრება; რომ ჰყვარებოდა, ალბათ ამას დათმობდა, მაგრამ ხასიათითაც ვერ შეეწყენენ. დაშორება უნდოდა. კუჭუხიძე სულ დასდევდა, ბორჯომში აკითხავდა, უსაფრდებოდა, შერიგებას ითხოვდა. გამომყევი, თუ არა და, დაგამახინჯებ, ოჯახს ამოგიწყეცხავ, მოგკლავო. ეს ესმოდა სულ ნინოს და ბოლოს, განსასჯელმა მაინც გააკეთა ის, რასაც შეჰპირდა.

დაზარალებულის ადვოკატის თქმით, ნინომ პირველად დედას უთხრა, რომ არ სურდა რევან კუჭუხიძესთან ცხოვრება. „მიმართეს პოლიციას და მუქარის ფაქტებიც შეატყობინეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს შვილი. იმ დღეს ჩასაფრებული იყო. დედაშვილი 2 მეტრში იდგა, მის თვალწინ დასახიზრდა. გაცოფებული ჩხედა გოგოს; როცა ძირს დაეცა, მერე გაიქცა. აბორტზე აქცენტს აკეთებს და მისი ადვოკატი აფექტზე საუბრობდა; რა აფექტზეა ლაპარაკი, როცა მთელი წელიწადი ემუქრებოდა?! აბორტის შემდეგ 6 თვე იყო გასული, აფექტი — წუთიერია! ჯერ ერთი, არ არის დადასტურებული, გაიკეთა თუ არა ნინომ აბორტი, ამის დოკუმენტი ვერ მოიპოვეს. ანდა დღეს, 50 პროცენტი აბორტს იკეთებს და დახოცონ ცოლები?! როგორ გაბედა მან დაცილება?! ვერ დაიმორჩილა, ვერ დაიმონა და ამის გამო იძია შური, ტანჯვით მოკლა! როცა ასახიზრებდა, იმ მომენტში მიიღო დიდი სიამოვნება... მომხდარზე სინანული არ ჰქონია, ვითომ სხვის პროცესზე იყო. იმედი მაქვს სააპელაციო სასამართლოში მოხდება ხარვეზის გამოსწორება. საქმეს სწორი კვალიფიკაცია მიეცემა, განაჩენი შეიცვლება და სასჯელი დაუძიმდება“, — აცხადებს ადვოკატი ცისანა ქველაძე.

განსასჯელის ადვოკატი **თაზურ გოსძაძე** კი სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით, შევიდა სასამართლოში:

— ეს არ იყო სამართლიანი გადწყვეტილება. პატივს ვცემ მოსამართლე ეკა არეშიძეს, მაგრამ შედეგის გავლენის ქვეშ მოექცა. იმედი მაქვს, შემდგომ ინსტან-



ყველაფერი კარგად იყო...

მარი ჯაფარიძე

ხუთიოდე წლის ბიჭუნა ეზოში, სილაში თამაშობდა. კვირადღე იყო, თანაც — ზაფხული და ბავშვები ქალაქიდან იყვნენ გასული. ბიჭუნა მარტო თამაშობდა. პაერი დახუთული იყო, ცხელოდა, მაგრამ ბავშვი ამას ყურადღებას არ აქცევდა. პატარებისთვის ხომ ცუდი ამინდი არ არსებობს... მთავარია, არ ავადმყოფობდნენ...

იმ დღეს ბიჭუნას ოჯახში სტუმრებს ელოდნენ. ბაბუა 70 წლის ხდებოდა და იუბილეს აღნიშნავდნენ. ვინაიდან ბაბუა ომის მონაწილე იყო, ბავშვმა ტანკი დახატა და საჩუქრით დილითვე გაასარა. სიტყვიერად აუხსნა, რომ ტანკში ახალგაზრდა ბაბუა იჯდა და გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა. ნახატის ქვევით კი წითელი ფლომასტრით გულმოდგინედ გამოყვანილი ასოებით ეწერა: „გმირი“.

მიუხედავად იმისა, რომ ბიჭუნა მხოლოდ 5 წლის იყო, კარგად იცოდა, ვინ იყვნენ ფაშისტები და რატომ ებრძოდა მათ ბაბუა. პატარამ წერაც იცოდა და კითხვაც. ოჯახის ყველა წევრი მის განათლებაზე ზრუნავდა. ვინაიდან ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო (დედა, მამა, ბებია, ბაბუა), ყველა იმ სფეროში „ანათლებდა“ ბავშვს, რომელსაც თვითონ მოსწონდა და ლამაც ბევრ საკითხში ერკვეოდა. ის მათთვის ერთადერთი შვილი და შვილიშვილი იყო. დედა ინგლისურ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა და სწორედ მისი დამსახურება გახლდათ, რომ ბავშვი ინგლისურ ენასაც კარგად ფლობდა... ყველა რაღაცას ასწავლიდა, რადგან სწამდათ, რომ მისგან „დიდი ადამიანი“ გამოვიდოდა. მის ცხოვრებაში „ბავშვობისთვის“ დრო თითქმის არ იყო, მაგრამ რა თქმა უნდა, ლამა ამას ვერ ხვდებოდა, ის უფროსებს ენდობოდა, მათ მიერ მიწოდებულ, ნებისმიერ ინფორმაციას იოლად ითვისებდა და ფიქრობდა, რომ ყველა ბავშვი ასე ცხოვრობდა; შინაურები მუდმივად ჩასძახოდნენ: „იფიქრე, იფიქრე და იფიქრე!“ „იფიქრე იმაზე, რას ამბობ, როგორ ამბობ, ვის ელაპარაკები, როგორ ჭამ“... აღმოჩნდა, რომ თურმე, „ლაამაზად“ უნდა ჭამოს. როდესაც თავის მეზობელ გიგის უთხრა, — ადამიანმა ლამაზად უნდა ჭამოსო, იმას გაეცინა. — შენ სულელი ხარ, ადამიანმა ლამაზად კი არა, გემრიელად უნდა ჭამოსო, — უთხრა. გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, გიგის ნათქვამს ეთანხმებოდა „იმ ნაწილი“, რომ მართლაც, გემრიელად ჭამა სჯობდა, მაგრამ „სულელში“ ვერ დაეთანხმა, რადგან თვითონაც გრძობდა, რომ სულელი ნამდვილად არ იყო და პატარა ასაკის მი-

ცებში საშარტალს მივალწვეთ. სასამართლომ არ დანიშნა კომპლექსური ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, არადა, ეს აუცილებელია იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა განსასჯელი. მონშეთა ჩვენებებით, ყველა მტკიცებულებით ჩანს, რომ კუჭუხიძე ამბობდა, — შვილის სიკვდილს არავის შევარჩენო. როცა მეგობარს შვილი შეეძინა, მასზე ამ ფაქტმაც ძალიან იმოქმედა. ბიჭები ამბობენ, რომ მოულოდნელად მანქანის კაპოტს ძლიერად დაარტყა ხელი და დაახინა. ამგვარი ემოციის ქვეშ იყო. თან ამბობს, — შვილის ყოლის ერთადერთი შანსი იყო და ის წასიცი მომისპესო!.. როცა ცოლმა თავიდან მოცილების მიზნით უთხრა, — რა ამოგიყვანე ყელში, ეს ბავშვი შენი მაინც არ იყო! — ეს იყო ბოლო წვეთი: გაცნობიერებული არაფერი მქონდა, — ამბობს... ვაცხადებთ, ეს იყო ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული და ამის გარკვევა ექსპერტიზის დასკვნის გარეშე არ შეიძლებოდა, ამიტომაც მოვითხოვეთ ექსპერტიზა. რა უშლიდა ამის დანიშვნას ხელს?! ზუსტად ის ფაქტი, რომ ჭრილობები არის სხვადასხვა და რამდენიმე, ძლიერ სარის ადელევეზზე მიუთითებს. ეს ფაქტი აბორტიდან გამომდინარე მოხდა.

ბატონო თემურ, აფექტზე ლაპარაკობთ, თუმცა აბორტიდან კარგა ხანი იყო გასული.

— ყველაფერი პერმანენტულად ხდებოდა. მათი დაშორება საფუძველს მოკლებული იყო. აშკარად ჩანს, რომ გოგოზე გარე ფაქტორებმა იმოქმედა. ის, რომ ტუბერკულოზის გამო დაინგრა ოჯახი, სიცრუეა. საქმის მასალებით გამოიკვეთა, რომ მკვლელობა აბორტის გამო მოხდა. რევაზი ამბობს, რომ ნინო მას ურეკავდა და უზუნებოდა, სად მიდიოდა; ისიც უთხრა, რომ უცხოეთში უშვებდნენ. რაც შეეხება დანას, ის ნინოს ნაჩუქარი იყო; შეინახა, რადგან ნინომ უთხრა, — დამიბრუნეო.

განსასჯელს პროცესზე მომხდარის გამო სინანული ვერ შევატყვევო. რატომ?

— ასეთი პოზიცია აქვს: ადამიანებმა ორგანიზება გააკეთეს და ოჯახი დამინგრის, მომავალი წამართვეს, რადგან მე სხვა შვილი აღარ მეყოლებოდა. ის მომხდარს ნანობს, მაგრამ ამას საჯაროდ არ ამხელს. ამბობს, — ისინი ვერ მნახავენ ასეთს. ამ ხალხმა შვილი მომიკლა, მე ჩემი ჯვარი მაქვსო. სხვანაირი, ემოციური ადამიანია... დარბაზიდან გააძევეს და არ მიეცა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის თქმის საშუალება. ალბათ, სააპელაციო სასამართლოში იტყვის ამას. ვითხოვთ კვალიფიკაციის შეცვლას.

p.s. ჩვენ საქმის მიმდინარეობას მივადევნებთ თვალს და ვნახოთ, საბოლოოდ რა ვერდიქტს გამოუტანენ რევაზ კუჭუხიძეს.

უხედავად, სიამყისა და ღირსების გრძობა ზომიანე მეტად ჰქონდა განვითარებული.

ლაშას ჭადრაკის შესწავლა უნდოდა, მაამ უთხრა, რომ ეს „ჭკვიანი“ თამაშია. მისი მეგობრებიდან არავინ იცოდა ჭადრაკის თამაში. ბავშვმა მანც ისწავლა და მეორეჯერად მიმოიკოსაც მოუგო. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამარჯვების გამო მიმოიკოსგან თავში წამორტყმა მიიღო, ამას მისთვის გამარჯვებით გამოწვეული სისარულის განცდა არ გაუფერულებია — მოწინააღმდეგე ხომ მასზე გაცილებით დიდი იყო...

ვინაიდან მათი სახლი ახალი აშენებული განკლდათ და გარშემო სხვა სახლების მშენებლობაც მიმდინარეობდა, იქაურობა სამშენებლო პოლიგონად იყო ქცეული. ბავშვები სიმკარესა და ბლოკებზე სარბენად ეძახდნენ, მაგრამ მათთან ერთად არასოდეს მიდიოდა, ვინაიდან არც დედა გაუშვებდა იქ სათამაშოდ და თვითონაც გრძობდა, რომ შეიძლებოდა, საფრთხეს გადაჰყოფოდა. აკი ერთმა ბავშვმა ფეხი მოიტეხა და დღემდე მკურნალობდა, რადგან ფეხი ცუდად შეუხორცდა.

მშობლებს უხაროდათ, რომ მათი ვაჟი 5 წლამდე ისე მივიდა, ერთხელაც არაფერი დაუწვავს, არაფერი მოუტეხავს, თითქმის არ გაუჭრია, არც წაქცეულა და კოპიც არ დასჯდომია შუბლზე. საერთოდ, უპრობლემო ბავშვი იყო. რაღაცნაირად, იოლად იზრდებოდა, არასოდეს ავადმყოფობდა და დამჯერაც გახლდათ. ოჯახის წევრები ამყობდნენ ჭკვიანი შვილით და შვილიშვილით, თითოეული მათგანი მასში მხოლოდ ღირსებებს, კარგ თვისებებს ხედავდა.

დღეს კი ლამა მარტო თამაშობდა და მისთვის ვერავინ მოიცალა, რადგან ოჯახი იუბილესთვის ემზადებოდა. თანაც, უფროსები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბიჭუნა იქ ითამაშებდა, სადაც მიუთითეს და ფეხსაც არ მოიცვლიდა. მისთვის მშობლების სიტყვა ყოველთვის კანონი იყო.

ლაშა გახარებული გახლდათ, რადგან ასე დედანს კარგა ხანია, არ უსერიანია, თანაც — მარტოს. ბიჭუნას ეშინოდა, რომ სადაცაა, სადღეზე დაუძახებდნენ და შესაძლოა, დაეძინებინათ კიდეც — მაშინ სერირობასა და თავისუფლებას წერტილი დაესმებოდა. უკვე დიდი ხანია, საპირფარეოში შესვლაც უნდოდა, მაგრამ შინ არ მიდიოდა იმის გამო, რომ ეს „პირადი დღესასწაული“ არ დასრულებულიყო.

ლაშას მისი ასაკის გოგონა მიუახლოვდა.

— გამარჯობა, — გაბედულად მიესალმა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ბიჭუნამ.



მას გოგონები მოსწონდა, რადგან მათგან ნაკლები აგრესია მოდიოდა, მშვიდები და უკონფლიქტოები იყვნენ. მათი ტანისამოსიც კი მოსწონდა. ლამაზად ჩაცმა თვითონაც უყვარდა.

ლაშამ გულში გაიფიქრა, რომ გოგონა ძალიან ლამაზი იყო და გემოვნებით ეცვა, ყველაზე მეტად კი ცისფერთვლიანმა საყურემ გააკვირვა.

„დიდ გოგოს ჰგავს“, — გაიფიქრა და მის მიმართ პატივისცემის გრძობა გაუჩნდა. ერთმანეთი გაიცნეს. გოგონას ნინო ერქვა.

— რას თამაშობ?

— ეს ზღვაა, — სილაზე მიუთითა, — ჩემი გემი ჩაიძირა და ახლა დაუსახლებელ კუნძულზე მოვხვდი.

— შეიძლება, დაუსახლებელ კუნძულზე შენთან ერთად ვიყო?

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ბიჭუნა. — ორნი უფრო კარგად ვიქნებით.

ნინოსთან თამაში საინტერესოდ მოეწვეა. გოგონას კარგი ფანტაზიის უნარი აღმოაჩნდა და საინტერესო თავგადასავლებს იგონებდა. ლაშა ისე გაერთო, რომ თავისი გასაჭირი გადავიწყდა და როდესაც ბუნებრივმა მოთხოვნილებამ თავი შეასვენა, შეეშინდა, რადგან გოგონას თანდასწრებით ბუჩქებს ვერ მოეფარებოდა და არ უნდოდა, ნინოსთან შერცხვენილიყო. ერთდღერთი გამოსავალი რჩებოდა — მონ უნდა წასულიყო.

— ნინო, ცოტა ხანს დამელოდები? შინ ავირბენ და მალე მოვალ.

— მერე, გამოგიშვებენ?

— კი, შეიძლება ჭამა დამაძალონ, მაგრამ უცებ შევჭამ და ჩამოვალ, — ნაჩქარევად მიაძახა და შინისკენ გაქუსლა.

ლიფტის მოლოდინში კარგა ხანს იხტუნა ცალ ფეხზე, შემდეგ ლიფტი ზედიზედ რამდენჯერმე გაჩერდა... ბიჭუნა კაბინის კუთხეში ჩავჯდა კენესით, მუცელზე ხელი მიიჭირა და კბილი კბილზე დააჭირა... გრძობდა, თავს ვეღარ იკავებდა... კაბინის ერთი კუთხისკენ სახით შებრუნდა და მომარდა. შვება იგრძნო, მაგრამ შიში დაეუფლა. ცხოვრებაში პირველად, ასე შეგნებულად დაამავა და „ფისი“ იქ ქნა, სადაც არ შეიძლებოდა.

ლიფტის კარი გაიღო, მაგრამ ახლა მას სახლში უკვე აღარაფერი ესაქმებოდა. ისევ პირველი სართულის ლილაკს დააჭირა თითი. კაბინამ ქვევით დაშვება დაიწყო. ბიჭუნამ კუთხეში დაყენებულ გუბებს ირიბად გახედა. „ვინმე რომ შემოვიდეს ლიფტში, რა მოხდება?“ — გაიფიქრა ბავშვმა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რაც არ გინდა, რომ მოხდეს, სწორედ ის ხდება — ლიფტი რომელიმე სართულზე შეჩერდა, კარი

გაიღო და მეზობელი, მკაცრი გარეგნობის მამაკაცი შემოვიდა, რომელმაც იატაკზე დამდგარი „ტბა“ მამინვე შენიშნა.

— დედაშენი ჩემს ძალს აბრალედა და შენ ყოფილხარ, თურმე. შენები შინ არიან? — საძაგლად გაიღიმა მამაკაცმა.

ლაშა ჩუმად იყო. მას ძალიან რცხვენოდა და შეეშინდა კიდევ. მამაკაცმა ლიფტი შეაჩერა და იმ სართულის ლილაკს დააჭირა თითი, რომელზეც ბიჭუნა ცხოვრობდა. ლმერთმა იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს.

მამაკაცმა ხელი ჰკრა ზურგზე და ლიფტიდან ისე გააგდო, შემდეგ თითი ზარის ლილაკს დააჭირა. კარი გაიღო და დედა გამოჩნდა. ასეთი უცნაური კომპანიის დანახვისას ქალი შემფოთდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— ნამობრძანდით, გიჩვენებთ, — უთხრა მეზობელმა ბიჭუნას დედას. ლიფტი ჯერ ისევე მათ სართულზე იდგა. როგორც კი კარი გაიღო, დედა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მეზობელმა მინც აუხსნა:

— აი, თურმე ვინ ფსაშს ლიფტში. თქვენ კი შვილს ხელს აფარებთ და საწყალ ძალს აბრალებთ! — ამ სიტყვების შემდეგ დემონსტრაციულად შებრუნდა და კიბზე დადგა.

დედას ტუჩები აუცახცახდა, სახეზე სინითლემ გადააჰკრა და ბავშვს სილა მთელი ძალით გაანწა.

ბავშვი შეტორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა და არ წაიქცა. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს, მუხლზე გამხმარი ხის ტოტი გადაამტვრიესო.

— საძაგლო, როგორ გაბედე? — სიბრაზისგან სული ეხუთებოდა ქალს. ბიჭუნას ხელი ჰკრა და სახლის ღია კარში შეაგდო, — მიდი და მამას შენი პირით მოუყვიე ყველაფერი. ახლა ის დაგიმატებს.

ბიჭუნა იშვიათად ტიროდა, მაგრამ

ასეთი რამ მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა: ჯერ ერთი, თავისი საქციელის თავადაც რცხვენოდა; მეორეც — მას არასოდეს სცემდნენ, დედამ კი ახლა ისეთი შემოსცხო, რომ თავიც ასტკივდა.

ახლა მამასაც უნდა მოუყვეს. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა, რით უნდა დაეწყო მოყოლა; თითქოს მოსაყოლიც არაფერი იყო, მაგრამ ძალიან დაიბნა. სულიერი და ფიზიკური ტკივილი აწუხებდა.

— ნუ ბღავი! ჯერ საქმე გააფუჭე, ახლა კი ტირი?

ოთახიდან მამა გამოვიდა. მან ჯერ ცოლს შეხედა, შემდეგ — შვილს.

— რა ატირობს? — ჰკითხა დედას.

— თვითონ მოგიყვეს! შენ კი ნახავ, როგორი ჭკვიანი შვილი გვყავს. თურმე ძალლი უფრო ჭკვიანი არსებაა, ვიდრე — ლაშა.

ბიჭუნა ფიქრობდა, რომ მამა მუხლზე დაისვა და ყველაფერში თავად გაერკვეოდა — ასე ხდებოდა ხოლმე, თუ იცვლქებდა ან რამეს ისე გააკეთებდა, რაც უფროსებს არ მოეწონებოდათ.

ახლა კი ლაშა ისე ტიროდა, რომ არაფრის მოყოლის თავი არ ჰქონდა. თვალებიდან ცრემლი სდიოდა, ხელის ზურგით ინშენდა, სლუკუნებდა და ძლივს სუნთქავდა. მამამ თავისი ცხვირსახოცი მისცა, დედამ კი მოყოლა დაიწყო:

— ჩვენი ჭკვიანი შვილი ლიფტში ფსაშს! — თქვა მოკლედ.

— ვერ გავიგე?! — მამას ხმაში

უკვე მუქარა გაისმა.

— დიახ, სწორედ ასეა. მას ჩვენმა მეზობელმა მიუხსნო; იმ კაცმა, რომლის ძალსაც ვაბრალბდით ლიფტის დაბინძურებას. ახლა ყველა მეზობელი გაიგებს, რა საშინელი ოჯახი გვაქვს.

დედას კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ მამამ ბიჭს უკანალი მოუშინველა, მუხლზე გადაიწვინა და მოსცხო და მოსცხო. ბიჭუნას სტკიოდა და თან ეშინოდა. ცდილობდა, მამას

ხელიდან დასსლტომოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ასეთი რამ მის თავს პირველად ხდებოდა. მას გამეტებით ურტყამდნენ ის ადამიანები, ვინც ასე უყვარდა. ყოველთვის ფიქრობდა, რომ მშობლები სამართლიანად ექცეოდნენ და მათ არც ახლა ამტყუნებდა, მხოლოდ საკუთარ თავზე ბრაზობდა და ნაცემი ადგილები ძალიან სტკიოდა.

მამა როგორც იქნა, ცემას მორჩა, შემდეგ მკლავში ხელი ჩაავლო და საძინებელში გაიყვანა.

— აქ იქნები მთელი საღამო და ღამეც! მთელი ღამე ფეხზე იდგები, დაჯდომის უფლება არ გაქვს! ნუ ბღავი! თუ კაცი ხარ და დანაშაული ჩაიდინე, პასუხიც უნდა





აგო! გოგოსავით ნუ ტირი!
ამ სიტყვებმა ბიჭუნას ნინო გაახსენა და მამინვე შეწყვიტა ტირილი.

მამამ ოთახში დატოვა და კარი გაიხურა. იატაკზე ჩაჯდა და გაიხსენა, რამდენიმე წუთის წინ როგორ კარგად თამაშობდნენ ის და ნინო.

„სანყალი ნინო, ალბათ დიდხანს მოუნევს ლოდინი და დაილლება“. გარდა იმისა, რომ მან სიტყვა ვერ შეასრულა, ხვალ გოგონა გაიგებს, რა ცუდი ბიჭია ლამა.

ბავშვი ისევ ატირდა, მაგრამ ჩუმად... მამამ ხომ ხმამაღლა ტირილი აუკრძალა?! მას ისე უყვარდა დედა და მამა, რომ ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც მათ სურდათ, ახლა კი მშობლები უფრო მეტად უყვარდა, რადგან მათ წინაშე თავს დამნაშავედ გრძობდა.

ერთხელ ბაბუამ უთხრა, რომ ჯიუტი და ცუდი ბავშვები მთვარეს თავისთან მიჰყავდა. ამის შემდეგ ბიჭუნას მთვარის ემინოდა და მას „ბრმა თვალად“ მიიჩნევდა. ყოველთვის ნერვიულობდა იმის გამო, რომ შეიძლება, „ბრმა თვალით“ მთვარეს ვერაფერი გაერჩია და „ცუდის“ ნაცვლად „კარგი“ ბავშვი წაეყვანა! ახლა კი ლამა უფრო მეტად შეეშინდა, რადგან მამამ უთხრა, რომ ოთახში მთელი ღამით გამოკეტავდა. მხოლოდ ბებია და ბაბუას იმედი ჰქონდა, რომლებიც რაღაცების საყიდლად მაღაზიაში წასულან.

პირველი ბაბუა დაბრუნდა.
— სადაა ლამა? — იკითხა როგორც იქნა, როდესაც ბავშვს თვალი ვერ მოჰკრა.

- ოთახშია გამოკეტილი, დასჯილია.
- გამოუშვით ახლავე!
- ჯერ იკითხე, რატომაა დასჯილი,
- მიუგო დედამ.

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, იუბილარი ვარ და ამნისტიას გამოვცემ!

ბაბუას ყველა პატივს სცემდა და ოჯახში უფროსად მიიჩნევდნენ. ეს ბინაც მისი შექმნილი იყო, მანქანაც, მამას მანქანაც, სოფლის სახლიც, სადაც ბებიათან ერთად უნდა ეცხოვრა. ახალგაზრდები მოთმინებით ელოდნენ იმ დროს, როცა ისინი საცხოვრებლად სოფელში წავიდოდნენ, მანამდე კი ბაბუას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ბაბუამაც იცოდა საკუთარი თავის ფასი და თავის მოწონებაც უყვარდა ხოლმე. არ მოსწონდა, როცა ეკამათებოდნენ და სიტყვას აწყვეტინებდნენ. საკუთარი თავის გარდა, ყველაზე მეტად, ლამა უყვარდა და გრძობდა, რომ ბიჭუნასაც უზომოდ უყვარდა.

— ნუ იჩქარებთ ამნისტიის გამოცემას, — დედამ წინსაფარზე ხელი შეიწმინდა. — ამ საქაგელმა ისეთი რამ გააკეთა, რომ აღარც კი ვიცი, როგორ ვიცხოვრებთ ამ ხალხში.

— რაო, რაო, რაო? — იკითხა გოცემულმა ბაბუამ. — კი, მაგრამ ასეთი რა ჩაიდინა?

— ლიფტში მოისაქემა, — მოჭრით თქვა მამამ. — ალბათ ახლა მთელი

კორპუსი ამაზე ლაპარაკობს.

ბაბუა დაფიქრდა...
— მეც არა ვთქვი, სადარბაზოსთან შეკრებილმა ქალებმა ჩემს დანახვაზე სიცილი რატომ დაიწყეს-მეთქი? ახლა ზანგებები დაგვიწყებენ ყურებას... სეირს ვაჩვენებ მე მაგას!

გაცეცხლებული ბაბუა ბიჭუნას ოთახისკენ გაემართა. მთელი ოჯახი უკან მიჰყვა.

ბიჭუნას ასე გაბრაზებული ბაბუა არასოდეს ენახა. მოხუცი რალაცას ყვიროდა, მაგრამ ბავშვი სიტყვებს ვერ არჩევდა. მხოლოდ ხანდახან შესტვობდა ხოლმე, როცა ის მკვეთრ მოძრაობებს აკეთებდა და ყოველწუთს დარტყმას ელოდა. თუმცა, ბაბუას არ დაურტყამს. ბიჭუნამ კი მხოლოდ ბოლო ფრაზა გაიგონა:

— არ მჭირდება შენი საჩუქარი! — ლამას ნახატი შუაზე გახია. — მთელი კვირა იქნები გამოკეტილი ამ ოთახში! კარი გაიჯახუნა და გავიდა.

დედას და მამას მის ოთახში არც შეუხედავთ. ბავშვი იატაკზე დაყრილ ქალაქის ნაგლეჯებს უყურებდა და ისევ ცრემლი წამოუვიდა. მას ხომ ასე გულმოდგინედ არაფერი დაუხატავს. უნდოდა, ბაბუასთვის ეს იამოვნებინა... ახლა კი დაენანა თავისი შემოქმედება.

ფანჯარას გახედა. უკვე ბნელდებოდა... წვიმაც დაიწყო.

„ბებია სადაა ამდენ ხანს?“ — ფიქრობდა ლამა და ერთადერთ იმედად ის ესახებოდა.

სტუმრები მოდიოდნენ და მოდიოდნენ. კარზე ზარის ხმა არ წყდებოდა. იქნებ, წვიმის ბრალი იყო, რომ ყველანი ერთდროულად მოვიდნენ? ოთახიდან სკამების გადაადგილების ხმა ისმოდა. სტუმრები ხმაურობდნენ. ყველაზე ხმამაღლა კი ბაბუა ლაპარაკობდა...

„ახლა ისინი სუფრასთან დასხდებიან და გემრიელ კერძებს შეჭამენ“, — გაიფიქრა ბავშვმა და ნერწყვი გადაყლაპა. გაახსენდა, რომ არც უსადილია.

„ნეტავ, სტუმრებს არ მოუყვებოდეს ჩემს ამბავს, — ინატრა ბავშვმა. — თუ მოუყვება, ყველანი აქ შემოვლენ, მცემენ და გამიბრაზდებიან“.

თავი ისე სტკიოდა, რომ განძრევაც არ უნდოდა. მიუხედავად ამისა, ცრემლი მანაც ღაპაღუპით სდიოდა.

დედა და მამა სტუმრებით გაერთნენ. მათ ბევრი საქმე ჰქონდათ — სტუმრებისთვის ყურადღება უნდა მიექციათ, გამასპინძლებოდნენ, სუფრისთვის ახალი კერძები შეემატებინათ... ბებია კი ჯერ არ ჩანდა. რა თქმა უნდა, დედასაც და მამასაც დროდადრო ახსენდებოდათ შვილი, მაგრამ ორივეს მიაჩნდა, რომ ბავშვი დიდად არ განიცდიდა თავის მდგომარეობას და ფიქრობდნენ, რომ როგორც კი დროს გამოქვინდნენ, აუცილებლად მიაკითხავდნენ.

ლამა კი უკვე ძალიან განიცდიდა, ბებია მოსვლა რომ დააგვიანა. თუმცა, აღარც ბებია იმედი ჰქონდა, რადგან

ფიქრობდა, რომ ისიც დანარჩენებით განრისხდებოდა.

აი, ბებია ხმაც გაიგონა... კარგა ხანს უყურებდა კარს და ფიქრობდა, რომ მოხუცი მასთან შევიდოდა და მოეფერებოდა, შემდეგ ოთახიდან გაიყვანდა და იმ ცივი მთვარისგანაც იხსნიდა, რომელიც ბოროტად დაჰყურებდა ზეიდან; შემდეგ შვილიშვილს აჭმევდა კიდევ, მერე ლამა სტუმრების წინაშე ბოდიშს მოიხდიდა, თავისი საქციელის გამო და ბევრ ლექსს წაიკითხავდა, მერე ყველანი ძველებურად შეაქებდნენ და აპატიებდნენ... შემდეგ დედა ძილს წინ ისევ აკოცებდა და ბიჭს ეს საშინელი დღე საშუადამოდ დაეკიდებოდა...


მაგრამ, ბებია არა და არ შემოდიოდა ოთახში. „ალბათ, ასე დამსაჯა. ალბათ ყველაფერი გაიგო უკვე და ჩემი დანახვაც არ უნდა... ახლა კი მთელი ღამე მართლა აქ მომიწევს ყოფნა... იქნებ მთელი კვირაც კი, რადგან ბაბუამ ასე თქვა“.

უეცრად, მის თვალეში რალაც სხივი გაკრთა, ფანჯარასთან მივიდა და მთვარეს ახედა.

„შენ გგონია, შენი მეშინია? ადრე მეშინოდა, ახლა კი — აღარ. მე არავის ვუყვარვარ, მარტო ვარ და გულადი გავხდი. ჩემი წაყვანა გინდა? ნამოვალ, აქ მანაც არავის გჭირდება. ოღონდ, ახლა თავი მტკიცა“.

ლამას გაახსენდა, რომ აქ, სადღაც დედა თავის ტკივილის ნაშლეს ინახავდა. სკამზე აძვრა და კედელზე დაკიდებულ კარადას მისწვდა. აი, ნაშლებიც... ბიჭუნამ ერთი ფლაკონი ამოარჩია, რომელშიც ვარდისფერი აბები ეყარა. პატარამ აბები ხელისგულზე დაიყარა და კარგა ხანს უყურა, შემდეგ პირში ჩაიყარა. თავის ტკივილმა მალე გაუარა, მაგრამ მოითენთა... ძილი მოერია, თვალე ვეღარ ახელდა... მუხლებიც მოეკვეთა. სანოლზე აძვრა და მასზე მოკალათდა. მთვარეს ახედა. „მამამ მითხრა, რომ დანოლის უფლება არა მაქვს, მაგრამ ძალიან მეშინება. ახლა დავიძინებ და რომ გავიღვიძებ, მერე ნამოვალ შენთან, რათა მამამ ურჩობისთვის არ დამსაჯოს. ბევრი წამალი დავლიე და მანამდე თავის ტკივილიც გამივიღეს... ეს იყო ბოლო, რაც ბიჭუნამ გაიფიქრა...“

ბებია კარგა ხნის შემდეგ მოიკითხა შვილიშვილი. რძალმა ხელით ოთახისკენ ანიშნა. ბებია კარი შეღო და სანოლზე მინოლილ ბავშვს ღიმილით შეავლო თვალი. მის გვერდით დაგდებული, ცარიელი ფლაკონი კი სიბნელეში გვიან შენიშნა. სტუმრები მხიარულობდნენ, სახლში ხმამაღალი მუსიკა იყო ჩართული და ყველას ეგონა, რომ ყველაფერი კარგად იყო... ბებია, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო... „სასწრაფოს“ ექიმმა მუხლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა: „გადავრჩით“.



სამყარო

„უსულომ სულიარს ვერ უნდა აჯობოს“

ალბათ, ორიგინალური ვერ ვიქნები, თუ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ იმ ფაქტს, რომ ადამიანის შესაძლებლობა და ფანტაზია ამოუწურავია. დიას, ეს ყველამ იცის, მაგრამ განა ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც გამუდმებით ახლის ძიებაშია, ცდილობს, არ შეუშინდეს სიძნელებებს და მზადაა, მიზნის მისაღწევად ყველა აშკარა თუ ფარული ბარიერი გადალახოს?! სწრედ ასეთთა რიგს მიეკუთვნება საქართველოს მხატვართა კავშირისა და საფრანგეთის მემინანქრეთა ასოციაციის წევრი, **ეკატერინე აბუაძე**, რომლის პროფესიებისა თუ გატაცებათა ჩამონათვალი ნამდვილად გაგაოცებთ. ის ოსტატურად უთავსებს ერთმანეთს ქარგვასა და ქსოვას, გრაფიკოსობასა და პიარმენეჯერობას და კიდევ (ალბათ ძალიან გაგიკვირდებათ) — ექიმობასა და ქართულ, ტრადიციულ, ტიხრულ მინანქარზე მუშაობას.

დაცული მინანქარი და ხახულის ხატის რამდენიმე მინანქარი. ეს უკანასკნელი იყო და დღემდე რჩება ყველაზე დიდ, ქართულ, ტიხრულ მინანქრად. ბევრი ქვეყანა იამაყებდა მისი მსგავსი სასწაულით... ტიხრული მინანქრის წარმოება საქართველოში, როგორც ჩანს, XV საუკუნეში შეწყდა. ამავე საუკუნისაა სავარაუდოდ, წმინდა გიორგის ორი ხატიც, რომელიც ასევე საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. რაც შეეხება ე.წ. ამოღრმავებულ მინანქარს, მისი ერთადერთი ნიმუში, რომელიც ჯუმათის ეკლესიაში იყო დაცული, ამჟამად დაკარგულია. ისიც აღსანიშნავია, რომ ტიხრული მინანქარი ისეთ მაღალ დონეზე იდგა, რომ რელიგიურ პლასტიკასთან და სუროთმოდერებასთან იყო გათანაბრებული...

— შენი ნამუშევრების შესებოსას ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს ძველქართულ ან თუნდაც ძველზანტურ ხელოვნების ნიმუშებს ვესები, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამუშევრები უფრო თანამედროვე, შენი საკუთარი დიზაინით არის შესრულებული...

— გაველნა მართლაც იგრძნობა, რად-



გან არცთუ იშვიათად ვითვალისწინებ წინაპრების თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. როდესაც მუშაობას ვიწყებ, ვფიქრობ, რომ მისი ისტორია ნაწილობრივ მაინც უნდა ვიცოდე. შემორჩენილ მასალებს ვეცნობი, ბევრს ვკითხულობ. სხვათა შორის, აღმოვაჩინე, რომ ჩვენი კულტურული ძეგლები (მინანქარს ვგულისხმობ) უფრო მეტია შემორჩენილი სხვადასხვა მუზეუმში, ვიდრე — ბიზანტიურის. მინანქარზე ქართველი მხატვრები რამდენიმე ქვეყნის

ღვი დავიძა

— ეკა, ტიხრულ მინანქარზე საუბარი მცირე ისტორიული ექსკურსით დავიწყით.

— ხელოვნების ეს დარგი, როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნივთებში: სამკაულებში, ტანსაცმლის აქსესუარებსა თუ მოსაპირკეთებელ ნივთებში ოდითგანვე გამოიყენებოდა. მინანქრის წარმოშობის ისტორიის ფესვები ძველ ეგვიპტეში, ჩინეთსა და გვიანდელი რომის პერიოდში იკარგება. რაც შეეხება ქართულ, ტიხრულ მინანქარს, მისი ბევრი ნიმუში დაკარგულია; უძველესი — VIII საუკუნით არის დათარიღებული. ეს გახლავთ კათალიკოსის გულზე დასაკიდი ჯვარი (დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). IX საუკუნისაა ვარძიის ხატზე



დასრულებული ნამუშევარი ძალიან ლამაზია, მაგრამ იშვიათად თუ იცის ვინმემ, რა უძღვის მას წინ...



ფერებით ვმუშაობთ. ეს გახლავთ ფრანგული — ლიმონის ფერები, ავსტრიული ფერები, რომელსაც „შაუერის“ ქარხანა უშვებს. არის იაპონური ფერებიც. კიდევ შემორჩენილია ძველი რუსული ფერები. მართალია, დაკარგულია, მაგრამ არსებობდა ქართული ფერებიც: ლალისფერი — ღვინისფერი და ზურმუხტისფერი — ზღვისფერი, რომლებიც ჩვენს მინაში მოპოვებული მასალებით მზადდებოდა. ძველად, ზემოთ ნახსენების გარდა, სხვა ფერებიც გამოიყენებოდა, მაგრამ ძირითადი მაინც ეს ფერები იყო. თავად ძალიან მიყვარს ლალისფერი და ვცდილობ, ის უფრო ხშირად გამოვიყენო.

— რას ნიშნავს ეს ჩამონათვალი — თითოეულ ქვეყანას თავისი ფერი აქვს?

— დიას. საფრანგეთში, ქალაქ მორეზის საერთაშორისო გამოფენაში ვმონაწილეობდი, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ ტარდება. თარჯიმნობას შეილი მინევდა, რომელმაც ფრანგული ენა კარგად იცის. გამოფენაზე „ლიმონის“ ქარხანა იყო წარმოდგენილი, რომელიც სხვადასხვა ფერს უშვებს. რისი საშუალებაც მქონდა, ყველა ფერი შევიძინე. ძალიან მეშინოდა მათი წამოღების, რადგან შეიძლებოდა, საზღვარზე პრობლემა შემქმნოდა. მთელი რიგი საბუთების გაკეთება დამჭირდა, თან დაუვროთ უამრავი ბუკლეტი და საბედნიეროდ, მშვიდობიანად მოვახერხე მათი გადმოტანა. ფერი კრისტალებისგან შემდგარი ფხვნილია, რომელიც წყალში ირეცხება და შემდეგ, ნემსის წვერით ჩაატან ნამუშევარზე. საკმაოდ რთული ტექნოლოგიური პროცესია. უკვე დასრულებული ნამუშევარი ძალიან ლამაზია, მაგრამ იზვიათად თუ იცის ვინმემ, რა უძღვის მას წინ...

— როგორ იზადება მინაქარი?

— ყველაფერი სახეზე ნიღბის გაკეთებით იწყება. რადგან საღებავები და მათი ანაორთქლი მომწამვლეელია, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყრო. პირველად იწყება ძირის დამუშავება. მინაქარის განთავსება სპილენძზე, ოქროზე, ვერცხლსა და ტოლპაკზე ხდება. ძირი იკანრება ბორმანქანით, ირეცხება და შრება. ნამუშევარი რომ არ დაიბზაროს, კონტრემალია საჭირო. ეს საღებავია, რომელიც სიმყარისთვის ედება ძირს. მისი გაშრობის შემდეგ მზადდება ზედაბირი, რომელიც ედება ფონდონი. თუ რაიმე განსაკუთრებული აკეთებ, შეგიძლია, დასაფენად, ოქროს ან ვერცხლის ფოლგები გამოიყენო. გაშრობის შემდეგ აუცილებელია ამ ყველაფრის ერთად ღუმელში გამოწვა. მეორე ეტაპი გახლავთ ტისრების დამზადება. ისინიც ვერცხლის, სპილენძის ან ოქროსგან მზადდება. ყველა მხატვარი გარკვეული სიმაღლის ტისარს იყენებს. ტისრები იჭრება მაკრატლით და ორი ქირურგიული, მაგრამ ამ საქმისთვის


ოდნავ სახეშეცვლილი პინცეტის საშუალებით...

— აი, თურმე სამედიცინო განათლებას როგორ იყენებ...

— (იციანის) მედიცინა ყველგან არის საჭირო. სპეციალურად მოწყობილი პინცეტებითა და ტისრებით ნახატებს ვაკეთებ, ვანებებ ძირზე და ისევ გამოწვავ გამოწვის შედეგად ტისრები დაფონდონებულ ძირს ენებება. მესამე ეტაპი — კარგად გარეცხილი საღებავების, ნემსის წვერითა და ფუნჯით ნახატზე დატანაა. მას ისევ გამოწვა მოსდევს, შემდეგ — ისევ საღებავები და ისევ გამოწვა, მეორე დარჩენილი ადგილების შევსება და ისევ გამოწვა, რასაც გარეცხვა, გახეხვა, გაპრიალება მოსდევს... საბოლოოდ, ნამუშევარი სარკესავით უნდა პრიალებდეს. 7 ფერზე ნაკლები თითქმის არასდროს გამოიყენება. თან, არ უნდა შეგეშალოს, მეორე ან მესამე ფენის დადების დროს სად რა საღებავი იხმარე, არ უნდა დაირღვეს მათი შესამება.

— პროფესიით გრაფიკული დიზაინერი მედიცინაში როგორ მოხვდი?

— (იციანის) ხომ გაგიგონია — „ჩემი შვილი დოხტორი უნდა გამოვიდეს“?! ჩვენში არცთუ ისე დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც შვილები ექიმები, ან იურისტები უნდა გამხდარიყვნენ... მეც ასე მომივიდა, მაშინვე დავედგინე ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ პირველ რიგში, მხატვარი ვარ. მართალია, ექიმობა როგორც ადრე, ისე პრესტიჟული აღარ



სიონის გაძარში ვიყიდე ხის თევზი და გადავწყვიტე, მისი მსგავსი, მინაქარში გამეცოცხლებინა.




თქვა მოვთვლე და მისგან შეკერილ ჟილეტს, როგორც ვიცი, დღესაც სიამოვნებით ატარებს. ამ სასიხარულო ამბის შემდეგ ჩემს მამულს დავბრდი, რომ მაშინ ჯერ კიდევ მშენებარე, სამების ტაძარს საქორწინო გვირგვინებს შევწირავდი. მართალია, ამისათვის 2 თვის თავაულებელი შრომა დამჭირდა, მაგრამ ვფიქრობ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, — თითქოს რაღაც ძალა მიმღია და ხელს, — მაინც გავიმარჯვე და წარმატებით გავართვი თავი საქმეს. მეტალმა, უსულომ სულიერს ვერ უნდა აჯობოს... ლამაზი გვირგვინები გამოვიდა. მათთვის დიდხანს ვაგროვებდი ქვეს. ეგვიპტიდან, ინდოეთიდან ჩამომქონდა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები — ფირუზი, მარგალიტი, ლალი... მაღლიერი ვარ უფლისა და პატრიარქის, რომ შევქმელი ამ რთული სამუშაოს დასრულება.

— ვინაა, დიდი სიყვარულით ლაპარაკობ ამ გვირგვინების შესახებ.



არის თუ არა კიდევ შენს ნამუშევრებში ისეთები, რომლებიც განსაკუთრებით მოგწონს?

— დიას, არსებობს რამდენიმე ნამუშევ-



ნატურის ხეც ძალიან მიყვარს და თქვენ წარმოიდგინეთ, მან რამდენიმე ნატურაც ამისრულა...

ვარი, რომელიც ძალიან, ძალიან მიყვარს იმიტომ, რომ შეიძლება ითქვას, თითოეულ მათგანში ჩემი სულია და გულის ნაწილი დევს. მაგალითად, აი, ეს თევზი, რომელიც ბიბლიური ძველქრისტიანული სიმბოლოა. სიონის ტაძარში ვიყიდე ხის თევზი და გადავწყვიტე, მისი მსგავსი, მინანქარში გამეცოცხლებინა. ნატურის ხეც ძალიან მიყვარს და თქვენ წარმოიდგინეთ, მან რამდენიმე ნატურაც ამისრულა... ძალიან მიყვარს კოლიე, რომელიც ჩემი ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია და რომელიც თიკას, ჩემი მეგობრის, „ირაკლი ექიმის“, უფრო სწორად — ოთარ ტატიშვილის მეუღლეს აქვს; ის სვაროვსკის კრისტალებით არის შესრულებული, პეპელას ფოლგებია ჩაფენილი.

— მგონი, როგორც იქნა, ამოწმურე შენი პროფესიებისა თუ გატაცებების თემა. არა, ქსოვაზე არ გვილაპარაკია...

— ალბათ, ბევრს ემახსოვრება ის პერიოდი, როცა ჩვენში ძალიან ლამაზი ძაფები იყო შემოსული. სწორედ მაშინ „დავაზადდი“ ქსოვით. დავინახავდი თუ არა ფერად ძაფს, მაშინვე ვხვდებოდი, რა უნდა გამეკეთებინა მისგან და ხშირად პურის ფული მომიკლია და ძაფი შემიძინია. საკმაოდ სწრაფად ვქსოვდი. მაგალითად, დილიდან საღამომდე შემეძლო, ჯემპირი დამემთავრებინა. ალბათ, ამ სისწრაფის წყალობით იყო, რომ ანსამბლ „ერისიონის“ ბავშვებს კონცერტის შემდეგ სხვადასხვა ღონისძიებაზე გამოსასვლელი ტანსაცმელი მოვუქსოვე... ჩემი გატაცებებ-

ის თემის ამონაწერა არც ისე იოლია. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ექიმი და გრაფიკოსი ვარ, ფერწერაც ძალიან მიყვარს. ამ გატაცებებზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ როცა შვილები პატარები იყვნენ, სახლში არ არსებობდა ადგილი, სადაც ისინი ვერ აღწევდნენ და სულ ამოსვრილები იყვნენ ჩემი საღებავებით. შეიძლება, ისევ დავუბრუნდე დროებით მივიწყებულ ამ გატაცებას. ჩემი ქალიშვილები უკვე დიდები არიან: 15 და 18 წლის...

— სიმართლე გითხრა, გაცოცხლებული ვარ, ამდენ რამეს როგორ ასწრებ...

— (იციინის) არც მეგობრები მაიწყნებდა და მათთან ერთად გართობასაც ვახერხებ ხოლმე. აბა, რა გითხრა?.. ისე, ყოველთვის ვწუნუნებ, 24 საათი არ მყოფნის-მეთქი. 4-5 საათი მძინავს (არ მინდა, ძილში დრო დავკარგო) და ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ახალი დღე კიდევ უფრო დიდი შემართებით დავიწყო და რაღაც ახალი შევქმნა. ჩანთაში ყოველთვის მიდევს ქლიბი ან სხვა რომელიმე იარაღი და დაქალებთან ჭორაობის დროს ხშირად გამიშლია ჩემი ატრიბუტიკა და მიმუშავია. ასე ხდება ჩემს სამსახურში, კლინიკაში. იქაც დამცინიან, — მეორე სამსახური აქვს გახსნილი თავის კუთხეშიო...

— კიდევ ხომ არ აპირებ გამოფენის გაკეთებას?

— მცირე ხნის მანძილზე დამუხრუჭებული ვიყავი, რადგან მანამდე ბევრი გამოფენა მქონდა: სტრასბურგში, ლონდონში, საფრანგეთში, ამერიკაში, ფრანკფურტში... ეს სრული ჩამონათვალი არ არის. ყველა გამოფენისთვის ახალ ნამუშევარს ვამზადებდი, რაც ძალიან შრომატევადი და ძვირად ღირებული საქმიანობაა. გამოფენაზე მოსულ მაყურებელს ხომ ისე უნდა წარუდგინო ნამუშევარი, 2 დღის მანძილზე მანაც ფიქრობდეს ან ლაპარაკობდეს ნანახზე. კიდევ ერთი ამბავი უნდა მოგიყვებო: შარშან მაისში მქონდა გამოფენა კიევში, სადაც მასტერკლასები ჩატარდა და პრესკონფერენციაც მოეწყო. მაგიდასთან მხოლოდ სამი ვისხედით: მე, ლენინგრადელი მხატვარი — მუჟუმევი და უნგრელი, ძალიან ცნობილი მხატვარი და არაჩვეულებრივი პიროვნება, კატალინა ხოლოში. ძალიან გამიხარდა, ჩემ წინ ჩემი სამშობლოს დროშა რომ დავინახე. თითქოს დროშის გასასწორებლად გავწიე ხელი, სინამდვილეში კი სხვებზე უფრო წინ გავაჩოჩე, უზრუნველყოებისთვის კარგად რომ დამენახებინა (იციინის)... უნგრელ ქალბატონს დავემეგობრდი და ახლა უნგრეთში ჩასვლასა და მათი ტექნოლოგიის ათვისებას ვაპირებ. მართალია, ქართული ტექნოლოგია გაცილებით რთული და შრომატევადია, მაგრამ ისინიც ლამაზ და არაორდინარულ ნაკეთობებს ქმნიან... შეუსწავლელი და შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს, როდესაც ქართულ მინანქარზე შეგიძლია მუშაობა და როცა გინდა, საკუთარი ქვეყნის ლამაზი მომავლის შექმნაში შენი წვლილი შეიტანო, შვილებს კი დედის მიერ განვლილი ლამაზი გზა დაუტოვო...

Civic ბაზარზე 2011 წლიდან გამოჩნდება

კომპანია „ჰონდა“ იძულებული გახდა, Civic-ის ოჯახის ახალი თაობის ბაზარზე შეეყვანა 2011 წლიდან დაედა. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ ახალი Civic-ი გაყიდვაში მომავალი შემოდგომიდანვე იქნებოდა. „ჰონდას“ წარმომადგენელთა თქმით, საბაზრო დებიუტის ვადების ცვლილება ეკოლოგიური მოთხოვნების თანახმად განხორციელებულმა ტექნიკურმა გადაწყობამ გამოიწვია. „ჩვენი მოდელების საბაზრო ციკლს არ ვცვლით, — ამბობს „ჰონდას“ ამერიკული განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, ჯონ მენდელი, — აუცილებლობის გათვალისწინებით, ცოტა შევცვლით ავტომობილს. როგორც „ჰონდას“ საოპერაციო დირექტორმა, ცუნეო ტანაიმ ადრე განაცხადა, ახალი Civic თავის წინამორბედზე უფრო მსხვილი იქნება, მაგრამ საერთო ჯამში მისი დიზაინის სტილისტიკას შეინარ-



ჩუნებს“. ექსპერტთა განცხადებით, Honda პირველი კომპანია არაა, რომელიც ეკონომიკური კრიზისის გამო იძულებული გახდა, თავისი სამოდელი რიგი გათავსებინა. ადრე კომპანია Toyota-მ განაცხადა, რომ მოდელის, — Corolla, — რესტაილინგი დანიშნულ ვადაზე ადრე დასრულდებოდა. „ჰონდა“ კი თავისი სხვა მოდელების ბაზარზე გაყვანის გადადებას ჯერ არ გეგმავს. კერძოდ, კროსოვერი CR-V, რომელიც 2006 წლიდან გამოდის, თაობათა ცვლას დაგეგმილის თანახმად, 2011 წელს განიცდის.





ახალი Alfa Romeo Brera და Spider



დიდ ბრიტანეთში კუპე Alfa Romeo Brera-სა და rodster Spider-ის განახლებული ვერსიების გაყიდვა დაიწყო. ამ მანქანებზე დამონტაჟებული მოტორების დებიუტი სედანზე — Alfa Romeo 159, — შედგა. ეს ბენზინის

1,7-ლიტრიანი, 200 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე, TBI-ს ტურბინირებული ძრავა და 2.0-ლიტრიანი, 170 ცხ. ძალის დიზელია. „ვერონა“-ის სტანდარტებს ორივე მათგანი აკმაყოფილებს. გარეგნულად არც Brera და არც Spider არ შეუცვლიათ, თუმცა ორივე მათგანს Italia Independent-ის ახალი პრემიალური კომპლექტაცია აქვს, რომელიც შავი ფერის ძარას, უკანა სპოილერს და 18-დუიმიან ბორბლების დისკებსაც მოიცავს. ასეთი ავტომობილის სალონი საბაზო ვერსიით, სპორტულ ტყავის სავარძლებს, თანამგზავრულ ნავიგაციას და „კარბონით“ გაწყობილ ინტერიერს ითვალისწინებს. ცნობილია, რომ Alfa Romeo-ს ბრიტანულ სალონებში ბენზინის ძრავათი დამონტაჟებული, განახლებული Brera-ს ფასი 25 205, ხოლო დიზელისმოტორიანის — 24 995 გირვანქა სტერლინგიდან დაიწყება.

Ferrari 250 GTO ბრიტანელმა ტელემაყვანმა შეიძინა

რარიტეტული ავტომობილების აუქციონმა, — RM Auctions, — 1963 წელს გამოშვებული Ferrari 250 GTO-ს გაყიდვის შესახებ გააკეთა განცხადება. თუმცა, მანქანის ახალი მფლობელის ვინაობა და მასში გადახდილი თანხის ოდენობა არ გამოჟღავნებულა. სავარაუდოდ, აღნიშნული



„ფერარის“ მფლობელი ბრიტანელი ტელე და რადიონამყვანი, კრის ევანსი გახდა, რომელმაც მანქანის ფოტოები საკუთარ „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მან აღნიშნულ ავტომობილში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა (17,7 მილიონი დოლარი). გაყიდული ეგზემპლარი ერთ-ერთია, 36 Ferrari 250 GTO-დან, რომელიც 1962-1963

წლებში აიწყო. უკანა აძვრის მქონე სპორტ-ავტო 3-ლიტრიანი, V12-თაა აღჭურვილი, რომელიც 290 ცხ. ძალას ავითარებს. ამგვარად, ავტომობილმა ევანსის რარიტეტული „ფერარების“ კოლექცია შეავსო. 2008 წელს, მან 1961 წელს გამოშვებული Ferrari 250 GT SWB California Spyder 11 მილიონ დოლარად შეიძინა. გარდა ამისა, შოუმენის ავტოპარკში 1959 წელს გამოშვებული, 250 GT LWB California Spyder და 1962 წელს გამოშვებული 250 GT SWB Berlinetta-ც იდგა, თუმცა ორივე მათგანი მაისის დასაწყისში ევანსმა მონაკოს აუქციონზე გაყიდა.

კომპაქტენი „შკოდასაგან“

კომპანია Skoda კომპაქტური მინივენის შემუშავებას შეუდგა, რომელიც



კონვეიერში 3 წლის შემდეგ ჩაეშვება. სიახლეს კომპაქტენის, — VW Touran — პლატფორმაზე ააგებენ და იმავე ძრავების გამოთ დააკომპლექტებენ, რომელიც გერმანულ ავტომობილს აქვს. წინასწარი ინფორმაციით, მოტორების ხაზის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ის იქნება, რომ „შკოდას“ მოდელი 170 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე, ბენზინისა და დიზელის აგრეგატებით არ დაკომპლექტდება. სავარაუდოდ, ევროპულ ბაზარზე Skoda-ს კომპაქტენზე ფასები 15 ათასი ევროდან დაიწყება (შედარებისთვის, ყველაზე ხელმისაწვდომი Touran 19 ათასი ევრო ღირს). სიახლე კონკურენტის Ford C-max-ს, Renault Scenic-ს და Citroen C4 Picasso-ს გაუწევს. როგორც ადრე იუწყებოდნენ, კომპანია Skoda ბაზარზე რამდენიმე ახალი მოდელის გატანას აპირებს. ერთ-ერთი მათგანი VW Up!-ის ბაზაზე აწყობილი, სუბკომპაქტური ავტომობილი იქნება. იგი გათვალისწინებულია როგორც 3, ასევე 5-კარიან მოდელიც იქნება, ხოლო ძრავათა გამაში 1.0 და 1,2-ლიტრიანი აგრეგატებია. როგორც მოსალოდნელია, ასეთი მანქანების აწყობა სლოვაკეთის საწარმოში მომავალი წლიდან დაიწყება. კიდევ ერთი სიახლე, რომლის დებიუტიც 2012-2013 წლებისთვის იგეგმება, გოლფკლასის ავტომობილია. იგი Skoda-ს ხაზში „ფაბიასა“ და „ოქტავიას“ შორის დაიკავებს ადგილს. გარდა ამისა, ზოგიერთი მონაცემით, ჩეხური კომპანია სედანის ბიუჯეტზეც მუშაობს, რომელიც Octavia-ს ბაზაზეა აწყობილი და ინდოეთისა და ჩინეთის განვითარებადი ბაზრებისთვის იქნება განკუთვნილი.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ძეძვენილი თუკი ივანიძე

1. მჭადა სოკო უმად იჭმება.
2. უგრეხელი პარკოსანი მცენარეა.
3. ნუღლი დაშაქრული ნუშის გულია.
4. „რული“ და „თვლემა“ სინონიმებია.
5. ცხენის კისრის დასასრულს ბეჭების თავთან „ნიდაო“ ჰქვია.
6. მექსიკელები მოხრაკულ კალიებს პოპკორნივით მიირთმევენ.
7. გიორგი ლეონიდის მოთხრობის გმირი, სოფლის თავკაცი ციციკორე, გვარად ბაქრაძე გახლდათ.
8. თავგისებური ლემური ყველაზე პატარა პრიმატია დედამიწაზე. ზრდასრული ცხოველი 30 გრამს იწონის.
9. თეთრი სახლი ექვსსართულიანი შენობაა, რომელშიც 132 ოთახი, 35 აბაზანა, 412 კარი, 147 ფანჯარა, 28 ბუხარი, 8 კიბე და 3 ლიფტია.
10. „სანტა-მარია“, „პინტა“ და „ინია“ — ასე ერქვა ქრისტეფორე კოლუმბის სამ ხომალდს, რომლითაც იგი ამერიკაში ჩავიდა.
11. რომელი მწერალი პლინიუს უფროსი ვეზუვის ამოფრქვევისას ძალზე მიუახლოვდა ვულკანს და დაიღუპა.
12. ბასკეთის ქალაქი გერნიკა ჰიტლერის ბრძანებით ლიუფტვაფეს სამხედრო შენაერთმა „კონდორმა“ დაბომბა, რამაც 6 ათასი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეინარა.
13. მას შემდეგ რაც, იმპერატორმა ტიტუს მანლიუსმა საკუთარი ვაჟი სიკვდილით დასაჯა, რომაელები განსაკუთრებულ სასტიკ სასჯელს მანლიუსის სასჯელს უწოდებდნენ.



14. ტყე მეგაპოლისიდან ან მთავარი ტრასიდან 500 მეტრით მაინც უნდა იყოს დაშორებული, მასში საჭმელად ვარგისი სოკოს დაკრეფა რომ იყოს შესაძლებელი. მომნამეველი ნივთიერებებით გაჯერებულ, წვიმიან ნიადაგზე აღმოცენებული სოკო საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

15. ლეონარდო დი კაპრიომ აღიარა, რომ აუხდენელ ოცნებად რჩება სტალინის როლის თამაში. „ისე, ჩემი ჰაბიტუსით ახალგაზრდა ლენინის როლი უფრო შემეფერება, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე სტალინის როლის შესრულება მეღირსება. ალბათ თავადვე გაფუნევ პროდიუსირებას ფილმს, სადაც საშუალება მექნება ეს როლი ვითამაშო“, — განაცხადა მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

უნიკალური დაავადების მქონე ადამიანები



50 დაავადებულ ადამიანს თმა ეზრდება მთელ ტანსა და სახეზე. ამ დაავადების დროს ის მგელს ემსგავსება, ოღონდ ეშვებისა და კლანჭების გარეშე. თუ ხელოვნების ნიმუშების ყურებისას ადამიანს ცახცახი, შალუცინაცია და თავბრუსხვევა ეწყება, იგი სტენდალის (მას ფლორენციის სინდრომსაც ეძახიან) სინდრომითაა დაავადებული. ამ სიმპტომზე პირველად სტენდალმა დაწერა ნაწარმოებში „ნეაპოლი და ფლორენცია: მოგზაურობა მილანიდან რვეიომდე“.

ფლორენციაში უფიცის გალერეაში ყოფნის დროს მწერალმა საკუთარი სიმპტომები აღწერა. ნეიროლოგიური დაავადების — მებუხის სინდრომის დროს ადამიანი ვერ მართავს სახის კუნთებს. მას არ შეუძლია ტირილი, ღიმილი, უჭირს ყლაპვა. მსოფლიოში ძალიან ცოტა ადამიანია ამ სინდრომით დაავადებული.

არსებობენ ადამიანები (ძირითადად მსახიობებსა და მუსიკოსებს ემართებათ), რომლებსაც შეგრძნების ორგანოები ერევათ. „ხედავენ“ ხმებს, „გრძნობენ“, „ესმით“ გამოსახულებები. სინთეზის სინდრომი ადამიანს შესაძლოა მეგვიდრობითაც გადაეცეს, მაგრამ ხშირად სმენა ან მხედველობადაკარგულებს ემართებათ.

ცოცხალი გვამის სინდრომით დაავადებულები სუიციდიისა და დეპრესიისკენ არიან მიდრეკილნი. ჰგონიათ, რომ სხეული უღებუბათ, გრძნობენ, მათ ორგანოებს როგორ ჭამენ მატლები. კვებრასის სინდრომის დროს ადამიანს ჰგონია, რომ მისი მეუღლე (ოჯახის წევრი) კლონია. მის გვერდით უბედურია და არ სურს თვითმარქვისათან ცხოვრება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანს ეს სინდრომი თავის ტვინის დაზიანების ან ჭარბი მედიკამენტების მიღების შედეგად შეიძლება დაემართოს.

ციცეროს დროს ადამიანი საკვებად უვარგის ნივთებს: ქალაღს, ნახშირს, თიხასა და ა.შ. ჭამს. ცოცხალი გვამის სინდრომით დაავადებულები სუიციდიისა და დეპრესიისკენ არიან მიდრეკილნი. ჰგონიათ, რომ სხეული უღებუბათ, გრძნობენ, მათ ორგანოებს როგორ ჭამენ მატლები. კვებრასის სინდრომის დროს ადამიანს ჰგონია, რომ მისი მეუღლე (ოჯახის წევრი) კლონია. მის გვერდით უბედურია და არ სურს თვითმარქვისათან ცხოვრება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანს ეს სინდრომი თავის ტვინის დაზიანების ან ჭარბი მედიკამენტების მიღების შედეგად შეიძლება დაემართოს.

ციცეროს დროს ადამიანი საკვებად უვარგის ნივთებს: ქალაღს, ნახშირს, თიხასა და ა.შ. ჭამს. ცოცხალი გვამის სინდრომით დაავადებულები სუიციდიისა და დეპრესიისკენ არიან მიდრეკილნი. ჰგონიათ, რომ სხეული უღებუბათ, გრძნობენ, მათ ორგანოებს როგორ ჭამენ მატლები. კვებრასის სინდრომის დროს ადამიანს ჰგონია, რომ მისი მეუღლე (ოჯახის წევრი) კლონია. მის გვერდით უბედურია და არ სურს თვითმარქვისათან ცხოვრება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანს ეს სინდრომი თავის ტვინის დაზიანების ან ჭარბი მედიკამენტების მიღების შედეგად შეიძლება დაემართოს.





ანტიფაშისტური

გზაში საკითხავი კოლაჟი

ძეძენელი თქუი ივანიძე

16. ამერიკული, უბილოტო თვითმფრინავი „პრედატორი“ („მტაცებელი“) თანამგზავრული კავშირის დახმარებით იმართება. იგი უმძლავრესი კამერებით არის აღჭურვილი, რომელთა საშუალებით რამდენიმე ათასეულობით კილომეტრის მოშორებით, კომფორტულ კაბინეტში მონიტორებთან მოკალათებულ ოთხ ოპერატორს შეუძლია ერაყის უდაბნოს სრული ვიზუალური კონტროლი. დიდ სიმაღლეზე მფრენი „პრედატორის“ კამერების დახმარებით ამერიკელები იმასაც კი არჩევენ, მინაზე მყოფი ადამიანი შეიარაღებულია თუ არა. განსაკუთრებული ფორმისა და კველარით დაფარული ზედაპირის გამო „პრედატორი“ უჩინარია მტრის რადარებისთვის. მისი დახმარებით აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სახლის სახურავებზე გამაგრებულ ტერორისტთა და სნაიპერთა ლიკვიდაციას ახდენს.

17. ანტვერპენში, სამხატვრო აკადემიაში სწავლისას ვან გოგს პედაგოგმა ვენერა მილოსელის ქანდაკების დახატვა დაავალა. ვან გოგმა დავალება შეასრულა, მაგრამ პედაგოგმა ნამუშევარი დაინუნა, ფანქარი აიღო და ქანდაკების თქოები საკუთარი ხელით შეასწორა. ამით აღმოფოთებულმა ვან გოგმა ყვირილი ატყვა: „რატომ არ გესმით, ქალს დიდი თქოები და მასიური უკანალი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხმძიმობას ვერ გადაიტანს?!..“

18. ჰერმან გერინგს პირველი მსოფლიო ომის დროს მტრის 22 თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებულნი. ომის შემდგომ პერიოდში, სანამ ჰიტლერს გაიცნობდა, ლიუფტვაფეს მომავალი შუფი იძულებული იყო თვითმფრინავის ვირტუოზული მართვისა და ტრიუკების დემონსტრირებით ეშოვა საარსებო ფული.



19. ვაშინგტონში, თეთრი სახლში, ოვალურ კაბინეტში ჩამოკიდებულ ნოსზე გამოსახულ თეთრთავა არწივს ერთი ფეხით ზეთისხილის ტოტი უჭირავს, მეორე ფეხით — ისრების კონა. თუ ამერიკა არავის ეომება, არწივის თავი ზეთისხილის ტოტის მხარეს არის შებრუნებული, თუ შეერთებული შტატები საომარ მდგომარეობაში იმყოფება — საპირისპირო მხარეს.

20. ბრძოლის დროს უკან დახევისას სიამის ერთმა მეფემ ბრძანება გასცა, ზარბაზნებიდან მტრის რიგებისთვის ჭურვების ნაცვლად ვერცხლის მონეტები დაეშინათ, რითაც სრული დეზორგანიზაცია შეიტანა მონინააღმდეგის რიგებში და საბოლოოდ მოიგო ბრძოლა.

1960 წელს კენტუკის შტატში „ცისფერკანიანი“ ადამიანების ოჯახი ცხოვრობდა. მათ „ცისფერ ფიუგეიტებს“ ეძახდნენ. ოჯახის უხუცესი 80 წელს იყო მიღწეული. მის შთამომავლებს დაავადება მემკვიდრეობით გადაეცემოდათ. „ლურჯი კანის“ სინდრომის დროს ადამიანის კანი შესაძლოა, ღია ცისფრიდან იისფრამდე შეიცვალოს.

ლათა ძირითადად ზრდასრულ ქალბატონებს ემართებათ. ქცევებზე კონტროლს კარგავენ, სხვათა მანერებსა და მეტყველებას ჰბაძავენ. ზომბებად გადაქცეულებმა შესაძლოა, სხვათა მითითებებით ადამიანი მოკლან.

მსოფლიოში სულ 48 ადამიანია, რომელსაც პროგერია — დაბერების

პროცესის დაჩქრება ახასიათებს. ამ დაავადებას ბავშვის გენეტიკურ კოდში უმნიშვნელო დეფექტი იწვევს. ბავშვები 13 წლის ასაკში ღრმა მოხუცებს ემსგავსებიან და კვდებიან.

1901 წელს გერმანელმა დერმატოლოგმა, ალფრედ ბლაშკომ ახალი, ამოუცნობი დაავადება აღწერა, რომლის დროსაც ადამიანს სხეულზე უჩვეულო ხაზები უჩნდება.

ვაშპირის დაავადების დროს ადამიანი მზეზე დიდხანს ვერ ჩერდება. კანზე ნულულები უჩნდება. თითქოს მზეზე „იხრუკება“. ძველად მიაჩნდათ, რომ ვაშპირებს მზეზე გამოსვლის ემინოდათ და ამ დაავადებასც იმიტომ უწოდეს მისი სახელი.

აფრიკული ორნამენტები



სამხრეთ აფრიკაში, პროვინცია ტრანსვაალის ტერიტორიაზე ნგუნის მონათესავე ჯგუფი — ნდებელი ცხოვრობს. ამ ტომის ქალები სხვა ტომებისგან იმით განსხვავდებიან, რომ სახლებს, ტანისამოსსა და საოჯახო ნივთებს ორიგინალური ორნამენტებით აფორმებენ. ნგუნის ტომის მამაკაცების აზრით, თუ ქალი კარგად მოხატულ სახლში ცხოვრობს, მომავალში მისგან კარგი დედა და ცოლი დადგება.

გეომეტრიული ფიგურებით სახლების მოხატვა ნგუნელმა ქალებმა XVIII (18) საუკუნიდან დაიწყეს. 1997 წელს ნდებელის რამდენიმე ორნამენტი ავიაკომპანია British Airways -მ საკუთარი თვითმფრინავების მოსახატავად გამოიყენა.

გილიოტინა

ყველასათვის ცნობილია, რომ გილიოტინა საფრანგეთში, ექიმმა გილიოტენმა გამოიგონა, მაგრამ თავსაკვეთი მანქანა პირველად იტალიაში XIII საუკუნეში გამოჩნდა. მოგვიანებით — შოტლანდიაში.

საფრანგეთში თავს ხმლით მსოლოდ დიდგვაროვნებს კვეთდნენ. უბრალო ხალხს ან ჩამოახრჩობდნენ, ან წვადნენ. მეფეზე თავდასხმა განსაკუთრებული სისასტიკით, კიდურების მოძრობითა და დაწვით ისჯებოდა. საშინელებაა, მაგრამ არც ხმლისკვეთით დასჯა იყო უმტკივნეულო. თუ ხმალი ცუდად იყო გალესილი, დამნაშავეს საშინელი ტანჯვა ელოდა. ცნობილია, რომ ერთმა ჯალათმა დამნაშავეს თავი ხმლის 26-ე დარტმის შემდეგ წააცალა.



ექიმმა ჯოზეფ გილიოტენმა, სამეფო კარზე დამნაშავეთა დასჯისთვის თავსაკვეთი მანქანის გამოყენება ჰუმანური თვალსაზრისით წამოაყენა. მისი აზრით, არც დამნაშავე ინვალებდა და არც ჯალათი.

გილიოტინა პირველად 1792 წლის 25 აპრილს, ჟაკ ნიკოლ პელიეტზე გამოცადა. დამნაშავეებს რა გამოილევდა და ხშირად, დღეში 60-ჯერაც უსარებლიათ თავსაკვეთი მანქანით. იმ დროს საფრანგეთში ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა: „გილიოტინა თავს ისე სწრაფად მოგკვეთთ, რომ ვერც კი იგრძნობთ“.

საფრანგეთში გილიოტინის გამოყენება 1981 წელს, სიკვდილის დასჯის გაუქმების შემდეგ აიკრძალა. უკანასკნელად, 1977 წელს გამოიყენეს და სიკვდილით ხამიდა ჯანდუბი დასაჯეს.

გილიოტინა ხშირად გამოიყენებოდა გერმანიაში. 1933-1945 წლებში 40 ათას ადამიანს მოჰკვეთეს თავი. გერმანიაში 1966 წელს გილიოტინის გამოყენება დახვრუტით შეცვალეს, რადგან ქვეყანაში არსებული ერთადერთი თავსაკვეთი მანქანა მწყობრიდან გამოვიდა.



„აიძულეთ“ მამაკაცი, რომ შეგიყვაროს

ბევრი მიიჩნევს, რომ სხვა ადამიანის გრძობებით მანიპულირება არ შეიძლება, ხოლო ქორწინება ზეცაში წყდება. იდეალურ სამყაროში ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ რეალური ცხოვრება შორსაა იდეალურისაგან. სწორად ჩვენთვის ძვირფას ადამიანს წლობით უშედეგოდ ველოდებით, რადგან გვიყვარს და გვწამს მისი... სამაგიეროდ კი ვერაფერს ვიღებთ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ „უბიძგოთ“ წარმატებას, თქვენს მხარეს რომ გადმოვიდეს:

იყავით გამუდმებით მის გვერდით... შემდეგ კი დაიხარგეთ

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რაც უფრო დიდხანს იმყოფებით ამა თუ იმ ადამიანის გვერდით, მით მეტია ალბათობა, რომ მას თქვენ მიმართ სიმპათია გაუჩნდეს (იმ შემთხვევების გარდა, როცა თქვენი განწყობილება ამ ადამიანის მიმართ ნეგატიურია). ამიტომ არ უნდა იყოთ ქედმაღალი და უკარება. პირიქით, ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროთ თქვენი ინტერესის ობიექტთან და შეძლებისდაგვარად ხშირად მოხვდეთ თვალში. შემდეგ კი, როცა მიხვდებით, რომ მას მოსწონხართ (უბრალოდ — მოსწონხართ), გახდით ოდნავ მიუწვდომელი. მნიშვნელოვანია, რომ არ გამოგეპაროთ ეს მომენტი. შემდგომში ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვდეთ მისი თვალთახედვის არეში. მთელი არსი ის არის, რომ დაიკარგოთ იმ დროს, როცა იგი უკვე მიეჩვია თქვენს არსებობას. იგი შეიძლება მაშინვე ვერც კი მიხვდეს, თუ კონკრეტულად რა აკლია, მაგრამ აუცილებლად მოაკლდებით თქვენ! სურვილისამებრ, ამ ტაქტიკის გამოყენება რამდენჯერმე შეიძლება.

ნუ ეცდებით, ასიამოვნოთ მას; დაე, თვითონ მოგანიჭოთ სიამოვნება

როცა ვინმეს სიკეთეს უკეთებთ, თავად ორმაგ სიამოვნებას იღებთ: ჯერ ერთი, კმაყოფილი ხართ საკუთარი თავის; მეორეც, კიდევ უფრო გესიმპათიურებათ ადამიანი, რომელსაც ასიამოვნებთ. ასევეა შეყვარებუ-



ლი ადამიანი — სურს, რაღაც სასიამოვნო გაუკეთოს გულის სწორს — იგი ხომ ძალიან კარგია და იმსახურებს ამას! თანდათანობით კი ის უფრო მეტად უყვარდება. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ მისი სურვილები შეასრულოთ, უმჯობესია, დროდადრო მან შეასრულოს თქვენი პატარ-პატარა მოთხოვნები. დაეხმარეთ, თავი რაინდად იგრძნოს.

აიძულეთ, თვალეში გიყუროთ

ერთმა ჰარვარდელმა ფსიქოლოგმა სცადა, „გაეზომა“ სიყვარული მეცნიერული თვალსაზრისით. რაღაც დონეზე მას ეს გამოუვიდა, როცა დააზუსტა, თუ რამდენ ხანს უყურებენ შეყვარებული ადამიანები ერთმანეთს თვალეში. მან გაარკვია, რომ ღრმად შეყვარებული ადამიანები საუბრის დროს ერთმანეთს თვალეში, მთელი დროის 75%-ის განმავლობაში უყურებენ და უხალისოდ გადააქვთ მზერა, თუ საუბარში მესამე ადამიანი ჩაერთვება — მაშინ, როცა ჩვეულებრივ, თანამოსაუბრეები ერთმანეთს თვალეში მთელი დროის მხოლოდ 30-50%-ის განმავლობაში უყურებენ. ზოგიერთი ფსიქოლოგი ამ აღმოჩენას თავის პრაქტიკაში წარმატებით იყენებს — იმის დასადგენად, თუ რამდენად ღრმად არიან მიჯაჭვულნი ერთმანეთს პარტნიორე-

ბი. ამის ცოდნა მასაც გამოადგება, ვისაც სურს, მამაკაცს თავი შეაყვაროს. რაც უფრო დიდხანს გიყურებთ ადამიანი, მით მალე აღნიშნავს მისი ტვინი: „შეყვარებული ვარ!“ — და იწყებს ფენილეთილამინის გამოყოფას (ჰორმონი — რომელიც სინთეზირდება თავის ტვინში სასიყვარულო გრძობების დროს). სცადეთ ამ ხერხის გამოყენება პრაქტიკაში. შედეგით გაოგნებული დარჩებით.

ნუ მოარიდებთ მზერას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეყვარებულებს უხალისოდ გადააქვთ მზერა ერთმანეთისაგან, თუ საუბარში მესამე ადამიანი ჩაერთვება, ამიტომ ნუ იჩქარებთ, მოარიდოთ მზერა მამაკაცს, რომელიც მოგწონთ — მაშინაც კი, თუ თხრობა დაასრულა ან საუბარში მესამე პირი ჩაერთო. რა თქმა უნდა, მზერის გადატანა მაინც მოგიწევთ, მაგრამ არა მაშინვე. შეაჩერეთ მასზე მზერა თუნდაც 3-4 წამით, შემდეგ კი გაიხედეთ, მაგრამ ნელა და უხალისოდ. ხოლო როგორც კი მესამე პირი დაასრულებს საუბარს, კვლავ შეხედეთ თქვენთვის საინტერესო ობიექტს.

ყურადღება მიაქციეთ თვალეების გუგებს

ისევ და ისევ გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ თვალეები ატარებს და გადასცემს უამრავ ინფორმაციას ადამიანის შესახებ. მეცნიერებმა ასეთი გამოკვლევა ჩაატარეს: მამაკაცებს აჩვენეს ორი ფოტოალბომი, რომელიც პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტური იყო, მაგრამ მეორე კრებულში ქალებს თვალის გუგები ხელოვნურად ჰქონდათ გადიდებული. მამაკაცებს ბევრად მიმზიდველად მოეჩვენათ ქალები მეორე ალბომიდან.

ცხადია, შეუძლებელია, სპეციალურად აკონტროლოთ თვალის გუგების ზომა, მაგრამ შეგიძლიათ შექმნათ შესაბამისი ატმოსფერო, საჭირო ეფექტის წარმოსაქმნელად. უკეთესია, თუ შუქი არ იქნება მკვეთრი. დაბალ სინათლეზე გუგები ფარ-



თოვდება. სწორედ ამიტომ მიიჩნევა ვახშამი სანთლების შუქზე ასე რომანტიკულად. გარდა ამისა, დაბალი განათება სახეს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს.

გუგები მაშინაც გვიფართოვდება, როცა რაიმე ჩვენთვის მოსაწონს ვუყურებთ ან რაიმე სასიამოვნოზე ვფიქრობთ — ესე იგი, იმ დროსაც, როცა ჩვენთვის საინტერესო ადამიანს ვხედავთ. ეფექტის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ეცადეთ, ამავე დროს რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ.

გაიღიმეთ

ღიმილი — სიმპათიის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და ამავე დროს, უბრალო ხერხია.

დაუქნიეთ თავი თანხმობის ნიშნად

გირჩევთ, საუბრის დროს, თანხმობის ნიშნად, ხშირად გამოიყენოთ არავერბალური შესტები. წინააღმ-

დეგ შემთხვევაში, თანამოსაუბრემ შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ განსხვავებული აზრის ხართ ან სულაც არ გაინტერესებთ ის, რაზეც იგი გესაუბრებათ.

დაიხარეთ მისკენ

ასეთი შესტი არაორაზროვნად მიანიშნებს თქვენს სიმპათიაზე. შეიძლება, ოდნავ დაეყრდნოთ კიდევ მას, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ, შეიძლება უპურეაქცია გამოიწვიოთ.

შეეხეთ თანამოსაუბრეს

გახსოვდეთ, რომ საქციელი უფრო მეტყველია, ვიდრე სიტყვები. ფიზიკური კონტაქტი ასევე მიუთითებს, რომ გახსნილი ხართ ემოციური ურთიერთობებისთვისაც.

„დახურული“ პოზა კი (გულზე დაკრეფილი ხელები, ფეხზე გადადებული ფეხი) იმის სიგნალია, რომ თავს იცავთ, ფრთხილობთ ან საერთოდ არ გსურთ მასთან ურთიერთობა.



ბრბაქი თუ მარბაქი?

ხშირად გვესმის, რომ ესა თუ ის პროდუქტი ასუქებს ან სიმალეში ზრდის ადამიანს. მოდი, ერთად გავარკვიოთ ამა თუ იმ პროდუქტის კალორიულობა

მაკარონი — ერთი ულუფა მაკარონი (60 გ) შეიცავს 220 კალ-ს, ხოლო ერთი ულუფა შემწვარი კარტოფილი 360-ს. ამრიგად, მოსაზრება, რომ მაკარონი ადამიანს ასუქებს, არასწორია. სინამდვილეში, წონის მომატებას იწვევს არა მაკარონი, არამედ ის სოუსები, რომლებთან ერთადაც მიირთმევენ. თუ თქვენ წონის დაკლების სურვილი გაქვთ, უარს ნუ იტყვით მაკარონზე, ოღონდ მიირთვით ბოსტნეულითა და ზეითუნის ზეთით შეზავებულნი.

გამომშრალი პური — ამბობენ, რომ გამომშრალი პური არ ასუქებს. სინამდვილეში, 100 გ გამომშრალი პური შეიცავს 318 კალ-ს, ხოლო 100 გ რუხი პური — 210 კალ-ს.

აბსოლუტურად მცდარია ის აზრიც, რომ **მარგარინზე** მეტად **კარაქი** ასუქებს. 100 გ კარაქი შეიცავს 750 კალ-ს, ხოლო 100 გ მარგარინი — 745-ს. ამრიგად, განსხვავება თითქმის არ არის, მაგრამ კარაქი შეიცავს სრულფასოვან მჟავებს, რომლებიც ხელს უწყობს გულის მუშაობის გაუმჯობესებას.

საკმაოდ გავრცელებული აზრია, რომ თუ გვიან მიირთმევენ, გასუქდებით, მაგრამ ესეც არასწორია. მთავარია დღის განმავლობაში მიღებული საკვების რაოდენობა, მასში შემავალი ცხიმების შემცველობა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყველაფერთან ერთად, ფიზიკური აქტივობა. ის აზრი, რომ **კვერცხი** ქოლესტერინის მომატებას იწვევს, მცდარია. თქვენ შეგიძლიათ უშიშრად მიიღოთ ყოველდღიურად 2 ცალი კვერცხი, თუ ნივთიერებათა ცვლის პროცესი დარღვეული არ გაქვთ.

არც ის არის მართალი, თითქოს **ლუდი** ასუქებს. სინამდვილეში, ყველაფერი დამოკიდებულია მიღებული ლუდის რაოდენობასა და იმ პროდუქტებზე, რომლებსაც ლუდს აყოლებთ.

სამარხვო კერძები

კარაფილის სოსი

150 გ წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ 100-150 გ ცხიმში, დაუმატეთ 500 გ კანგაცლილი, წვრილად დაჭრილი ან დაჭყლეტილი პომიდორი (გნებავთ, 2 ს/კ ტომატ-პასტა ან 1 ჩ/ჭ პომიდვრის საწებელი) და მოშუშეთ. შემდეგ დაუმატეთ 700-800 გ დაჭრილი კარტოფილი, დაფარეთ წყლით და 10-წუთიანი დუდლის შემდეგ, სრულ მოხარშვამდე შეაზავეთ მარილით, რათა კარტოფილი არ ჩაიშალოს. ამ კერძს ძალზე უხდება ოხრახუში და რეჰანი.



შოკოლადიანი კეკსი



გასალად საჭიროა:

- 120 გ თაფლი;
- 60 გ შაქრის ფხვნილი;
- 50 გ მარგარინი;
- 1 ჩ/კ საფუარი;
- 250 გ ფქვილი;
- 2 ჩ/კ დარიჩინი;
- 1 მწიკვი მარილი;
- 50 გ გარგარის ჩირი;
- 400 გ მუქი (სამარხვო) შოკოლადი.

მოზადავის წასი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. მოათავსეთ ცომი ცხიმნასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან. შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით.



სოლომონ II უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი

მიხეილ ლაბაძე

XIX საუკუნის დასაწყისი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში უმძიმეს ხანად მიიჩნევა. ამ დროს რუსეთის იმპერიამ, რომელიც ერთმორწმუნეობის ნიღაბს იყო ამოფარებული და ქართველთა მემკვიდრეობით მთელი კავკასიის დაპყრობას ცდილობდა, ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა, შემდეგ კი — იმერეთისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართლ-კახეთის დაპყრობა რუსებს გიორგი XII-ს გარდაცვალებამ გაუადვილა, იმერეთში კი ლეგიტიმური სამეფო ხელისუფლების მოსასპობად მათ სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდა — 1810 წლის თებერვალ-მარტში, იმერეთის მეფე სოლომონ II ტახტიდან იმპერატორის ლეიბ-გვარდიის ცხენოსანმა ნაწილებმა ჩამოაგდეს, რომელთაც გენერალი, ალექსანდრ ტორმასოვი მეთაურობდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის არც კი იწერებოდა იმის შესახებ, რომ უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი — სოლომონ II საქართველოში რუსების დამკვიდრების სასტიკი წინააღმდეგი იყო და ქართლ-კახეთის ანექსიას არ ცნობდა. მეტიც, 1801 წლიდან სოლომონ II აღმოსავლეთ საქართველოში ყველა ანტირუსულ გამოსვლას მხარს აქტიურად უჭერდა და რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავად-აზნაურებს იმერეთში თავშესაფარს აძლევდა. ამავე პერიოდში, მის კარზე თავს ყაბარდოს მთავარი ჟანბულათ ნაურზის ძე მისოსტოვიც აფარებდა, რომელიც რუსების დაუძინებელი მტერი იყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, სოლომონ II დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა. მიაჩნდა, რომ რუსული ადრესიის შეჩერება მხოლოდ ამ გზით მოხერხდებოდა. 1802 წლიდან, როდესაც მეფის ეს განზრახვა ყველასათვის ცხადი გახდა, სანქტ-პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე I-ის მრჩევლებმა მიიჩნიეს, რომ კავკასიაში რუსთა წინსვლის ერთადერთი შემაფერხებელი გარემოება სწორედ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობა გახლდათ. ამავე დროს, ქართლ-კახეთის მთავარმართველმა, პავლე ციციანოვმა იმპერატორს საიდუმლო ანგარიში წარუდგინა, სადაც დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ უნდა მოეხდინათ სოლომონ II-ის ჯერ დისკრედიტირება, შემდეგ კი ტახტიდან ჩამოშორებაც. ამაში რუსებს ოდიშის მთავარი, წარსულში სოლომონ II-ის უპირველესი მხარდამჭერი, გრიგოლ

დადიანი უნდა გამოეყენებინათ.

აღსანიშნავია, რომ იმერეთში სოლომონ II-ის (ანუ დავით არჩილის ძის) გამეფებას თავის დროზე სწორედ ოდიშის მთავარი უჭერდა მხარს — უძეო სოლომონ I-მა ტახტი სიცოცხლეშივე ძმისშვილს, დავითს უანდერძა; თუმცა, მეფის უეცარი სიკვდილის შემდეგ (1784 წ.) მის მემკვიდრედ გიორგი VII ძე დავითი აკურთხეს, რომელიც სოლომონ I-ს ბიძაშვილად ერგებოდა. ტახტის კანონიერმა პრეტენდენტმა დახმარებისთვის ერეკლე II-ს მიმართა. პატარა კახის თანადგომით, დავით არჩილის ძემ იმერეთის თავად-აზნაურთა მხარდაჭერა მოიპოვა და დავით გიორგის-ძის მიერ ოდიშიდან განდევნილ მთავარს — გრიგოლ დადიანს დაუმოყვრდა; 1789 წელს, მათხოჯის ბრძოლაში დავით არჩილის-ძემ გრიგოლ დადიანთან ერთად მეფე დავით გიორგის-ძე სასტიკად დაამარცხა, იმერეთიდან განდევნა და მეფედ თვითონ ეკურთხა. დავით არჩილის-ძემ ახალ სახელად, სოლომონ I-ის პატივისცემისა და სსოვნის ნიშნად, სოლომონი აირჩია; ოდიშშიც კვლავ გრიგოლ დადიანი გამთავრდა.

ამასთან, რუსებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ იმერეთის მეფეებსა და ოდიშის მთავრებს შორის ლეჩხუმი იმთავითვე სადავო ტერიტორიას წარმოადგენდა — იმერეთის თითქმის ყველა მეფე ცდილობდა, რომ ამ მხარეში მთავრის ხელისუფლება შეეზღუდა და ამიტომ, ოდიშის ყოველ ახალ მთავარს ლეჩხუმზე კანონიერი უფლებების დასაბუთება ხელახლა უწევდა. უნდა აღინიშნოს, რომ სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის ამ საკითხში თავიდან სრული ურთიერთგაგება სუფევდა, მაგრამ რუსებმა ყველაფერი აურიეს. პავლე ციციანოვმა დადიანს საიდუმლოდ აცნობა, რომ სოლომონ II უახლოეს მომავალში მას ჯერ ლეჩხუმის წართმევას, მერე კი ოდიშიდან



იმერეთის მეფე სოლომონ II

გაძევებასაც უპირებდა და, სასწრაფოდ რუსთა მფარველობაში შესვლა შესთავაზა: „თუ ჩვენს მფარველობაში შემოხვალთ, იმპერატორის ბრძანებით, ლეჩხუმს სამუდამოდ თქვენ დაგიმტკიცებენ და იმერეთის ვერც ერთი მეფე პრეტენზიას ვეღარ წამოგიყენებთ“ — არწმუნებდა ციციანოვი გრიგოლ დადიანს. სამწუხაროდ, რუსულმა პროპაგანდამ მიზანს მიაღწია და 1803 წელს ოდიშის სამთავრო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა; გრიგოლ დადიანს იმპერატორის ბრძანებით, გენერალ-ლეიტენანტის ჩინი ებოძა.

როგორც სანქტ-პეტერბურგში ვარაუდობდნენ, ოდიშზე რუსული პროტექტორატის დამყარებამ სოლომონ II ძალიან გააღიზიანა. ეს სამთავრო ნომინალურად იმერეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო და რუსეთის ქმედებას კანონიერი საფუძვლები არ გააჩნდა. იმერეთის მეფემ მხარდაჭერის მოპოვება სტამბოლში სცადა. მან ოსმალეთის სულთანს, სელიმ III-ს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც სანქტ-პეტერბურგის უკანონო ქმედების დაგმობას ითხოვდა. სხვათა შორის, სოლომონ II-ს ეს ნაბიჯი ძალზე ეფექტურად ჰქონდა გათვლილი. საქმე ის იყო, რომ საქართველოს შავი ზღვისპირეთი ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა და სულთნის კარს იქ რუსთა გამოჩენა არ უნდა დაეშვა.

სოლომონ II-ის მიერ სტამბოლში საგანგებო მიმართვის გაგზავნის შესახებ, რალა თქმა უნდა, პავლე ციციანოვმაც შეიტყო. მან, როგორც სანქტ-პეტერბურგიდან ჰქონდა ნაბრძანები, სასწრაფოდ მიიღო შესაბამისი ზომები — აღმოსავლეთ საქართველოდან რუსული ქვედანაყოფები დაძრა და იმერეთის საზღვრებს მიაყენა. პარალელურად კი, გრიგოლ დადიანსაც უბრ



გენერალი ალექსანდრ გორმასოვი



ძანა, საჭიროების შემთხვევაში ქუთაისისთვის დასავლეთიდან შემოეჭია. ამგვარად, სოლომონ II ალყაში მოქცეული აღმოჩნდა, თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრია — მეფის კარზე სულთანის საპასუხო წერილს დღე-დღეზე ელოდნენ, თუმცაღა ის არსად ჩანდა.

1804 წლის მარტის ბოლოს იმერეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა — რუსის ჯარი შეტევის დასაწყებად მზად იყო, ხოლო სტამბოლიდან მოსულმა მალემსრობლმა კი მეფეს სასურველი ვერაფერი უთხრა: ოსმალების სულთანი სოლომონ II-ს სიტყვით სრულ მხარდაჭერას პირდებოდა, მაგრამ სხვა მხრივ თავს იკავებდა. არადა, დრო არ იცდიდა — თუკი იმერეთის მეფე რუსებთან მოლაპარაკებას არ ეცდებოდა, სამეფოში ომი ატყდებოდა; მართალია, სოლომონს ამისიც არ ეშინოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, რუსთა წინაშე იმერეთი მარტო რჩებოდა — აკი ოდიშის მთავარი მხარს რუსებს უჭერდა, აფხაზეთისა და გურიის მთავრების პოზიციის კი გაურკვეველი იყო.

ასეთ ვითარებაში, სოლომონ II იძულებული გახდა, რუსებთან მოლაპარაკება დაეწყო. მალე ციციანოვს მისი მსტოვრები ეახლნენ, რომლებმაც განაცხადეს, რომ იმერეთის მეფე თანახმა იყო, საკუთარ სამეფოზე რუსული პროტექტორატი ეცნო, თუკი რუსები მას გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავს ხელშეკრულებას დაუდებდნენ და რაც ყველაზე მთავარია, შეემდგომ მის პირობებს პირნათლად აღასრულებდნენ. ციციანოვმა სოლომონ II-ის მსტოვრებს უპასუხა, რომ რუსეთის იმპერატორი თანახმა იყო, იმერეთი „პრივატული უფლებების სრული დაცვით“ მფარველობაში აეყვანა. მანვე სოლომონ II-ს მსტოვართა ხელით ვრცელი წერილი გაუგზავნა, სადაც მზადყოფნა გამოთქვა, „ახალ გეორგიევსკის ტრაქტატზე“ მუშაობა მალევე დაწყებულიყო.

იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის მფარველობის ხელშეკრულება 1804 წლის 25 აპრილს, სოფ. ელაზნაურში (ახლანდელი სოფ. ვახანი ხარაგაულის რ-ში) გაფორმდა. უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ის არაკანონიერი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ხელისმომწერ მხარეთა შორის თანასწორუფლებიანობა არ გახლდათ დაცული: ერთი მხრივ, შეთანხმებას ხელს აწერდა მეფე, ხოლო მეორე მხრივ კი — ქართლ-კახეთის მთავარმართებელი ციციანოვი (და არა იმპერატორი, როგორც ამას წესი

მოითხოვდა). სამწუხაროდ, ამ გარემოებაზე მაშინ სოლომონ II-ს ყურადღება აღარ გაუმხვილებია. არა იმიტომ, რომ მისთვის სულერთი იყო, არამედ იმიტომ, რომ ხელის არმონერის შემთხვევაში პავლე ციციანოვი ომის დაწყებით იმუქრებოდა.

ელაზნაურის ხელშეკრულება 7 პუნქტისაგან შედგებოდა. პირველივე პუნქტში იმერეთი რუსეთის იმპერატორის ვასალ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. სოლომონ II-ის შთამომავლებს სამეფო



სოლომონ II-ის ამაღლის წვერთა მემკვიდრეები. XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო

ტახტი საშვილიშვილოდ რჩებოდათ, ოღონდ ყოველი ახალი მეფე რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. ამასთან, იმერეთის მეფე ქართლ-კახეთის რუს მთავარმართებელს უნდა დამორჩილებოდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ერთგვარი „შუამავალი“ იქნებოდა მასა და იმპერატორს შორის. იმერეთის მეფეს რუსული ჯარის შემოღობვა ევალებოდა — მოკლედ, ხელშეკრულება იმერეთს ყველა სუვერენულ უფლებას ართმევდა და მეფის ღირსებასაც უკიდურესად ამცრობდა. მასზე ხელმოწერიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, იმერეთში რუსული ჯარი შემოვიდა და ყველა სტრატეგიული პუნქტი დაიკავა.

„მფარველობაში აყვანილი“ იმერეთის სამეფოში რუსები ბატონ-პატრონებით იქცეოდნენ — მეფის ხელისუფლებას უგულვებლყოფდნენ, სოფლებში თვითნებურად იჭრებოდნენ და გლეხებს აწიოკებდნენ. სოლომონ II ცდილობდა, სამეფოში რუსების ყველა ნაბიჯი ეკონტროლებინა, მაგრამ ბუნებრივია, ამას ვერ ახერხებდა — მის მეფობას უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი. ქართლ-კახეთის მთავარმართებელი, პავლე ციციანოვი სოლომონის ყოველ მიმა-

რთვაზე — თქვენი ჯარისკაცების თავგასულობა ალაგმეთო — ყურს იყრუებდა და არ რეაგირებდა. 1806 წელს იგი ბაქოში მოკლეს, ქართლ-კახეთში კი მთავარმართებლად იმპერატორის ლეიბ-გვარდიის გენერალი, ტორმასოვი მოავლინეს.

1810 წლის 20 თებერვალს, გენერალ ალექსანდრ ტორმასოვის მეთაურობით, რუსმა ჯარისკაცებმა — საიმპერატორო ლეიბ-გვარდიის კავალერისტებმა — ქუთაისში სამეფო სასახლეს ალყა შემოარტყეს. ამავდროულად, მთავარმართებელმა იქ შეკრებილ ხალხს იმპერატორის ბრძანება წაუკითხა, რომლის თანახმადაც, მეფე სოლომონ II ტახტიდან გადაყენებულად, იმერეთის სამეფო კი გაუქმებულად ცხადდებოდა. ამის გაგონებაზე, იმერლებმა რუსის ჯარს სროლა აუტეხეს, მაგრამ ჯარისკაცებმა, რომლებიც უფრო უკეთ შეიარაღებულნი იყვნენ, ინციდენტიც აღკვეთეს, სასახლეშიც შეიჭრნენ და მეფე დაატყვევეს. ტორმასოვმა, რომელიც მომხდარის გამო სინარულს ვერ ფარავდა, ჯარს ქუთაისის მდელით საძარცვავად გადასცა, დატყვევებული სოლომონ II კი თბილისისკენ გამოისტუმრა.

ქუთაისში მყოფი გენერალი ტორმასოვი იმერეთში „საარაკო გამარჯვებით“ ჯერ ისევ ტკბებოდა, როცა მსტოვრებმა მოულოდნელად ცუდი ამბავი მოუტანეს — იმერთა მეფე ბადრაგს გზაში ხელიდან დაუსხლტა და თავი ახალციხის ფაშას შეაფარაო. რუსი გენერალი გაცოფდა, მაგრამ რაღას იზამდა? სოლომონ მეფე უკვე სამშვიდობოს იყო გასული; ახალციხის საფაშოს საზღვრები ისე იყო დაცული, ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა.

ახალციხის ფაშა იმ დროს აჭარელი წარჩინებული, სელიმ ხიმშიაშვილი იყო. იგი, მუსლიმანური რწმენის მიუხედავად, ქართველობას, საქართველოს არ ივინყებდა და ამიტომაც, იმერეთიდან ლტოლვილ სოლომონ II-ს ტახტის დაბრუნებაში დახმარება აღუთქვა. სელიმ-ფაშასთან სტუმრობის შემდეგ მეფე ტრაპიზონის ფაშას — წარმოშობით ლაზ ოსმან ხეზიდეროლისაც ეწვია, რომელმაც მის პატივსაცემად აღლუმი გამართა; სოლომონმა ტრაპიზონის ფაშას მიპატიუება მიიღო და გადაწყვიტა, რომ იმერეთიდან რუსების გაძევებამდე აქ დარჩენილიყო. ოსმან-ფაშა ხეზიდეროლიმ მას უზარმაზარი



სასახლე აჩუქა, რომელიც ზედ ზღვის სანაპიროზე, წმ. გრიგოლ ნისელის ბერძნული ეკლესიის გვერდით მდებარეობდა.

სოლომონ II-ის ელჩები — ქაიხოსრო და დავით წერეთლები სტამბოლში 1810 წლის აპრილის დასაწყისში ჩავიდნენ. ისინი სულთანს — მაჰმუდ II-ს, მის პირველ ვეზირს — ვაჰიდ-ეფენდის და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შეხვდნენ; ამ უკანასკნელს იმერთა მეფის ელჩებმა რუსების მხარდამჭერი ქართველი დიდებულების ანათემზე გადაცემა მოსთხოვეს, ხოლო სულთანს და პირველ ვეზირს კი სოლომონ II-ის წერილი გადასცეს, რომელშიც იმერეთიდან განდევნილი გვირგვინოსანი რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო ძალით დახმარებას ითხოვდა. მაჰმუდ II-მ იმერეთის მეფის თხოვნა შეიწყნარა და ელჩებს აღუთქვა, რომ მრჩეველებს სოლომონის ტახტზე დაბრუნების გეგმას მალევე მოამზადებინებდა; მანამდე კი ტრაპიზონში მყოფ მეფეს იმერეთის ტახტის ფლობის სიგელი, ხუთი ათასი ყურუში და ძვირფასი ხალათი გაუგზავნა.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის სულთანმა თავისი სიტყვა მართლაც შეასრულა. სტამბოლში შეიმუშავეს სპეციალური გეგმა, რომლის თანახმადაც, სოლომონ II-ის მხარდასაჭერად ჯანიკის საფაშოდან 20 ათასი, ტრაპიზონის საფაშოდან კი 10 ათასი ჯარისკაცი იმერეთში უნდა გაეგზავნათ; სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი რუსებს ბორჯომის ხეობაში 15 ათასი ჯარისკაცით შეუტევა და მათ ლიხის ქედის გადავლით იმერეთში დამატებითი სამხედრო ძალის გადასროლის საშუალებას არ მისცემდა. იმედმოცემული სოლომონ II ტრაპიზონიდან ახალციხის გავლით კვლავ იმერეთში დაბრუნდა და რუსთა წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო. სამწუხაროდ, მისმა მომხრე თავად-აზნაურებმა ხალხის დროზე მობილიზება ვერ შე-

ძლეს, რის გამოც უპირატესობა რუსთა მხარეზე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებმა რუსების პირველი შემოტევა ლიხის ქედის მისაღდგომებთან კარგად მოიგერიეს, პოზიციების შესანარჩუნებლად ალარავინ იბრუნა და განმეორებითი იერიშის შემდეგ, რუსთა სარდალმა — გენერალ-ლეიტენანტმა ბარონმა როზენმა სოლომონ II-ის მომხრეთა 5-ათასიანი ლაშქარი ჩხერის ციხესთან დაამარცხა, წინვლა განაგრძო და ქუთაისსაც მიაღწა. აქ მას სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები ეახლნენ და ერთგულება შეჰფიცეს. სოლომონ II-მ ქუთაისი მალულად დატოვა, ხანისწყლის ხეობაში გამაგრებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ.

აჯანყების ასე მცირე დროში ჩახშობას ოსმალეთის ხელისუფლებაში არავინ ელოდა; ამიტომაც, ცხადია, სოლომონ II-ს, რომელიც კვლავაც ახალციხეში გადასვლას გეგმავდა, ვეღარ მიეშველნენ. გადმოცემით, სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილმა იმერეთის მეფეს უსაყვედურა კიდევ — თუკი ხალხი მხარს აღარ გიჭერდა, სიცოცხლე საფრთხეში რად ჩაიგდეო. სოლომონ II 300-კაციანი ამალით ისევ ტრაპიზონში ჩავიდა და მცირე ხნის შემდეგ, ყველაფრის თავიდან დაწყება დააპირა. როცა ნაპოლეონის რუსეთში შეჭრის ამბავი შეიტყო, მას ვრცელი წერილი გაუგზავნა, სადაც მოკლედ აღწერდა თავის ბედს და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ითხოვდა. აღსანიშნავია, რომ წერილს ნაპოლეონი მართლაც გამოეხმაურა; სოლომონ II ხე-



ქართლ-კახეთის მთავარმართებელი პავლე ციციანოვი

ლახალი აჯანყების მომზადების მიზნით, ინკოგნიტოდ აფხაზეთში ჩავიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით დაინახა, რომ რუსების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლის მოწოდებას ალარავინ ეხმაურებოდა, იმედგაცრუებული უკან დაბრუნდა. 1814 წელს რუსეთის ელჩმა სტამბოლში — ბარონმა იტალინსკიმ სულთნის კარს მისი რუსეთისთვის გადა-

ცემა მოსთხოვა. ამის მიზეზად იგი სწორედ „ნაპოლეონთან თანამშრომლობას“ ასახელებდა. სულთანმა იმერთა მეფე არ განირა, მაგრამ ურჩია, რომ არსებულ ვითარებას შერიგებოდა და რუსეთთან დაპირისპირება შეეწყვიტა.

1815 წლის იანვრისათვის სოლომონ II-ს თავდაპირველი 300-კაციანი ამალიდან მხოლოდ 20 კაციღა ჰყავდა შემორჩენილი. ქართველებს ტრაპიზონში ცხოვრება ძალზე უჭირდათ — მათ უკვე ოსმალეთის ქვეშევრდომობა ჰქონდათ მიღებული და სულთნისგან დახმარებას აღარ იღებდნენ. ლტოლვილებს მხარში ადგილობრივი ლაზები ედგნენ, მაგრამ მათაც ბევრი რამ არ შეეძლოთ. სოლომონ II-მ დარდსა და სიდუხჭირეს ვეღარ გაუძლო და 1815 წლის 7 თებერვალს, 41 წლის ასაკში, მეფობის 25-ე წელს გარდაიცვალა.

უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი, ინგლისელ ისტორიკოს ენტონი ბრაიერის ცნობით, ტრაპიზონელმა ლაზებმა დაიტირეს. მათ სოლომონ II წმ. გრიგოლ ნისელის ბერძნული ეკლესიის გალავანში დაკრძალეს და საფლავს ასეთი წარწერა გაუკეთეს: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და შვენიერება და მდებარე ვარ შიშველ დაგდებული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა სრულიად იმერთა მეფე სოლომონ“. საფლავზე იგივე ტექსტი ბერძნულადაც ამოკვეთეს.

დღეისათვის არც წმ. გრიგოლ ნისელის ტაძარი და არც საფლავი აღარ არსებობს — ორივე ობიექტი 1963 წელს, ქალაქის განაშენიანებას შეეწირა. იმ ადგილას, სადაც სოლომონ II-ის განსასვენებელი იყო, ახლა სკვერია. სწორედ ამ სკვერიდან, 1990 წლის 30 ოქტომბერს გამირი მეფის ნეშტი საქართველოში, გელათში გადმოასვენეს. 2005 წლის 30 ივნისს კი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა სოლომონ II წმინდანად შერაცხა (ხსენების დღე — 20 თებერვალი).



წმ. გრიგოლ ნისელის გაძარი ტრაპიზონში. მის უკან — სოლომონ II-ის სასახლე; XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო



„ახალი რომის“ დაარსება, პირველობა დიპტიქში და მუსლიმანურ სამყაროში მოქცეული საპატრიარქო

როგორც „გზის“ წინა ნომერში განვმარტეთ, მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედ იერარქიულ წეს-წყობაში — დიპტიქში პირველად კონსტანტინოპოლის ეკლესიაა მოხსენიებული. დაპირებისამებრ, კონსტანტინოპოლის ეკლესიის ისტორიის შესახებ მოგითხრობთ.

შორენა მერაქილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე)

— კონსტანტინოპოლის ეკლესია სამოციქულო საყდრად იწოდება. იგი ქრისტიანობის პირველივე საუკუნიდან არსებობს. ვიცით, რომ ქალაქი კონსტანტინოპოლი ცარიელ ადგილზე არ დაარსებულა. მანამდე იქ იყო პატარა ქალაქი — ბიზანტიონი, სადაც მოციქულმა, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და დააარსა ქრისტეს ეკლესია, რომელიც კონსტანტინოპოლის დაარსებისა და დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ, კონსტანტინოპოლის ეკლესიად იწოდა. რადგან ბიზანტიონის ეკლესიის პირველი მღვდელმთავარი ანდრია პირველწოდებული გახლდათ, კონსტანტინოპოლის ეკლესიის პირველი მღვდელმთავრადაც ანდრია პირველწოდებული მიჩნეული. კონსტანტინოპოლის დაარსებამდე ბიზანტიონის ეკლესია სხვა, ადგილობრივ ეკლესიებს იყო დაქვემდებარებული. კონსტანტინოპოლის დაარსების შემდეგ მისი გავლენა გაიზარდა სხვა ეკლესიებთან შედარებით, მიწიერი უპირატესობა მოიპოვა, რაც იურიდიულად, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იქნა აღიარებული: კრების გადაწყვეტილებით, დიპტიქში — იერარქიულ წყობაში მეორე ადგილი დაიკავა...

ვიდრე კონსტანტინოპოლის ეკლესიის შესახებ განვამარტობთ საუბარს, თვით სამეფო ქალაქ კონსტანტინოპოლის დაარსების ისტორიაც გავიხსენოთ: IV საუკუნეში, მეფობის მეცამეტე წელს კონსტანტინე დიდმა გადაწყვიტა, თავისი სახელობის ქალაქი გაეშენებინა. მან მრავალი ბრძენი კაცი წარგზავნა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, რათა ქალაქის დასაარსებლად საუკეთესო ადგილი შეერჩიათ. როდესაც ისინი დაბრუნდნენ, იმპერატორს ყველაზე მეტად, მაკედონია და ბიზანტიონი უქვს. კონსტანტინეს ლამით, სიზმრისეულ ჩვენებაში ჩაესმა ხმა: „ბიზანტიონი ჯერ არს აღიმართოს კონსტანტინეს ქალაქი!“ იმპერატორი მეორე დღესვე გაემართა ბიზანტიონს. თან დედადედოფალი ელენე და სხვა პირები ახლდა. იმპერატორის ბრძანებით, შეამზადეს საფუძველი ქალაქის გასაშენებლად. გადმოცემის თანახ-

მად, როდესაც ქალაქის გარშემონერილობას საზღვრავდნენ, კონსტანტინე შუბით ხელში ვიდოდა. როდესაც საკმაო მანძილი განვლეს, მისთვის ერთერთ მხედარს მიუმართავს: „კიდევ შორსა, ხელმწიფევ?“ კონსტანტინემ მიუგო: „იმ ადგილამდე ვივლით, სანამ არ შეჩერდება ჩემ წინ მავალი!“ ამ სიტყვებით მიანიშნა, რომ მას ზეციური ძალა წინამძღვრობდა, ის მიუთითებდა, როგორ ემოქმედა...

დიდებულიებთან მოთათბირების შემდეგ, კონსტანტინეს ბრძანებით, ქალაქის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის დასრულების შემდეგ, იმპერატორმა დიდებულნი, ერისმთავრები და დიდმოხელენი რომიდან იხმო და კონსტანტინოპოლში დაასახლა. იმპერიის ახალ დედაქალაქს — კონსტანტინოპოლს იმპერატორმა „ახალი რომი“ უწოდა. მისივე ბრძანებით, ქალაქში უამრავი მართლმადიდებლური ტაძარი ააგეს. იმპერატორმა სამღვდელოება და მთელი სამეფო ხელისუფლება შეკრიბა. ლოცვა-ვედრებით და ლიტანიობით ალუვილენეს მადლობა ყოვლადწმინდა სამებას, ახალდაარსებული ქალაქის მფარველობა შეავდრეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს...

XI საუკუნიდან, როდესაც რომის ეკლესია მართლმადიდებლობას ჩამოსცილდა, კონსტანტინოპოლის ეკლესია, ფაქტობრივად, მართლმადიდებლობის ლიდერი გახდა. დიპტიქში პირველ ადგილზე კონსტანტინოპოლის ეკლესია იქნა მოხსენიებული. ეს ხდება იმ დროს, როდესაც მართლმადიდებლური საპატრიარქო — ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის მიწიერად უსჯულოების ხელშია, დევნილებასა და შევიწროებას განიცდის. ბიზანტიის იმპერიაში კი ამ დროისათვის, ქრისტიანობა დევნასა და შევიწროებას არ განიცდიდა, რადგან, როგორც ვიცით, საერო ხელისუფლებაც ქრისტიანი იყო, ამიტომ ყველა ჭირ-ვარამი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მიდიოდა და კონსტანტინოპოლის ეკლესია უფრო მეტად გახდა ლიდერი მართლმადიდებლობისა. ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქში თავს იყრიდნენ სხვადასხვა აზროვნების ადამიანები, ხოლო იქაურ ეკლესიაში ხშირად აღმოცენდებოდა

სხვადასხვა მწვალებლური მიმდინარეობა. რამდენიმე მღვდელმთავარიც კი გახდა ერესის მიმდევარი. ცხადია, ისინი ეკლესიისგან განიკვეთნენ, თუმცა თავისთავად შფოთი შემოქცინდათ.

ყველაზე დიდი განსაცდელი მიწიერი თვალსაზრისით, რაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაატყდა თავს, XIII საუკუნის დასაწყისში ჯვაროსანთა მიერ ქალაქის დაპყრობას მოჰყვა. ჯვაროსნები მთელი 60 წლის მანძილზე მართავდნენ კონსტანტინოპოლს. ამ პერიოდში ეკლესიაც შევიწროებული იყო, ჯვაროსნებმა მთლიანად გააძარცვეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, გაიტანეს სინმინდეები, ხელოვნების ნიმუშები. ჯვაროსნების ცხოვრების წესიც აბსოლუტურად განსხვავებული იყო ქალაქის მართლმორწმუნე მკვიდრთაგან, რამაც შემდგომ აჯანყება გამოიწვია და 60 წლის არსებობის შემდეგ, კონსტანტინოპოლის ლათინურ-პაპისტურმა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. თუმცა ორი საუკუნის შემდეგ — 1473 წელს, ბიზანტიის იმპერიამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა და კონსტანტინოპოლი დაეცა. თურქეთის იმპერიის მიერ მისი დაკავების შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ქრისტიანთა დევნა გაძლიერდა. მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის გამო უამრავი სასულიერო და საერო პირი წამებით აღესრულა. 4 საუკუნის განმავლობაში კონსტანტინოპოლის ეკლესია მუსლიმანური სამყაროს — ოსმალეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ამჟამადაც თურქეთის ტერიტორიაზე, სტამბოლში მდებარეობს. XX საუკუნეში იყო მცდელობა მისი სხვაგან გადატანისა, მაგრამ ამას სხვა ქრისტიანული ქვეყნები შეენინააღმდეგნენ.

1923 წლიდან კონსტანტინოპოლის ეკლესიაზე თურქეთის ხელისუფლების ზეწოლა შედარებით შერბილდა, როდესაც საბერძნეთისა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულება დაიდო, მასში კონსტანტინოპოლის ეკლესიის დაცვის პუნქტებიც შეიტანეს. მაგრამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სრული თავისუფლება არც ამის შემდეგ ჰქონია; გარკვეული პრობლემები თურქეთის ხელისუფლებასთან დღესაც ექმნება.

ამჟამად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 232 მღვდელმთავარი და პატრიარქი მართავს, რომლის სრული ტიტულატურაა — ყოვლად უწმინდესი პატრიარქი კონსტანტინოპო-



ოლისა და ახლისა რომისა.

თურქეთის ტერიტორიაზე სულ 6 ეპარქიაა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი — 23: ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, ახალ ზელანდიაში, ესპანეთში. თურქეთის ტერიტორიაზე აქვს რამდენიმე სამრევლო და 30-მდე სასულიერო სასწავლებელი. თავის ფუნქციას, ფაქტობრივად, აქტიურად ახორციელებს თურქეთის ტერიტორიაზე, თუმცა გაცილებით თავისუფლად მოქმედებს ამ ქვეყნის საზღვრებს მიღმა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედის ათონის წმინდა მთაც, რომელსაც განსაკუთრებული უფლებები აქვს მინიჭებული თვითმმართველობაში. ეს განსაკუთრებით მონასტერთა გაერთიანება, რომელსაც მართავს კინოტი — მონასტერთა წარმომადგენლობა. კონსტანტინოპოლის ეკლესიის მმართველობითი ორგანო არის წმინდა სინოდი, რომელიც 13 სასულიერო პირისგან შედგება.

ვიდრე ბიზანტიის იმპერია არსებობდა და დამოუკიდებელი იყო, ფაქტობრივად ყველა ქალაქს თავისი მღვდელმთავარი ჰყავდა; შესაბამისად, ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებობდა იმდენი ეპარქია, რამდენი მნიშვნელოვანი ქალაქიც იყო ბიზანტიის იმპერიაში. ამჟამად თვით თურქეთის ტერიტორიაზეც არ არის რიცხოვრება იმდენი ქრისტიანი, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას იქ ეპარქიების მეტი — რაოდენობა ჰქონდეს. გაცილებით მეტი ეპარქია აქვს საბერძნეთის ეკლესიას თავის ტერიტორიაზე, ვიდრე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თურქული ნაწილის მრევლი ამ ქვეყანაში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობაა. ამერიკაში, ევროპასა და ახალ ზელანდიაში არსებულ ეპარქიებში კი — ადგილობრივი მოსახლეობა. მსოფლიოში მართლმადიდებელთა რიცხვი სწრაფი ტემპით იზრდება. ეს მატება სხვა სარწმუნოების მიმდევართა მოქცევის შედეგად ხდება. ამ პროცესში აქტიურადაა ჩაბმული კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მოღვაწეობა იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც მართლმადიდებლური სამრევლოები არ არსებობდა.

— საინტერესოა, თავის დროზე როგორ და რატომ დაუშვა თურქეთის იმპერიამ თავის ტერიტორიაზე მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა?

— როდესაც ოსმალეთის იმპერიამ კონსტანტინოპოლი დაიპყრო, მას არ შეეძლო, აბსოლუტურად გაენადგურებინა მართლმადიდებლები. იმ პერიოდისთვის თურქეთის იმპერია აღარ

იყო ისეთი, როგორც თურქ-სელჩუკების დროს, როცა სხვა ქვეყნებს მხოლოდ მიწების მიტაცების მიზნით იპყრობდა. თურქეთი უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფო იყო, რომელსაც თავის სტრუქტურები ჰქონდა. აკნინებდა სხვა სარწმუნოების მიმდევრებს, უწესებდა გადასახადებს, ცდილობდა, ზეგავლენა მოეხდინათ მათზე, მაგრამ მთლიანად არ გაენადგურებინათ, ასეთი რამ აღარ ხდებოდა. თანაც, როდესაც კონსტანტინოპოლი დაეცა, ამას მოჰყვა ალოგიკური მოვლენა — მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ქალაქში განმტკიცება დაიწყო. ამ პერიოდში დაძაბული ურთიერთობა იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის. დასავლეთიდან დახმარების მიღების იმედით, ბიზანტიის იმპერატორებიც კი ხშირად იხრებოდნენ ლათინებისკენ, ცდილობდნენ, ევროპასთან ერთობისთვის მიეღწიათ, რის გამოც მართლმადიდებლობაშიც ხდებოდა რაღაცების დათმობა, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, რომის ეკლესია ელოდა, რომ თურქეთის იმპერია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გაანადგურებდა, მაგრამ მაშინვე მეორემ პირიქით, საპატრიარქო ტახტზე მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი — სქოლარაიუსი აიყვანა, ამან მართლმადიდებლობაშიც განმტკიცებას შეუწყო ხელი. უნდა ითქვას, რომ ამ დროს თურქეთს საფრთხე უფრო დასავლეთიდან — მასთან დაპირისპირებული ევროპის სახელმწიფოებისგან ემუქრებოდა, ვიდრე საკუთარი მოსახლეობისგან. ამდენად, რომ არ მომხდარიყო სარწმუნოებრივ ნიადაგზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება, ოსმალეთის იმპერიამ მხარი დაუჭირა მართლმადიდებლობას და ამით ხელი შეუწყო მართლმადიდებლობის განმტკიცებას, თუმცა მრევლი რიცხოვრებად შემცირდა...

დღეს, კანონის თანახმად, თურქეთის ტერიტორიაზე სასულიერო პირებს ეკლესიისა და მონასტრის ტერიტორიის გარეთ, სასულიერო შესამოსლით სიარული ეკრძალებათ. ამის უფლება მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს აქვს. ყოფილა შემთხვევები, როცა ამის გამო თურქეთის ტერიტორიაზე ქართველი სასულიერო პირებიც დაუკავებიათ.

ხელისუფლებამ თავის დროზე რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი დახურა. წლების მანძილზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს დავა ამ სასწავლებლების აღდგენის თაობაზე. მსგავსი ტიპის პრობლემები დროდარო იჩენს თავს, მაგრამ სარწმუნოების გამო დევნა არ ხდება.

სხეულიდან და პირიდან ცუდი სუნის შესახებ წერილის გაკეთება საბერძნეთიდან შემოსულმა სატელეფონო ზარმა გადაგვანყვეტინა. ქალბატონი საბერძნეთში სამუშაოდაა წასული და ექიმთან მისვლას ვერ ახერხებს. გვთხოვა გაგვერკვია, რა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს ორგანიზმში ცუდი სუნის გაჩენას.

ცხოველქმედების პროცესში ცოცხალი ორგანიზმი ქმნის ან შთანთქავს სხვადასხვა სუნის ნივთიერებას. რადგან დაავადება ორგანიზმის მუშაობის ნორმალურ პროცესს ცვლის, ხშირად ადამიანის მიერ ამონასუნთქი ჰაერისა და მისი გამოწყობების სუნიც იცვლება.

ძველ ექიმებს შეეძლოთ, ადამიანის ჯანმრთელობის პათოლოგიური მდგომარეობა დამახასიათებელი სუნით ამოეცნოთ. სადღეისოდ ეს ცოდნა თითქმის მთლიანად არის დაკარგული.

სუნი, რომელიც ავადმყოფს ან მის გამოწყობას ასდის, ექიმს ზოგჯერ მართლაც აძლევს საშუალებას, ესა თუ ის დაავადება ივარაუდოს. უმარტებულო იქნებოდა მისი იგნორირება მაშინ, როცა ის ამა თუ იმ დაავადებაზე მიგვითითებს.

და მაინც, რისი სუნი აქვს დაავადებას?

1. ამიაკის სუნი ურემიულ მდგომარეობას (თირკმლების დაავადების დროს ორგანიზმის თვითმონაშვლა თირკმლების მიერ მავნე ნივთიერებათა გამოყოფის უნარის დაქვეითების გამო) და შარდის შეუკავებლობას ახასიათებს;

პირიდან ურემიული ანუ შარდის სუნი თირკმლების ქრონიკული უკმარისობის დროს ჩნდება. თირკმლების ქრონიკულ უკმარისობას გარკვეულ ეტაპზე ახლავს ცვლილებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მსრივ. ასეთ ავადმყოფებს ანორექსია (მადის დაკარგვა), სლოკინი, გულისრევა და ღებინება აწუხებთ. ამონასუნთქ ჰაერს ურემიული სუნი აქვს, რისი მიზეზიცაა ნერწყვი არსებული შარდოვანას დაშლა, ამიაკის წარმოქმნით. ამავდ მიზეზის გამო ავადმყოფი პირში ცუდ გემოს გრძობს. გარდა ამისა, ამ დროს შეიძლება უამრავი სხვა ცვლილებაც განვითარდეს.

2 აცეტონის სუნი (ანუ დამპალი ვაშლის სუნი) შაქრიანი დიაბეტის დროს კეტოაციდოზს და კეტოაციდოზურ ჰიპერგლიკემიურ კომას ახასიათებს. ამ დროს ქსოვილებში გლუკოზის უტილიზაცია ირღვევა.



9. ღვიძლის სუნი აქვს ღვიძლის პათოლოგიებს (ციროზი) უკვე შორს წასულ შემთხვევებში. კერძოდ, როცა ადგილი აქვს ღვიძლის ფუნქციურ უკმარისობას (ღვიძლის უკმარისობას, ღვიძლისმიერ კომას).

10. მიმწვარი ხორცის სუნი პნევმონიას (ფილტვების ანთება) ახასიათებს, რომლის გამომწვევიცაა კლებსიერი.

11. თევზის სუნი ნივთიერებათა ცვლის დარღვევის იშვიათ ფორმას — ტრიმეთილამინურას ახასიათებს. ამ პათოლოგიას თევზის სუნის სინდრომსაც უწოდებენ. ჩვეულებრივ, საჭმლის მომწელებელი ფერმენტები ტრიმეთილამინს უსუნო ნივთიერებად გარდაქმნიან, ტრიმეთილამინურის დროს კი ადამიანს ასეთი ფერმენტები არ გააჩნია. ამიტომ ორგანიზმში ტრიმეთილამინი უცვლელი რჩება, ამონასუნთქ ჰაერთან ერთად გამოიყოფა და ოფლსა და შარდს თევზის სუნს სძენს. ადამიანს სხეულზე მუდმივად თევზის სუნი აქვს, რაც მას სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნის როგორც შინ, ისე სახლის გარეთ. სუნს განსაკუთრებით აძლიერებს კვერცხი, ზოგიერთი მარცვლეული და ქოლინებით მდიდარი საკვები.

12. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური ფუნქციონირებისას, კუჭში არსებული საკვების დაშლის შედეგად წარმოქმნილი, საკმაოდ მძაფრ-სუნიანი აირები იშვიათად ხვდება ამონასუნთქ ჰაერში და შესაბამისად, პირიდან ცუდი სუნის მიზეზი ნორმის დროს არ აღინიშნება. ის დაავადებები, რომელთაც ახლავს დისპეფსიური მოვლენები, ხშირად პირიდან ლაყვ კვერცხის სუნით მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში,

საკვებში არსებული ცილების დაშლით კადავერინის და გოგირდის შემცველი პროდუქტები წარმოიქმნება, რაც საბოლოოდ პირიდან ცუდი სუნის მიზეზი ხდება.

13. ნაბახუსევზე ბევრს აქვს პირიდან ცუდი სუნი. ამის მიზეზი ჯერ ერთი, სისხლში გადასული ალკოჰოლის მოლეკულებია, რომელიც ხვდება ფილტვებში და იქიდან ამოსუნთქულ ჰაერს ამოჰყვება. გარდა ამისა, ალკოჰოლი პირის ღრუს სიმშრალეს იწვევს. შესაბამისად, მიკროორგანიზმების აქტიური გამრავლებისთვის კარგ პირობებს ქმნის და პირიდან ცუდი სუნის მიზეზი ხდება.

14. ბევრ მწვეულს აქვს ცუდი სუნი პირში. მართალია, მონვეით განპირობებულ ცუდ სუნზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ მათგან მთავარია ნიკოტინი, კუპრი და ცუდი სუნის მქონე სხვა ნივთიერებები, რომელსაც თუთუნის კვამლი შეიცავს. ეს ნივთიერებები ილექება კბილებზე და პირის ღრუს რბილ ქსოვილებზე (ღრძილები, ლოყა, ენა). მონვევა პირის ღრუს ქსოვილების სიცოცხლისუნარიანობას აქვეითებს. ამის გამო ნერწყვის მადუნინფიცირებული მოქმედება ქვეითდება ანუ აღარ ხდება პირში არსებული ბაქტერიების „ჩარეცხვა“ და მათი ცხოველმოქმედების პროდუქტები გაუფრებლდება. გარდა ამისა, მწვეულებს ხშირად აქვთ ღრძილების პრობლემები, რაც თავისთავად, პირიდან ცუდი სუნის ხშირი მიზეზია.

15. ზოგი საკვები პროდუქტი ხშირად ხდება პირიდან ცუდი სუნის მიზეზი. ასეთებია მაგალითად: ხახვი, ნიორი, თევზი, ყველი და სხვა. საკვები პროდუქტების გადამუშავების შემდეგ, ჩვენი ორგანიზმის მიერ მათი შემადგენელი მოლეკულების ათვისება და სისხლის ნაკადში გადასვლა ხდება. ზოგიერთი ასეთი არასასიამონო სუნის მქონე მოლეკულები ხვდება ჩვენს ფილტვებში, საიდანაც გამოდის ამოსუნთქვის დროს, ჰაერთან ერთად. ასე



რომ, საკვებთან დაკავშირებული ცუდი სუნი მოდის ფილტვებიდან და არა — კუჭიდან, როგორც ეს ბევრს ჰგონია. გარკვეული დროის გავლის შემდეგ ანუ როგორც კი „მყრალი მოლეკულები“ დატოვებს ორგანიზმს, ეს სუნი თავისთავად ქრება. ამიტომაც რომ, შეიძლება ადამიანმა ნივრის, თევზის და ა.შ. მირთმევის შემდეგ კბილები საგულდაგულად გამოიხეოს, მაგრამ არასასიამონო სუნის წარმოშობას ხელი მაინც ვერ შეუშალოს.

16. პირიდან ცუდი სუნი მადის დაქვეითებასთან, ანალურ ქავილთან, კბილების ჭრიალთან, მუცლის ტკივილთან ერთად ჰელმინთოზის (ჭიებით ინვაზია) დამახასიათებელი ნიშანია. თურქეთის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოკვლევა კი ჩაატარეს ამ საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერები აცხადებენ, რომ დედები ხშირად ამწნევენ, რომ ნაწლავური ჰელმინთოზის (განსაკუთრებით ენტერობიოზის) დროს ბავშვებს პირიდან ცუდი სუნი აღენიშნებათ, რაც ჭიების ერადიკაციის შემდეგ გადიოდა.

17. უმეტეს შემთხვევაში (85-90%) პირიდან ცუდი სუნის მიზეზი თვით პირის ღრუა. კერძოდ, ის მიკროორგანიზმები ანუ ბაქტერიები, რომლებიც პირის ღრუში ბუდობენ. აღსანიშნავია, რომ პირის ღრუში მიკროორგანიზმების დაახლოებით 600 სახეობაა აღმოჩენილი და მათი უმრავლესობა ენის უკანა ზედაპირზეა ლოკალიზებული. ენის ეს ნაწილი შედარებით მშრალია და ცუდად ინმინდება, რაც ბაქტერიების გამრავლების საუკეთესო პირობაა. პირის ღრუში არსებული ბაქტერიების უმრავლესობას საკვებში არსებული ცილების დაშლისა და მათგან გოგირდის შემცველი ნივთიერებების — ამინომჟავების წარმოქმნის უნარი აქვს.





19. მაშინაც კი, როცა პირიდან სუნის პრობლემა არ არსებობს, დილით, ახალგაღვიძებულზე ბევრი ამჩნევს, რომ პირიდან არასასიამოვნო სუნი აქვს. ეს იმითაა განპირობებული, რომ ძილის დროს ორგანიზმი ნერწყვს მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს და დილით პირი „გამომშრალია“. ანალოგიურ ეფექტს ამჩნევენ მასწავლებლები, ადვოკატები და საერთოდ ის ადამიანები, რომელთაც უწევთ ხანგრძლივი დროით, თითქმის შეუწყრებლად ლაპარაკი, რადგან ესეც პირი სიმშრალეს იწვევს.

ზოგიერთ ადამიანს პირის ქრონიკული სიმშრალე აწუხებს. ამ დაავადებას ქსეროსტომია ჰქვია და ნერწყვის შემცირებით არის განპირობებული. ცუდი სუნის მიზეზი შესაძლოა, სწორედ მშრალი პირი გახდეს. აღსანიშნავია რომ, ნერწყვი აუცილებელია და აქტიურად მონაწილეობს პირის ღრუს სანაციასა და იმ ნაწილაკების მოცილებაში, რომლებიც ცუდ სუნს განაპირობებენ. ჩვენ გამუდმებით ვყლაპავთ ნერწყვს და ყოველ გადაყლაპვაზე პირიდან ვაძეგვთ მილიონობით ბაქტერიას და ასევე იმ საკვების ნარჩენებს, რომლითაც ეს ბაქტერიები იკვებებიან. ალბათ იფიქრებთ, რომ ამ ფუნქციის შესრულება ნებისმიერ სითხეს შეუძლია და მართალიც იქნებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნერწყვი სხვა სითხეებისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ კომპონენტებს შეიცავს, რომლებიც ბაქტერიებსა და მათი ცხოველმოქმედების პროდუქტებს კლავენ.

მშრალი პირის ღრუს მიზეზი შეიძლება გახდეს:

ზოგიერთი მედიკამენტის გვერდითი ეფექტი. მაგალითად, ანტიბიოტიკები (ალერგიის სანინალმდგომი ნაწილები), ანტიდეპრესიული, სისხლის წნევის მარეგულირებელი პრეპარატები; ასევე დიურეტიკები; ტრანკვილიზატორები; ნარკოტიკული საშუალებები.

ასაკის მატებასთან ერთად პირის სიმშრალე შეიძლება გაძლიერდეს. დროთა განმავლობაში ჩვენი სანერწყვე ჯირკვლები ისე ეფექტინანად ვეღარ მუშაობს, იცვლება ნერწყვის შემადგენლობაც და ნერწყვის გამწმენდი თვისებები სუსტდება.

სიგარეტი და ალკოჰოლი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ;


ჰორმონული დარღვევები. არცთუ იშვიათად, პირიდან არასასიამოვნო სუნი აღინიშნება პრედმენსტრუალური სინდრომის დროს. ესტროგენების დონის მატება იწვევს პირის სიმშრალეს და მიკროორგანიზმების გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება.

საგულისხმოა, რომ ადამიანებს, რომელთაც პირის სიმშრალე დიდი ხნის მანძილზე აწუხებთ, ადვილად ემართებათ ღრძილების დაავადება, რაც თავისთავად, პირში სუნის ყველაზე ხშირი მიზეზია.

თქვენი ოჯახის მკურნალი



P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ადამიანი

რის გამო რსხვენია გურულ „არმსტრონგს“

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“, — მისთვის დამახასიათებელი ჩალიმილებით იტყოდა ხოლმე გალაკტიონი და ამ დაუსრულებელ წინადადებაში ბევრ რამეს გულისხმობდა... ნიჭი სომ მართლაც, ღვთით ბოძებული მადლია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია გამობრწყინება და მისი შემკავებელი ამქვეყნად არავინაა...



„პასიმიზმის დაძლივში მუსიკა და ხარგი ადამიანები მხმარებენ“

მარინა გავუნაშვილი

გადმოქართულებულმა პროექტმა — „ნიჭიერი“ — კიდევ ერთხელ, ნათლად დაგვანახვა ჩვენი ხასიათი, ამბიციის, შესაძლებლობები და რაღა თქმა უნდა, ნიჭიერებაც... და მაინც, საქართველო სიმღერისა და ცეკვის ქვეყანაა, ამიტომაც მონაწილეთა შორის მომღერლები და მოცეკვავეები ჭარბობდნენ.

— წარმოგვიდგინეთ თავი, — უთხრა ყიურობ სცენაზე გასულ მამასა და მის 13 წლის გოგონას. მამაკაცმა ხელი გულთან მიიღო და

ცოტა არ იყოს დაბნეულმა, თქვა: „ედიშერი!“ მერე გოგონასკენ გაიხედა და ამჯერად, უკვე მკაფიოდ, გარკვევით წარმოთქვა: „მარიამი!“ ყველას ეგონა, რომ ჩოხათაურელი მამა-შვილი „კრიმანჭულს“ შეასრულებდა, მაგრამ ყიურობისა და მსმენელის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ ლეგენდარული ლუი არმსტრონგის სიმღერა შეასრულეს, თან ისე, რომ დარბაზმა ემოციის ვერ დაფარა და დასასრულს, „ნიჭიერებს“ ხალხი ფეხზე წამოუდგა, ტაში მიაგება... ღამბაშიძეებს პირველ ტურში მონაწი-

ლეობის უფლება დართეს, მერე იყო მეორე ტურიც და მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ვეღარ გადავიდნენ, ისინი მაინც, ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ დუეტად აღიარეს. ჰოდა, ახლა მათ ყველგან ცნობენ, უღიმიან, აქებენ და ნიჭიერ მომღერლებად მიიჩნევენ.

— ედიშერ, რატომ მაინცდამაინც არმსტრონგი? — ვეკითხები და მართლაც, გულწრფელად მიკვირს, რატომ შეაჩერა არჩევანი ჯაზის მეფედ წოდებული მუსიკოსის რეპერტუარზე, როდესაც ქართული პოლიფონია ყველას აკვირვებს, ურთულეს „კრიმანჭულს“ კი მსოფლიოს საოცრებას უწოდებენ...

— გურულები უცნაური და ამბიციური ხალხი ვართ, — ხუმრობს ედიშერი. — „კრიმანჭული“ ჩემთვის ძალიან ახლობელია, უსაზღვროდ მიყვარს და როგორც ამბობენ, კარგადაც გამომდის, მაგრამ ამით ხომ ვერავის გაეკვირვებდი?! დიდი ამბავი, გურულმა კაცმა გურული სიმღერა შეასრულოს! აი, ჯაზი კი, თანაც — არმსტრონგისეული, რომელიც იმპროვიზაციისა და ფუძნებული, რთული სამღერია. გაგვიკვირდებათ და, ამ პროექტამდე მე და მარიამს ეს სიმღერა ნამღერი არ გვქონდა. მიყვარდა ლელა სიხარულიძის სიმღერები, მასთან ვმეგობრობდი და მინდოდა, ჩემს შვილს მისი რეპერტუარიდან შეესრულებინა რომელიმე სიმღერა, მაგრამ გვირჩიეს, რაიმე ორიგინალურზე გვეფიქრა და მეც, ჯაზი ავირჩიე...

დიდი ხნის წინ, როდესაც მშობლებმა ედიშერი მუსიკალურ სკოლაში შეიყვანეს, ცოტა ხანს იარა, მერე კი ბიჭებისთვის დამახასიათებელი ყოყლოჩინობით თქვა: არ მინდა ფორტეპიანო, ფეხბურთი მირჩევნიაო და მუსიკის სწავლას თავი დაანება. სწრაფად ნასწავლი ნოტები სწრაფადვე დაავიწყდა, მაგრამ მეგობრის მამამ რამდენიმე ბიჭი შეკრიბა და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა: ზოგს გიტარასთან, ზოგს დასარტყამ ინტრუმენტ-



თან, ედიშერი კი ფორტეპიანოს მიუსვა. მალე ხმა დაირხა, ჩოხატაურში პატარა ბიჭების თვითნასწავლი ანსამბლია, რომელიც საოცრად უკრავს და მღერისო. ჰოდა, ვინ აღარ მოდიოდა მათ მოსასმენად. ისინი „ბითლზის“, ელვის პრესლის, მაიკლ ჯექსონის რეპერტუარს ასრულებდნენ და ხალხს აოცებდნენ. ედიშერი 16 წლის იყო, როცა პირველი საკუთარი კომპოზიცია შექმნა, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე — „მეზღვაურები“; მერე ერთმანეთს მიჰყვა ანაზდად შექმნილი კომპოზიციები. ყველაფერს „ზეპირად წერდა“, მან ხომ ნოტები დღემდე არ იცის. ედიშერს ერთგვარი კომპლექსი ჰქონდა, — პროფესიონალი არ ვარ და ვაითუ, დამციინონო, ამიტომ სპეციალობად სხვა რამ აირჩია — ბიზნესი და კომერციული საქმიანობა, მაგრამ ვერა და ვერ გაშალა „ფრთები“ ამ სფეროში.



„ნიჭიერებს“ ხალხი ფეხზე წამოუდგა, ტაში მიაგება...

— რთული პერიოდი ხშირად მქონია და მაქვს. ასეთ დროს მივუჯდები ხოლმე როიალს და ვუკრავ — მთლიანად მუსიკის უსასრულო სამყაროში ვიძირები და დეპრესიიდანაც იოლად გამოვდივარ. მუსიკის შექმნაში ზღვის ტალღა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ციციანათელები, ზაფხულის თაკარა მზე ან სულაც, ლილისფერი მთები მეხმარება. უსაზღვროდ მიყვარს ხეტილი — გადავიკიდებ ხოლმე ზურგჩანთას და ბახმაროში ავდივარ, სადაც საოცრად კრიალა და გამჭვირვალე ცაა.


დღევანდელი ყოფა ბევრს უქმნის პრობლემებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია, საკუთარ თავს რომანტიკული განწყობილებით ან თუნდაც, მუსიკით უშველოს. „ეს ნიჭია, ძამიკო, ნიჭი“, რომელიც ყველგან თან სდევს ადამიანს და გაჭირვებისას, შველის კიდევ.

— მარიამი პატარაობიდანვე მღერის. ჩემს 11 წლის ბიჭს, ლაშასაც ძალიან კარგი სმენა აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, ფეხბურთს ამჯობინებს. დარწმუნებული ვარ, მალე ისიც „მოინამულება“ მუსიკით. ჩემი მეუღლე, ლია ხუნდაძე არ მღერის ანუ — ლიალები მე დამემსგავსნენ. სხვათა შორის, მეორე ნახევარში გამიმართლა. ლია თბილისში გავიცანი, მომეწონა და მისი ცოლად მოყვანა გურულად გადავწყვიტე — მოვიტაცე. გზაში ვფიქრობდი, — ნეტავ, ხომ არ გამწირავს და არ მიჩვილებს-მეთ-

ლემებიცა და წარმატებაც... მიყვარს როგორც ჯაზი, ასევე როკენ-როლი, სოული და პოპი, მაგრამ ჩემი სუსტი წერტილი ქართული ფოლკლორი და კლასიკაა. ოთახში არაერთხელ ჩავკეტილვარ და პავაროტის რეპერტუარიდან მიმღერია რალაც. რაც შეეხება „კრიმანჭულს“, ის ფენომენურია. მას რომ ჩასწვდე, გურიის ნიაღში უნდა დაიბადო, გაიზარდო და იცხოვრო. მართლაც, „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“. როგორი იყო ჩემი განწყობილება, როცა დიდ სცენაზე გავდი? — ძალიან ვღელავდი. მეორე ტურში გადასასვლელად რომ დაგვიბარეს, ისე ვწერვიულობდი, რომ მარიამი მამშვიდებდა: მამა, რა მოხდა, მეორე ტურში თუ ვერ გადავალთ, ეგ არაფერია. მთავარია, ხალხს მოვეწონეთო. როცა ჩვენი სახელი გამოაცხადეს, შვებით ამოვისუნთქე. გარეთ რომ გამოვედით, შვილს მერეღა ვკითხე, — მამი, ნუთუ, მართლა არ წერვიულობდი-მეთქი? — როგორ არ ვწერვიულობდი, მაგრამ შენ რომ გიყურებდი, ჩემი თავი აღარც გამსხენებიაო. საოცარი ბავშვია, თბილი და მოსიყვარულე. ჩვენი ურთიერთობა მამაშვილურს გაცდა და შეიძლება ითქვას, რომ ვმეგობრობთ. ის მეშვიდე კლასშია, ბეჯითია და ძალიან კარგად სწავლობს... რაც შეეხება პროექტს, ის

არა მარტო იმით იყო გამორჩეული, რომ ნიჭიერები აღმოაჩინა (მე თუ მკითხავთ, კიდეც ბევრი დარჩა პროექტს მიღმა), არამედ იმიტაც, რომ ადამიანები ერთმანეთს დაუახლოვა. არაჩვეულებრივი ქალბატონია გულნაზ გოლეთიანი. ემოციური და გულში ჩამწვდომი იყო მისი „ჰერიო, ბიჭებო“; დიდი მომავალი აქვს ანა ხანჩალიანს... როცა მეკითხებინა, სიმღერას ხომ გააგრძელებო, ცოტა არ იყოს, ვიბნევი. რა თქმა უნდა, გაავგრძელებ, მაგრამ თუ შემოთავაზება არ იქნა, რა გავაკეთო? მოკლედ, ყველაფერი მაინც, ფინანსებამდე მიდის, მე კი არ შემიძლია, ვინმეს კართან ავიტუზო და დახმარება ვითხოვო. გეგმა, იცოცხლეთ, უამრავი მაქვს. ვოცნებობ ორკესტრთან ერთად, ჩემი რომელიმე კომპოზიცია შევასრულო. ხვალ რას ვაპირებ? — ხვალ ისევ ჩოხატაურში მივდივარ. ვიცი, მეგობრები სიხარულით შემხვდებიან: ხან ერთთან მივალ, ხან მეორესთან, ხან ისინი მესტუმრებიან, მოვიგონებთ სასიამოვნო რალაცებს, მერე დაღამდება, მერე გათენდება და ალბათ, ასე გაილევა ჩემი ცხოვრება... მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა, დღეს უშუშევაფი კაცი მქვია და მეუღლის კმაყოფივარ ვარ. თუმცა ხვალის იმედი არ გადამინურავს.. ზოგჯერ ვფიქრობ: ნეტავ ამ პროექტში მონაწილეობა გაზაფხულის ერთ-ერთი „გაელვება“ ხომ

ისე ვწერვიულობდი, რომ მარიამი მამშვიდებდა



არ იყო-მეთქი? როცა პესიმომში შემომეპარება, მის დაძლევაში ისევ მუსიკა და კარგი ადამიანები მეხმარებიან. სალი და წრფელი ურთიერთობები ჩემთვის უპირველესია, მაგრამ თუ მუსიკის სფეროშიც გამიმართლებს, თავს უბედნიერეს კაცად ჩავთვლი.



ქალის ჯიუი, როგორც ბრძობისა და ინვალიდების დასახმარებლად ინჰიტენიბა

კინოლოგი **გიორგი ალიხანოვი** დიდი ხანია, ძაღლების განვითარებას დაკავებული. ამჟამად, მას უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ერთ-ერთი ძაღლი — ლორდი აბარია. ლაბრადორის ჯიუის ლეკვი 4 თვისაა. პატრიარქს კიდევ რამდენიმე ჯიუის ძაღლი ჰყავს — როტვეილერი, ერთი კავკასიური და გერმანული ნაგაზი. მათ ერთ-ერთი მღვდელმსახური, მამა ილია უვლის.

„კინოლოგია ძაღლებს ხელი არ უნდა ასწიოს“



თათა და დედალი

— კათოლიკოს-პატრიარქის ძაღლი, რომელსაც მე ვწვრთნი, ძალიან ჭკვიანი, ლამაზი და საყვარელია.

ლორდს რა სახის ვარჯიშებს უტარებ?

— ვინაიდან ლორდი კათოლიკოს-პატრიარქის ძაღლია, ძალიან წყნარი უნდა იყოს, ბევრი არ ისტუნაოს და არ იხმაუროს. უწმინდესმა დაბალ ხმაზეც რომ უთხრას, — დაჯექი ან დანექიო, ლორდი მის ნებას უნდა დაჰყვეს. ამიტომაც, მას განსხვავებული მეთოდებით ვავარჯიშებ. მან უნდა ისწავლოს: დაჯდომა, დანოლა, თათის მოცემა, საგნების მოტანა და ა.შ. ერთი სიტყვით, მორჩილი, კეთილი უნდა იყოს.

როცა რაიმეს არ გიჯერებს, როგორ სჯი?

— ძაღლებს არ ვსჯი, არ ვცემ. იშვიათად, ხშირად თუ დავაშინებ.

სად ჰყავს უწმინდესს ეს ძაღლები?

— საპატრიარქოში მათთვის სპეციალური ადგილი აქვთ გამოყოფილი... ზოგჯერ, კათოლიკოს-პატრიარქს გერმანული ნაგაზი თავისთან აჰყავს.

დანარჩენ ძაღლებსაც შენ ავარჯიშებ?

— არა, როტვეილერი და გერმანული ნაგაზი უკვე განვითარებული არჩუქეს. მათ მამა ილია ასეირნებს, აჭმევს და ა.შ. მე 3 დღეში ერთხელ მივდივარ და დაახლოებით, 1 საათის განმავლობაში ვავარჯიშებ. სხვათა შორის, ლორდს ძაღლიან უყვარს ადამიანები, რომლებსაც ანაფორა აცვიათ — ყველას ეთამაშება და ზოგჯერ, მათ უკან მისდევს კიდევ. ამასაც უნდა გადავჩვიო, რათა ვინმე უცხო არ გაჰყვეს.

საინტერესოა, კინოლოგობა რატომ გადამწვეტი?

— ძაღლები ბავშვობიდან მიყვარ-

და. მერვე კლასში გახლდით, როცა შინ ე.წ. „დვარნიაშკა“ მივიყვანე და მშობლებს ვთხოვე, არ გაეგდოთ. შემდეგ მამაჩემი მასწავლიდა, თუ როგორ უნდა გამეწვრთნა ის. მაშინ სამცხე-ჯავახეთში ვცხოვრობდი და იქაური ჯარისკაცები, კინოლოგები ნაგაზის „მორჯულების“ მეთოდებს მასწავლიდნენ. მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა იქაურ პოლიციაში, კინოლოგიის სამმართველოში დავინყე მუშაობა. იქ დიდი პრაქტიკა გავიარე და ბევრი რამ ვისწავლე. სხვათა შორის, მინდოდა, ძაღლების სასტუმრო-სკოლა გამეხსნა, რომელიც გადაცემაში — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ გავიტანე, მაგრამ მე და თემურ ჭყონია წილზე ვერ მოვრიგდით — მას 60% უნდოდა, მე კი ეს არ მანყობდა.

პოლიციიდან რატომ წამოხვედი?

— ძალიან დაბალი ხელფასი მქონდა — 68 ლარი. იუსტიციის სამინისტროშიც ვმუშაობდი და იქაც დიდი პრაქტიკა მივიღე. სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ ძაღლებს კერძოდ ვავარჯიშებდი და ნორმალური შემოსავალიც მქონდა.

ბევრი ძაღლი გყავს განვითარებული?

— კერძო პრაქტიკაში, ალბათ, 70-მდე.

ცნობილ ადამიანებთან თანამშრომლობდი?

— ასეთებიც იყვნენ. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას, ემზარ კვიციანის, კობა კობალაძის, ვოვა ჯუღელის, შალვა ვაშაკიძისა და სხვების ძაღლებს ვავარჯიშებდი. ამ ადამიანებს სურდათ, მათი ცხოველი ისე გამეწვრთნა, როგორც პოლიციის ძაღლი.

კათოლიკოს-პატრიარქს ძაღლის განვითარება ვინ გთხოვა?

— ჩემი ახლობელი ვეტერინარია. მისთვის მამა ილიას უთქვამს, — კარგი კინოლოგი გეჭირდებაო, მან კი ჩემი ნომერი მისცა. ასე მოვხვდი საპატრიარქოში, რაც ჩემთვის უდიდესი პატივი და მადლია. ლორდის განვითარებაში, რა თქმა უნდა, არანაირ თანხას არ ვიღებ.

ლორდი როგორი ძაღლია? აგრესიული და ავი ხომ არ არის?

— არა, ავი ნამდვილად არ არის. საერთოდ, ამ ჯიუის ძაღლებს ბრძობისთვის, ინვალიდებისთვის სპეციალურად წვრთნიან, რათა მაგალითად, უნარშეზღუდული ადამიანი ეტლით ატარონ, მას მიეხმარონ, რაიმე მიუტანონ და ა.შ.

რისი თამაში უყვარს ლორდს?

— ბურთის, მაგრამ მხოლოდ მამა ილიასთან ერთად უყვარს თამაში. მას რომ დაინახავს, მე ვავინყვებ. პრინციპში, ჩემი მისვლა დიდად არც უხარია.

რატომ?

— ვარჯიში ეზარება, ძალიან ზარმაცია; გათამაშებულია, თამაში და გორაობა უყვარს. მას დილა-საღამოს ასეირნებენ, თავის ნებაზე უშვებენ და ეს მოსწონს, მე კი ვარჯიშს ვაძიებ და ამ დროს, თითქოს, ერთი სული აქვს, დრო მალე გაივადეს, რათა სახლში დავაბრუნო. სხვათა შორის, ძალიან ჭკვიანია და ყველაფერს მალე ითვისებს. ისე, ლეკვის განვითარების ბევრი რამ კინოლოგზეცაა დამოკიდებული.

როგორ უნდა იყოს კარგი კინოლოგი?

— პირველ რიგში, გამძლეობითა და მოთმინებით უნდა გამოირჩეოდეს. მან ძაღლზე ხელი არ უნდა ასწიოს, არ უნდა დაამინოს; თუ გაგაბრაზა, უამრავი მეთოდი იმისათვის, რომ დააშოშინო.

ლორდის გარდა, სხვა ძაღლებსაც ავარჯიშებ?


— კი, 4 ძაღლი მყავს. გარდა ამისა, ვმუშაობ გრიბოედოვისა და თავისუფალ თეატრში, დაცვის სამსახურში. მართალია, ეს სამუშაო დიდად არ მიყვარს, მაგრამ... მიხარია, რომ თეატრში ბევრი კარგი ადამიანი, მსახიობი გავიცანი და ამით კმაყოფილი ვარ.

საინტერესოა, უწმინდესს ხშირად სვდები?

— ჯერჯერობით, მხოლოდ ერთხელ შევხვდი და ეს ბედნიერება კიდევ მეღის — როცა ლორდი საბოლოოდ გაინვრთნება, პირადად უწმინდესს უნდა შევხვდე და ვანახვო, თუ რა ვასწავლე მის ძაღლს. იმედია, ამ შეხვედრისას დამლოცავს, რაც ჩემთვის უდიდესი მადლი იქნება.

რისთვის დაისაჯა ბესო სარჯველაძე

„ორი რამ მამედნიერებს — მუსიკა და შვილები. ჩემთვის ჯაზი არა მხოლოდ მუსიკა, არამედ ცხოვრების სტილი, თავისუფლება და ამ თავისუფლებით გამოწვეული დიდი სიხარულია... მყავს ერთმანეთზე უკეთესი შვილები, ვამაყობ მათით და მინდა, ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ“ — გვეუბნება მრავალშვილიანი მუსიკოსი თემურ სარჯველაძე. მისი შვილებიდან ერთს — ბესოს საზოგადოება კარგად იცნობს. „ჯეობარის“ პოპულარული მონაწილე ამჟამად საპრობლემოა და ერთ თვეში თავისუფალი იქნება. განსასჯელის სკამზე მოხვედრამდე, ბესომ პოლიტიკური აქტიურობითაც დაამახსოვრა ხალხს თავი. გასული წლის 27 ივნისს, სამართალდამცავებმა ოპოზიციონერი სარჯველაძე პატრულის გინებისა და მათი მანქანის საქარე მინის ჩამსხვრევითვის დააპატიმრეს და თავისუფლება ერთი წლით აღუკვეთეს. ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე თვის წინ დააპატიმრეს ბესოს უმცროსი ძმა — გოგლაძე.



ბესო ორთაჭალის კოლონიაში იხდის სასჯელს

„რამდენიმე თვის წინ ბესოს ძმაც დააპატიმრეს...“

ნანა ჟიხსელაური

— ბესო ორთაჭალის კოლონიაში იხდის სასჯელს, ცხოვრობს ეკლესიურად, წვერი მოშვებული აქვს და ციხის ეკლესიაში სტიქაროსანია. მან არაერთი პატიმარი მოაქცია სარწმუნოებაზე. ციხეში შეიტანა უამრავი ლიტერატურა, ბევრს კითხულობს, ვარჯიშობს. მას ციხე ღირებულებების გადაფასებაში დაეხმარა...

— როგორ ფიქრობთ, იგი სამართლიანად იხდის სასჯელს?

— ბესო საპრობლემო უსამართლოდ ზის! ხელალებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი შვილი პოლიტიკურმა ამბიციებმა შეინარა; ყოველ შემთხვევაში, ის დანაშაული, რაც ბესომ ჩაიდინა — ვგულისხმობ ბილნსიტივობასა და მანქანის საქარე მინის ჩამსხვრევას — არა სისხლის სამართლის, არამედ ადმინისტრაციულ სასჯელს ითვალისწინებს. ბესო ქუჩაში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, პირველის 15 ნუთზე დააკავეს, დიდხანს ატარეს, მერე ვაკის პარკში ჩაიყვანეს, სადაც 4 საათზე „ფილმი“ გადაუღეს.

— რატომ დააპატიმრეს ბესო?

— ის ჩემი დის ოჯახიდან შინ მოდიოდა და სახლიდან 200-300 მეტრში, კორპუსებს შორის შეიპყრეს. პოლიციელები ბესოს აბსურდულ კითხვებს უსვამდნენ და ნაბახუსევი ადამიანი წყობილებიდან გამოიყვანეს. მოგვიანებით, ის ვაკის პარკში „გასასიერნეს“ და „მხატვრული ფილმიც“ გადაუღეს, სათაურით: „დავიჭირეთ ბესო სარჯველაძე“... თურმე, როცა ბესო მანქანაში ჩასვეს, პოლიციელები ტელეფონით ვიდაცას დაუკავშირდნენ და რომ გაიგეს, მანქანაში ბესო სარჯველაძე ეჯდათ, აგრესიულები გახდნენ, გამოიწვიეს და თავი აგინებინეს — მთვრალი კაცი შეიგინებდა, აბა, ქალივით წყევლას ხომ არ დაიწყებდა?! ბესო იმისთვის დასაჯეს, რომ ოპოზიციიაში იყო.

ნებდა, აბა, ქალივით წყევლას ხომ არ დაიწყებდა?! ბესო იმისთვის დასაჯეს, რომ ოპოზიციიაში იყო.

— კადრები ამ „მხატვრული ფილმიდან“, რომელიც ტელევიზიით გაშუქდა, საცქერად საამურო ნამდვილად არ იყო...

— არ იყო, რა თქმა უნდა!.. იმ კადრების ყურებისას სახეზე ხელები ავიფარე... ბესო რომ დააკავეს, მეც იქ ვიყავი — ახლობელმა დამირეკა და მითხრა, შენი შვილი პოლიციელებს ეკამათებო, ჰოდა, სახლიდან პირდაპირ მოკლე შარვლითა და „შლოპანციო“ გავვარდი. პატრულმა დამამშვიდა: — არ ინერვიულოთ, პრობლემა არ არის, განყოფილებაში წავიყვანთ და მალე გამოვუშვებთო. იმ სამართალდამცველმა, რომელმაც ასე „დამამშვიდა“, სასამართლოზე იცრუა: ბესომ ქუჩაში აყალბაყალი ატეხა, იდგა და ხმამაღლა იგინებოდა, მოსახლეობა შეაწუხაო. მან ისიც თქვა, ხალხს გავარიდეთ და ვაკის პარკში ამიტომაც ჩავიყვანეთო. შეიძლება, სიმართლეც თქვა — მე არ მინახავს და ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ თუ ასე იყო, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ადამიანი უნდა დაეჯარიმებინათ, მათ კი დააკავეს, მასზე ზეწოლა მოახდინეს და მერე ფილმიც გადაუღეს. ჩემი აზრით, ის განსხვავებული აზრისა და პოლიტიკური აქტიურობისთვის დასაჯეს. ბესო ვერ ეტუებოდა იმას, რაც ქვეყანაში ხდებოდა. 28 წლის ბიჭია, უყვარს ლიტერატურა, ძალზე კონტაქტური და მიზანდასახული ადამიანია.

— როდესაც ბესო განსაცდელში ჩავარდა, იმ ოპოზიციონერებმა, ვისაც მანამდე გვერდში ედგა, არ თანაგრძნობდნენ?

— არ დავასახლებ იმ ერთ პიროვნებას, რომელმაც მორალური მხ-

არდაჭერა გამოსახა ჩვენ მიმართ. მის გარდა არავის დაურეკავს და არ უკითხავს, — რით დაგეხმაროთ, რამე ხომ არ გჭირდებათ? არადა, მატერიალური პრობლემა გვექონდა, ძალიან გვიჭირდა, ადვოკატიც კი ვერ ავიყვანეთ — ბესოს სახაზინო ადვოკატი იცავდა. საპროცესო შეთანხმება რომც გაეფორმებინათ, იმხანად 2 თას ლარსაც ვერ გადავიხდიდით. ბატონმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ, მართლა კარგმა ადამიანმა, ჩვენი ამბავი გულთან მიიტანა და „უდო“ მოითხოვა, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღეთ... მე ჩემს შვილებს არასდროს არაფერს ვსაყვედურობ, მათ პირად ცხოვრებაში არ ვერევი. როგორც ყველა მამას, არ მინდოდა, ისინი კრიმინალები, ნარკომანები ყოფილიყვნენ და ჯვარი მწერია, ასეთები არც არიან... ოთხი შვილის მამა და „მრავალცოლიანი“ გახლავართ: სამ ცოლთან ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი მყავს. ოთხივე შვილი ერთნაირად მიყვარს და მტკივნავა... ბესო ახლა უფრო ეკლესიური გახდა და ეს იმიტომ, რომ ოთხ კედელში გამომწყვდეულ ადამიანს რალაც გრძნობები უმძაფრდება. მის ადგილას ბევრი გაბოროტდებოდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ბესოს ხასიათში ბოროტების მისხალი არ არის.


— მისი დაპატიმრების შემდეგ ბევრი იმასაც ამბობდა, ბესო სარჯველაძეს პოპულარობა თავში აუვარდაო...

— დამიჯერეთ, ასე არ არის! რატომღაც მგონია, რომ დაპატიმრების შემდეგ ბესო უფრო პოპულარული გახდა. მერწმუნეთ, მისი დაპატიმრება ალოგიკური იყო. ვიცი შემთხვევები, როცა პოლიციელები გაულახავთ და ამის ჩამდენები ჯარიმის გადახდის შემდეგ გაუთავისუფლებით, ბესომ კი ჩამატვრია მინა, „ვეტრავიკი“, რომელ-



იც 85 ლარი ღირს და ასეთ შემთხვევაში ანუ როცა ზარალი 100 ლარამდეა, დამზიანებელი ადმინისტრაციული წესით ისჯება, მათ კი მინა 150 ლარზე მეტ თანხად შეაფასეს, რათა სასჯელი დაემძიმებინათ. არ იფიქროთ,

ჩემს აშენებულს ვანგრევ და შემდგომ, მის შენებას ხელახლა ვიწყებ



რომ ვამართლებ ხულიგნობას, ბილნსიტყვაობას და მინის ჩამტვრევის ფაქტს, მაგრამ ისიც ხომ უნდა იცოდეთ, ვის აპატიმრებ? ბესო სუსტი ნებისყოფის რომ ყოფილიყო, ამ ამბავს შეიძლება, მისი ფსიქიკა საბოლოოდ დაენგროა და გაბოროტებულიყო. მადლობა ღმერთს, შინაგანად ძალიან ძლიერი ბიჭია! მე ჩემი შვილებით ვამაყობ!

— თუ იცით, სასჯელის მოხდის შემდეგ რას აპირებს?

— არ ვიცი, ბესო რას აპირებს, მაგრამ ჩემი სურვილია, პოლიტიკას აღარ გაეკაროს. გათავისუფლების შემდეგ ჯერ დაისვენებს და მერე მიხედავს თავის საქმეს — ტურიზმი და შოუბიზნესი აინტერესებს... მითხრა, — როცა გამოვალ, სულის დასამშვიდებლად მონასტერში წავალ. მინდა, ცოლი მოიყვანოს, მაგრამ არ ვიცი, შეყვარებული ჰყავს თუ არა, მისთვის ეს კითხვა არასდროს დამისვამს.

— ბესო სატელევიზიო პროექტში — „ჯეობარში“ მონაწილეობის შემდეგ გახდა პოპულარული. როგორ ფიქრობთ, მან წარმატებას იმიტომ მიაღწია, რომ ჭკვიანია, თუ უკრაინულ ქალთან ლლაბუცმა გადაწყვიტა მისი ბედი?

— ბესოს წარმატება არა მარტო სექსუალურმა სცენებმა განაპირობა, არამედ იმანაც, რომ მას სწორი ტაქტიკა და სტრატეგია ჰქონდა არჩეული. ვიდრე პროექტი დაიწყებოდა, ჩემს შვილს ერთადერთი დირექტივა მივეცი: ვინც იქ ითამაშებს, ის შენი კონკურენტი არ არის. შენ ხალხს უნდა ეთამაშო და მათზე მოახდინო ზეგავლენა; ხალხმა უნდა დაგიჭიროს მხარი შენი სწორი ტაქტიკის, კაიკაცო-

ბის, საქციელისა და ჩაცმულობის გამოც-მეთქი. მონაწილეებთან ჯიბრში ჩადგომით ბესო ვერაფერს მოიგებდა... რა თქმა უნდა, ჭკვიანი შვილი მყავს!

— ხუთი თვის წინ დააპატიმრეს თქვენი მეორე ვაჟიც. მამისთვის ალბათ, ძალზე მტკივნეულია, როცა ორივე ვაჟი ციხეში ჰყავს... რაიმეში საკუთარ თავს ხომ არ ადანაშაულებთ?

— არავითარ შემთხვევაში! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთად არ ვცხოვრობთ, ყოველდღე ერთად ვიყავით. მართალია, ბესო დედასთან იზრდებოდა, მაგრამ ჩემს აგარავზე, „ტუსოვეებზე“, ჩემს კონცერტებზე მოდიოდა ხოლმე. მე ვაჟებისთვის ვარ თემო, მეგობარი, ძმაცა და არა — მამა. ჩემს შვილებს ერთმანეთთან თბილი ურთიერთობა აქვთ, ერთერთი ისე უყვართ, თითქოს, ერთი დედის შვილები იყვნენ... გოგლა „ალმა-მატერში“, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. მას უნივერსიტეტი წელს უნდა დაემთავრებინა და დიპლომზე მუშაობდა. ჰოდა, უნივერსიტეტიდან დაუკითხავად წამოიღო პროექტორი, რომლის უკან დაბრუნებასაც აპირებდა, მაგრამ... კი, ბატონო, გოგლამ დაუკითხავად წამოიღო კომპიუტერის ნაწილი და მას არ ვამართლებ, მაგრამ ამის გამო არ უნდა დაეჭირათ — ბავშვი დიპლომზე მუშაობდა და პროექტორი ამისთვის სჭირდებოდა. სასამართლოზე სასწავლებლის რექტორი, კურატორი, ლექტორები მოითხოვედნენ, გოგლა ციხეში არ ჩაესვათ, ვინაიდან პერსპექტიული და ჭკვიანი ბიჭია, ინტელექტუალი, მაგრამ ქურდობისთვის წელიწად-ნახევარი მაინც მიუსაჯეს. ხომ შეიძლება, გოგლასთვის პირობითი სასჯელი მიეცათ? ბოლოს და ბოლოს, მან დანაშაული აღიარა, მოინანია. როცა გავიგე, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, შოკში ჩავვარდი. მართალია, დიდი პრობლემები მაქვს, მაგრამ თავს არავის არაფერს ვახვევ, რაც მოხდა, მოხდა... სასჯელალსრულების დეპარტამენტთან ერთადერთი სათხოვარი მაქვს: იქნებ, გოგლა „უდოთი“ გამოუშვან. უკვე ოთხი თვეა, რაც ციხეშია. განცხადება დავწერე და ვითხოვ, ძმედი ერთად მაინც მოათავსონ. ადმინისტრაცია შემპირდა, თხოვნას დაგიკმაყოფილებთო. ჩემი შვილებისთვის ბედნიერება მხოლოდ პირადი კეთილდღეობით არ განისაზღვრებოდა, ისინი ქვეყნისა და ახლობლების სიხარულით ხარობდნენ, მათი ტკივილი სტკიოდათ. ასეთი

ახალგაზრდები ციხეში არ უნდა ისხდნენ.

— პირად საუბარში ბრძანეთ, — ბესო გულნატკენაო. კონკრეტულად, რამ განაპირობა მისი გულისტკენა?

— ალბათ, უყურადღებობამ... ბესოს გვერდში არ დაუდგენს! დედამისისთვის მაინც დაერეკა ვინმეს და მოეკითხა. თუმცა, არა მაქვს უფლება, ვინმეს ვუსაყვედურო.

— ბატონო თემურ, მუსიკოსი ბრძანდებით. თქვენს შემოქმედებით საქმიანობას და გვგებზეც გვითხართ რაიმე...

— დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავე. ბოლო ათი წელი ბიზნესთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები მქონდა, რამაც დეპრესიაში ჩამაგდო, თუმცა ყველაფერი დაფიქრი და მდგომარეობიდან გამოვედი. დავდიოდი და ვუკრავდი ანტილიაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში — ამას შემოქმედებითი დავკრა არ ჰქვია, ეს ჩემთვის შემოსავლის წყარო უფრო იყო. ამ პერიოდში, ოთარ მალრაძის თხოვნით, ერევნის ჯაზ-ფესტივალში ვმონაწილეობდი. დროში რომ „ვინვოდით“, ტაქსიში გავაკეთე პროგრამა — ოთარი მღეროდა, მე ნოტებს ვწერდი. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა... ჩემთვის ჯაზი არა მხოლოდ მუსიკა, არამედ ცხოვრების სტილი და თავისუფლებაა, ინსტრუმენტი კი თვითრეალიზების საშუალება გახლავთ. მაქვს სერიოზული, არაკომერციული პროექტები. ჯაზმენები სულით ყველაზე მდიდრები, მატერიალურად კი, სამწუხაროდ, ყველაზე ღარიბები არიან... ჰოროსკოპით ვერძი ვარ და შესაბამისად, მიზანდასახული, ამბიციური, მეზობლი ხასიათის გახლავართ,



მან დანაშაული აღიარა, მოინანია

თუმცა ისიც მჩვევია, რომ ჩემს აშენებულს ვანგრევ და შემდგომ, მის შენებას ხელახლა ვიწყებ. ღმერთმა კარგად მიმყოფოს ჩემი შვილები. მინდა, მათ ნორმალურ ქვეყანაში იცხოვრონ და ბედნიერი მომავალი ჰქონდეთ — აი, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ოცნება.



რას უნდა ვაქცია მანია მავნებლის წლები

„ყველაზე ბედნიერ ალამიანად მიიჩნევიან“

თურმე, თინეიჯერობის ასაკში მომღერალი ვაჟა მანია ნაადრევად „დაღვინებული“ მოზარდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგანაც გართობის ნაცვლად, დროს სწავლასა და საკუთარ თავზე მუშაობაში ატარებდა, რაც ცხადია, მის თანატოლებს არ მოსწონდათ და სწორად, საყვედურობდნენ კიდეც. ვაჟამ ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ის ყოფილი მოჭიდავეა და რომ არა მუსიკა, ვინ იცის, იქნებ, ამ სფეროშიც მოეხვეჭა სახელი.

ლიკა ქავია

— სიტყვა „თინეიჯერი“, პირველ რიგში, ასაკთან, ბავშვობასთან ასოცირდება. პირადად მე, ასაკს თუ არ გავითვალისწინებთ, თინეიჯერი არც ვყოფილვარ — არც არავის ფანი ვიყავი და არც იმიჯით გამოვიჩნეოდი, თითქოს ნაადრევად „დაღვინებული“ გახლდით.

როგორი მოსწავლე იყავი?

— საშუალო დონის, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვერ ვსწავლობდი, არამედ ამისთვის დრო არ მქონდა, სხვა რაღაცებით ვიყავი დაკავებული. იმ სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, ისეთი რეჟიმი იყო, რომ გინდოდა თუ არა, უნდა გესწავლა და ამიტომაც, მალე სხვა სკოლაში მიხდა გადასვლა.

მაინც, რითი იყავი დაკავებული?

— მერვე კლასამდე ჭიდაობაზე დავდიოდი.

მერე, როგორი მოჭიდავე იყავი?

— მართლა წარმატებული მოჭიდავე ვიყავი, სხვებს ყოველთვის ვამარცხებდი, კარგი მონაცემები მქონდა, მაგრამ სპორტი ძალიან ბევრ ენერჯის მართმევდა და ისე ვიტვირთებოდი, რომ გაკვეთილების მომზადებას ვეღარ ვასწრებდი, გამოწურული ღიმონივით ვიყავი და მხოლოდ ძილზე ვფიქრობდი. სხვათა შორის, ბევრჯერ გამჩენია სურვილი, გაკვეთილი მესწავლა, მაგრამ შეიძლება ითქვას, წიგნებზე მეძინებოდა. მერე ჩემმა მშობლებმა (იმ პერიოდში ცხადია, მათზე ვიყავი დამოკიდებული) გადაწყვიტეს, სპორტს შევშეგოდი...

დრო გასართობადაც არ გრჩებოდა?

— არც კი მასსოვს, იმ პერიოდში როგორ ვერთობოდი. ალბათ, ეზოში ჩავდიოდი და თანატოლებთან ერთად რაღაცას ვთამაშობდი. კოლეჯში ჩაბარების შემდეგ გართობა მართლაც, ძალიან მაკლდა და 4 წლის



განმავლობაში ამაზე საერთოდ არც მიფიქრია. მუსიკის გამო ყველანაირ გართობაზე ვთქვი უარი, მეგობრებთან ერთად საქეიფოდაც არ მივდიოდი და ამის გამო, ძმაკაცებიც ვერ მიგებდნენ.

განზე გადგნენ?

— ჰო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვიყავი მათგან შორს, მათთვის ვერ ვიცლიდი. ჰოდა, მსაყვედურობდნენ კიდეც — სად დაიკარგე, ერთხელ მაინც გამოჩნდი, რას გადააჰყვევი ამ მუსიკასო?! ისე, ეს „გადაყოლა“ მსიამოვნებდა, მჯეროდა, რომ ამ სფეროში რაღაცას მივალწევდი.

ეტყობა, მიზანდასახული ადამიანი ხარ.

— კი, მიზანდასახული ნამდვილად ვარ, მაგრამ ზოგჯერ, ვზარმაცობ კიდეც (იცინის).

ახლა რა გაქვს მიზნად დასახული?

— ჩემი ოცნებაა, სწავლა ამერიკაში განვაგრძო და ვიცი, ოდესმე ამასაც შევძლებ!

— და თუკი შანსი მოგეცემა, კარიერასაც იქ აინიშნებ?

— როცა დასასვენებლად მივდივარ, ერთი კვირის მერე თბილისში ჩამოსვლა საშინლად მინდებია, მაგრამ თუ სასწავლებლად წავალ, 4 წელს როგორმე გავძლებ, მერე კი აუცილებლად, ახალი იდეებით დავბრუნდები. თუკი იქ რაიმე სერიოზულს შემომთავაზებენ, უარს არ ვიტყვი, მაგრამ აქაც სწორად ჩამოვალ — კაცი თუ მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს.

ჭიდაობის მიტოვების შემდეგ, სწავლას მოუმატე?

— არა, მერე უკვე მუსიკა მართმევდა დროს. მეცხრე კლასში ვიყავი, როცა მუსიკალურ სასწავლებელში ამოვყავი თავი, სადაც ჩემი პედაგოგი ირინე ებრაელიძე გახლდათ და მის მოთხოვნებს უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი. მოკლედ, იმ პერიოდში მუსიკას ძალიან სერიოზულად მოვკიდე ხელი.

მეცხრე კლასამდე არავისთან ემზადებოდი?

— მშობლები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ კარგი სმენა და ხმა მქონდა, მაგრამ მე ეს სფერო დიდად არ მაინტერესებდა. თუმცა, მშობლებს ხათრი ვერ გავუტყებ და მათ ნებას დავყვევი — რობერტ ბარძიმაშვილთან, სტუდია „ლასტში“ მივედი, სადაც ტრომბზე ვუკრავდი. მერე ბატონმა რობერტმა ჩამოაყალიბა ანსამბლი, რომელსაც მოგვიანებით „ბარძიმი“ დაერქვა. სწორედ იმ პერიოდში ვიგრძენი, რომ მუსიკა ჩემთვის ყველაფერი იყო. მასსოვს, ჯაზ-როკს ვუკრავდით...

როგორ ფიქრობ, მუსიკოსს მერე პროფესია არ სჭირდება?

— ქართველებს მიგვაჩნია, რომ მუსიკოსობით თავს ვერ ვირჩენთ და ამიტომაც, აუცილებლად, სხვა პროფესიაც უნდა გვექონდეს. ვფიქრობ, მუსიკოსს ყველაზე რთული პროფესია აქვს და იმისათვის, რომ პროფესიონალი გახდე, ამაში დიდი შრომა უნდა ჩადო. შესაბამისად, სხვა პროფესიის ასათვისებლად დრო არც დავგრძობ... როცა მუსიკოსობა გადავწყვიტე, ბევრი დაბრკოლება შემხვდა. მაგალითად, ყველა მეუნებოდა, რომ ამით თავს ვერ ვირჩენდი და ჯობდა, სხვა რამისთვის მომეკიდა ხელი.

— თუმცა, ბევრი ისეთი მუსიკოსიც ვიცი, რომელსაც სხვა პროფესია არა აქვს, მაგრამ ბევრ დიპლომიან ადამიანზე უკეთ ცხოვრობს...



კომპეტენტური ადამიანების მოსაზრებას ყოველთვის ვითვალისწინებ

— მერნმუნე, მუსიკა ისეთი პროფესიაა, რომელსაც ვერანაირი ფული და კარგი ცხოვრება ვერ შეგიცვლის. ამ საქმიანობით ფულის შოვნაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარისხიან, მაგარ მუსიკას შესთავაზებ მსმენელს. მე არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ სიმღერით ფული უნდა „მეკეთებინა“, მაგრამ ვიცი, თუ ჩემს საქმეს ფრიადზე გავაკეთებ, კარგი შემოსავალი მექნება!

— როგორ ფიქრობ, ბიჭებისთვის სწავლა და გაკვეთილის მოყოლა ხომ არ „ტყავს“?

— რა სისულელეა! ბიჭმა შეიძლება, გაკვეთილიც მოამზადოს და ქუჩაშიც „მაგარი ბიჭის“ სახელი ჰქონდეს; ამაში „გასატყვის“ არაფერია. პირადად მე, გაკვეთილის მოყოლის გამო არავის დავუჩაგრევიარ.

— ვინ არიან „დედიკოს ბიჭები“?

— რას ჰქვია „დედიკოს ბიჭი“? მე ასე არავისთვის მიმიმართავს. თუ ადამიანი თავს დაინჩაგრავს და უხამსობისთვის პასუხს არავის მოსთხოვს, ეს მისივე საქმეა — ასეთი ადამიანი „დედიკოს ბიჭი“ კი არა, დაჩაგრული, შეუგნებელი ადამიანია...

— როგორ მოიხსენიებდით ადამიანს, რომელიც ვთქვით, „მატალოზე“ თქვენთან ერთად არ წამოვიდოდა?

— მას გოიმს დავუძახებდით. ისე, გამიმართლა, ჩემს კლასში ასეთი გოიმები არ იყვნენ... სხვათა შორის, „მატალოზე“ წასვლა ერთხელ მოვინდომეთ და ისიც, მარცხით დასრულდა — ნახევარმა კლასმა გაქცევა მოსწრო, სხვე-

ბი კი დირექტორმა დაგვიჭირა. ჰოდა, ახლა მეც გოიმი ვარ (იცინის)?

— ახლა სიმართლე უნდა თქვა — „ჯეოსტარში“ მონაწილეობის სურვილი რატომ გაგიჩნდა?

— ამ პროექტში ჩემი მონაწილეობა მეგობრების დაჟინებულმა თხოვნამ განაპირობა. თანაც, მივხვდი, რომ ასეთ კონკურსში „გასვლა“ საჭიროა იმისათვის, რომ წარმატებისკენ თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგა. მე კი „ჯეოსტარში“ მონაწილეობით მრავალი ნაბიჯის წინ გადადგმის შესაძლებლობა მომცა.

— შენზე ამბობდნენ, — ყველაფერი ჩაწყობილია, მარინას ვაჟსადმი პირადი სიმპათიები აქვს და ცხადია, გამარჯვებას არავის დაუთმობსო...

— ჰო, ვიცი, თავიდან ყველა იმას იძახდა, ვაჟა გაიმარჯვებს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტიყო. გამიხარდებოდა, მათი წინასწარმეტყველება რომ ახდენილიყო, მაგრამ არც ფინალში დამარცხება მწყენია — ყველა დარწმუნდა, რომ ის, რასაც ადრე ამბობდნენ, ბლუფი იყო. მარინა ჩემზე ცუდსაც ამბობდა და კარგსაც; მხოლოდ ჩემი ქებით არ შემოიფარგლებოდა, როცა საჭიროდ მიიჩნევდა, მაკრიტიკებდა კიდევც...

— ჰო, მაგრამ ქორები არც ამის მერე შეწყდა. ამბობდნენ: — ეს იმიტომ მოხდა, რომ მიხვდნენ, უსამართლობას არ შევეგუებოდითო...

— (იცინის) აი, ასეთი რამ კი მართლა არ მსმენია და ახლა ამაზე მეცინება. ფაქტი სახეზეა — დავმარცხდი. ხალხს კი შეუძლია, ის ილაპარაკოს, რაც მოესურვება.



კონცერტზე დამიძახებენ თუ არა, ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა არა აქვს

— თუმცა, ამ პროექტისა და ხალხის ქორაობის წყალობით ძალიან პოპულარული გახდი.

— და ეს ძალიან მიკვირს — მეც სხვა კონკურსანტების მსგავსად გამოვდიოდი, ვმღეროდი... ეტყობა, ქალბატონ მარინას კი არა, ხალხს უფრო მოვწონდი. ხომ იცი, ყოველთვის იმას აკრიტიკებენ, ვინც გამორჩეულია. ხალხი, განსაკუთრებით ქართველები, ნიჭიერ ადამიანში ყოველთვის ცუდს ვეძებთ, თითოეულ ჩვენგანში დიდი კრიტიკოსი იმალება. მე პირადად, მირჩევნია მაკრიტიკონ, ვიდრე მაქონ.

— რატომ, ქება განყენს?

— არა, ქებამ შეიძლება, ადამიანი გააზარმაცოს, კრიტიკა კი ჩემზე დადებითად მოქმედებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჯანსაღი კრიტიკა. კომპეტენტური ადამიანების მოსაზრებას ყოველთვის ვითვალისწინებ.

— ანუ ქორი, კრიტიკა არ გალიზიანებს?

— შეიძლება, ვილაცის ნათქვამის გამო გული დამწყდეს, ვინერვიულო იმიტომ, რომ ხალხი ჩემზე ცუდად ფიქრობს, მაგრამ გალიზიანება არ მჩვევია.

— შენ მითხარი, — ვგრძნობ, რომ როგორც შემოქმედი, გავიზარდეო.

— კი, მაგრამ თავს ჩამოყალიბებულ მომღერლად წამდვილად არ მივიჩნევ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და გასაკეთებელი.

— სწავლა სიკვდილამდეო, — ამბობენ... გარდა პოპულარობისა, „ჯეოსტარში“ კიდევ რა მოგიტანა?

— შოუბიზნესისკენ მიმავალი გზა გამეხსნა და კონცერტებზეც მეძახიან. თუმცა, ყველაზე მთავარი იცი, რა არის? — მთელ საქართველოში მცნობენ და მილიმიან, ყველგან სიყვარულით მხვდებიან, ჩემ მიმართ დიდ სიბოძს გამოხატავენ. ამას წინათ სამეგრელოში, ერთ-ერთ სოფელში ვიყავი სტუმრად და მოვხვდი სუფრასთან, სადაც ჩემთვის უცხო ადამიანები ისხდნენ. ერთმა კაცმა მითხრა: რომ დაფიქრდე, მიხვდები, შენ ყველაზე ბედნიერი ადამიანი ხარო. მართლაც, მე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგანაც ხალხის სიყვარულს ყველა კუთხე-კუნჭულში ვგრძნობ, თორემ კონცერტზე დამიძახებენ თუ არა, ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, ვაღიარებ, ესეც მაგარია.

— საინტერესოა, მო-



ჭიდავე კაცს ქალის გამო თუ გიჩხუბია? რაიმე სიგიჟე თუ ჩაგიდენია?

— ბევრჯერ მიჩხუბია, მაგრამ ქალის გამო — არც ერთხელ. სიგიჟე ჩამიდენია, თუმცა დაკონკრეტებინებ სგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება სერენადას, არც არასდროს მიმღერია და არც არავის ვუმიღერებ.

— რატომ, რომანტიკული არ ხარ?

— პირიქით, ძალიანაც რომანტიკული ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ფანჯრის ქვეშ დავდგები. ქალის გამო ყველაფრის გაკეთება შემიძლია, მაგრამ ის ამად უნდა მიღირდეს, არ უნდა მანვალებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს დავანებებ. ჩემთვის ასეთი წვალუბა მიუღებელია. იმისათვის, რომ ქალს სიყვარული დავუშვავ, მტკვარში არ გადავხტები, ასეთ სისულელეს არ გავაკეთებ. მერნმეუფე, კაცის ასეთი საქციელი მის უგუნურობაზე მეტყველებს. თუ ადამიანს საკუთარი თავი არ გიყვარს, სხვას ვერ შეიყვარებ! სიყვარულის გამოსახატავად სხვა გზაც არსებობს...

— ცალმხრივად არასდროს გყვარებია?

— არასდროს! როცა ადამიანი შემეყვარდება, შევეცდები, მას ეს ვაგრძნობინო, მაგრამ თუ მივხვდები, რომ ჩემი გრძნობა არაფერში სჭირდება, მასთან ურთიერთობას ვწყვეტ.

— და ამას უმტკივნეულოდ იტან?

— რა თქმა უნდა, არა! შეიძლება ამის გამო რაღაც პერიოდი დავითრგუნო კიდეც, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია.

— მართლა სხვანაირი ხარ, ორიგინალური...

— (იციანის) ძალიან ერთგული ვარ და ჩემს შეყვარებულს სხვაში არასდროს გავცვლი, მაგრამ როცა ამ ერთგულებას არ მიფასებენ, ურთიერთობას ვწყვეტ!

— ახლა გოგო რომ შემოვიდეს და გითხრას: მიყვარხარ და თუ ჩემს სიყვარულს ხელს ჰკრავ, ფანჯრიდან გადავხტებო, — რას იზამ?..

— ეს სისულელეა! მის სიყვარულში ვერ დავრწმუნდები მანამ, ვიდრე თავადაც არ შემეყვარდება. არ მესმის, ადამიანი, რომელსაც არ იცნობ, რომელთანაც ურთიერთობა არ გქონია, როგორ უნდა შეგიყვარდეს?


— მაგრამ ხომ არიან ასეთებიც...

— (მანყვეტინებს) კი, მაგრამ ასეთებს მხოლოდ ერთი რამ, თუნდაც,

შენი გარეგნობა ან სულაც, პოპულარობა მოსწონთ. როცა ადამიანს ეუბნები, მიყვარხარო, ისიც ხომ უნდა იცოდეს, როგორი პიროვნებაა?.. ალბათ, იმ გოგოს, რომელიც აქ „შემოგვივარდება“, დავამშვიდებ და უკან გავაბრუნებ.

— გოგონებმა შენ გამო რომ იჩხუბონ და ერთმანეთს თმა დააპუტონ, როგორი რეაქცია გქვებ?

— მათ ჩხუბში ჩავერევი, მერე კი ორივეს დაველაპარაკებ და ვეტყვი, — ტყუილად ჩხუბობთ, ჩემი გულის მოგების შანსი არც ერთს არა გაქვთ-მეთქი. თუ გაიგებენ, გაიგებენ, თუ არა და, იჩხუბონ... ძალიან



დაკავებული რომ არ ვყოფილიყავი, დღეს შეიძლება, მეც სხვანაირად მეცხოვრა

მიყვარს შეგნებული ადამიანები. რაც შეეხება შეუგნებლებს, ისინი ეიფორიაში არიან და თავადაც არ იციან, შენგან რა უნდათ.

— სხვა მოზარდების მსგავსად, იარაღი შენც გიტარებია?

— იარაღი ძალიან მიყვარს. მქონდა პატარა დანა, რომელიც სუვენირი უფრო იყო, ვიდრე — იარაღი. საერთოდ, უკონფლიქტო ადამიანი ვარ, მაგრამ როცა საჩხუბრად მიწვევას ნასვლა, დანის იმედი არასდროს მქონია. ისე კი, არაა სასურველი, რომ მოზარდმა იარაღი ჯიბით ატაროს — როცა დანა გაქვს, ის შეიძლება, ჩხუბისას უნებურად გამოიყენო და ამით საკუთარ ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა.

— სამწუხაროდ, იარაღს გოგონებიც ატარებენ...

— გოგოს, რომელიც დანას ამოიღებს და ვილაცს დაჭრის, ქალად ვერ აღვიქვამ. ასეთ ადამიანთან ურთიერთობა საშინელება და უაზრობაა. თუ ქალს მეტოქის ჩამოშორება სურს, ეს ისე უნდა მოახერხოს, რომ დანის ამოღება არ დასჭირდეს.

— ვაჟა, შეყვარებული გყავს?

— არა, არ მყავს.

— საინტერესოა, როგორი უნდა

იყოს შენ რჩეული?

— ძალიან მომწონს ბუნებრივად ქერა გოგონები. კარგია, თუ ჩემს რჩეულს მწვანე ფერის თვალებიც ექნება. თუმცა, მთავარია, კარგი ადამიანი იყოს და ქერა იქნება თუ შავგვრემანი, რა მნიშვნელობა აქვს?!

— ცოლის შერთვისას მის პროფესიას თუ გაითვალისწინებ?

— თუ გიყვარს, ნებისმიერი პროფესიის ადამიანს მოიყვან ცოლად, მაგრამ რაღაც დოზით, ალბათ, ამასაც გავითვალისწინებ... სურვილი მაქვს, ჩემი რჩეული წარმატებული ჟურნალისტი იყოს.

— ან ექმი, არა?

— (იციანის) არა, ოღონდ ეგ არა, ექიმები არ მიყვარს... თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ქერათმიანი თეთრხალათიანი შემეყვარდეს.

— რას ურჩევთ თინიჯაქებს?

— თუ ჩემი რჩევა ვინმეს რამეში გამოადგება, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. საერთოდ, ცხოვრებაში, მით უმეტეს, პატარა ასაკში ყველას აქვს მომენტი, როცა აცუნდრუკებულია...

— თუმცა, შენ ეს არ გქონია...

— მე არა, მაგრამ ბევრს აქვს, მეტ-ნაკლებად. დაკავებული რომ არ

ყოფილიყავი, დღეს შეიძლება, მეც სხვანაირად მეცხოვრა. ამ ცხოვრებაში ადამიანს რაიმეს ინტერესი თუ არა აქვს, ძალიან ცოდვია, ის უაზრობისთვისაა განწირული. „ავარდნის“ პერიოდი ყველას აქვს და ბევრს სურს „ძველებიჭობაც“, რაც, რაღაც დოზით, საჭიროა კიდეც.

— რისთვისაა საჭირო?

— იმისათვის, რომ არ დაიჩაგრო, ყველა სფეროში უნდა ერკვეოდეს, ცხოვრებაში ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა გამოცადო. შეიძლება, ქუჩაში არ იცხოვრო, მაგრამ არც დებილი უნდა იყო, რაღაცები უნდა გესმოდეს. ყველას ურჩევ, დაისახოს მიზანი და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ამ მიზანს მიაღწიოს. მართალია, როცა სწავლობ და მუშაობ, ამით იღლები კიდეც, მაგრამ უშრომელად არაფერი გამოვა. მე ამ ეტაპზე ვტკბები ჩემი მცირე წარმატებით და უფრო დიდის მისაღწევად ბევრს ვშრომობ.

— დაბოლოს, თუკი შენი ფანები მთხოვენ, — ვაჟას შეგვანვედრეო, მათ შევხვდები?


— ფანებს არა, აი გულშემატკივრებს კი სიამოვნებით შევხვდები.



ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რაც პაპირუსი, გრაფილი, წიგნი

წვეთი პოეზია



სწავლა მოსწავლეთა

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოჰყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე; უკლავ ტახილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოყამ დანანებასა, –
ჭირს მყოფი, ღვინაში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენება,
ძის სიხარულით დაჰქარგავს ილათს მზგავსთა სენება;
მაშინ იხარებს მწიღნავი, ოდეს მოისთვლის მტევნება,
ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებასა.

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილებს ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ ჯაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წეთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეუარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

დავით გურამიშვილი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თამარ ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“, №2-21

ბოჯოჯლი — ტოტებიანი, ბორჯღ-ლიანი.

ბუირო — მშეირი, უგულო ფეტვი (განიავებისას ნიავს მიაქვს ან გვერდზე ცვივა).

ბუიტი — ბატის ქუჩული.

ბუოლა (კუთხ.) — იგივეა, რაც თუთა.

ბუუტური — უთავბოლო, უჭკუო ლაპარაკი.

ბრავა — თითქმის წყლის ზედაპირამდე ამომავალი წყალქვეშა კლდე.

ბრანძი — დაფლეთილი, დაკონკილი ტანისამოსი, ძონძები.

ბრე — ბუნარევი მტვერი.

ბრელო — თივის ნაფშვენი — ბუჩო.

ბრეკტი — აგურის ან ფილების სახით დაპრესილი რაიმე მასალა.

ბრინზა რუმ. — ყველი ერთგვარი.

ბრკე — ღვინის ობი.

ბრონი — სიმნიფეში შესული, შენითლებული (თხილი, კაკალი, წაბლი).

ბრძმედი — რკინის მადნიდან თუჯის გამოსადნობი საგანგებო ღუმელი.

ბრწკალი — იგივეა, რაც ხინვი.

ბრჯგუ (ძვ.) — ჩლუნგი (ადამიანი).

ბუბკო — წყალში გაქნილი ფქვილის ნებო.

ბუგრი — მუნჯი.

ბუდეშური — ვაზის ჯიში.

ბუდნა — ლობიოს, კარტოფილის, სიმინდის დასათესად გაკეთებული პატარა ორმო.

ბუდრუგანა — იგივეა, რაც ჯიხური; 2. ფუსფუსა, მოუსვენარი, უთავბოლოდ მოძრავი.

ბუერავაზი — თეთრყურძინიანი ვაზის ჯიში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ბი, რჩევები და უბრალოდ, მეგობრული თანადგომა ბევრს ნიშნავდა. ის თითქოს ზურგის ტვინით გრძნობდა ჩემს თავს დატრიალებულ უბედურებას თუ ბედნიერებას და წინასწარ



მაფრთხილებდა. შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი ცხოვრება მის ხელისგულზე იდო. სწორედ მისი რჩევებით ვთრგუნავდი თავში ისეთ მანკიერებას, როგორცაა, შურისმაძიებლობა. გიორგი კანდელაკმა კარგად იცოდა ჩვენი მეგობრობის ამბავი და ერთხელ მიმა ცაგარელთან შესვედრა მთხოვა. ამ შესვედრას მეც ვესწრებოდი. მთავარი აზრი, რაც გიორგიმ მიმას ვრცელი პროგნოზიდან გამოიტანა, ეს იყო მისი სოფელთან სიახლოვის აუცილებლობა.

— რაც უფრო ხშირად იქნები შენს კარ-მიდამოში, მით მეტ ენერჯის მიიღებ. აი, ლალი კი კოსმოპოლიტია, ის ყველგან შეიძლება კარგად მოეწყოს, განსაკუთრებით დიდ მეგაპოლისებში.

გაკვირვებულმა გიორგიმ შემომხედა. მივხვდი, რომ „კოსმოპოლიტი“ და „მეგაპოლისი“ ესააშუა.

ცაგარელის რჩევით შეიარაღებული გიორგი ქალაქს, პრაქტიკულად, განერიდა.

ჩემთვის ამგვარი ყოფა, რა თქმა უნდა, მძიმე იყო. კურდღლების ფერმა, მდინარეზე თევზაობა და შემოდგომაზე ღვინის დაწურვა ის მცირედი გასართობი დარჩა, რომელსაც სოფელი მთავაზობდა.

გიორგი ხვდებოდა ჩემს ტანჯვას. თუ ევროპული ტურნეების მერე დიდ-

ხანს გვინევდა „ფესვებთან“ ზიარება, თბილისში ჩემს მეგობრებს ურეკავდა და ვარიანში ეპატიჟებოდა. სოფელს პერიოდულად „ინტელექტი სწყუროდა“ და მაშინ ჩვენი სტუმარი ტელეკომპანია „კავკასიის“ დამფუძნებლები და ჟურნალისტები დავით აქუბარდია და ნინო ჯანგირაშვილი იყვნენ. „აქუ“ არ მზარდებოდა და სოფლის მოსახლეობას მომავალი რამდენიმე თვის პოლიტიკურ პროგნოზს აწვდიდა. თუ სოფელს ჯაზური ჰანგები აინტერესებდა, მაია ბარათაშვილს ვეპატიჟებოდი, თუ ფეხბურთის ჩემპიონატი მძვინვარებდა, სპორტულ კომენტატორს დავით მინაშვილს, თუ ეკონომიკის პრობლემებზე მუსაიფის დრო იყო, გია მაისაშვილს, თუ ხელოვნებასთან ზიარება გვინდოდა, მანანა კოზაკოვას და ასე... დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით. ნეტავ ახლა რით ერთობიან?

იმ დღეს ცირა ლაბაურის, დათო მინაშვილისა და მანანა კოზაკოვას ჯერი იყო. მონატრებული მეგობრები ქალაქურ ჭორებს მიყვებოდნენ. მეც ხარბად ვინოვდი გაგონილს.

გიორგიმ მდინარეზე წაგვიყვანა, შინ კი დედამისი და მეზობლები სუფრას შლიდნენ.

ისე მოხდა, რომ მანქანიდან პირველი გადმოვედი და პირდაპირ სახლში შევევარდი. მდინარეზე მოზრდილმა კოლომ მიკბინა და სპირტის წასმას ვაპირებდი. ნეტავ იმ კოლოს ნაკბენს...

გიორგის შინ უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი ჰყავდა. გიორგის დედა მეზობლებთან გადასულიყო, აშვებული სიმბა არხენად დასერილობდა ოთახებში. როგორც ჩანს, ჩემი ჩქარი ნაბიჯები მტრულ ნიშნად შეაფასა, მეცა და კედელზე ამაყუდა.

— სუკა! — ვყვიროდი და რაც ძალა და ღონე მქონდა გაბრაზებულ ძალს ვიგერიებდი. „ვეფხი და მოყმის“ მსგავსად, ჩვენი შერკინება შეუდარებელი სანახაობა იყო. ყვირილზე შემოსულმა გიორგიმ გაკვირვებისაგან, — ლალი, რას შვრებიო! — მე მიყვირა. თუმც მალე აზრზე მოვიდა და ჩემს დახსნას შეეცადა. მე უკვე ერთი რაუნდი მოგებული მქონდა და ახლა აზარტში შესული აქეთ ვაქვებდები ძალღს.

— ჰა, მოერიე ქალს? მაგარი კავკასიელი ხარ!

ამ სიტყვების პასუხად სიმბამ ეშვები მარცხენა მკერდზე გამკრა.

გიორგიმ, როგორც იქნა, გაგვაშველა. ჩემი ქალაქელი მეგობრები გაგიჟებული უყურებდნენ ამ შერკინებას.

— ნამდვილი გლადიატორი ხარ! — მითხრა დათომ.

— სისხლი, — იყვირა ცირამ და

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ სიმბამ კარგა მაგრად ჩამავლო.

— სასწრაფოდ საავადმყოფოში! — გასცა განკარგულება მანანამ.

— „ფართი ან ფარზე“, — ვხუმრობდი მე ღონემისხილი და გამარჯვებული ვტოვებდი „ბრძოლის ველს“. გიორგი ფერწასული იდგა.

გორის საავადმყოფო სეირს უყურებდა. საოპერაციოში გიორგი თავზე მადგა და წყლიანი თვალებით მამხნევებდა. ექიმი ჭრილობას მიმუშავებდა.

— სამწუხაროდ, გორში ცოფის სანიანალმდეგო ვაქცინა არ არის, ხვალვე უნდა ჩაიტაროთ აცრა.

საბრალო ცირამ, დათომ და მანანამ ამხელა გზა გორის საავადმყოფოში მოსახვედრად გამოიარეს...

მეორე დღეს, გარდა ვაქცინაციისა, მამაჩემის დაჟინებული მოთხოვნით მის მეგობარ ონკოლოგთან, გია ცხისელთან წავედი.

— Ты с этим не шути! — მითხრა ვიქტორმა მკაცრად.

ბატონმა გამა ყურადღებით გამსინჯა და დაგვამშვიდა, რომ ნაკანრი ზედაპირულია და აბსოლუტურად უვნებელი.

— ისე, ეტყობა, არაფრის დაშავება არ უნდოდა, თორემ ნამდვილად ასე ადვილად ვერ გადარჩებოდი, მოგაჭამდა, — მითხრა გიამ.

— ჰო, მოენონა და გაეთამაშა, — გაეცინა ვიქტორს.

კაბინეტიდან გამოსულს გამახსენდა, რომ ფული არ გადაგვისდია.

— Папа, деньги?

— Ты что, с ума сошла, такую грудь трогай, пусть сам платит! ვხუმრობ, ბავშვობის ძმაცაცია, რა ფული, რის ფული? მამაჩემი, როგორც ყოველთვის, ყველაფრისაგან შოუს აწყობდა.

შინ დაბრუნებული გიორგი ძალიან გაუწყრა საბრალო სიმბას. ძალმა ინერვიულა, ჭამა შეწყვიტა და ცოტა ხანში მოკვდა.

— ძალი უნდა ამეცრა, ძალი, ლალი კი არა! — ხუმრობდა, ნალვლიანი გიორგი. — აბა, ეს ციმბირული ამტანი ჯიშისაა! იმან კი ვერ გაუძლო...

ორი კვირის შემდეგ გიორგი და მე უნენავში გასაფრენად ვემზადებოდით, რომ უეტრად ადრეულმა ზარმა ვიქტორის უცაბედი გარდაცვალების ამბავი მამცნო. თალესი 57 წლის წავიდა, ახლა 57 წლის ვიქტორმაც დამტოვა.

„По закону подлости, — ეს იყო პირველი, რაც ეგოისტურად თავში მომივიდა, — ძლივს ავანყვე ურთიერთობა, ძლივს დავმეგობრდით, ბავშვებმა შეიყვარეს და ახლა წავიდა“, — მოვთქვამდი მე.



სასაფლაოზე, გამომშვიდობების დროს, ცრემლი არ გადმომდოდა, — მამა მართალი იყო, მე ის თაღისივით ვერ დავიტირე...

* * *

2004 წელს ცხინვალში მორიგ სამხედრო ავანტიურას უამრავი ქართველი შეენირა. გიორგის სასტუმრო სამხედრო ბაზას დაემსგავსა.

— სიყვარულო, ნახე, შვეულმფრენების ბაზრობა გავსენი, — იცინოდა გიორგი და სასტუმროს ეზოში საფრენ აპარატებზე მიმითითებდა.

რამდენიმე დღეში პირობითი საზღვრიდან ოსებმა 50 შეიარაღებული სამხედრო პირი გაიტაცეს და რაც ყველაზე დამამცირებელია, დატყვევებულები არა სამხედრო პირებს, არამედ მშობლებს გამოათანეს. ისედაც ნანამებ ბიჭებს სამართალდამცავებმა გიორგის კრივის დარბაზში სცემეს. მთელი ღამე გვესმოდა მათი ზღუქუნის. შველა არსაიდან ჩანდა.

ამასობაში ხალხმა ამოყვინთა „ვარდისფერი“ ეიფორიიდან. საპროტესტო მუხტი მატულობდა და „აქუს“ ტელევიზიაც ნელ-ნელა რეიტინგული გახდა. იმისათვის, რომ კვალიფიკაცია არ დამეკარგა, სოფლიდან ჩამოსული „კავკასიაში“ ვიფხანდი გულსა და ენას.

ქვეყანაში ქაოსი დატრიალდა, ქუჩებში ერთიმეორის მიყოლებით ჩაცხრილეს არაერთი ახალგაზრდა, უნივერსიტეტი კმარებებმა დაიკავეს, პროტესტის გამომხატველი ყველა ლექტორი გაათავისუფლეს. რა თქმა უნდა, რეპრესიას ვერც მე გადავურჩი. გიორგის კრივის ფედერაცია დაატოვებინეს. ამიერიდან სპორტულ ფედერაციებს ნაციონალები ხელმძღვანელობდნენ. გასაყიდი აღარაფერი მქონდა, ამიტომ სახლს მივადექი. ასე მძიმედ მოპოვებულს ასე ადვილად ვთმობდი, მაგრამ რა მექნა?

გიორგი ვერის ბაღში კრივის სასახლეს აშენებდა, მიუხედავად უსახსრობისა, რაღაცას მაინც ხლაფორთობდა. ერთ მშვენიერ დღეს სარდაფის გამოთხრა დაიწყო.

— რას შვრები, გიორგი, რა დროს ეგ არის? — ვუთხარი მე. გიორგიმ წაიყრუა.

მთელი დღე მშენებლობას ვადექი თავზე. როგორც აღმოჩნდა, ამ შენობის 12% ჩემს ვერელ კლასელებს ეკუთვნოდათ.

ეს შენ ჩვენი საჩუქარი, — მითხრა ბავშვობის მეგობარმა „ჯონჯოლამ“, — იბედნიერე. მეტი რომ მქონდეს, მეტს გაჩუქებდი.

კანდელაკს ძალიან ახარებდა ეს

გადაწყვეტილება, — ჩემი და შენი რამ გაყო, — იმეორებდა ხშირად.

მთელი სახსრები მშენებლობაზე მიდიოდა, ჩემი წაულის ქურქიც და მგოსნის ნაჩუქარი საფირონისთვლიანი ბეჭედიც დარბაზის კედლებს ჩავატანე.

— რა მოხდა, მთავარია, ერთად ვართ! — მახსენებდა გიორგი, როგორც კი მოლუშულს დამინახავდა.

ზამთარს მე, გიორგი და ნახევარი ვარიანი ჩემს სახლში ვატარებდით.

დახურდავებული სამსართულიანი ვეძისის სახლის ფული ჩვენს კვებას, ბენზინსა და ტელეფონების ანგარიშების შევსებას ხმარდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი სახლიდან მხოლოდ ოთხი ოთახის ფული დამრჩა, მაინც გიორგის დავეკითხე, სად მეყიდა ბინა.

— ცენტრში, — იყო გიორგის სრულიად გაუგებარი პასუხი.

ჩემი უმცროსი სამი წლის ვაჟიშვილი საბოლოოდ გიორგის ოპოზიციად ჩამოყალიბდა, რადგან არც ვარიანი მოსწონდა და არც თავად გიორგი.

— ცენტრს, ალბათ, ვარიანიდან ანგარიშობს, — თქვა ჩლიფინით პატარამ.

გიორგის სიმწრის ოფლმა დაასხა. უჭირდა ბიჭთან საერთო ენის გამონახვა, არც ბიჭი ეძებდა სიტყვებს...

— არაფერია, აი, ავაშენებ ვერაზე კიდეც სამ სართულს, გადავალთ ჩემთან და მერე რომელიმე ნაწილს მოგცემ ბიზნესისათვის, — მანუგეშებდა გიორგი.

მეც მჯეროდა.

— ნახირში თუ არა ხარ, ჩართე ტელევიზორი, — მომესმა ქეთის მონატრებული ხმა.

— რა ხდება, რო? — გოგოების „შპილკებზე“ აღარ ვრევაგირებდი.

— რა და სალომე ზურაბიშვილი მართავს ბრიფინგს და შენზე ამბობს, არ ნავა ეგ ელჩად მოსკოვში!

საოცარია, საგარეო საქმეთა მინისტრი კატეგორიულად უარყოფდა ჩემს კანდიდატურას, ამავე დროს კი HTB-ზე სიუჟეტი გადიოდა, სადაც ჩემს ავკარგიანობას არჩევდნენ...

მოსკოვში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ერთი უცოდინარი, ზარმაცი და უნიათო ბიჭი გაუშვეს.

მოგვიანებით მიტინგზე გაცნობილმა ქალბატონმა სალომემ მითხრა, რომ ეს ამბავი მას უხეშად მიახალეს და ცხადია, მანაც, როგორც შეურაცხყოფილმა მინისტრმა, დამბლოკა, თანაც სულ არ მიცნობდა! ხანდახან რა დასანანია, რომ დროს უკან ვერ დაბრუნებ!

მე ამასობაში რუსულენოვანი ჟურნალი „დომინო“ დავაარსე, რითაც ვცდილობდი არაქართველი მოსახლეობისათვის პოლიტიკური ამბები გამეცნო, ჩემთვის კი სასიცოცხლო ფუნქცია მომენიჭებინა. ამასობაში ჩემში ნაწილ-ნაწილ რაღაც კვდებოდა, მაგრამ ამაში თავსაც ვერ ვუტყდებოდი. თანაც ბევრმა უკვე გამრიცა...

2006 წლის უბის წიგნაილან

ბავშვობიდან არ მიყვარს არც ზაფხული და არც შაბათ-კვირა. ვერ ვიტან, როდესაც ჩემი ქალაქი ცარიელდება, დარაბები იხურება და ქუჩებშიც ჩვეული ხმაური აღარ ისმის. ამიტომ უქმე დღეებში გაგურბივარ ქალაქს, რომ დაბრუნებულს კვლავ ახმაურებული და აჟრიაშულებული დამხვდეს.

კვირაობით ვცდილობ, არ დავიტვირთო მასმედით, რათა ახალ კვირას უფრო დასვენებული თვალთ შევძლო მოვლენების აღქმა, იმ მოვლენების, რომლებიც ჩემი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს, რადგან სწორედ ახლა იბადება საქართველოს ახალი ისტორია. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ ხშირად ვფიქრობ: რაღა ჩემს თაობას ერგო ამდენი განსაცდელი? 9 აპრილი, ომები, ომები, ომები... და უსამართლობა.



ალბათ, ესეც გამოცდაა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანის წინ. იქნებ ამ უსამართლობაში, ტყუილსა და ფარისევლობაში იბადებდა სიმართლე. ის სიმართლე, რომელიც ერთადერთი იქნება.



ამასობაში ვუახლოვდები ჩემს ქალაქს, — ისევ გადათხრილი გზები, ისევ დიმიტრაური დიღმის დუქნებში, ისევ უპატრონო ბავშვები გადასასვლელებზე და უსიცოცხლო შადრევნები. ალბათ, მათაც შესცივდათ, დღეს ხომ სამინელი ქარი ქროდა.

ქარი ყოველთვის შფოთვას იწვევს ჩემში. არა, დაწყნარებული და უშფოთველი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ქარი სულ სხვაა... კიდევ ერთი აზუზუნება და ჩემს ჩანთაში ტელეფონის წკრიალი ერთია. თხუთმეტიოდე ნუთში ვუერთდები ჩემს მეგობრებს ერთ-ერთ ქალაქგარეთ რესტორანში.

...და ისევ ჩვეული სადღეგრძელოები ცვლის ერთმანეთს. დედამამიშვილები, მშობლები, ნასულები, ახალდაბადებულები, სამშობლო... და როგორც არასდროს, მე ეს ყველაფერი მსიამოვნებს. არა, სულაც არ არის ბახუსის ბრალი. უბრალოდ, ჩემს ქალაქში ისე წვეთ-წვეთ ქრება ტრადიცია, წეს-ჩვეულებაც და ადათიც, რომ ყოველი ქართული ტრადიციით ნაცხოვრები დღე ბედნიერებაა. აბა, ამ ახალი უნარ-ჩვევებით სად წავალთ და სად მოვხვდებით? ამაზე პასუხი, ალბათ, მხოლოდ მათ ავტორებს აქვთ და არა მგონია, მე და ჩემნაირებს გვაკმაყოფილებდეს. ჰო, სამშობლოზე შეეჩერდი. გაუშარჯოს! ოღონდ როგორ? რამდენი „უ“ უნდა დაერთოს წინ? უსამაჩაბლოდ, უაფხაზეთოდ, ურწმუნოდ... კიდევ რამდენი „უ“, „უ“, „უ“? და რატომ ურწმუნოდ? იმიტომ, რომ ციხის საკნებშიც კი იღოვავ შედის. უსუსურებს აწამებენ, სანთელი აღარ ინთება. აი, ამიტომ.

ტყუილად არ მიტყვამს, ქარი შფოთვას მგვრის-მეთქი. ვერ ვიტან, როდესაც სამაჩაბლოში მოახლოებულ არჩევნებს აქ მხარს უჭერენ, სად ხართ, ხალხო? ვის ემსახურებით? არ იცით, რომ აუღიარებელი რესპუბლიკის არჩევნებში მონაწილეობა აღიარების ტოლფასია? ნუთუ ღირს ამაში აღებული ფული და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მონობა საქვეყნოდ თავის მოჭრად? დღეს ხომ არ მთავრდება ცხოვრება? მით უმეტეს, როცა დაკარგულ ტერიტორიებზე, პრაქტიკულად, უარი ვთქვით.

ვერ ვიტან, როცა ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე ტყუილებით გვჭყყვენ და მალულად ისევ რუსეთზე გვყიდნიან. ვერ ვიტან, როცა ნატოთი, როგორც სატყუარათი, ისე გვატყუებენ, გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელები კი ისევ ქუჩაში დასეირნობენ.

ვერ ვიტან მლიქვნელობას, სიაფანდობასა და არაკაცობას! უკვე მე-9 დღეა კოკო გამსახურდია პოლიტი-

პატიმართა საქმის გადასინჯვის მოტივით შიმშილობს. ეს მისი პირველი შიმშილობაა. არავინ აკითხავს და არც არავის ახსოვს. ახლავე მივდივარ და ვეუბნები, რომ შეწყვიტოს ეს უაზრობა! ქვეყანას ძალაგამოცლილი კი არა, სალ-სალამათი ხალხი სჭირდება! ვერ ვიტან გულგრილობას. იმდენ რამეს ვერ ვიტან, ან მართლა ძალზე ცუდად არის ქვეყნის საქმე, ან მე მაქვს ნევროზი. ჰოდა, შაბათია და წავედი ქალაქგარეთ დასასვენებლად...

„ალასა“

პოსტრევოლუციურ რეპრესიებს ერთიმეორის მიყოლებით ეწირებოდნენ მიშა სააკაშვილის ბავშვობის მეგობრები. პრეზიდენტის ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ თავს „ნაციონალების“ პრეზიდენტად აღიქვამდა და არა სრულიად საქართველოსი. არც ნუკრი იყო „ნაციონალების“ მებოტბნა რიცხვში, ოდესღაც ბავშვობის მეგობრები მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბევრი ჩვენი სკოლელი საზღვარგარეთ გაიქცა, ბევრიც დაიჭირეს. ნუკრი ამდენი ნერვიულობისაგან გულის უკმარისობით გარდაიცვალა. მიშა არ მოსულა, გიორგიმ კი დაკრძალვაზე არ გამიშვა!

ძელია იმის აღწერა, რას განიცდიდა სანდრო, რომელიც ნუკრის ძმად უფრო აღიქვამდა, ვიდრე მამად. 38 წლის ახალგაზრდა კაცმა სანდროს ხელში დალია სული, მე კი საბოლოოდ გამიწყდა ბავშვობასთან დამაკავშირებელი უხილავი ძაფი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ახლა მეც ისეთივე უთვისტომო და უფსევო ვიყავი, როგორც ბევრი სხვა.

თითქოს უფალმა არ გვაკმარა განსაცდელი, — ამ ამბიდან ერთ კვირაში უმწვავესი პერიტონიტით სასწრაფოდ მოსკოვში გადაამაფრინეს. სანდროს ახალიმდებულ ტრავმას მეც დავემატე და ეს ყველაფერი ერთ თვეს, წყეული 2006 წლის მარტში ხდებოდა.

მოსკოველი ექიმები იმედს არ იძლეოდნენ. ოპერაციის დროს კანდელაკი დაჭრილი ცხოველივით ეხეთქებოდა კედლებს. ნარკოზიდან გამოსულს თავზე მადგა და მედპერსონალს არ მაკარებდა.

— Я сам! — სამი კვირის განმავლობაში გიორგი საავადმყოფოდან არ გასულა. დედამეი მხოლოდ მოგვიანებით ჩამოვიდა, — რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამო უფრო ადრე ვერაფერი მოახერხა. ღვთის მადლით, მე და გიორგის ერთწლიანი ვიზები გვექონდა, ორი საათის დაგვიანებაც კი ჩემს ბედს სულ სხვაგვარად დადგენდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე, გიორგი ისევ მშენებლობას მიუბრუნდა. რეაბილიტაციის შემდეგ, ვცდილობდი, საკუთარ მომავალზე გამეკეთებინა კონცენტრაცია, ამიტომ ბიზნესის წამოწყება გადავწყვიტე. სანდროს მამა აღარ ჰყავდა, გიორგის მამას გავშორდი და ახლა მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა.

ძალა მოვიკრიბე და კანდელაკს დაველაპარაკე:

— გასაგებია, რომ მშენებლობის აზარტში ხარ შესული, მაგრამ ჩემი წლები გარბის, თუ ახლა რამე არ გავაკეთე, მერე გვიანი იქნება. შენ დამპირდი, რამე ბიზნესს დაგანყებინებო. რომ არ დაგიჭირეს, ვერის შენობაში წილში არავინ რომ არ ჩაგიჯდა და არც მერიამ დაგინგრიცა, მგონი, წვლილი მეც მიმიძღვის. იქნებ მოიფიქრო და საერთო საქმე დავინწყოთ. მე გასაყიდი აღარაფერი მაქვს, კარიერამ დაყვინთა, შენ ამასობაში ვერის ცენტრში იმპერია წამოჭიმე, როგორ მოვიქცეთ?

— ჩვენ წერილობითი შეთანხმება არაფერზე გვექონია. მე მინდა ჩემი შვილები ქალაქში ცხოვრობდნენ და თავში ავარდნილ თბილისელებზე მეტი ფული ჰქონდეთ, — ის ვერასოდეს იტანდა თბილისელებს.

ამ სიტყვებმა გამაოგნა, მაგრამ მთავარი სიურპრიზი წინ მელოდა.

— ჩემი პენტჰაუზი მთავრდება, შეგვიძლია, გადავიდეთ, ოღონდ ერთი პირობით, უმცროსი ბიჭი მამამისთან გაუშვი, ჰო, სიყვარულო?

— გაეთრიე ჩემი სახლიდან! — ვუყვირე გიორგის...

...იმ ღამეს ტაქსით უკვე სადახლოსკენ მივქროდი, რომ სოჭში, ნათლიაჩემთან ცოტაოდენი შვება მეგრძნო. ცხოვრებაში პირველად დავრეკე და ვთქვი, მიშველეთ-მეთქი. სომხეთის საზღვარზე მისი მეგობრები მელოდებოდნენ.

მეორე დღეს გიორგიმ ჩემი გამგზავრების ამბავი გაზეთებიდან შეიტყო.

— რა, ლალი სოჭშია? — იკითხა გაკვირვებულმა გიორგის დეიამ.

— რას ამბობ, დედა, სადა აქვს ფული? ცოტა ვიკამათეთ და, ალბათ, ეს ჩემს გასაბრაზებლად დაანერინა, ხომ იცი ჟურნალისტების ამბავი?

გიორგიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ჩემთვის შელახული თავმოყვარეობა და შვილზე ნათქვამი აუგი ქვეყნად ყველაზე დიდი შეურაცხყოფა იყო და მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ოჯახი, კარიერა, ფინანსები და საუკეთესო წლები შევწირე, ამას მაინც არ ვაპატიებდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com



დასაწყისი იხ. „გზა“ №21

რუსულან ბერიძე

საქმემოძალეზული ლაშა ახალ-გამომცხვარი ლიდერების წარსულის სკრუპულოზურ შესწავლას შეუდგა. ამისთვის მარტო სხვადასხვა არქივში ქექვა კი არა, რამდენჯერმე იმ დახურული ინფორმაციით სარგებლობაც დასჭირდა, რომელიც სამართალდამცავ ორგანიზაციაში აქა-იქ კიდე შემორჩენილი საკუთარი „აგენტურის ქსელიდან“ მიიღო. ამას თითქმის ყველა სხვა სფეროში ასევე პირადი ნაცნობობის წყალობით მოძიებული ცნობებიც დაუმატა და, საბოლოო ჯამში, მის ხელში დღევანდელი „ერის მამების“ ცხოვრებიდან არაერთმა ისეთმა საჩოთირო ფაქტმა მოიყარა თავი, რისი დავიწყებაც თავად ალბათ, სამუდამოდაც კი სურდათ.

გაირკვა, რომ ზოგიერთი მათგანი წარსულში ფსიქიატრიულ კლინიკებშიც კი მკურნალობდა, სხვები კანონთან იყვნენ მწყრალად, ზოგი წარკოტიკების აქტიური მომხმარებელი იყო, ზოგიც უბრალოდ ამა თუ იმ საეჭვო წარმომავლობის არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღიდან გამოსულიყო. ასე რომ, მთელი ეს ახალი გვარ-სახელებისა და სახეების თითქოსდა იდეალური ნაკრები, ტელევიზორების ეკრანებიდან რომ აღარ ჩამოდიოდა, სინამდვილეში საკმაოდ ჭრელი და ფრიად საეჭვოც გახლდათ.

ხალხს რომ თავისი ახალგამომცხვარი გმირების ცხოვრების შესახებ თუნდაც სულ ოდნავ მეტი სცოდნოდა, საეჭვოა, არჩევნებზე მათ ხმების ასეთი რაოდენობა მიეღოთ. ჰოდა, ლაშა ლაფაური აბა, რის ლაშა ლაფაური იქნებოდა, თავისი რომ

მოეშალა და ახალი ხელისუფლების პირობებშიც ადამიანებისთვის სიმართლე არ ეთქვა. ამის გამო უწინდებურად ხშირად ემუქრებოდნენ, ერთი-ორჯერ ცხვირ-პირიც ამოუნაყეს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. აკი გოგი გელოვანმაც, თავის დროზე, სწორედ ასეთი დაუმორჩილებლობისა და სიჯიუტისთვის არ მიიწვია სამუშაოდ ახალ ტელეკომპანიაში და თავად კომპანიასაც სახელი — „სპექტრი“ — მისი რჩევით არ დაარქვა?..

გადადგომასთან შეგუებულ გოგი გელოვანსაც კი ძალიან გაუკვირდა, როცა დირექტორთა საბჭომ მის გადადგომასა და ახალი გენერალური დირექტორის დანიშვნის საკითხსაც ხმების აბსოლუტური უმრავლესობით დაუჭირა მხარი. ახალი შეფის — ვინმე დავით რონდელის შესახებ ტელევიზიის კოლექტივმა მხოლოდ ის შეიტყო, რომ ის ოდესღაც, სულ მცირე ხნით, ტელეოპერატორის თანაშემწედ მუშაობდა. ტელევიზიასთან მისი სხვა, უფრო ხელშესახები კავშირების შესახებ (თუ მსგავსი რამ ბუნებაში საერთოდ არსებობდა) არავინ არაფერი იცოდა...

მოსაწევად გამოყოფილ კუთხეში მდგარი ლაშა ფილფანი და მისი ორი კოლეგა ჭერში ბოლს უხალისოდ უშვებდნენ და ტელევიზიის მომავალზე კიდე უფრო უხალისოდ ბჭობდნენ.

— გაგვრეკავენ, ამას ლაპარაკი აღარ უნდა! — კომპანიის ყურნალისტთა უმეტესობის ბედი უკვე ბოლომდე გადაწყვეტილად მიაჩნდა სპორტული რედაქციის რედაქტორ გიო მხეიძეს. — ჩვენს ადგილებზე კი ხალხს თუნდაც პირდაპირ ქუჩიდან მოიყვანენ. ახლა კნქცი რომ

ჩამოგდო, პირდაპირ უმუშევარ ყურნალისტს დაეცემა.

— ნეტავ, შენ მაინც არ იშლიდე ტყუილად ნერვებს! — ნათია კილასონიამ გიოს ხელი აუქნია. — ვინმე თამაშს მოიგებს, იტყვი, მოიგო, ნააგებს — წააგო. სპორტი ყველას ხელში სპორტი იქნება...

— და ამას საინფორმაციოს შეფი მეუბნება? — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია გიომ. — არა, ძმებო, თქვენი არ ვიცი და მე კი დროზე უნდა გავასწრო!

— თუ კაი საქმეზე მიდიხარ, ჩვენც წაგვიყვანე! — სიტყვა „დანია“ გიოს ლაშამ.

— კარგი რა, ლაშა, — შენ კიდე გეხუმრება?

— აბა, წინასწარ დავიხოკოთ ლოყები? — ლაშას მხარი აუბა ნათიამაც. — იქნებ, მარტო შენ კი არა, ჩვენც კი გამოვძვრეთ. ეგეთები გვინახავს და გადაგვიტანია?

— გამოძრომით შეიძლება, მართლა გამოვძვრეთ, მაგრამ სად შევძვრებით, ისაა საკითხავი... — კოლოფიდან ახალი სიგარეტი ამოიღო ლაშამ.

— ტყუილად არ მოუკიდო! — შორიდანვე დაუძახა მას დერეფანში გამოჩენილმა ოპერატორმა კახა ჟღენტმა. — ლიკა გეძებს და ახლავე მასთან უნდა ახვიდე!

— კარგი, ერთი!.. დავიჯერო, უკვე ასე მოვენატრე? — კბილი გაჰკრა გენერალური დირექტორის პრანქია პირად მდივანს ლაშამ.

— ლიკას არა, ახალ გენერალურს მონატრებხარ, — „გაახარა“ ლაშა კახამ, — სასწრაფოდ მომიძებნეთო...

— დაინყო... — ნათია თვალები ჭერში ნაზად ალაპყრო.

— ნავედი, — სიგარეტი ურნაში დანანებით მოისროლა ლაშამ.

— ახალ შეფთან ბლოკნოტის გარეშე როგორ მიდიხარ? რა იცი, რა ბრძნული აზრები დააფრქვიოს და არ უნდა ჩაინერო? — წაუსისინა ნათიამ და ლაშას საკუთარი ბლოკნოტი მიაჩეჩა.

გენერალური დირექტორის კაბინეტთან მისულ ლაშას პირველი სიახლე მისაღებში შესასვლელ კართანვე დახვდა. კარის გვერდით გამოკრულ ფირნიშზე გოგი გელოვანის ნაცვლად უკვე ახალი შეფის გვარ-სახელი გამოქვეყნათ. „ოპერატიულობაც ამას ჰქვია“, — ბოლმიანად გაელიმა ლაშას და კარი ჯიქურ შეაღო.


— სად ხარ ამდენ ხანს? — ლაშას გამოჩენისთანავე ფეხზე წამოხტა ლიკა. — შევალი შეფს ვეტყვი, რომ მოხვედი.

— ცოტა ნელა, ბეჭი არ ამოიგდო!.. — აგდებულად შეათვალიერა



პირადი მდივანი ლაშამ. — ჯერ ხომ არ იცი, გარჯა დაგიფასდება თუ — არა.

— არა, არა, — ხელი ჩაიქნია ლიკამ, — შენი გამოსწორება არ იქნება...



— მერე გეთქვა ბარემ ახალი შეფისთვის, რა გამოუსწორებელიც ვარ და ორ კურდღელს ერთად დაიჭრდი: აღარც ჩემი მოძებნა დაგჭირდებოდა და ამ შეგონებებსაც გადაურჩებოდი.

მდივანს ლაშასთვის ყური აღარ დაუგდია, კაბინეტში შევიდა და რონდელს ლაფაურის გამოჩენა აუნყრო.

— მეძებდით? — კაბინეტში დინჯად შეაბიჯა ლაშამ და რატომღაც მოუჩვენა, რომ ოთახის ჭერი საგრძნობლად დადაბლებულიყო.

აქამდე გოგი გელოვანის კუთვნილ მასიურ სამუშაო მაგიდასთან მდგარ არანაკლებ მასიურ სავარძელში კი ჩია, მელოტი მამაკაცი ჩაკარგულიყო და ცხვირი თაბახის ფურცლებში ჩაერგო. მან ლაშას კითხვას ყურადღება არ მიაქცია. „აი, ამას ეყოლება თუ ეყოლება!“ — გაიფიქრა ლაშამ და ახალი შეფის ყურადღების როგორმე მისაპყრობად, საკმაოდ ხმაურიანად ჩაახველა. რონდელს თავი არც ამჯერად აუნწევია. „ფსიქოლოგიურად მიტევს ახალგაზრდა მომცხვარი შეფი, — გაელიმა ლაშას, — მაგრამ მეთოდი კი საკმაოდ ძველი აურჩევია.“

— რადგან ესოდენ დაკავებული ბრძანდებით, სხვა დროს შემოგივლით, — მცირე ხნის ლოდინის შემდეგ კარისკენ შებრუნდა ლაშა და

მაშინვე რონდელის უსიამოვნო ხმაც მოესმა.

— მოიცა! — როგორც იქნა, მან თავის აწევა იწება და ლაშას ისე ამოხედა, როგორც მახრჩობელა გველმა ჩასაყლაპად გამზადებულ კურდღელს.

ახალი შეფის ხმა შეფარული მუქარასავით გაისმა. ის ხომ ტელეკომპანიაში მიმდინარე პროცესებსა და მისი თითოეული თანამშრომლის შესახებაც ამ სავარძელში ჩაჯდომამდე ბევრად უფრო ადრე და საფუძვლიანად იყო ინფორმირებული. ამდენად, ისიც ზუსტად მოესხენებოდა თუ ამნუთას მის წინ ვინ იდგა. მეტიც, რონდელს ლაფაურის სახით პირველი და მთავარი იდეური მონინალმდგის ფსიქოლოგიურად გატეხაც მტკიცედ ჰქონდა გადამწყვეტილი. ამის გაკეთებას კი ჯერ მისი სრული იგნორირებით, შემდეგ მოულოდნელი თავდასხმითა და ტელეკომპანიის ყველა არსებული თუ არარსებული ცოდვის გადაბრალებით აპირებდა.

— ვერ ხედავ, რომ დაკავებული ვარ? — ისევ შენობით მიმართა რონდელმა ლაშას. — თუ თავდაც იმდენი საქმე გაქვს, რომ შენი ძვირფასი დროის რამდენიმე წუთის დაკარგვაც კი არ შეგიძლია?

— რას ბრძანებთ, — შეფის თავხედური ტონის მიუხედავად, თავაზიანობის ნიღაბი მაინც არ მოუცილებია ლაშას, — საქმეზე დროს როგორ დავინანებ. დამიძახეთ თუ არა, მაშინვე აქ გავჩნდი, რომ... — დაჯექი!

კაბინეტში მძიმე პაუზა ჩამოწვა. ახალი შეფი და ქვეშევრდომი ერთმანეთს ახლა მხოლოდ თვალებითღა ზომავდნენ. შემდეგ ისევ რონდელი ალაპარაკდა:

— ამ ტელეკომპანიის შემდგომი საქმიანობის თაობაზე გამოგიძახე. პო, მართლაც, უახლოეს ხანებში სახელს შევუცვლით. რას დავარქმევთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია, თუმცა ეს არც ისე მნიშვნელოვანია...

ლაშამ იგრძნო, გულში რომელიღაც სიმი როგორ ჩასწყდა. „ჰმ... ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა უკვე შეცვალეს, მალე სახელსაც შეუცვლიან, ზედ ურჩ თანამშრომლებსაც

კმაყოფილმა რონდელმა, — მე შენ, როგორც ნიჭიერ და პერსპექტიულ ჟურნალისტს, ისე გიყურებ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და მთავარი სახელდიდებაც წინ გაქვს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული... უფრო ზუსტად კი — შენს საქციელზე, — ხმა სულ უფრო უტკბებოდა ბლოკნოტში თავჩარგული ლაფაურის მაცქერალ შეფს.

მთავარად, დანარჩენებს კი თავიანთ დაკრულზე აცეკვებენ და მშვიდობით, ამდენი შრომით შექმნილო და აქამდე სიმწრით მოტანილო ტელევიზია!“ — ბოლმიანად გაიფიქრა მან და უნებლიეთ ხელებიც კი მომუშტა.

— თუმცა შენ ალბათ, შენი შემდგომი ბედი უფრო გალევებს, — განაგრძო რონდელმა და თან გაკვირვებით მიაშტერდა თავდახრილ ლაშას, რომელიც — თითქოს პირველად შენიშნაო — საკუთარი ფეხსაცმლის ჭვინტს ისე გულმოდგინედ ათვალეირებდა, — ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, მე და შენ ერთმანეთს რამდენად შევეწყობით.

ამ სიტყვების შემდეგ რონდელი ფეხზე წამოდგა, ხელები ზურგს უკან შენოწყო და ოთახში საქმიანად გაიარ-გამოიარა.

— ჩემამდე აქ რაც ხდებოდა, საშინელება! ასე მუშაობა არ შეიძლება! ეშმაკი ვერ გაიგებს, ვინ რას აკეთებდა. იგონებდით რალაც საავტორო პროგრამებს, ატარებდით საზოგადოებრივ გამოკითხვებს და ამ ყველაფერს საერთოდ არავინ აკონტროლებდა... ამიერიდან ყველაფერი სხვანაირად იქნება! პირველ რიგში ჟურნალისტების ასეთ თავგასულობას ავკრძალავ. ტელეკომპანიის თითოეული თანამშრომელი მხოლოდ იმას გააკეთებს, რასაც უფროსობა დაავალებს. ნებისმიერი ინტერვიუ, რეპორტაჟი თუ სიუჟეტი ხელმძღვანელობასთან შეთანხმდება და ეთერში მხოლოდ ამის შედეგად გავა. ყველაფერს პირადად ვავაკონტროლებ.

ლაშამ ბლოკნოტი გადაშალა და რალაცის წერას შეუდგა.

„ეს ლაფაური მგონი, არც ისე ხისთავიანი უნდა იყოს, როგორც მომახსენეს. ზის აგერ თავისთვის და ჩემს მითითებებს გულმოდგინედ ინიშნავს... ესეც შენი „სამართლიანობის გამაფრებელი გრძნობით შეპყრობილი მაქსიმალისტი!“ — გაახსენდა რონდელს ადგილი ლაშას დოსიდან. — ისე, თავიდან მეც უფრო კერკეტი კაკალი მომეჩვენა, სინამდვილეში კი ის ნედლი თიხა ყოფილა, რომლისგანაც რასაც გინდა, იმას გამოძერწავ.“

— მაშ ასე, — ტონი შეარბილა კმაყოფილმა რონდელმა, — მე შენ, როგორც ნიჭიერ და პერსპექტიულ ჟურნალისტს, ისე გიყურებ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და მთავარი სახელდიდებაც წინ გაქვს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული... უფრო ზუსტად კი — შენს საქციელზე, — ხმა სულ უფრო უტკბებოდა ბლოკნოტში თავჩარგული ლაფაურის მაცქერალ შეფს.



„ცოტა პირფერობა და გულითადი ტონი საქმეს ნამდვილად არ აწყენს, — ფიქრობდა რონდელი, — ყოველ შემთხვევაში ეს ასეთი ურჩი ჟურნალისტის ჩვენს მხარეზე გამობირებად ნამდვილად ღირს“.

— და საერთოდაც... არ მოგებურდა ჩინოვნიკების აგარაკების პირდაპირ ეთერში ჩვენება და მათ საზღვარგარეთულ ანგარიშებზე გაუთავებელი ლაპარაკი? მსგავსი ზღაპრები ხომ უკვე ყველას ყელში ამოუვიდა... რონდელის ამ სიტყვებზე ლაშამ ისეთი ტანჯული გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვიღაცამ ბებერაზე დააბიჯაო.

— კარგი, კარგი... — თანაგრძნობის ნიშნად, კმაყოფილმა რონდელმა კინალამ მხარზე ხელიც კი მოუთათუნა, — ვიცი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ იმ არაკეთილმოსურნეთა ხრიკებია, ვისაც ჩვენი სახელმწიფოებრივი საფუძვლების შერყევა და ხალხის ნაქეზება სურს. ხალხი კი ასეთი რამეებით უკვე ძალიან დაიღალა და მშვიდი ცხოვრება სურს.

ლაშას თავი არც ამჯერად აუნევიდა. „უკვე ჩვენიანია“, — საბოლოოდ დაასკვნა რონდელმა და ჟურნალისტის ბოლომდე დამუშავება გადანყვიტა:

— ხალხს ელდის მომგვრელი ინფორმაციები კი არა, პირველ რიგში, სასიკეთო ძვრებზე გულმოდგინე საუბარი და პოზიტიური ემოციები სჭირდება. ხომ გასაგებად აგისხენი ყველაფერი?

— სავსებით, — ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია ლაშამ და ნანერს თვალი გადაავლო.

— და კიდევ ერთი, — თავდაჯერებამ იმატა ახალგაზრდა მწერლის ხმაში, — კარგად მოგეხსენებათ, რომ ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და ვერაფრით გამოიგია თქვენი ტელეკომპანიის და პირადად შენი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი კანდიდატებისადმი. თუნდაც ებრალიძემ რა დაგიშავა?

— მე პირადად არაფერი, მაგრამ მის დანაშაულებრივ წარსულსა და თითქმის ასეთსავე ანმყოს რა ვუყოთ?! — ბოლოს და ბოლოს, საკუთარი აზრის გამოთქმაც გადანყვიტა ლაშამ.

— კარგი რა, თუ ძმა ხარ! — მთლად გაუშინაურდა რონდელი ჟურნალისტს. — ახალგაზრდობაში პატარა გადაცდომა ვის არ მოსვლია... ყველანი უბრალო მოკვდავები ვართ... აი, კრიმინალთან ებრალიძის ახლანდელ კავშირებს რაც შეეხება... — უცბად სიტყვა შუაზე გაუნყვდა რონდელს, რადგან მიხვდა, რომ ზედმეტად გულახდილად ალაპარაკდა, — თუმცა შეცდომა სწრაფადვე გამოასწორა:

— რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს მხოლოდ საშინელი ცილისნამებაა და სხვა არაფერი. და სწორედაც რომ ჩვენს ხელთაა, ჩვენი — ჩემი და შენი ტელეკომპანია მაქვს მხედველობაში, ამ დასანანი უსამართლობის გამოსწორება. გასაგებად აგისხენი?

— სავსებით... — სევდიანად გაეღიმა ლაშას.

— მაშინ ჩათვალე, რომ ეს შენი პირველი დავალებაა. ჰო მართლა,

კიდევ იცი, რა?.. მაყურებლის თვალში ებრალიძის რეაბილიტაციასაც სასწრაფოდ უნდა შეუდგე. ნებისმიერ ცილისნამებას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ახლა ხომ ყველაფერი ბოლომდე ნათელი და გასაგებია?

— აბსოლუტურად... — ისევ მოკლედ მოუჭრა ლაშამ.

— მაშინ ვფიქრობ, ჩვენი საუბარი დასრულებულია.

— მეც ასე ვფიქრობ.

„ეს ერთი და სხვა მრავალი.. — გაიფიქრა რონდელმა და კმაყოფილებისგან კინალამ ხელებიც კი მოიფშვინტა. — გასაყრელთა გრძელი სიიდან ერთი გვარი თითქმის უპრობლემოდ ამოვადგეთ“.

— თავისუფალი ხარ, — კარისკენ მიუთითა მან შემდეგ ლაშას.

— აი, ამისთვის კი მართლაც განსაკუთრებული მადლობა! — ფეხზე დინჯად წამოდგა ლაშა და შეფს გაუღიმა.

— რისთვის? — ვერ მიუხვდა იგი, თუმცა სახეზე თავადაც ღიმილი აინება.

— იმისთვის, რომ თავისუფალი ვარ, — ფურცელი გაუნოდა ლაშამ.

— ეს რაღაა? — იჭვინულად ჩამოართვა ფურცელი რონდელმა.

— განცხადებაა თქვენგან წასვლის შესახებ, — წელში საგანგებოდ გასწორდა ლაშა.

— რაო? — თვალთ სწრაფად გადაურბინა ნანერს რონდელმა და როგორც კი დარწმუნდა, რომ ლაფაური არ ხუმრობდა, მთელი ხმით ილრიალა: „ახლავე აქედან გაეთრიე!.. გაეთრიე-მეთქი!“

განახლებული რუბრიკა

ავტო

ავტოგანცხადებები
სიტყვა და საქმის ხუთშაბათის ნომერში

სიზმარი და სიყვარული
მედიანი ბაზარი
www.saqme.ge



ლაშამ ტელეკომპანიის ახალ გენერალურ დირექტორს ზურგი მშვიდად შეაქცია და მისი კაბინეტის კარი უხმაუროდ გამოიხურა...

ქვეყნის უშიშროების სამსახურის



რამდენიმე მაღალჩინოსანი თანამშრომელი საგანგებო თათბირზე იყო შეკრებილი. თავად თათბირი კი შენობის სარდაფში მდებარე იმ ასევე საგანგებოდ დაცულ ოთახში იმართებოდა, სადაც თანამშრომლებს მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი და მკაცრად გასაიდუმლოებული ინფორმაციის მისაღებად თუ უხმობდნენ. თათბირს ჭკოვივით მაღალი და საკუთარი ასაკისთვის ზედმეტად მკაცრსახიანი ახალგაზრდა მამაკაცი უძღვებოდა.

— სიტუაცია მარტივი ნამდვილად არ არის, — გამჭოლი მზერა მოავლო მან შეკრებილთ, — ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთიდან საკუთარ ტერიტორიაზე ერთი მეცნიერის — ძალზე ცნობილი ფიზიკოსის გადაგზავნას ცდილობს. ოპერაციის სახელწოდებაც ცნობილია — „პრომეთე“. ალბათ, ეს უკვე რაღაცას გუბნებათ...

— სახელწოდება კი, მაგრამ... — დაიწყო ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

— დანარჩენს ახლა აგისხნით, — გაანწყვეტინა მკაცრსახიანმა.

— დასაწყისისთვის მოკლე ინფორმაცია მოისმინეთ. მეცნიერის სახელი და გვარი არუხოვი, უფრო სწორად კი ორეხოვი ვიტალი ლეონიდის ძე. გასულ საუკუნის 90-იან წლებში ის რუსეთის თავდაცვასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საიდუმლო პროექტზე მუშაობდა. სამუშაოები აღმოსავლეთ ციმბირის ერთ-ერთ აკადემიურ ქალაქში, ზედმიწევნით გასაიდუმლოებულ ლაბორატორიაში მიმდინარეობდა. ცდები უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რომელიღაც მაღალჩინოსანმა ის უპერსპექტივოდ ჩათვალა და დაფინანსება შეუწყვიტა. პროექტზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფიც მასმინვე დაშალეს და სამხედრო ქარხნებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მიმოფანტეს, მაგრამ მათი ხელმძღვანელი ორეხოვი კი უკვალოდ გაქრა. თუმცა დიდად არც არავის უძებნია, რადგან მოგახსენებთ, მაშინ რუსეთში რა „ბარდაკიც“ იყო.

მკაცრსახიანი მცირე ხნით გაჩუმდა და შეკრებილთ გამომცდელად გადახედა. თუმცა ამჯერად უკვე უბრალოდ სიტყვის ჩაგდების მსურველიც კი აღარ გამოჩნდა.

— მამ ასე, — მცირეოდენი პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო მან, — რუსებს ორეხოვი მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა მათ აგენტებს ხელში ამერიკელების მიერ მისი საზღვარგარეთ გადაგზავნის მცდლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ჩაუვარდათ. იმავე აგენტურის ინფორმაციით, თავიდან ამერიკელების ხელში ორეხოვის პროექტთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღმოჩნდა. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ანგარიშში ნათქვამია, რომ...

— ნათით შეყოვნდა მკაცრსახიანი, შემდეგ მაგიდიდან რამდენიმე ფურცელი აიღო და მათი კითხვა განაგრძო: „აღნიშნული პროექტის განხორციელება რაკეტმშენებლობაში რევოლუციის ტოლფასი იქნება და კაცობრიობის ახალ, ბევრად უფრო მაღალ ტექნიკური განვითარების დონეზე აყვანა შეუძლია. ეს აღმოჩენა ადამიანის ცხოველქმედების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს. ხოლო რუსეთის თავდაცვისუნარიანობას რაც შეეხება, ამ მეცნიერის დაკარგვის შემთხვევაში, ის სამხედრო სფეროში ოცი წლით უკან მიანიჭებდა აღმოჩნდება გადასროლილი“.

ამ სიტყვების შემდეგ მომხსენებელმა შეკრებილთ უკვე ზედმიწევნით კმაყოფილი სახით გადახედა, მაგრამ სიჩუმე კვლავაც არავის დაურღვევია.

— ახლა კი ყველაზე მთავარი. — მკაცრსახიანი წელში საგანგებოდ გასწორდა. — მთელი ამ ორომტრიალის მიზეზი მეცნიერის ნამდვილი გვარი და სახელია... ვახტანგ არეშიძე...

— მეც არა ვთქვი... — უცბად ხმამალა წამოიძახა ამ, ცოტა არ იყოს, უცნაურ ინფორმაციაში მცირეოდენი სიცხადის შეტანით გახარებულმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, თუმცა საკუთარ სულსწრაფობასაც მაშინვე მიხვდა და სათქმელი აღარ დაასრულა.

— როგორც ჩანს, რუსებმა არეშიძეს — ამიერიდან ობიექტს ასე მოვიხსენიებთ — გვარსახელი კიდევ მეტი კონსპირაციისთვის, ან შეიძლება, სულაც ქართველობის გამოც შეუცვალეს, — დაასრულა იდუმალი მეცნიერის „წარდგენა“ მკაცრსახიანმა და სულსწრაფ თანამშრომელს ამის შემდეგლა მიუბრუნდა: — გისმენთ!

— ცნობილია თუ არა ჩვენი სამსახურებისთვის, ამერიკელებმა როგორ გაიგეს არეშიძისა და მისი პროექტის შესახებ, საიდან მოხდა ინფორმაციის გაჟონა? — თვალის კი არ დაუხამხამებია, ისე ჩაარაკრავა კითხვა თანამშრომელმა.

— არეშიძის ჯგუფში მუშაობდა ვინმე ანატოლი ლიტვინი, რომელიც ამერიკელებმა გადაიბირეს. ჩვენი მონაცემებით, ის ამჟამად ამერიკაშია. სწორედ მისგან შეიტყვეს იქაურმა სპეცსამსახურებმა პროექტის ამბავი. კიდევ რა შეკითხვები გაქვთ?

— თუ ამერიკელებს პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტები უკვე ხელთ აქვთ, არეშიძე რაღაში სჭირდებათ? — დაინტერესდა სხვა თანამშრომელი.

— ჯერ ერთი, პროექტი ისე იყო აგებული, რომ მასზე მთლიანად პასუხისმგებელი არეშიძის გარდა არავინ იყო. ჯგუფში მყოფი ყველა სხვა მეცნიერი მხოლოდ ერთი კონკრეტული ამოცანის გადაჭრით იყო დაკავებული და მთელ პროექტზე ძალზე ზოგადი წარმოდგენა თუ ჰქონდა. ასე რომ, ლიტვინისთვის პროექტის მხოლოდ ერთი და არც-თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილია ცნობილი. და მეორეც, არეშიძე ამერიკელებს პირველ რიგში იმისთვის სჭირდებათ, რომ რუსებს პროექტის ბოლომდე რეალიზების ყველანაირი შესაძლებლობა მოუსპონ. ამიტომ თუ ისინი არეშიძის ხელში ჩაგდებას ვერ შეძლებენ, მაშინ მის ლიკვიდაციას შეეცდებიან. სხვათა შორის, თუ მეცნიერი ამერიკელების ხელში აღმოჩნდა, მაშინ მისი ლიკვიდაციის ამოცანა უკვე რუსების წინაშე დადგება. აი, ასეთი პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი... თუმცა პირადად მე უფრო ოპტიმისტური პროგნოზისკენ ვიხრები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ძვირფასი სუსტი ქარი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-21

სალამო ხანი იყო, როცა ვაკომ გამოიარა. ნინი და სალი აივანზე ისხდნენ. სალიმ მამაკაცს სტუმარი გააცნო. ნინიმ შეხედა თუ არა მოსულს, სახეზე წამსვე აღტაცება გამოეხატა და კარგა ხნის განმავლობაში თვალი არ მოუცილებია მისთვის. სალომეს მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია მისი რეაქცია. რაც უნდა თქვას ვინმემ, ვაკო მართლაც „დაცემა“ მამაკაცია და ნებისმიერი ქალის ყურადღების მიქცევა შეუძლია, ახალგაზრდისაც და „ძველგაზრდისაც“. საბედნიეროდ, მამაკაცს უცხო გოგონას ხარბი მზერა არც კი შეუმჩნევია.

— წავიდეთ, გველოდებიან, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ვაკომ სალის.

— სად მივდივართ?

— თევზის რესტორანში. ვიცი, მოგეწონება.

— ეჭვიც არ მეპარება. თევზი განსაკუთრებულად მიყვარს, — გაიღიმა გოგონამ და წამწამები მორცხვად დახარა.

— ეს პატარა სტუმარი დიდხანს რჩება თქვენთან? — ჰკითხა მამაკაცმა, მანქანაში რომ ჩასხდნენ.

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ბინას იქირავებს.

— თამამი გოგო ჩანს...

— ნუ იტყვი... მართლაც რა პატარაა ეს სამყარო. მისი ნათესავი ჩემი თანაკლასელი იყო, აქედან გამომდინარე, დიდი ხანია, ვიცნობ. ისეთი ცნობისმოყვარე და ჭორიკანაა, მტრისას! — გაიცინა სალომემ.

— დაივიდე!

— ეგრეც ვიქცევი. რესტორანში არც ისე ბევრი ხალხი იყო. ვაკომ კუთხის მაგიდა ამოირჩია და ოფიციანტს შევევთაც მისცა. სალიმ შეამჩნია, რომ იგი მთლად მშვიდად ვერ იყო, თითქოს რაღაცაზე ნერვიულობდა. მიზეზი მოგვიანებით გაირკვა. როცა ჭამასმას მორჩნენ, ვაკომ თეფში განზე გასწია, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და განსაკუთრებულად იღუმალი მზერით ჩახედა სალის თვალებში. ისიც გაიტრუნა რაღაც უცნაურის მოლოდინში. მამაკაცმა მისი ჯანმრთელი ხელი ჯერ მუჭში ჩაბლუჯა, მერე ტუჩებთან მიიტანა და თითებზე ეამბოროა.

— სალი... — წარმოთქვა ჩუმი, მაგრამ სულღისშემძვრელი ხმით. — მესმის, რამდენად უფროსი იმას, რომ კვლავ დაუკავშირო შენი ცხოვრება მამაკაცს, მაგრამ მე უკვე არ შემწევს ლოდინის ძალა. უბრალოდ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. მართალია, სულ ახლახან გავიცანი ერთმანეთი, მაგრამ ასე მგონია, საუკუნეა, ვიცნობ და ეს ჩემთვის საკმარისია, თამამი წინადადება შემოგთავაზო... დამდეგ პატივს, გახედ ჩემი ცოლი?

მათ შორის სიყვარულზე ჯერ ერთი სიტყვაც არ თქმულა და სწორედ ამიტომაც, სალი გაშტერდა. აქამდე თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თითქოს ორივენი სწორედ ერთმანეთის შეყვარებისკენ მიისწრაფოდნენ, მაგრამ დაქორწინება? რა სისულელეა, ასე როგორ შეიძლება? ჯერ რა დროს ეგ არის? არა, სალის ამ წინადადების მიღება არ შეუძლია. იგი ასეთი რამისთვის მზად არ არის და თვითონაც არ იცის, იქნება კი ოდესმე მზად? ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერო-

ბით თავს შეიკავებს. ჯერ ნაადრევია გათხოვებაზე ფიქრიც კი.

„არა“, — მიკნავეული ხმით გაეპასუხა თავის გულისთქმას.

„რატომ?“ — გულმა ცივად დაუსვა შეკითხვა.

„ამისთვის ჯერ მზად არ ვარ.“

„მზად არ ხარ? რატომ? რა გაყოვნებს?“ — არ ეშვებოდა შინაგანი ხმა.

„დრო მჭირდება.“

„რისთვის?“

ჯერ უნდა დარწმუნდეს, რომ იგი კარგი ადამიანია.

„რა საცოდავი მიზეზია!“ — აღმფოთდა გული, — „განა ბუნებაში არსებობს იმაზე მზრუნველი, დელიკატური და კეთილშობილი მამაკაცი, ვიდრე ვაკოა? შენ ხომ უკვე გიყვარს იგი... მაშინ, რა ხდება, რატომ ყოყმანობ?“

— მე სისულელე წამოვროშე, — ჩაფიქრებული სალის სმენას მამაკაცის ნალვლიანი ხმა მისწვდა, — მაპატიე და დაივიწყე. შენ ჯერ კიდევ არ ხარ მზად, მენდო. მესმის შენი. ვხვდები, რომ ვიჩქარე. არ უნდა გამეკეთებინა ეს. მაგრამ ერთი რამ იცოდე. ძალიან მჭირდება, სალი. მინდა, რომ ყოველი ღამე ერთად გავატაროთ, მინდა, მუდმივად ჩემ გვერდით იყო. მინდა... მთლიანად ჩემი იყო... ყველაფერი ერთად მინდა... — მაპატიე, — ჩაილულულა გოგონამ, — სიმართლე გითხრა, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, შევამზადო ჩემი თავი ამისთვის, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს მივაღწიე... ჯერ არ ვარ მზად... ძალიან მეშინია... ნეტავ, შენც შეგეძლოს, ცოტა მოიცადო... — რა თქმა უნდა, შემიძლია, რაზეც ლაპარაკი... — უხერხულად გაიღიმა მამაკაცმა. — წამო, წავიდეთ.

რესტორნიდან უხმოდ გამოვიდნენ, მაგრამ ვაკოს სალი პირდაპირ შინ არ წაუყვანია. ჯერ გაისეირნეს. მტკვრის სანაპიროს ფეხით დაუყვნენ. საოცრად ლამაზი იყო ღამის თბილისი. წყლის ზედაპირზე მთვარის შუქისგან არეკლილი ოქროსფერი ბილიკი თვალისმომჭრელად ციმციმებდა. გზადაგზა მათ სხვა წყვილებიც ხვდებოდნენ. საიდანაც მუსიკის ხმა მოისმოდა. იგრძნობოდა, რომ სწმთქავდა ქალაქი, ღამის ხმაურიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. მეტეხის ტაძარს ჩაუარეს. ეს ადგილი თითქოს რომანტიკული სასიყვარულო პაემნებისთვის იყო განკუთვნილი, ისეთ ამაღლებულ განწყობილებაზე აყენებდა ადამიანს და სალი მიხვდა, რატომაც აირჩია ვაკომ სასეირნოდ სწორედ სანაპირო — იმისთვის, რომ მისთვის ცოლობა ეთხოვა. ორივენი მდუმარედ მიუყვებოდნენ ტროტუარს, ფიქრებში ღრმად ჩაფლულები. ვაკომ სალის თითები თავისაში ჩახლართა და ხელზე ოდნავ მოუჭირა ხელი.

— პირობას გაძლევ, რომ ზედმეტად დიდხანს არ გალოდინებ, ვაკო, — დაიჩურჩულა გოგონამ.




— შენ ხომ იცი, რომ მე არასდროს არაფერს განწყინებ.

სალიმ თავი დააქნია.

— მაპატიე, მაგრამ ვერაფერს ვუხერხებ ჩემს თავს. იმდენად დამაკომპლექსა ჩემმა წარსულმა, ეს შიში ვერა და ვერ მოვიშორე. არადა...

— მესმის შენი.



— წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია... მგონი, ასე ამბობენ, არა?

— ჰო, ასე ამბობენ...

— იმედია, არაფერი გამიფუჭებია... რას იტყვი?

ვაკო იმდენად სიტყვაძნობდა, სალი მოულოდნელად შიშმა აიტანა, სამუდამოდ ხომ არ დავაშინე ჩემთვის საოცნებო ადამიანი.

მამაკაცმა ღრმად ამოიხვნეშა, მისკენ შებრუნდა, ხელისგულები მხრებზე დაადო და სევდიანად გაუღიმა.

— შენ კი არა, მე გავაფუჭე ყველაფერი. იმის მაგივრად, რომ მომეთმინა და საჭირო დროს დავლოდებოდი, ავდექი და „ჰოპლა“ დავიძახე, მხოლოდ ამის შემდეგ გადავხტი. პირიქით უნდა მოვქცეულიყავი. მაპატიე...

— რა არის აქ საპატიებელი, არ გრცხვენია? — ალერსიანად წარმოთქვა გოგონამ და ტუჩები მიუშვირა...

იმანაც აკოცა... აკოცა ისე ვნებიანად, რომ სალის სუნის შეეკრა. ამნუთას თავადაც ვერ ხვდებოდა, რატომ ალოდინებდა ასეთ შეუდარებელ მამაკაცს. არც თავისი თავის ესმოდა. გრძობდა მხოლოდ იმას, რომ დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. აჩქარება არ უნდოდა. აჩქარებით ერთხელ უკვე წააგო... მეორედ წაგების სურვილი ნამდვილად არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ავთოსა და ვაკოს შედარება არ შეიძლებოდა, აზრიც არ ჰქონდა. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანები იყვნენ — ბუნებითაც და გარეგნობითაც. გარდა ამისა, როცა ახსენდებოდა, რამდენად დამორგუნველი და დამღლევი პროცედურა იყო განქორწინება, გული უსიამოვნ-

ოდ ეწურებოდა. ამის ხელმეორედ განცდა ალბათ საბოლოოდ გააგიჟებდა.

მეორე დღეს ვაკომ არ გამოუარა... არც დაურეკა... ეს პირველი შემთხვევა იყო მას შემდეგ, რაც სალიმ ხელი მოიტეხა. გოგონა შიშმა შეიპყრო. როგორც ჩანს, მამაკაცი მართლა განაწყენდა და ზურგი აქცია, ალბათ გადანყვიტა, რომ მის გარეშეც იოლად გავიდოდა ცხოვრებაში.

მეორე დღით სალომე და ნინი ლილოში წავიდნენ, ბაზრობაზე. მთელი დღე იარეს, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი შეიძინეს და შინ სალამოს დალილი-დაქანცულები დაბრუნდნენ.

— სახლში ყოფნას არაფერი სჯობს, — დაღლილი ხმით შესძახა სალიმ, როგორც კი ეზოში ფეხი შედგა.

— მეც ძალიან დავიღალე. მაგარი მოსაწყენი საქმეა ლილოში შოპინგი... წავალ, წყალს გადავივლებ, — დაეთანხმა ნინი და ჭრელაჭრულა პარკები აივანზე მიყარა.

სალის უფრო და უფრო მოეძალა უგუნებობა. ფიქრებით ვაკოს დასტრიალებდა თავს, აინტერესებდა, რატომ გამოიჩინა მამაკაცმა მის მიმართ ასეთი უყურადღებობა. ნუთუ მართლა განიხიბლა? კი მაგრამ, რას მოელოდა? რომ მაშინვე ჩაუგორდებოდა მკლავებში? ჯერ ხომ წესიერად არც იცნობენ ერთმანეთს. რატომ ჩქარობს ასე? ხომ შეიძლება, მერე და მერე, როცა უფრო დაუახლოვდებიან, რაღაც არ მოენონოთ ურთიერთობაში? ამაზე რატომ არ ფიქრობს, პატარა ბიჭი ხომ არ არის? თუ რადგან მარტოხელაა, ერთი სული აქვს, როდის შეირთავს ცოლს და მისთვის სულერთია, ეყვარება თუ არა თავისი მეორე ნახევარი?

გარდერობი გამოაღო და ახალი შენაძენი მიმდევრობით შეაღაგა თაროებზე. ვაკო რომ მოვა, აი, ამ კაბას ჩაიცვამს და ყელზე შავ კაშნეს მოიხვევს. წარმოუდგენია, რა რეაქცია ექნება მას, როცა ამ ფორმაში დაინახავს. ნაძლევს დადებს, რომ პირი ღია დარჩება. ნინისაც კი ჩამოუვარდა ყბა, გასახდელიდან რომ გამოვიდა „ნელგამონვართული“. მართლა ძალიან მოუხდა... როგორ სექსუალურს აჩენს? მაგრამ გამოჩნდება კი იგი? მოვა რო-ო?

იმედი არ გაუტრუნვდა. უკვე კარგა შეღამებული იყო, როცა ვაკო გამოჩნდა. სალომე სისხარულით მეცხრე ცას ეწია მის დანახვაზე. ბედნიერებისგან თვალები აუციმციმდა. მამაკაცმა ბოდიში მოიხადა, წინააღმდეგ რომ არ გამოჩნდა.

— სამუშაოზე შევყოვნდი, ერთიანად ბევრი საქმე მომანყდა, — თქვა და

ათრთოლებული ქალი გულში ჩაიკრა, თან ცხელი, მონატრებული კოცნით დაასაჩუქრა.

მისმა შეხებამ ყველა ეჭვი გაუფანტა სალომეს. მისიერად სადღაც გაქრა იმის შიში, რომ ვაკოს იგი აღარ აინტერესებდა.

— არა უშავს. ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ხარ. ის უფრო მიკვირს, როგორ ახერხებ დროის გამონახვას, ჩემს სანახავად ყოველდღე მოხვიდე, — დაამშვიდა შეყვარებული და სასტუმრო ოთახში შეუძღვა, სადაც ნინისთან ერთად ტელევიზორს უყურებდა.

— მარინა სად გყავთ? — დიასახლისი მოიკითხა ვაკომ.

— დაქალებში გაისეირნა, ალბათ სადაცაა, მოვა, — უპასუხა სალიმ და ტანსაცმელი მის გვერდით მოკალათდა.

ნინის მის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა და რამდენიმე წუთში იმდენი მოახერხა, რომ მსწრაფლ მიიპყრო მამაკაცის ყურადღება.

— ბევრი გიმოგზაურიათ? — სალაპარაკო თემის გამონახვა არ გასჭირვებია ნინის.

— საკმაოდ, — თავმდაბლად უპასუხა ვაკომ.

— რომელ ქვეყნებში ყოფილხართ? — არ მოეშვა გოგონა.

— როგორ გითხრა... საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ამერიკაში, აფრიკაში, ახალ ზელანდიაში...

— მართლა? რა მაგარია?! ახალი ზელანდია კარგია?

— არაჩვეულებრივი. სიტყვით ვერ გამმოცემ, იმდენად საინტერესო ადგილებს მონახულება შეიძლება.

ნინი ჩვეულებრივზე მეტად გამხიარულდა და კითხვები დააყარა მამაკაცს. ისიც დაუზარებლად პასუხობდა. სალომე ჩუმად იჯდა, თავისთვის და გრძობდა, რომ ის ალფრთოვანება, რომელიც მამაკაცის გამოჩენით დაეფულა, ნელ-ნელა სადღაც გაქრა. შეეცადა კიდევ, სალაპარაკო თემის შეცვლას, მაგრამ ნინი ჯიუტად უბრუნდებოდა დაწყებულ საუბარს. ვაკოც ხვდებოდა, რომ ყურადღების გარკვეული წილი სალისთვისაც უნდა დაეთმო, ამიტომაც შიგადაშიგ მასაც გადახედავდა და დამამშვიდებლად შელიმებდა ხოლმე, ამასთან, გამომხატველად აზიდავდა წარბებს, თითქოს ეუბნებოდა: „რა ვქნა, მე თავაზიანი ადამიანი ვარ, არ შემიძლია, თანამოსაუბრესთან უხეშობა გამოვიჩინო“.

რა თქმა უნდა, სალომესაც მშვენივრად ესმოდა, რომ ნინის სრული იგნორირება არ იქნებოდა ლამაზი საქციელი ვაკოს მხრიდან, მაგრამ ყოველთვის არის განსხვავება საერთო მეგობრულ საუბარსა და იმ საუბარს შორის, როცა ერთი ადამიანი მთლიან ინიციატივას თავის თავზე იღებს. როცა ტურიზმის თემა ამონურეს, ნინიმ „კოკაკოლის“ ბოლო ყლუბები ხმაურით მოსვა, თუნუქის ცარიელი ქილა მაგიდაზე



მიადგოდ და მოულოდნელად სალის მიუბრუნდა.

— მართლა, რატომ გაშორდი ავთოს?

— რატომ შორდებიან ადამიანები ერთმანეთს? — კითხვითვე მიმართა მან თავხედ გოგონას და მხრები აიჩჩა. ვერ გაიგო, რაღა ახლა მოუნდა მას ამის გაგება, როცა მთელი დღე ერთად იყვნენ? არ შეეძლო ცოტა ადრე ეკითხა ან ცოტა მოგვიანებით? ვაკოს თანდასწრებით რა საჭირო იყო ამაზე საუბრის წამოწყება?

— უბრალოდ, ვერ გავუგეთ ერთმანეთს. ეგ არის და ეგ.

ნინიმ უსიამოვნოდ ჩაიცინა.

— ამბობდნენ, რომ შენ მას სიმდიდრის გამო გაჰყვიე. ახლა რა, აღარ აქვს ფული? სულ გაუნიავა, რაც ჰქონდა? ამიტომაც უკვე აღარ გჭირდება? სალიმ იგრძნო, სირცხვილისგან როგორ აენვა ლოყები, ვაკოს თვალს ვედარ უსწორებდა.

— რაც უნდა მომხდარიყო ჩვენ შორის, ვფიქრობ, რომ ეს შენ საერთოდ არ გეხება. ნუ გიყვარს სხვის საქმეებში ცხვირის უაზროდ ჩაყოფა, პატარა გოგო აღარ ხარ. გირჩევნია, ცოტა ჭკუას მოუხმო! — გაღიზიანებულია მიაყარა ნინის, თან ვაკოს დაუყინებულ მზერას გრძობდა.

საინტერესოა, რა ხდება ამწუთას მის თავში? რას ფიქრობს? ნუთუ ჰგონია, რომ თავქარიან, ქარაფშუტა ქალთან აქვს საქმე, რომელიც სიმდიდრეს დახარბდა და მტაცებელივით მიითვისა მუუღლის მთელი ქონება? მერე კი, როცა ბოლომდე „გამოიწვია“ და მშრალზე დატოვა, მაშინვე მიადგოდ და გაშორდა? არა, ახლავე უნდა აუხსნას ყველაფერი, ახლავე! მაგრამ არა ამ თავხედის თანდასწრებით, რომელიც მისი ამ მდგომარეობაში ჩაყენებით დიდად ხალისობს. ხალისობს? ეს ის სიტყვა არ არის! ხალისობს კი არა, ტყბება, ნეტარებას განიცდის!

— პირადად მე, არაფრით არ გავყვებოდი მდიდარ ადამიანს ცოლად, თუკი არ მეყვარებოდა, — გამოაცხადა ნინიმ, — ჩემი აზრით, ავთოს ალბათ აღარ შეეძლო იმის ყურება, როგორ ფანტავდი მის ფულებს. როგორც ჩანს, ბოლოს ყელში ამოუვიდა და...

— და რა? — თვალები რისხვით აენთო სალის.

— მოგისროლა!.. „როგორც ჩერქეზმა ისარიიიიიი“, — ლინინით დაასრულა გოგონამ და ნინის მოგებით გამოხედა გაფითრებულ ქალს.

— საკმარისია, გეყოფა! — მკაცრად წარმოთქვა ვაკომ და ფეხზე

წამოდგა. — სალის პირადი ცხოვრება არც შენ გეხება, ნინი, არც მე და არც არავის სხვას.

მისმა უკმეხმა ტონმა ნინის აშკარად წაუხდინა ხასიათი, ხოლო სალომეს გული მადლიერებით აევსო, ვაკოს სახით დამცველი რომ გამოუჩნდა, მაგრამ მამაკაცმა ნათქვამს მყისვე დააყოლა.

— ჩემი წასვლის დროა, ხვალ ადრე უნდა გავიდე სამსახურში. არ გამაცილო, დარჩი, — ცივად თქვა და მხოლოდ წამიერად ესროლა მზერა.

სანამ სალომე რამეც იტყოდა, მამაკაცი შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

— უკაცრავად, მაგრამ ვაკო საქმის კურსში არ იყო? — გულუბრყვილოდ იკითხა ნინიმ...

მამაკაცს ბოღმა ახრჩობდა. ეგონა, სალი სრულიად განსხვავებული იყო, სხვებს არ ჰგავდა. დარწმუნებული იყო, რომ მას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ქალებთან, რომლებთანაც აქამდე ჰქონია ურთიერთობა და რომლებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ მის „გამოწველას“. თუმცა, როგორც ჩანს, ის მათზე ეშმაკი აღმოჩნდა და შეძლო, აღმატებით ხარისხში ეთამაშა მიაშიტი ქალის როლი... მაგრამ მარინა? მან რატომ დაუშალა სიმართლე? ამიტომაც აძალებდა ასე მონადინებულად, ჩემს ძმისშვილს დაუახლოვდით? ნუთუ ყველა ქალი ერთნაირია? როგორი კეთილშობილი ეგონა მარინა, სათნო, უეშმაკო... თურმე, სადა ხარ! ქვეყანა ფარისევლებით ყოფილა სავსე და ვერ უგრძნია!

როცა ნინიმ წამოაყვედრა სალის, სიმდიდრის გამო მისთხოვდი ავთოსო, ვაკომ იფიქრა, ეს ჩვეულებრივი ქალური ყბედობა იყო მეტოქის დასაზრდილად, როცა ერთი ცდილობს, ჩირქი მოსცხოს მეორეს, რათა მამაკაცს თავის უპირატესობა აგრძნობინოს, მაგრამ... საკმარისი გახდა, სალომესთვის შეეხედა და... მისმა შემტყობარმა მზერამ აგრძნობინა, რომ ნინი სიმართლეს ლაღადებდა. ამან, უბრალოდ, გაანადგურა.


ახლა უკვე ბრაზობდა თავის თავზე.

ასე როგორ მოტყუვდა? როგორ ვერ მიხვდა, საით უმიზნებდა მარინა? წარმოგიდგენია? გამოუჩნდა ესეც მამა აბრამის ბატკანი! უმნიველო გოგონა, რომელიც ქმარმა გაამწარა განუწყვეტელი ეჭვიანობით! კი, როგორ არა! ისე, როგორ გულუბრყვილოდ აჩვენებდა თავს?! წამითაც არ უგრძნობინებია ვაკოსთვის, მისი სიმდიდრის შესახებ თუ იცოდა რამე. თურმე ყველაფერი სცოდნია... მაგრამ მან რატომ მიიჩნია, რომ არაფერი ეცოდინებოდა? მამი-დამისი არ ეტყოდა, განა? მას ხომ თავიდანვე ჰქონდა განზრახული, რომ სალი მისთვის მიეთხოვებინა? გამოახსენს ახალი „მოსანველი“ სასიძო! ვერ მოგართვეს, ქალბატონებო! მისთვის ყველაფერი დღესათვის ნათელია! ვედარ მოატყუებთ უკვე. კიდევ კარგი, დროზე აეხადა სიმართლეს ფარდა! ამას კი იმ პატარა გოგოს უნა უმადლოდეს, ასე რომ ეკვლუტებოდა. ჰმ! სალისგან მაგარი მსახიობი დადგებოდა. ცოლობაზეც რომ უარი უთხრა? ცოტა მაცალე, ასე ნაუცხადევადა განწყვეტილებას ვერ მივიღებო! აფერისტობის უმადლესი დონე!.. რატომ? რატომ მოიქცა ასე? იმიტომ, რომ რაც შეიძლება, მეტი გაეგო მასზე? საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ მეორედ შეცდომას არ დაუშვებდა? სანყალი ავთო... ალბათ არ აღმოჩნდა საკმარისად მდიდარი, ვერ დააკმაყოფილა ბოლომდე ცოლის მოთხოვნილებები...

ვაკომ მესამე ჭიქა პოლანდიური ვისკი ისე გადაკრა, თვალის არ დაუხამხამებია, თითქოს სასმელი წყალგარეული ყოფილიყო.

არადა, თავიდანვე გააფრთხილა მარინა, ჩემი ქონების შესახებ შენს ძმისშვილთან არაფერი წამოგცდესო. მან კი ენას კბილი არ დააჭირა და ყველაფერი წამოაყრანტალა. იქნებ მამიდა-ძმისშვილი იყვნენ ერთმანეთთან შეკრულები და არა ვაკო და მარინა? იქნებ ესეც ერთგვარი სპექტაკლი იყო, ქალების მიერ წინასწარ დადგმული? როგორც ჩანს, ასეა. ფაქტია, ნინიმაც იცოდა მისი შემოსავლების შესახებ და ამიტომაც ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა, რათა ვაკოსთვის თვალი აეხილა. თან როგორი კომენტარები გააკეთა? პირდაპირ მიახალა, რა ცოდვებიც ჰქონდა ამ ლამაზ არსებას!

კარგია, რომ დროზე გაიგო სიმართლე, თორემ უფრო რომ შეეტოპა, გამოუსწორებულ შეცდომას დაუშვებდა. არადა, როგორ ტრამპაზობდა ხოლმე, „ოქროსმადიებელი“ ქალის გამოცნობა ერთი შეხედვით შემძლიაო... და მანც





ბრიყვულად წამოეგო ანკესზე. სალის კოსტა სხეულმა და მომაჯადოებელმა თვალებმა თავბრუ დაახვია. რა მარტივად დაიჯერა მისი გულისამაჩუყებელი ისტორია უიღბლო სიყვარულზე, შეეცოდა კიდეც. გამწარებული მამაკაცი თავს აქეთ-იქით კარგა ხანს აქნევდა. როგორ მოახერხა, ასეთი სიშტერე გამოვლინა? ნამდვილი ბრიყვია!..

არადა, რა ლამაზი დღეები გაატარეს ერთად. როგორ სიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა, მისი შეხება, მოფერება... არასდროს დაავიწყდება მარანში გატარებული საღამო, აუზში შეჯიბრების წუთები... ალბათ დიდხანს აღარ მოუნდება მარნისკენ გახედვა! ამწუთას როგორ ეზიზღება იქაურობა!

ვაკო კიდეც ერთი სირჩა ვისკი გადაკრა და სააბაზანოში შევიდა... მხრები და ცხვირ-პირი ყინულივით ცივ წყალს შეუშვინა... სუნთქვა შეეკრა... სწორედ ეს სჭირდებოდა ახლა, სწორედ ეს იყო აუცილებელი... რადაც უნდა დაუფედეს, გონებიდანაც უნდა განდევნოს ის ქალი და სხეულიდანაც.

მაგრამ არა! ეს შეუძლებელი აღმოჩნდა! გაყინული გამოვიდა სააბაზანოდან, მაგრამ სალი ისევ და ისევ „ქალბატონობდა“ მის გულსა და გონებაში. გადაწყვიტა, კიდეც დაეღია. ვისკის ბოთლს ხელი დაავლო და საძინებელში განმარტოვდა...

ცოტა ხანში ისე დათვრა, აღარაფერი ახსოვდა...

დილით გვიან გაღვიძდა. ნაბახუსევზე თავიც დამძიმებოდა და გულიც... სამზარეულოში ტრუსის ამარა გავიდა, ყავა მოიდულა და აივანზე, სავარძელში ჩაესვენა... კვლავ და კვლავ სალიზე ფიქრობდა. როგორი დარწმუნებული იყო მის გულწრფელობაში, ბავშვივით მიაბიტი ეკონა... თურმე სულ ტყუილად! ერთხელაც ვერ შეატყო, გამორჩენის მიზნით რომ ცდილობდა მასთან დაახლოებას. ის კი არა, წყნეთში, აგარაკზე რომ აიყვანა, გამოუცხადა, ვერაფრით გამიგია, ეს ხალხი ამხელა სახლებს რა მიზნით იშენებსო... ჰო, ასე იყო! იმ დღეს და იმ სიტყვებს რა დაავიწყებს! როგორ გაუხარდა, როცა სალიმ ეს გამოუცხადა. მერედა, მის ნათქვამში როგორი გულუბრყვილობა იგრძნობოდა? რას წარმოიდგენდა, რომ... არც ეს სახლი შეუქია, როგორც ახსოვს. მხოლოდ ის მანსარდა მოეწონა, რომელზეც უთხრა, ნაქირავები მაქვსო. რატომ? იმიტომ, რომ პატარაა და მყუდროო... ჰმ! როგორ გააცურა ამ ვერაგმა ქალმა!

რომ არა ნინი, ვაკო ვერაფერს გაიგებდა სალის მიზანდასახული ზრახვების შესახებ. თვალები მხოლოდ დაქორწინების შემდეგ აეხილებოდა. თანაც, რა გენიალური, ღირსეული სვლა გააკეთა?! ჯერ არ ვარ მზად ხელმეორე ქორწინებისთვისო... ლამის დაიჯერა... ლამის კი არა, დაიჯერა. რა თქმა უნდა, სალის ეჭვიც არ ეპარე-

ბოდა, რომ ვაკო ძალიან მალე გაუმეორებდა წინადადებას დაქორწინების თაობაზე. იცოდა, რომ დიდხანს არ მოუნებდა ლოდინი. ნინიმ კი ყველა ძალისხმევა წყალში ჩაუყარა.

აუუუუ! რა საშინელი შეგრძნებაა, როცა თავს მოტყუებულად გრძნობ! არადა, როგორ უყვარდა... მზად იყო, მასთან ერთად მთელი ცხოვრება გაეტარებინა... წარმოდგენილიც კი ჰქონდა, მათი შვილები ამ აივანზე ამ ეზოში როგორ ირბუნდნენ... აი, მაშინ კი ველარ იტყოდა სალომე, ამხელა სახლი რაში სჭირდებათ ადამიანებს, როცა ოთახების უმრავლესობა მთელი ცხოვრება გამოკეტილი აქვითო...

— ჯანდაბას! ამის დედაც! — ხმამალა შეიგინა და ისეთი ძალით დაარტყა მუშტი მაგიდას, რომ ყვით სავსე ფინჯანი შექანდა და ცხელი სითხე მამაკაცს მუხლზე გადაესხა. — ჯანდაბას! — კვლავ დაიყვირა, ამჯერად ტკივილისგან და ხტუნვა-ხტუნვით მოშორდა მაგიდას.

სწრაფად ჩაუყვა კიბეს, სარდაფის კარი გააღო და აუზში ტკივილისგან სახედაღმეჭილი თავით გადაეშვა. რამდენჯერმე გაცურა ერთი ბოლოდან მეორემდე, შემდეგ წელიდან ამოვიდა და შეზლონგზე გადაწვა. არა, არც ფიზიკურმა დატვირთვამ უშველა. უწინდებურად ბრაზობდა და მრისხანებდა. როგორ მოიქცეს? რა გობია? ახლაც წავიდე სალისთან, პირში მიახალოს, რასაც მასზე ფიქრობს და საბოლოოდ განწყვიტოს ურთიერთობა თუ დარჩეს და ასე, შეუბრალებლად ამოშალოს თავისი ცხოვრებიდან, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე?..

მეორე ვარიანტი შედარებით ბრძნული იქნება, მაგრამ მაინც...

— ვაკო, სად ხარ? — მოესმა ნაცნობი ხმა და შუბლმეკრულმა ხელები მომუშტა.

როგორ შემოვიდა ჩაკეტილ ჭიშკარში? იქნებ ნუხელ თავად დაავიწყდა მისი დაკეტვა, როცა გონებაარეული დაბრუნდა შინ?

— სალი?! — მშრალად წარმოთქვა და დაბნეული, მისდა უნებურად, წელში გაიმართა.

გოგონა არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. იასამინისფერი, სხეულზე კოსტად მოტმასნილი მოკლე კაბა ეცვა, რაც მისი ფეხების სილამაზეს განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს, ყელზე კი შავი, გრძელი კაშნი შემოესვია. წამით გამსტრუნდა! აშკარად იგრძნობოდა, რომ სალის ბიუსტმალტური არ ეცვა, ისე გამოწვევად ეტყობოდა კაბის შიგნიდან ძუძუსთავეები. რატომ? უნდა, რომ აცდუნოს? თუ ცალი ხელით ვერ შეძლო ლიფის შეკვრა? „ჰო, სიმათლეს ბოლო ვარიანტი უფრო შესაბამეა“, — უხასიათოდ გაიფიქრა და თავს ძალა დაატანა, რომ მისთვის მკერდზე არ შეეხედა. სალომე მოუახლოვდა და ჯიქურ დაუდგა წინ. მის თვალებში უსაზღვრო

ტკივილი და სევდა აღბეჭდილიყო. თუმცა ეს არაფერს ცვლიდა. მას ბრწყინვალედ შეეძლო გულგატეხილი ქალის როლი ეთამაშა, მშვენივრად გამოსდიოდა ეს... და თუ არ თამაშობდა, არც ამით იცვლებოდა არაფერი. თორმეტი საათის წინ ისეთი „საკვილო“ დაკარგა, რა დააყენებდა კარგ ხასიათზე?

— უნდა ვილაპარაკოთ, — სალიმ აღელვებულმა წარმოთქვა, თან ცდილობდა, თვალბრუნებით არ ჩაეხედა მამაკაცისთვის, თითქოს გაუბრუნდა მის მზერას.

— მართლა? — იქედნურად დაეკითხა ვაკო. — ვფიქრობ, ნუხელ საკმარისი ინფორმაცია მომანოდეს იმისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი, რა ტყუილად დამიკარგავს დრო.

ჰმ, ეს დანყველილი ჰორმონები! აზრებიც, გულიც და სხეულიც კონტროლს კარგავდნენ ამ ქალის სიახლოვეს! ჯანდაბას! რაღა ახლა მოუნდა მოსვლა? არ შეეძლო, ცოტა შეეცადა, სანამ ვაკო თავს მოინსერებდა? ნაბახუსევზე თავი ჯერ კიდევ უსკდებოდა, არც წვერი ჰქონდა გაპარსული, არც კბილები გამოუხეხავს, არც... ერთი სიტყვით, საშინელი სანახავი იყო. ჩაცმულიც კი არ იყო წესიერად! ახლა ყველაზე ნაკლებად უნდოდა სალისთან ურთიერთობის გარკვევა.

— ყველაფერი უნდა აგისხნა, — გოგონა ნერვიულად შლიდა და ხრიდა თითებს, ხან ერთ ფეხს დაეყრდნობოდა, ხან მეორეს და პარალელურად ქვედა ტუჩს სიმწრით იკვნიტდა.

მამაკაცმა მის მუდარით სავსე მზერას ვეღარ გაუძლო.

— ნავალ, ყავა მოვადულებ, — ჩაიბურტყუნა და გატრიალდა, გეზი სამზარეულოსკენ აიღო.

სალის იქ ყოფნა ვაკოსთვის ამწუთას საშინლად აუტანელი იყო, მაგრამ რა ექნა? ხომ არ გააგებდა სახლიდან, როცა ხედავდა, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ქალი? გაჩქურაზე ჩაიდანო ხელახლა შემოედგა და სააბაზანოში გავარდა კბილების გასახეხად. შემდეგ საძინებელში გავიდა და სასწრაფოდ ამოიცვა შავი შორტი და უსახელო მაისური.

როცა აივანზე დაბრუნდა, სალი სავარძელში მოკალათებული დახვდა.

— არ მეგონა, შენს განკარგულებაში, მარნისა და აუზის გარდა, მთელი სახლიც თუ იყო, — შეცბუნებული მიუბრუნდა იგი მამაკაცს.

— ნოთუ? — ცივად შეხედა ვაკომ.

— ჰო, საიდან უნდა მცოდნოდა? — მისი ტონი არ ესაიამოვნა გოგონას.

— მე კი მეგონია, რომ აბსოლუტურად ყველაფერი იცი ჩემზე.

— ეგ კი, მაგრამ... უფრო სწორად, მეგონა, რომ ვიცოდი... მთლად დამაბნეო... რას გულისხმობ, იქნებ ამისხნა?

აი, ისევ ის უმაღლესი კლასის თამაში! აშკარად შეცდა ეს ქალი პროფესიის შერჩევამ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №21, 2010

მარი ჯაფარიძე

ანას თითქოს ცა ჩამოექცა თავზე. აქამდე არასოდეს უფიქრია იმაზე, რომ რამაზი ოდესმე გაიგებდა სიმართლეს. ამ საკითხზე ფიქრს თავს არიდებდა... ახლა კი ფაქტის წინაშე დადგა... რამაზმა ყველაფერი იცოდა და ანას პასუხსაც მოსთხოვდა ამდენი ტყუილის გამო. ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ მოიქცეოდა, რით იმართლებდა თავს... ძალიან შეშინდა ანას დაკარგვის...

„უნდა გამიგოს, ჩემი ბრალი ხომ არ არის, მან რომ ჩემი გოგონა იშვილა? ვინ ეხვეწებოდა? ანა ჩემი შვილია და მას ვერც რამაზი წამართმევს და ვერც სხვა ვინმე! — ფიქრობდა ქალი და გული ეკუმშებოდა. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ სხვა აზრზე დგებოდა. — უმადური ვარ. კიდევ კარგი, რომ ჩემს გოგონას რამაზის ნაირი მამა შეხვდა და თუკი მაინც გააშვილებდნენ, ვიღაც ვიგინდარას არ ჩაუვარდა ხელში. რამაზთან ჩხუბი არ შეიძლება, უნდა დაუფყავო, მოვეფერო“...

ამ ფიქრებში გართული წამოდგა და უკან, ეკლესიაში გაბრუნდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა და მისი ფიქრი მხოლოდ ბავშვს დასტრიალებდა.

მოძღვარი აღარ დახვდა — წასულიყო. ეკლესიის კარს მხრით მიანვა. ღია დახვდა. მრევლისთვის არასოდეს კეტავდნენ კარს. ანას ის შემთხვევა გაახსენდა, რომელიც მის ბავშვობაში მოხდა: ერთ დღეს, დილით, უთენია ზარები შემოკრეს. ხმა გავარდა სვანეთში, ეკლესია გაქურდეს და ტაძრიდან უამრავი ძვირფასი ხატი წაიღესო... მართლაც, ტაძარში ძვირფასი თვლებით შემკული ხატები ინახებოდა, რომელიც შეუფასებელი გახლდათ. ერთ მშვენიერ დღეს კი ქურდებმა ისარგებლეს იმით, რომ ტაძრის კარი არ იკეტებოდა და გაძარცვეს. მაშინ ეკლესია მოქმედი არ იყო. წირვა და ღვთისმსახურება

არ აღევლინებოდა. მრევლი თავისით მიდიოდა იქ, სანთლის დასანთებად და სალოცავად. წინამძღოლი კი არ ჰყავდათ. ჰოდა, ახალმა ამბავმა მოსახლეობა ტაძართან შეკრიბა. მთელი დღე მოღრუბული იყო... ცა ისე ჩამობნეწდა, რომ ადამიანებს დღისით, მზისით, ერთმანეთის დანახვაც კი უჭირდათ. შავი ნისლი ჩამოწვა... მრევლი დაშლას არ აპირებდა... სვანური წესის თანახმად, ეკლესიის, წმინდა ადგილის შეურაცხყოფილები „ხატზე გადაცემას“, წყველას იმსახურებდნენ. უეცრად, მთის წვერზე,

სადაც ხალხი იყო შეკრებილი, მამაკაცი გამოჩნდა. ხალხმა გზა დაუთმო. ერთს ზურგზე ტომარა ჰქონდა წამოკიდებული. აქეთ-იქით შეშინებულები იყურებოდნენ. ყველა მიხვდა, სწორედ ესენი იყვნენ ის ადამიანები, ვინც ტაძარი გაქურდა. შემდეგ მძარცველებს თავად მოუყოლიათ, რომ გზა აუბნათ. ეკლესიიდან გამოსულებს, ნისლი წამოწია. ვერაფერს ხედავდნენ, ასე გაიარეს გზის ნახევარზე მეტი და იმის ნაცვლად, რომ დაღმართზე ბოლომდე დაშვებულიყვნენ და სამშვიდობოს გასულიყვნენ, რაღაც ძალა აიძულებდათ, ზევით-ზევით თავად მოუყოლონათ, რომ გზა აუბნათ. თვითონაც ვერ მიხვდნენ, როგორ მოხვდნენ ისევ ტაძართან... ნაქურდალი ეკლესიას დაუბრუნეს... ხალხმა დაინდო მძარცველები, რადგან მათი უკან დაბრუნება ღვთის ნებად მიიჩნიეს, მაგრამ მოგვიანებით, სამივე ქურდი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა: ერთი მათგანი კლდიდან გადაიჩეხა, მეორე — სათიბში მიმავალი, მთის ფერდობიდან დაგორდა და გადაჭრილ მორს შეეჯახა, მესამე კი — მდინარეში მანქანით გადავარდა. ენგურმა ისე ათრია, რომ მანქანაც კი ვერ იპოვეს. ენგური ხომ საქართველოში ყველაზე ჩქარი და ცივი მდინარეა და მისი ტალღები უზარმაზარ ლოდებს მოაგორებს. მის ზვირთებში აღმოჩენილ ნებისმიერ საგანს ისე დაჭლექს და „დაჭმუჭნის“, რომ ამოცნობაც კი გაუჭირდება...

ანა საკურთხეველთან გვიანობამდე იჯდა მარტო. შემდეგ ძილი მოერია და იქვე, მინის იატაკზე მიწვა. ხელის შეხებამ გამოაღვიძა. გათენებულიყო და მოძღვარი მოსულიყო.

— შენ რა, წუხელ აქ იყავი? არ შეგცივდა? — გაოგნებულმა ჰკითხა.

— კი, გაყინული ვარ, — ანამ მკლავზე ხელი ჩამოისვა.

სიცვიისგან კანკალებდა, მაგრამ ისე ღრმად ეძინა, რომ არც გაუგია. წამოდ-

გა, ლოცვას დაესწრო და მხოლოდ ამის შემდეგ გამოემშვიდობა მამაოს და მთიდან ქვევით დაეშვა.

შინ შუადღისას მივიდა. ანა სვანეთში კიდევ რამდენიმე დღე დარჩა. რამაზთან საუბრის შემდეგ ტელეფონი აღარც ჩაურთავს... იცოდა, რომ ოჯახის წევრები ინერვიულებდნენ, ისიც იცოდა, რომ ირაკლი გაბრაზდებოდა და უსაყვედურებდა კიდევ, მაგრამ ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. არ დაგიდევდა არავის აზრს...

თბილისისკენ მომავალმა დაიწყო იმაზე ფიქრი, როგორ უნდა აეხსნა ყველასთვის თავისი გაუჩინარების ამბავი...

ნახევარი გზა რომ გამოიარა, ტელეფონი ჩართო. მაშინვე საბლიანმა დაურეკა.

— ანა, რატომ გქონდა ტელეფონი გამორთული? ხომ მშვიდობაა? — შემფოთებული ჩანდა მამაკაცი.

— კი, უბრალოდ, ქალაქიდან ვიყავი გასული, — არხეინად უპასუხა ქალმა.

— მერე, არ უნდა მითხრა? ასე მცემ პატივს? მომენატრე, დღესვე უნდა გნახო, სად ხარ?

— სალამოს შეგეხმინებები, ახლა ჯერ გზაში ვარ, — ანამ ტელეფონი უცერემო-ნიოდ გათიშა და გვერდით მიაცდო.

დედა და ნინო შინ მისვლისთანავე შემოირიგა... ისინი ანას ასეთ საქციელს უკვე აღარ აქცევდნენ ყურადღებას — მიჩვეულები იყვნენ... ირაკლი კი... ირაკლი მის ზარს ან არ პასუხობდა, ან ტელეფონს თიშავდა.

„ეჰ, გაუვლის მაგასაც, აბა, რას იზამს“, — გაიფიქრა და ხელი ჩაიქნია.

სალამოს ვახოსთან შესახვედრად საგულდაგულოდ მოეზადა და მამაკაცისგან კომპლიმენტიც უხვად მიიღო. ისინი ღია კაფეში, მყუდრო მაგიდასთან ისხდნენ. მამაკაცი მონინებით და სიყვარულით შეჰყურებდა. გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ქალს აღმერთებდა. ანა კი იქაურობას გულგრილი მზერით ათვალიერებდა.

— ანა, ნუთუ სულ არ მოგენატრე? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ვახო.

— რომ მოგენატროს, უნდა გიყვარდეს.

— ნუთუ, ვერ შეგაყვარე თავი?

— ვახო, შენ გგონია, 4-5 შესვედრა საკმარისია საიმისოდ, რომ ადამიანი შეიყვარო?

— მაგრამ ხომ მოგწონვარ? ისე არ შემხვდებოდი... რადგან მხვდები, მოგწონვარ კიდევ, — იმედს ებლაუჭებოდა მამაკაცი.

— შესაძლოა, ცოტა მომწონხარ, მაგრამ უფრო იმიტომ გხვდები, რომ ასეა საჭირო.

— რისთვისაა ასე საჭირო?
— მოვა დრო და გაიგებ მაგას.
— საშიში ქალი ხარ...



— ვგავართ ერთმანეთს, — ანამ მზერა გაუსწორა მამაკაცს.

ვახოს შიში დაეუფლა... ეს ლამაზი, ნაზი არსება ცივი თვალებით უყურებდა და მის მზერაში კიდევ იგრძნობოდა რაღაც ისეთი, რისი ამოკითხვაც მამაკაცს უჭირდა... ეს ქალი უზომოდ იზიდავდა, დღედაღამ მასზე ფიქრობდა, ერთი სული ჰქონდა, ხელში როდის ჩაიგდებოდა, რომ მასზე უფლებები მოეპოვებინა, ამ ჯიუტი არსებისთვის თავისი ძალა ერყვნებინა და თავის ჭკუაზე ეტარებინა,

ალიარება, სიჯიუტის გამო, საყვარელ ადამიანთანაც კი უჭირდა. რამაზიც დუმდა. არც თვითონ ურეკავდა. ერთ საღამოს კი ვერ მოითმინა და ნინოს ჰკითხა:

— ნი, რამაზს რა უნდოდა ჩემთან, ხომ არ იცი? სვანეთში რომ ვიყავი, მაშინ დამირეკა და სალაპარაკო მაქვსო, მითხრა.

— რადგან დაგირეკა, მაშასადამე, თვითონ დაგელაპარაკება, საიდან უნდა ვიცოდე, რა უნდა? — ნინომ მხრები აიწურა, მაგრამ ანას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ დამ კარგად იცოდა,

ლაფერი კარგად იქნება. ბელამ სკოლიდან მოსვლა რატომ დააგვიანა? — თქმა უცრად შეცვალა.

— არ ვიცი, დავრეკავ ახლა. იქნებ მასწავლებელმა დატოვა, დამატებით მეცადინეობაზე, — ნინო ტელეფონს დასწვდა.

— კარგი, გამაგებინე მეც, ნუგზართან შეხვედრაზე მივდივარ და მაგვიანდება, — ანამ კარი გაიხურა.

ოფისში მისულ ანას გიორგი ისეთ საშინელ გუნებაზე დახვდა, ქალს გული გაუსკდა.

— რა იყო, რა ხდება? — ჰკითხა შემოფოთებულმა.

— არაფერი, — მამაკაცმა თვალი აარიდა.

— გიორგი, რაღაცას მიმაღავ, ცუდი ხომ არაფერია?

— ანა, ამისხენი, რა დაგიშავთ დებს? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ გიორგიმ ხმა ამოიღო და ისეთი რამ თქვა, რასაც ანა არაფრით ელოდა.

— რატომ მეკითხები? რისი თქმა გინდა? — ხელებით მაგიდას დაეყრდნო.

— გუშინ ნინოს ველაპარაკე.

— მერე?

— ცოლობაზე უარი მითხრა.

— ა-ა, მე კიდევ მეგონა, ქვეყანა დაიქცა, — გაეცინა ქალს, — მაგის გამო ნერვიულობ? რა მოხდა მერე, უკეთესს იპოვი, გიორგი, თუ არ უყვარხარ, რა ქნას?!

„ამდენ საქმეში ნინოს პირადი ცხორება გამოშვარა“, — გაიფიქრა და გული დასწვდა, დას სათანადო ყურადღება რომ ვერ მიაქცია.

— ხელი მკარი, შენმა დამაც ხელი მკრა, — გიორგი ადგილიდან წამოდგა და კედელზე მიმაგრებულ დიდ სარკესთან მივიდა, რომელშიც მთელი ტანით გამოჩნდა. გვერდულად დადგა და საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა, შემდეგ მეორე მხარეს შებრუნდა. კარგა ხანს იყურა სარკეში, — დასაწუნი კაცი არ ვარ, ნამდვილად და თქვენ რატომ ვერ მოგანონეთ თავი? ამ სიბერეში კიდევ ერთხელ შემეყვარდა, შენი „ხათრით“ და... — ჩემი ხათრით შეყვარება რას ნიშნავს? — ხმაძალა გადაიხარხარა ანამ.

— რას და... შენი რამ დალიან გგავს და იმიტომ შემეყვარდა.

— გიორგი, აბა, კარგად დაფიქრდი, იქნებ ნინო კი არა, მე გიყვარვარ ისევ? თავს იტყუებ, მგონი.

— დედის საფლავს გევიცები, ირაკლი ჩემი მეგობარი რომ არ იყოს, აქამდე ნავართმევედ შენს თავს. თუ დამჭირდებოდა, მოკვლავი კიდევ, რალა ჩემი ძმაც კი შეიყვარე, გოგო? — ფაქტობრივად, ალი-არა გიორგიმ, რომ ანა უყვარდა.

— სწორად მოქცეულა ჩემი და, უარი რომ გითხრა. რად უნდა ისეთი ქმარი, მის დაზე რომაა შეყვარებული? აბა, ჭკუა გაქვს თავში? — უცებ დასერიოზულდა ქალი, — ამ საქმეს არაფერი ეშველება.

— არ უნდა მოგექებნე, ამერიკიდან

ვახოს შიში დაეუფლა... ეს ლამაზი, ნაზი არსება ცივი თვალებით უყურებდა და მის მზერაში კიდევ იგრძნობოდა რაღაც ისეთი, რისი ამოკითხვაც მამაკაცს უჭირდა...

მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე, რაც მას იცნობდა, რაღაც აფრთხობდა... ამ დევისტოლა კაცს კაფანდარა ქალის ემინოდა, თითქოს... ასეთი განცდა არასოდეს დაუფლებია და ვერ ხვდებოდა, რა ძალა აიძულებდა, მის წინაშე თავი ასე უმწეოდ ეგრძნო. თავად იყო ბრძანებების გაცემას მიჩვეული და ანას დანახვისას კი მზად იყო, ფეხქვეშ გაგებოდა, ოღონდ მისი ღიმილი დაემსახურებინა. ბრაზდებოდა ამის გამო და თავს პირობას აძლევდა, რომ მომდევნო შეხვედრაზე სულ სხვანაირად მოიქცეოდა, მაგრამ ქალს დაინახავდა თუ არა, მაშინვე ავიწყდებოდა პირობაც და საკუთარი თავიც. ქალი მარიონეტის მართავდა და მამაკაცი ამ სიტუაციას თავს ვერ არიდებდა. დიდი სურვილი ჰქონდა, ანა მეგობრებისთვის წარედგინა და თავი მოეწონებინა — აი, როგორი ქალი გავიცანი და როგორ ქალთან მაქვს ურთიერთობაო, მაგრამ ანა არ თანხმდებოდა, — ჯერ ადრეა და თუ დრო მოვა, თვითონ შეგასხენებ, მეგობრები რომ უნდა გაგეცნო ჩემთვისო. ყოველი ფრაზა, რომელიც ერთობლივ მომავალთან იყო დაკავშირებული, ვახოსთვის იმედის მომცემი იყო და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუ ანა „ჩემი“ და „შენი“-ს ნაცვლად, საუბრის დროს სიტყვა — „ჩვენს“ გამოიყენებდა და ოდნავ მაინც მიანიშნებდა, რომ შესაძლებელი იყო, მათ საერთო მომავალი ჰქონოდათ.

რამდენიმე დღე გავიდა, ირაკლი ვერ შეირიგა. მამაკაცი კატეგორიულად დუმდა და მის ზარებს არ პასუხობდა. ანა ფიქრობდა, ერთ საღამოს შინ თავზე დავადგები და შემირიდებდა, აბა, რას იზამსო, მაგრამ ეს „ერთი საღამო“ უკვე მერამდენედ გადადო. გრძნობდა, რომ ნაწილობრივ დამნაშავე იყო და ამის

რასთან დაკავშირებით სურდა დალაპარაკება.

მთელი კვირა ელოდა რამაზის ზარს და როგორც იქნა, დაურეკა.

„გაუფიქრს გატეხილი სჯობია“, — გაიფიქრა ანამ და რაღაცნაირად, შვებით ამოისუნთქა.

— გამარჯობა, პატარა ქალბატონო, — ალერსიანი ხმით მიესალმა მამაკაცი და ანა სახტად დატოვა, რადგან მისგან ასეთ შეხვედრას არ მოელოდა და ძალიან გაუჭირდა. თანაც იმედი ჩაესახა.

— გამარჯობა, რამაზ, — თვითონაც დაუთბა ხმა.

— სამსახურში რატომ არ მოდიხარ, ქალბატონო?

— ვერ მოვიცალე.

— ანა, შენთან შეხვედრა მინდა, სერიოზული სალაპარაკო მაქვს.

— როცა მეტყვი, იმ დროისთვის მოვიცილი.

— დღეს საღამოს, 10 საათზე შეხვედეთ, ჩემთან მოდი. ანა 11-ზე იძინებს და სასაუბრო დროც გვექნება.

— კარგი, რამაზ, შევთანხმდით.

ტელეფონი რომ გათიშა, ქალმა მხრები აიჩქნა, — ვერაფერი გავიგო.

— რამაზი იყო? — ჰკითხა ნინომ.

— კი, რამაზი იყო, მაგრამ მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე. არა, კი გავიგე, მაგრამ მეგონა, ჩემზე განრისხებული იყო და ისე თბილად მელაპარაკა...

— რატომ უნდა ყოფილიყო განრისხებული, აწყენინე რამე?

— არა, მაგრამ სვანეთში ისეთი ცივი ხმით მელაპარაკა, ვიფიქრე, ნამდვილად გაიგო, რომ ანას დედა ვარ და რომ ვატყუებ, იმის გამო გაბრაზდა. თუ ასეა და მართლა შეიტყო სიმართლე, მაშასადამე, გაბრაზებამ უკვე გადაუარა და ახლა შემრიგებლური და თბილი ტონით მელაპარაკა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყვე-



რომ დაბრუნდი? — დანანებით თქვა მამაკაცმა.

— კარგი, რაც არის — არის; ახალი ცხოვრება დაიწყო. აგერ, მეგის როგორ უყვარხარ, ლამისაა, ეჭვების გამო ყველა შეგვიტოლოს...

— მეგი ჩემი საყვარელი იყო და მაგას ცოლად არ მოვიყვანე.

— მე კი 2 ქმარი მყავდა და ახლა შენი ძმაცაცის საყვარელი ვარ — ჯერჯერობით ასე ჰქვია ჩვენს ურთიერთობას, — მაგრამ მეგონი, თუ თანახმა ვიქნები, ჩემზე დაქორწინებზე უარს არ იტყვი.

— თავი დამანებე, სულში ნუ მიძვრები, — თვალებიდან ნაპერწკლები დაკვესა მამაკაცმა.

— კარგი, გავალ ჩემთან, ნუგზართან მაქვს სალაპარაკო.

ანამ გიორგის კაბინეტიდანვე დაურეკა ნუგზარს და თავისთან დაიბარა.

— რა გაარკვიე? — მამაკაცს ხელი გაუწოდა.

— ბევრი რამ გავარკვიე. მაგალითად, ის, რომ ჩვენი ვანო ერთ-ერთი მაღალჩინოსნის შვილთან დაძვრება, ადრე კი სხვა მაღალჩინოსნის ცოლთან ჰქონდა საქმე, რომელიც სწორედ ამ გოგოს გამო მიატოვა. ახლა ქალები ერთმანეთსაც მტრობენ და პირველი საყვარელი — ვანოსაც, ერთი ცდილობს, ჩაძიროს ყოფილი საყვარელი, მეორე კი მის დანინაურებაზეა მონადირეობის და მიაღწევს კიდევ, რადგან მამამისი უფროა „გაქაჩული“, ვიდრე — „პირველის“ ქმარი.

— უყურე მაგ ვაჟბატონს, რა ამბები დაუტრიალებია?! — გაეღიმა ანას. — კიდევ რამე?

— კიდევ ისაა, რომ თავისი ჯიბი დალომბარდებული აქვს და თუ ზეგ ფულს არ გადაიხდის, გაუყიდა. ახლა ფულზე ჩაღიჩობს, მაგრამ ჯერ ვერ იშოვა, მათასი დოლარი სჭირდება. 1 საათში ისევე ხვდება ლომბარდის მეპატრონეს, რომ ვადა გადაწვევინოს. მისი სატელეფონო საუბრებიდან გამოვლინარე, არ სურს, რომ საყვარელს სთხოვოს. როგორც ჩანს, ახალი დანყებულები აქვთ ურთიერთობა და მისი დაფრთხობა არ სურს. კიდევ, შენ შესახებ ინფორმაციას აგროვებს. ვის არ დაურეკა, რომ რაიმე გაეგო. ერთმა ისიც კი უთხრა, ეგ ქალი ძალიან ცოტა ხანია, რაც თბილისშია და ჯერ დოსიე არაა შედგენილი, ბიჭები მუშაობენ და მალე ყველაფერი გვეცოდინება; შენც მოგანვდით ინფორმაციას, რადგან მისი არსებობის შესახებ შენგან გავიგეთო.

— ნაბიჭვარი, — კბილებში გამოცრა ქალმა, — ის თუ იცი, შეხვედრა სად აქვს დანიშნული?

— კი, ვიცი, აი, მისამართი, — ნუგზარმა მისამართი ფურცელზე დაწერა და ანას მიაწოდა.

ქალი ცოტა ადრე მივიდა დანიშნულების ადგილზე და ვანოს დაუდარაჯდა. როგორც კი ჟურნალისტი ოფისში შევიდა და უფროსის კაბინეტის კარი ზურგს უკან მიხურა, ანაც ფეხდაფეხ მიჰყვა და

მაგიდის თავში მჯდარ მამაკაცს მიესალმა.

— ვაა, ვანო, აქ რა გინდა? — გაუღიმა ჟურნალისტი და შინაურულად გადაკოცნა.

— მე კი არა, თქვენ რა გინდათ? — გაუკვირდა.

— საქმე მაქვს.

— ამით იმდენი ფული არ ექნებათ, თქვენი მანქანა რომ დაალომბარდოთ, — გაიცინა ახალგაზრდამ.

— ხელს არ შეგიშლით, ისაუბრეთ და მევე შემოვალ, — ანა გავიდა.

ვანოს წასვლის შემდეგ ისევ შევიდა უფროსთან.

— რა უნდოდა იმ ახალგაზრდას, მანქანას ხომ არ ალომბარდებს?

— არა, ვერ ისტუმრებს ვალს და სავარაუდოდ, მანქანას გაუყიდით.

— რამდენი აქვს ვალი? — დაინტერესდა ანა.

— პროცენტებიანად 9 ათასს გადააჭარბა.

— მაგ ვალს მე გავისტუმრებ.

— არა, უკვე გადაწყვეტილია, მისი მანქანის კლიენტები უკვე მყავს, — როგორც ჩანს, ეს ვარიანტი უფრო აწყობდა.

— ეს შენობა ვისია? — იკითხა ანამ და ჭერს ახედა.

— ჩემია, უკან კი ავტოსადგომიც აქვს, სადაც დალომბარდებულ ავტომანქანებს ვაჩერებთ, — სრული ინფორმაცია მიაწოდა მამაკაცმა.

— ძალიან კარგი, რაც მეტი ფართობი იქნება, მით უკეთესი, — თვალი ჩაუკრა ქალმა.

— უკაცრავად, ვერ გავიგე?!

— ამ ადგილის ყიდვას ვაპირებ და ახლა სანახავად ვარ მოსული. აქ კორტები უნდა ავაშენო, — საიდან მოიგონა ასეთი ცხელ-ცხელი ტყუილი და რაღა მაინცდამაინც კორტების აშენება მოუნდა, თვითონაც ვერ მიხვდა, მაგრამ ისე დაამჯავრებლად გამოუვიდა, რომ მამაკაცი ჯერ გაფითრდა, შემდეგ „გამწვანდა“

თუ დამჭირდებოდა, მოგკლაგდი კიდევ, რაღა ჩემი ძმაცაცია შეიყვარე, გოგო?

და ბოლოს სახეზე აღმურმა გადაკრა.

— ამას სერიოზულად ამბობთ? — ძლივს გადაყლაბა ნერწვი.

— რა თქმა უნდა, სერიოზულად.

— როგორ იყიდით? ეს ადგილი ჩემია...

— მერწმუნეთ, რომ აუცილებლად ვიყიდი... ისეთ საბუთს ამოვქექავ, ვერ დაამტკიცებთ, რომ თქვენია. ხომ იცით, რა მთავრობა გყავს? თუ ვინმეს თვალი დაადგეს და გასაფუჭებელია, აუცილებლად გააფუჭებენ. ახლა მიზანში თქვენ

ამოგიღეს, მე კი ფული მაქვს, მინა მჭირდება და ხელი ხელს დაბანს და ორივე — პირს... მე შემოძლია, დაგეხმაროთ, თუ თქვენც დამეხმარებით და ბატონი ვანოს მანქანის გამოსყიდვის საშუალებას მომცემთ.

— კარგი, იოლი სამსახურია, — ფერი დაუბრუნდა მამაკაცს.

— ახლა თქვენ საბუთები გაამზადეთ, მე კი წავალ და ფულს მოვიტან.

2 საათში ყველაფერი მოაგვარა და ვანოს მანქანის გასაღები ჩააბარა.

— ქალბატონო ანა, ამ ვალს აუცილებლად გადავიხდი, — ვანომ ლამის ხელები დაუკოცნა.

— არაა საჭირო, ჩემგან საჩუქრად გქონდეთ, იმ ჰონორარის სანაცვლოდ, რომელიც ჩემთან ინტერვიუში უნდა მოეცათ.

— იმ ინტერვიუში ამდენს არავინ გადაიხდის.

— ჰოდა, ხომ ხედავ, ხანდახან კარგიცაა, რესპონდენტი უარს რომ გეტყვის. თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, მეგობრად მიგულე, — ანამ ხელი დაუქცინა მამაკაცს და ადგილიდან დაიძრა.

მანქანაში დატოვებულ ტელეფონს დახედა. ნინოს უამრავჯერ ჰქონდა დარეკილი. მაშინვე გადაურეკა.

— ანა, ბელას ვერ ვპოულობ, ყველა ის ადგილი შემოვიარე, სადაც შეიძლება, რომ ყოფილიყო, მაგრამ ვერსად მივაგენი, — შემფოთებული იყო ქალი.

ანამ პატარა ანას ტელეფონის ნომერი აკრიბა.

— როგორ ხარ, ჩემო გოგონავ? — შეეცადა, მღელვარება არ შესტყობოდა.

— კარგად, ანა დეიდა, თქვენ როგორ ხართ? იცით, დღეს ბელამ ათიანი მიიღო ბუნებაში.

— მიხარია, ათიანი თუ მიიღო, მაგრამ გაკვეთილების შემდეგ სად წავიდა, ხომ არ იცი? შენთვის ხომ არ უთქვამს, რომ ნათესავთან ან მეგობართან გავლას აპირებდ?

— არა, არაფერი უთქვამს, მასწავლე-

ბელთან მიდიოდა და მითხრა, შინ რომ მივალ, დაგირეკავო.

— კარგი, ჩემო პატარავ, გაკოცე და სალამოს სტუმრადაც მოვალ.

ანას შემდეგ ნუგზართან დარეკა.

— ბელა დაიკარგა სადღაც, ამ საქმეში როგორც ჩანს, დედამისის და გოდერძის ხელი ურევია. შენი დახმარება მჭირდება, — აღელვებულმა ისე მიაცარა სათქმელი, რომ არც კი ამოუსუნთქავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასო მკითხველო. მსაყვედურობთ, „გზანიღლები“ რატომ შეამცირეთ. აბა რა ვქნა? კარგი მესიჯი მხოლოდ რამდენიმე მოდის და ცუდის დაბეჭდვას რა აზრი აქვს? ამიტომ, სადამდეც მესიჯები „მწვდება“, „იქამდე“ ვწერ. გამოგზავნეთ კარგი... არა, ძალიან კარგი ამბები და გენაცვალოთ ჩემი კალამი კი არა და კომპიუტერი. ისე, ამ კვირაში რამდენიმე მესიჯი დამრჩა, რომელსაც ვერ ვბეჭდავ და მომდევნო კვირაში „გზანიღლებს“ მაგით დავიწყებ. ასე რომ ნურც ყურებს ჩამოყრით, ნურც ფარ-ხმალს დაყრით მტრის ჯიბრზე და ძალიან მაგარი ამბები მომწერეთ. ახლა კი გემშვიდობებით იმ იმედით, რომ „გზანიღლები“ კარგი ამბების სარჯზე გაიზრდება და თქვენს მესიჯებს „გიტოვებთ“.

კონკურენტი დეიდაშვილი

„ერთ ზაფხულს დეიდასთან, დასავლეთში ვიყავი ჩასული. იქ ერთ „სიმპო“ ბიჭს მოვეხვეწე და შეუყვარდი კიდეც. ჩემს ტოლ დეიდაშვილს (გოგოა), ვხვეწებოდა, გამაცანიო. ჩემი ტელეფონის ნომერი უთხოვია და უარი უთხარა. სადმე რომ მივდიოდით, უკან მოგვეყვებოდა. დეიდაშვილი მეუბნებოდა, უყვარხარ და ისე მაინც გაეცანი, გიჟდება შენზე. დეიდაჩემმა რომ გაიგო, მოვწონდი, გადაირია და ეზოში აღარ მიშვებდა. მისი ეს საქციელი ვერ გავიგე — ალბათ ჩემთვის ენანებოდა კარგი ადამიანი. ჰოდა, ასე, 2 კვირაში ნამოვედი. რამდენიმე თვეში დეიდაშვილის გათხოვების ამბავი გავიგეთ. მირეკავს დეიდაშვილი, მივულოცე, ვის გაჰყევი, სადაურს-მეთქი და ჰოი, საოცრებავ, აი, რა მითხრა, გულდანწყვეტილივით: ხომ იცი, შენზე რომ გიჟდებოდა ე, იმას გავეყევიო. გავშეშდი, ხომ არ მომესმა-მეთქი, გავიფიქრე. კიდეც ერთხელ ჩავევითხე. ლამაზი ბიჭი რომ იყო, იმასო. ვა, „მაღაღეც“-მეთქი, ვუთხარა. სიმართლე გითხრათ, იქ მე მაინც არ გავთხოვდებოდი, მაგრამ ჩემი დეიდაშვილი მაგრად მიყვარდა. ახლა კი მიკვირს, ასე როგორ უნდა მოიქცე. თან დეიდამ იცოდა, მას რომ ვუყვარდი. როგორ შეუყვარდა იმ ბიჭს ჩემს შემდეგ ჩემი დეიდაშვილი? არ ვბლატაობ, მაგრამ მას ბევრად ვჯობივარ სილამაზით. მოკლედ, ახლა მათ პატარა ბაია ჰყავთ. ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს. თ“.

მფრინავი ლეო

„ალბათ, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც დილის ძილზეა შეყვარებული. ჩემს შემთხვევაში საქმე ქრონიკულ „უძილისძილობამდეა“ მისული. სოფელში ხალხი დილის 6 საათზე გადის სამუშაოდ და თავზე ბალიშის, საბნისა და თქვენ წარმოიდგინეთ, ლეიბის დაფარებაც არ მშველის. გაღვიძების, თვალების სრესვისა და 1-საათიანი, საწოლში წრილის შემდეგ, იძულებული ვარ ავდეგ, მაგრამ დილის 7 საათზე რა უნდა ვაკე-



მფრინავი ლეო და ჭირვეული მეზობლები



თო? ალბათ მართალია, დილით ამდგარი კაცის ტვინი სხვაანირად ფუნქციონირებსო, აქამდე კი არ შემიმჩნევია, ჩემს ეზოში თუთა როგორ დამწიფდა. ერთი ღრმად ჩავისუნთქე და უკვე ხის კენწეროზე ვიყავი, რომ ამოვისუნთქე. გემრიელად მივირთვი და ჰოი, საოცრება! ბრახ! და ნაშებში დაბლა აღმოჩნდი, შედეგად კი დაბინდული თვალები და გადაყვედილი კევა მივიღე. სახლშიც კარგად დამამშვიდეს. კიდევ კარგი, ტვინი არ გაქვს, თორემ ხომ შეგერყევოდაო? 10 საათზე ინგლისურის „მასწთან“ უნდა წავსულიყავი და მიუხედავად სიარულის ნაცვლად ბანცალისა, გავუჭურე და დაინახა, მაგრამ რა დაინახა, ჩემმა ფესვებზე დარტყმულმა თვალებმა? ჩემი მეზობლები სხედან და ტკბილად საუბრობენ... ამაში გასაკვირიც არაფერია, თუ არ ჩავთვლით, რომ ეს ორი ოჯახი, სამკვდრო-სასიცოცხლოდაა გადამტერებული. ამ ჩემს ბოროტ თანამოსახლეს, თავისი „მოსისხლე მტრის“ შვილი გამოუჭერია და მამის ავკაცობის შესახებ სემინარს უტარებდა. უკან რომ მოვბრუნდი, რას ვხედავ? ჩემი მეზობელი აივანზეა გადომდგარი, ფეხებშუა ცოცხი აქვს ამოდებული და გადმოსტომას აპირებს. აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისეთი სისწრაფით გაიშლართა 7 წლის ლეო ჩემს ფეხებთან. თურმე, სახლში დაბრუნებულ, ღია დეიდას „ნიუსებით“ აღმოვლოებული შვილს საყვედურები გამოუცხადებია მშობლებისთვის. მამამ არც აცია, არც აცხელა, შვილი კალთაში ჩაისვა და უთხრა: შვილო, ღია-სთან აღარ დაჯდე, ეგ ბოროტი ქალია, აი, ისეთი, ცოცხზე რომ ჯდება და დაფრინავსო. ლეოც დაინტერესებულა ცოცხით ფრენის „ტექნოლოგიით“ და პირდაპირი, ჩარტერული რეისი განახორციელა, აივანი-ბოსტნის მიმართულებით, ტყემლის ხის გავლით. P.S. არჩევნებთან და საარჩევნო სიებთან დაკავშირებით დღემი 50-ჯერ მოდიოდნენ. ერთ-ერთ ქალს ლიასთვის გვარი უკითხავს? მონტეროო, — ამაყად უპასუხა კომენდანტმა ლიამ. ქალი არც დაფიქრებულა, ისე აჯახა: შენ თუ მონტერო ხარ, მე ზორო ვყოფილვარო. რუისპირი“.

„იღინი“

„გაი მარ, მაგარი გითხრათ ახლა: ჰოოოდა, მთაში ავედით ბიჭები (მაგრად მიყვარს მთა). ჰოოდა, ვითევაზვეთ, მაგრად ვიქეიფეთ, დავთვევრით? ნწუ, არაა, ცოცხათი, რა... ახლა რა ხდება: წყალი გვინდა. ასე, 500 მეტრშია წყალი. მოკვლედ, ვითამაშეთ და წაგებული წყალზე გარბოდა. :) ვინ წაგაო? რაღა თქმა უნდა — მე. :) არადა, ყველა გადაშევიდა, თორემ მართლა არ წავაგებდი. რაღას ვიზამდი ტო, ნათელაშვილივით სტრასბურგში ვერ გავასაჩივრებდი „უკანონო განაჩენს“. ჰოოდა, დავადექე გზასა, ავედი წყალზე. მაგარი სიგრილეა იმ ადგილას, თან მთაში ძილს რა ჯობია? ქე წავუძინე ასე, 1 საათს, ან ცოტა მეტს. :) გამეღვიძა, კარგად დავლიე წყალი (გული მიგრძნობდა, აღარ დამა-

ლევინებდნენ ქვემოთ). ჰოოდა, წამოვედი, მოვიტანე „თავანი“. ამათმა მადლობის მაგიერად საყვედურებით ამავსეს: სად ხარ ბიჭო ამდენ ხანს, დავიხოცეთ უწყლოდო. :) იმას ხომ არ ვეჭყოდი, მეძინა-მეთქი? ვაა, ვფიქრობ ახლა, რა საბატიო მიზეზი მოვიფიქრო და რა მოხვიე უცბად, იცით? ქალები და ბავშვები იყვნენ და მათ დავუთმე „ოჩერედი“, მაგიტომ დამამაგვიანდა-მეთქი. :)):) რა უნდათ იქ ქალებს და ბავშვებსო? :) ვაი, უნდა გენახათ, რაფრად გამაშუენეს... SWEET მადლობა, გაიხარე, მეც ძალიან მიყვარხარ, შტერუკ, შემოგველე. :) მოკითხვა ყველას, გაიხარეთ. P.S. დღეს მოხუცი მეზალე შემხვდა მარ, უფრო მობერებულა, გათეთრებულა სულ... მენატრებო, ის ერთადერთი ყვავილიო, მითხრა. (9717“.

ტიპები

„მარ ვიცი, ამ გზავნილის წაკითხვისას იტყვი, რას გადაგვეკიდევო, მაგრამ რა ვქნა? ისევ სვანებზე უნდა მოგწერო: მუხინისკენ მომავალ ავტობუსში ვისხდით ჩვენთვის მშვიდად, წყნარად. რამდენიმე მეგობარი ბიჭი ამოვიდა. აქაც 2 ძმაკაცი დახვდათ მათი ასაკის და წავიდა გაცნობის ცერემონიალები — რომელი უზნიდან ხარ, ძმა და ა.შ. ნუ, როგორც იქნა, მოახლოვდა ამითი გაყრის სანატრელი ჟამი (განსაკუთრებით — ჩვენი ყოვლისთვის) და როგორც ამოვიდნენ, ისე ჩაბრძანდნენ იმ განსხვავებით, რომ ერთ-ერთ ბიჭს ქურთუკი დარჩა, საზურგეზე გადაკიდებული. ჰოოდა, ჩვენი დამხვედური მასპინძლებიდან ერთ-ერთმა (სვანმა) რა ქნა, იცი? ავტობუსმა ლამის ერთი გაჩერება გაიარა, როცა ეს ქურთუკი შეამჩნია და არც აცია და არც აცხელა, პირდაპირ ფანჯრიდან მოისროლა. ძმაკაცის შეცბუნებულ კითხვაზე, რა ქენი ბიჭო, მძლოლისთვის დაგეტოვებინა, მოაკითხავდნენო, ესღა დაამატა: ავტობუსს ქალოკიდებინა, ნახავენ და მიტოვებინა... ხეხე... ტიპები ხართ რა, ტიპები... ლიმონა“.

სავსე ქილა

„ერთ შორეულ ქვეყანაში ფილოსოფიის ლექტორმა სემინარი იმით დაიწყო, რომ მაგიდაზე რაღაც-რაღაცების დალაგებას შეუდგა. სტუდენტები სულგანაბრებულად დევნიდნენ თვალყურს. ბოლოს, პროფესორმა მაგიდაზე ერთი მოზრდილი მინის ქილა დადო და პირამდე რიყის ქვეით აავსო. მიუბრუნდა აუდიტორიას და ჰკითხა: რას იტყვით ყმაწვილებო, სავსეა თუ არა ქილაო? სტუდენტებმა უპასუხეს: დიას, სავსეაო. შემდეგ პროფესორმა ხრეშით სავსე ყუთი ჩაცალა ქილაში. ხრეშმა თავისი უფლად გაიკვლია გზა ქვეს შორის დარჩენილ სივრცეში და ქილა შეავსო. პროფესორმა კიდევ ერთხელ ჰკითხა სტუდენტებს, სავსეა თუ არა ქილა პირამდევო? სტუდენტებს გაეცინათ და კვლავ დაეთანხმნენ. პროფესორმა ახლა ქვიშით სავსე ტომსიკა ჩააპირქვა

ქილაში. ქვიშა სრიალ-სრიალით მოედო ქილას და დარჩენილი ღრიჭოებიც ამოავსო. პროფესორს სტუდენტებისთვის არაფერი უკითხავს. მხოლოდ დასძინა: მე მინდა, რომ ახლა ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ეს ქილა თქვენი ცხოვრებაა, მასში მთავარი — ქვებია: თქვენი ოჯახი, მშობლები, შვილები, ჯანმრთელობა, ყოველივე ის, რაც თქვენი ცხოვრების აზრია და რისი დაკარგვაც გაგანადგურებდათ. ხრეში მეორეხარისხოვანია და ეს არის თქვენი სახლი, სამსახური, მანქანა... ქვიშა ყველაფერი დანარჩენია, პატარა-პატარა, ყოფითი საკითხები. თუ ქილის შევსებას ქვიშითა და ხრეშით დაიწყებთ, ქვებისთვის ადგილი აღარ დაგრჩებათ. ასე მოხდება ცხოვრებაშიც. თუ მთელ დროსა და ენერგიას „ქვიშისა“ და „ღორლის“ შეგროვებას მიუძღვებით, ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი საქმეებისთვის სიცოცხლე აღარ გეყოფათ. უმეტესი დრო ყველაზე სანუკვარ საქმეებს დაუთმეთ, ეთამაშეთ შვილებს, ეცეკვეთ შეყვარებულებს, მოეფერეთ მეგობარს და ნახავთ, რომ ისეთი რამეებისთვის, როგორცაა სამსახური, დალაგებული სახლი, კმაყოფილი სტუმარი და დროსტარება, დრო თავზე საყრელად გექნებათ. ჯერ ქვებზე იფიქრეთ! თქვენი ცხოვრების ჭეშმარიტ არსზე და იყავით ბედნიერი!!! იმედია, გაგიმართლებთ! დაე, შენს ხელებს საქმე საქმეები ნურასოდეს ექნება! დაე, შენს ჯიბეში მუდამ იჩხრიალის საკმარისმა ხურდამ! დაე, შენს ფანჯრებში მუდამ ანათებდეს მზე! დაე, ყოველი წვიმის შემდეგ ცისარტყელამ გამოანათოს! დაე, ღმერთმა მეგობრის თავი ნუ მოგიშალოს! დაე, ღმერთმა გული სიხარულით აგივსოს!“

ორსული ჯარისკაცი

„ყველამ იცით ალბათ, ჯარში წასვლამდე ახალგაზრდები ანალიზებს აბარებენ. მათ შორის — შარდისასაც. ერთ ბიჭს თურმე ცოლის შარდი მიუტანია, უეჭველი მიმიღებენ, არ ენევა და არც სვამსო. ჰოოდა, პასუხზე რომ მივიდა, გაცინებული სახით შეეგება ექიმი: გილოცავ გენაცვალე, ორსულად ხარ, ბიჭი თუ იქნა, მე უნდა მოგინათლოო. ბიჭი არა, მაგრამ გოგო გაუჩნდა, თან — მის მუღლეს. თუმცა, ჯარში მიიღეს და ძმაკაცები ამ ამბავზე დღემდე ეკაიფებიან. ლორელი“.

უიღბლო

„ეჰ, დავინწყებ იქიდან, რომ ჩემს უიღბლობას ახლა უკვე უშამოზა მიემატა, თან 40 დღეც არ გასულა... პატარაობიდან მასხოვს ჩემების აგრესია, ჩემ მიმართ. მხოლოდ დედისგან ვგრძნობდი, რომ გუყვარდი. მერე ჩემი ძმა განჩნდა და ის მცირეოდენიც, რაც გამაჩნდა, დავკარგე. ყველა ფეხებზე მიკიდებს და არავის აინტერესებს, რა ბედი მქნევა. ერთადერთი ნათესავი მყავს, ვისაც ვუყვარვარ და მე-



გობარი... ერთხელ შემევიყარდა ბიჭი და იმანაც გამომიყენა. ვიცი, გულუბრყვილო ვარ და ზედმეტად ვენდობი ადამიანებს, მაგრამ რა ვქნა, ზოგჯერ მგონია, რომ ყველანი ცუდები არიან ირგვლივ. ახლაც

ისროდნენ და ძმაკაცი გასაჭირში იყო, რაღა გაცივებდათ შენ და იმ შენ ძმაკაც თამაზას-მეთქი? ეტყობა თავის მაქებარ ბიჭს თავმოყვარეობა შეეღაზა და ნამში ამომშალა, თავისი „ოდნოდან“. აი, ასეთი

როგორც იქნა, გაიღვიძა. მოიბოდიშა და თაიგულანად ჩავიდა. კარი რომ დახურა, უცებ ისევ გაალო, ისამნები გამოგვიწოდა მე და ერთ გოგონას და ღიმილით დაგვემშვიდობა. გულში მიყვარხართ, კახელებო! პარიჟანკა“.

როგორც იქნა, ესკალატორმა მიაღწია „დანიშნულების ადგილს“ და ბიცომ იმხელა ნახტომი გააკეთა, ერთი კი ვიფიქრე, ბიძაჩემს დიასახლისი ჰყავს ცოლად თუ ჭოკით მსტომელი-მეთქი?

გარეთ ვარ, სახლში მისვლა არ მინდა, კიდევ ვიჩხუბე. ალბათ, ვინც გამიგებს, იტყვის, ნეტავ, დედას დაელაპარაკებოდეო, მაგრამ — არა! ისიც შეიცვალა... ჩემი სახლში გაჩერება უკვე შეუძლებელია. მე ახალი ვარ, ჩემი ნიკი ვნუტია და როდესაც „გზავნილებს“ ვკითხულობ, მართლა ვმშვიდდები. იქნებ სხვასაც დავეხმარო ცოტათი. გთხოვთ, დამიბეჭდეთ, რა“.

იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ხალხიც არსებობს. ლუნა“.

მეყვავილე და მოფრანგულე

„ამას წინათ, ჩემი მშობლიური კახეთიდან მოვდიოდი „მარშრუტკით“. ასეთი მგზავრობა ძალიან მიყვარს, რადგან ათას რამეს ვიგებ იუმორით სავსე კახელებისგან. კარგად რომ მოვეწყე, ფრანგული ნიგნი ამოვილე და კითხვა დავინყე. მალე გვერდით ქალბატონი მომიჯდა. დეტალურად რომ შემათვალეირა, მკითხა, რას კითხულობო და რომ გაიგო, ფრანგულიაო, შემეხევენა, მათხოვე გადაჭებდავ, სკოლაში ფრანგულს ვსწავლობდი და ნეტავ, თუ მახსოვს რამეო. დანაწებებით დავუთმე ნიგნი. მეგონა, მთელი გზა მონყენილობისთვის ვიყავი განწირული, მაგრამ... ჯერ ერთი, ნასვამი ბიჭი ამოვიდა, ისამნების დიდი თაიგულით. მოხუც კაცს მიუჯდა, ყვავილი მას ჩააბარა, მიმიხედეო. ჩვენ დაგვიბარა, ვარკეთილის ხიდებთან გამალვიძეთო და თვალები დახუჭა. მოხუცი კაცი გონს გვიან მოეგო: ჯო, შაშინებული ხო არა ხარ? რა ეშმაკად მინდა ე ყვავილები? ბიჭი უკვე ფშვინავდა. ჭერზე დამონტაჟებული ტელევიზორიდან კი მუსიკის ჰანგები იღვრებოდა. ვილაცამ გააპროტესტა: მაი, ერთი ჩვენებური გონაშვილი ვერ უნდა გაუშვან, მე ამათი... მძლოლი გამოეპასუხა, თინეჯერები ამას უსმენენ, ძიაკაცოო. მემრე, მე რომელი „პატარაბიჭი“ ვარ, შე მამაცხოვნებულო? გაბრაზდა ფოლკლორის ფანი. ამ დროს ეკრანზე ნახევრადმიშველი გოგონები აცეკვდნენ. კაცი მთლად გადაირია: გამორთე, ბიჯო, რო გეუბნები. წნევა მითამაშებს იგრედაც, დღეი მთელი დღე. ამა-სობაში ჩემი მეზობელი გამეცნო. აჭარული აღმოჩნდა, ჩვენთან გამოთხოვილა და გულითადად მიჩნია, შორს არ გათხოვდე, შენებს დაკარგავო. დავპირდი, რიკოს არ გავცდები-მეთქი. ისიც დამშვიდებული ჩავიდა. ხიდებსაც მივუახლოვდით, მაგრამ „მეყვავილე“ ბიჭი ვერ გააღვიძეს. ისნამდე აფხიზლებდა მოხუცი: გააღვიძებ ეხლა შენ თუ არა? რო მიქარამ, ვერ ატყობ? რა ვუყო მე ამ „ბუკეტ“, დედაკაც ხო არ ნავულებო?

მონანიება

„პატივცემულო რედაქციავ, ძალიან გთხოვთ, ეს წერილი აუცილებლად დაბეჭდოთ, რადგან ამით ჩემს ცოდვასაც გამოვისყიდო და იქნებ, ის ოჯახიც აღდგეს, რომელიც დაინგრა. ყველაფერს თავიდან დავიწყებ: მე ქალი ვარ და ვიცი, ძალიან შევცდი. არც კი დავფიქრებულვარ, ისე გავაკეთებინე ცუდი საქმე და ისე დავეხმარე ჩემს დაქალს და თანაც, წლოვანებით უფროს ქალბატონს. ჩემს შეცდომას მხოლოდ ღმერთი თუ მაპატიებს, თორემ მათგან ვიცი, არც პატიება და არც შენდობა არ მექნება. ჩემს მეგობარ ქალბატონს ორი შვილი ჰყავს. პირველი შვილი მამის მხრიდანაა. უფრო კონკრეტულად — შვილი არ უჩნდებოდა და მისმა მეუღლემ სხვას კონტრაქტით შვილი გააჩენინა, საფასური გადაიხადა და შვილი წამოიყვანა. ჩემი მეგობარი ზრდიდა, როგორც საკუთარს. ეგონა, შვილი არასოდეს გაუჩნდებოდა, მაგრამ 8-9 წლის შემდეგ ვაჟი შეეძინათ. დედასავით ზრდიდა (ვასიკოს) მანამ, სანამ მისი ნამდვილი შვილი არ წამოიზარდა (გთხოვთ, სახელი არ შეცვალოთ). ვასიკო მშრომელი და უფრო გამრჯე ბიჭი გამოდგა, ვიდრე საკუთარი შვილი და აქ დაიბადა დიდი უბედურება, ალბათ. ვასომ ცოლი მოიყვანა და დედამისის დიდი აქტიურობით ოჯახი დაენგრა. ყველაწარაად ცდილობდა, მისთვის სახელი გაეტეხა, დაემცირებინა. ვასკა დაცვის სამსახურში მუშაობდა. არაფერი ეთაკილებოდა. თავისი შრომით (ვაჭრობით) მანქანაც შეიძინა, მაგრამ როცა მისმა ძმამ გაიგო, ის მისი ნამდვილი ძმა არ იყო, ცუდად განენყო მის მიმართ. ის შრომობდა (ვასო), ოჯახი კი მის ნაშრომს არ უფრთხილდებოდა. მამამისის სიკვდილის შემდეგ უნდოდათ, ოჯახიდან მოეცილებინათ. მის გამზრდელ დედას არაფრად მიაჩნდა ვასო. ცოტა ხანში მისმა ძმამ ცოლი მოიყვანა და აქედან დაიწყო მისი უბედურება და თანაც — ბედნიერება. ვასომ გაიცნო რძლის ნათესავი. ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ. დროებით ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ „ტრიომ“ გადაწყვიტა, ვასო და მისი მეუღლე, ნათია, ოჯახიდან მოეშორებინათ. მათ დასანახავად ვითომ წაიჩხუბნენ ერთმანეთში. ხან რა სცადეს, ხან — რა, მაგრამ ნათიასა და ვასოს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და ვერ მოერივნენ. აქ დავუშვი დიდი შეცდომა. ვასოს დედამ (ჩემმა მეგობარმა) მკითხა, კარგი მკითხავი არ იცი? ესენი არ მომეშვებიან, სახლს გამოიყოფენ და მინდა, თავიდან მოვიშოროო. მე ვიცოდი ერთი ადამიანი, რომელსაც კავშირი ჰქონდა აჭარაში, ძლიერ, მუსლიმან მკითხავთან. ის ჩამოვიდა და ნათიასა და ვასო-

კოს ჯადო გაუქმეს: ბარაქობაზე, რომ ხელი ყველანაირად შემოვლიდა; სასმელზე, რადგან თუ ვასო დალევდა, აუცილებლად იჩხუბებდა. ნათიასა და ვასოს ტანსაცმელიც კი მოიპარა მისმა გამზრდელმა. მკითხავი დაპირდა, რომ აუცილებლად დააშორებდა. ამ საქმეში მისმა ძმამ, რძალმა და გამზრდელმა 500 ლარი გადაიხადეს. მერე ვასო და ნათია თბილისში, ქირით დასახლდნენ. ხელი არ მოემართათ და ისევ უკან აპირებდნენ, სახლში დაბრუნებას, მაგრამ დედამ, ძმამ და რძალმა სახლი გაყიდეს ჩუმად და სხვა ქალაქში გადავიდნენ (ქალაქის სახელს ვერ ვასახელებ). ამასობაში ყველაფერმა იმოქმედა და მალევე დაცილდნენ ვასო და ნათია. იმ მკითხავმა დედას უთხრა, რასაც გაატანდა, ვასოს მამას საფლავეზე ჩაეფლა. ღმერთო, ძლიერო, მამატიე ეს ცოდვა და თქვენი ურუნალის საშუალებით მინდა გამოვისყიდო ჩემი ცოდვა. იმ ყველაფერს მხოლოდ ლოცვა და მათი ძლიერი რწმენა გააქარწყლებს. გთხოვთ, ნათია და ვასიკო, შერიგდით, შერიგდით და იქნებ ღმერთმა მეც მამატიოს.

ბავშვი ძალიან ცუდად მყავდა, სიზმარში გალიმებული ვასიკო ვნახე და მივხვდი, ღმერთმა სამაგიერო მომიზღო. ნათია ქარელის რაიონის სოფელ დირბაში ცხოვრობს. ვასიკო არ ვიცი, სად არის და ყველას გთხოვთ და გემუდარებით, მიანვედინეთ ხმა და ღმერთს ვეხვეწებო, ერთმანეთს შეურიგდნენ. ამოიღონ მამის საფლავის კუთხეში ჩატანებული ჯადო და მტკვარს გაატანონ.

მე კი ღმერთმა შემინდოს. მამატიეთ, გთხოვთ, ვასო და ნათია. გორი, თ. ხელები მიკანკალეს, ამას რომ ვნერ“.

დაუფიქრებელი ნაბიჯი

„მოგესალმებით ყველა ერთგულ მკითხველს. მინდა, ჩემი პატარა, სასიყვარულო და ამავედროულად, ჩემი უბედურების ამბავი მოგიყვებ და იმედია, დამიბეჭდავთ. 18 წლის ვიყავი, როცა პირველად შემიყვარდა დათუნა. ის მდიდარი ბიჭი იყო და ჩემნაირ გოგონებთან მხოლოდ გასართობად იჭერდა საქმეს, მაგრამ იცოდა, რომ ქალწული ვიყავი და არ მეკარებოდა. მეუბნებოდა, შენთან სექსუალური კავშირი რომ დავამყარო, მეორე დღესვე ჩუსტებს დამილაგებ კარის წინო. გული საშინლად მტკიოდა, ასე რომ ფიქრობდა ჩემზე, მაგრამ მაინც მზად ვიყავი, მასთან გამეგრძელებინა ურთიერთობა და თუნდაც, მისი საყვარელი გავმხდარიყავი. ბედმა მწარედ დამცინა. დათომ 2 წლის შემდეგ მიმატოვა და უგზო-უკვლოდ გაქრა. გამოჩნდა სხვა მამაკაცი, რომელსაც ჩემი ქალწულობა ჩავაბარე, უსიყვარულოდ. ამის შემდეგ ამერია ცხოვრება. ვინც შემიყვარდებოდა, მას არ ვუყვარდებოდი და ჩემთან უბრალოდ, ერთობოდნენ. ჩემი ბოლო რომანი ძალიან ცუდად დამთავრდა: 2 წელზე მეტ ხანს ვხვდებოდი ერთ ბიჭს, მისგან დავორსულდი და სხვა გზა არ მქონდა, მისთვის უნდა მეთქვა. თავი გაიგიჟა, რას მელა-

ავსტრალიელმა ბენ კარლიმ ყველგან-მავალი, მოდერნიზებული ჯიპი-ამფიბია დაამზადა და მეუღლესთან ერთად, სამოგზაუროდ 1950 წელს გაემგზავრა. რამდენიმე წლის შემდეგ ცოლი ინდოეთის სანაპიროზე ჩამოსვა და გზა მარტომ განაგრძო. მოგზაურობა მონრეალში (კანადა) 1958 წელს დაასრულა. კარლიმ ხმელეთზე 62 ათასი, ხოლო წყალზე — 17 ათასი კმ გაიარა.

ავსტრალიელმა დავიდ ბაირდმა ურიკით 112 დღეში 4115 კმ გაიარა. 65 წლის მარათონელს მკერდის კიბოსა და პროსტატით დაავადებულთა ადამიანებისთვის ფულის შეგროვება ჰქონდა განზრახული. ბაირდმა 70 ქალაქი გაიარა და 20 ათასი დოლარი შეაგროვა.

ბრიტანელ რობერტ გარსაიდს „მორ-

ბენალ კაცს“ ეძახიან. დედამისის „შემორბენას“ 5 წელი მოანდომა. ახალ ამბებს ყოველდღე საკუთარ საიტზე, ჯიბის კომპიუტერის წყალობით აქვეყნებდა. 6 კონტინენტზე 29 ქვეყანა გაიარა და 50 წყვილი კედი გაცვითა. მოგზაურობისას უამრავი თავგადასავალი გადახდა. ლამის გათენებამ 5-ვარსკვლავიან სასტუმროსა და პოლიციის განყოფილებაშიც კი მოუწია. ჩინეთში საბუთების არასწორად შევსების გამო ციხეში გამოამწყვდიეს. გზაში ვენესუელელი ედრიან პერესი გაიცნო და შეუყვარდა. გზადაგზა შემონირულობებსაც აგროვებდა და შინ 120 ათასი დოლარით დაბრუნდა.

გერმანელი სტუდენტი კრისტოფერ რეხაგე პეკინში (ჩინეთი) სწავლობდა და სწავლის დასრულების შემდეგ, მშობლიურ ქალაქ ნენდორფში (გერმანია) ფეხით ჩასვლა გადაწყვიტა. ერთ წელიწადში 48 კმ-ის გავლის შემდეგ რეხაგე მიხვდა, რომ ფეხით სახლში სიბერემდე ვერ ჩააღწევდა და ავიაბილეთი შეიძინა.

1931 წლის 15 აპრილს პლენი ვინგო სანტა-მონიკიდან სტამბოლში გაემგზავრა. ვინგომ უკუსვლით ქალაქში 1932 წლის 24 ოქტომბერს ჩააღწია.

1891 წლის 12 მარტს სილვანი დორნონი პარიზიდან მოსკოვში ოჩოფეხებზე შემდგარი გაემართა. დღეში საშუალოდ 60 კმ-ს გადიოდა და 2 თვეში



დანიშნულების ადგილზე ჩავიდა.

ტეტე-მიშელ კრომასი 1941 წელს ტოგოში დაიბადა. ბავშვობაში პითონმა უკბინა და მამამ ჯუნგლებში, ქურუმებთან წაიყვანა, სადაც გველების გარემოცვაში იზრდებოდა. ერთხელ გრენლანდიაზე წიგნი წაიკითხა და გადაწყვიტა, საკუთარი თვალით ენახა ქვეყანა, სადაც არ იზრდებოდა ხეები და არ ბინადრობდნენ გველები. მოგზაურობას 12 წელი მოანდომა. აფრიკიდან გრენლანდიაში მდებარე ქვეყნებში 1 წლამდე რჩებოდა. მუშაობდა, იქაურ ენას სწავლობდა და ხალხს აფრიკული ამბებით ართობდა. გრენლანდიაში ჩასვლის შემდეგ მოგონებების წიგნი An African in Greenland დაწერა, რომელიც 1977 წელს საფრანგეთში გამოიცა.

მასინჯი, გაღნიერი და წარმატებული ქალები

- პრინცი ჩარლზი მშვენიერ დაინახაზე იყო დაქორწინებული, როცა მეუღლეს მასინჯ კამილა პარკერ ბოულთან ღალატობდა. მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, პრინცმა კამილაზე მაინც იქორწინა.

- უოლის სიმპსონის გამო ინგლისის პრინცმა ედუარდ VIII-მ მეფობაზე უარი განაცხადა. გარდა იმისა, რომ უოლი შეუხედავია ქალი იყო, იმასაც ამბობდნენ, რომ იგი გერმანულ დაზვერვაში მსახურობდა.

- მსახიობსა და მომღერალ ბარბრა სტრიზანდს, კარიერის დასაწყისში, დიდი და უშნო ცხვირის მოშორებას ურჩევდნენ, მაგრამ არ მოინდომა. შეუხედავია ქალი „ოსკარისა“ და „გრემის“ მფლობელი მაინც გახდა.

- მასინჯი, მაგრამ საოცრად ნიჭიერი იყო რამდენიმე „ოსკარის“ მფლობელი ლაიზა მინელიც.

- დაგრეზილფეხებიანმა და ცხენის-სახიანმა სარა ჯესიკა პარკერმაც კინოში დიდ წარმატებას მიაღწია. გარდა ამისა,

ჰოლივუდის სიმპათიურ მსახიობზე დაქორწინებული და ორ ვაჟს ზრდის.

- ოდესღაც სანდრა ბერნარდი და სლონში იმუშაობდა. კინოში მთავარ როლებზე უარს სიმასინჯის გამო ამბობდა, მაგრამ მეორეხარისხოვანმა როლებმა წარმატება მოუტანა. სანდრა მადონას უახლოესი მეგობარია.

- სიმპათიურს ვერც ბეტ მიდლერს ვუნოდებთ. ნიჭიერი მსახიობი „ემის“, „გრემისა“ და „ტონის“ მფლობელია.

- 70-იან წლებში შეუხედავმა ჯოან კიუსაკმა სახელი კომედიური როლებით გაითქვა. დღეს იგი ორი შვილის დედაა.

- მსახიობი და მოდელი როსი დე პალმა პედრო ალმოდოვარმა აღმოაჩინა. შეუხედავია, მაგრამ ნიჭიერი, — თქვა მან.

- არც ევროპელი მსახიობი და მომღერალი შარლოტა გინსბურგია ლამაზმანი, მაგრამ „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი, დაქორწინებული და კომპანია Gerard Darrell-ის სახეა.

- ექსცენტრიკული ემი უაინჰაუსი ნიჭიერ მუსიკოსად მიიჩნევა, მაგრამ სილამაზით ვერ დაიკვებინს.

- წარმატებული ამერიკელი ტელეწამყვანი ელენ დეჯენერესი კოსმეტიკური კომპანია Cover Girl-ის სახეა და თამამად აცხადებს, რომ ქალის სხეულში „გამომწყვდეული“ მამაკაცია.





დიეგო მილიტო — „პრინსი“, როგორც კონფლიქტებს ვერ იტანს

— კარიერის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგაში გოლი პირველად, 30 წლის ასაკში გაიტანეთ. ამ მოვლენამ „ინტერის“ ისტორია უფრო მეტად შეცვალა თუ თქვენი?

— ეს გოლი იმის მიღწევაში დამეხმარა, რაც მკვლად, ხოლო „ინტერს“ თავდაჯერება შემატა. ჩემპიონთა ლიგაზე უკვე მომნიშვნელო ფეხბურთელად გამოვედი, რომელსაც ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს და ამას ნაკლად ნამდვილად არ მივიჩნევ. ახლა ჩემი გატეხა ნაკლებად შესაძლებელია.

— „რასინგი“, „სარაგოსა“, „ჯენოა“ — ამ დაუსრულებელ კიბეზე ევროპის ერთ-ერთი გრანდისკენ მოძრაობისას, დროის დაკარგვის არ გეშინოდათ?

— არასოდეს. ჩემი ბედი ასეთი იყო და არ ვფიქრობ, რომ მისი მოტყუება შემიძლო. წარსულში მიღებული ნებისმიერი გამოცდილება მახარებდა. მოლოდინი არის განძი, რომელიც მცირედი მიღწევის სულ სხვაგვარად აღქმის შესაძლებლობას გაძლევს.

— ყოველივე ეს არ განერვიულებდათ? იტალიაში ხომ ისეთი მაღალი „საშუალო“ შედეგიანობა, როგორც თქვენ, არავის ჰქონია?!

— საერთოდ, ბუნებით მშვიდი აღმიაინ ვარ.

— ამბობენ, რომ თქვენ მშვიდი და ჩაკეტილი პიროვნება ხართ, რომელსაც ბევრი საუბარი არ უყვართ. მართლა ასეთი კარგი ბიჭი ხართ, რომელიც მხოლოდ ოჯახსა და ფეხბურთზე ფიქრობს?..

— ნამდვილად ასეა. ფეხბურთი ჩემი სამუშაო და ემოციაა. მასზე უფრო მნიშვნელოვანი მხოლოდ ჩემი ახლობლები არიან. სხვა რამისთვის კი დრო აღარ მრჩება. უბრალო ცხოვრებით ცხოვრობ, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე.

— დისკოთეკაზე ბოლოს როდის იყავით?

— არ მახსოვს.

— ვარჯიშზე ბოლოს როდის დაბრუნდით?

— როგორც მახსოვს, მსგავსი რამ ჯერჯერობით არ მომხდარა.

— ვინმეს ბოლოს როდის ეჩხუბეთ?

— კონფლიქტებს ვერ ვიტან.

— ეს უოზე მოუწინიოს უთხარით?

— ის კონფლიქტებში იმისთვის ეხვევა, რომ მთელი ყურადღება თვითონ მიიპყროს და გუნდისთვის ფარად იქცეს. ამას ძალიან ვაფასებ.

— გასულ ზაფხულს, როდესაც მოუწინიო ახალი თავდამსხმელის ყიდვაზე ფიქრობდა, თქვა: „მილიტოს არ ვიცნობ და დროგებასთან

ვემგობრობ“. ახლა თქვენ და უოზეც დამეგობრდით?

— სიტყვა „მეგობარი“ ძალიან საპასუხისმგებლოა. ჩემი ყველა მეგობარი არგენტინაშია. მწვრთნელთან კი კარგი ურთიერთობა მაქვს. მას ფეხბურთელებთან საერთო ენის მოძებნა შეუძლია.

— ტურინის „იუვენტუსში“ ამბობენ, რომ „ინტერს“ ძალიან უმართლებს...

— ამ „გამართლებისთვის“ დღეში 6 საათი ვმუშაობ. იცით, ვინ არის გოლფის არგენტინელი მოთამაშე დე ვინჩენცო? ყოველთვის, როდესაც მას ილბალზე ვესაუბრებოდი, მეუბნებოდა: „6 საათი ვმუშაობდი იმაზე, რასაც თქვენ ზუსტ დარტყმას ეძახით“. ასე რომ, მეც „ვაგარჯიშებ“ ჩემს ილბალს.

— ცნობილია, რომ მოედანზე ძმებს — დიეგო და გაბრიელ მილიტოებს, როდესაც სხვადასხვა გუნდში თამაშობდნენ, ყოველთვის დაუნდობელი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთთან...

— შეხვედრა, რომელიც ამ მხრივ ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, არგენტინაში გაიმართა. ჩვენ ერთმანეთს აველიანედურ დერბიში დავეუბრისპირდით; მე „რასინგში“ გამოვედიოდი, ხოლო გაბრიელი — „ინდეპენდიენტში“. მაშინ მოედანზე, ფაქტობრივად, ვიჩხუბეთ. მსაჯი იძულებული იყო, გავეშვებინებ და თან, ყოველივეს სიცილით აკეთებდა, რადგან ჩვენ ერთმანეთის წყევლა-კრულვას ვაგრძელებდით. ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ბავშვებივით ვიქცეოდით, თითქოს ერთმანეთს ეზოში ვეთამაშებოდით.

— ვახშამზე 5 ცნობილი აღამიანის მიწვევა რომ შეგეძლოთ, ვის აირჩევდით?

— ცნობილ სპორტსმენებს ავირჩევდი: მაილე ჯორდანს, როჯერ ფედერერს, დიეგო მარადონას, რომელიც ორ აღამიანად შეიძლება ჩაითვალოს, და ენცო ფრანჩესკოლის. ენცო ჩემი კერპი იყო.

— თქვენი მეტსახელი რას უკავშირდება?

— მეტსახელ „პრინსს“ ამაყად ვატარებ. თუმცა ჩემი და რომელიმე პრინცის ცხოვრება ერთმანეთს ნამდვილად არ ჰგავს.

— რაზე არ იტყოდით უარს არასოდეს?

— არგენტინულ მატეზე (არგენტინული მატონიზებელი სასმელი. — რედ.).

— თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე რომელია?

— როდესაც ჩემი შვილი ლეანდრო დაიბადა.

— ყველაზე უღბლო?

— როდესაც 2002 წელს მამაჩემი მოიტაცეს. მანამდე, არ მესმოდა, ნამდვილი უბედურება რა იყო. ამის გახსენება აღარ მინდა. ყველაფერი კარგად დას-



თავის დროზე, „ნაპოლის“ სპორტულმა დირექტორმა პერპაოლო მარინომ მიიჩნია, რომ დიეგო მილიტო მისი გუნდისთვის საჭირო არ იყო. დანეღუ პრადემ არგენტინელი „რომაში“ იმიტომ არ მიიწვია, რომ ეგონა, გუნდის ლიდერს, ფრანჩესკო ტოტის ხელს შეუშლიდა. იმ პერიოდში „სარაგოსაში“ მოთამაშე მილიტომ ესპანეთის „სამეფო თაისს“ ნახევარფინალში „რეალს“ 4 გოლი გაუტანა. მადრიდელებს მისი შეტევა, უმცროს ძმასთან, გაბრიელთან ერთად სურდათ, მაგრამ გადაიფიქრეს. იმავე „ინტერმა“ არგენტინელს მაშინ დაადგა თვალი, როდესაც ის ჯერ კიდევ სერია B-ს გუნდში — „ჯენოაში“ ირჯებოდა, თუმცა მისი ყიდვისგან თავი შეიკავეს. მილანელებმა მათდა საბედნიეროდ, ფორვარდი მოგვიანებით მაინც შეიძინეს და ნამდვილად იხიერეს.

უოზე მოუწინიოს „ინტერში“ მილიტო ერთ-ერთი ნამყვანი ფიგურა გახდა და კლუბის არსებობის ისტორიაში პირველი „ტროპლეტის“ (იტალიან ჩემპიონატი, იტალიის თასი და ჩემპიონთა ლიგა) მოგებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მის წარმატებას თუნდაც უბრალო სტატისტიკა მიწმობს: მილიტომ ჩემპიონატში 22 ბურთი გაიტანა, თაისის ფინალში გადამწყვეტი გოლი შეაგდო და ჩემპიონთა ლიგის ფინალში მილანელებს მისმა დუბლმა მოაგებინა.

ეს ინტერვიუ „პრინსმა“ (მილიტოს მეტსახელი) ტროუმფული სეზონის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთ იტალიურ გამოცემას მისცა.

რულდა და ამის შესახებ მეტი აღარ გვისაუბრია (ბოროტმოქმედთა ტყვეობიდან ხორხე მილიტოს გამოსხნა გატაცებიდან 18 დღეში მოხერხდა — რედ.).

— იტალიაში ყველაზე მეტად რა გაკლიათ?

— არგენტინელი მეგობრები, რომლებთანაც ბავშვობიდან მაქვს ურთიერთობა.

— თქვენი იტალიური ფესვები მოძებნეთ?

— ჯერჯერობით არა. კოზენცადან ბევრჯერ დამირევეს და ვალდებული ვარ, იქ მივიდე. თუმცა ჯერ, ცოლთან ერთად ვენეციაში უნდა წავიდე, როგორც მას რამდენიმე წლის წინ შევპირდი. ■



ბრაზილია 1950

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის გამო, არც 1942 და არც 1046 წელს მუნდიალი არ შედგა. საფეხბურთო ჩემპიონატების „მარათონი“ 1950 წელს განახლდა.

ფინალური ტურნირი 24 ივნისიდან 16 ივლისამდე მიმდინარეობდა

მონაწილეები: ბრაზილია, მექსიკა, იუგოსლავია, შვეიცარია, ინგლისი, ჩილე, ესპანეთი, აშშ, შვედეთი, იტალია, პარაგვაი, ურუგვაი, ბოლივია.

გათამაშების სისტემა: გუნდები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი, გამარჯვებულები ფინალურ ჯგუფში გადიან, სადაც წრიული სისტე-

სპოლი (ურუგვაი), აუგუსტო (ბრაზილია), ტეიშეირა (ურუგვაი), ბაუერი (ბრაზილია), ვარელა (ურუგვაი), ანდრადე (ურუგვაი), სკიაფინო (ურუგვაი), ზიზინიო (ბრაზილია), ბასორა (ესპანეთი), სარა (ესპანეთი), ადემირი (ბრაზილია).

ნუგვალთა მეორე ტრინამფი და „მარაანას“ ტირილი

1946 წლის 25 ივლისს ლუქსემბურგში ფიფას კონგრესზე შეკრებილი დელეგატები, მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეწყვეტილი საფეხბურთო ცხოვრების განახლებაზე მსჯელობდნენ. ბუნებრივია, დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ პუნქტად მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თემა განიხილებოდა. არშემდგარი 1942 წლის მუნდიალის მასპინძლობაზე 3 ქვეყანა აცხადებდა პრეტენზიას — გერმანია, არგენტინა და ბრაზილია. ამიტომ, 1950 წლის ტურნირის ორგანიზატორის შერჩევისას უპირატესობას სწორედ ამ ქვეყნებს ანიჭებდნენ. სინამდვილეში კი ჩემპიონატის ჩატარების სურვილი და შესაძლებლობა მხოლოდ ბრაზილიას ჰქონდა. სწორედ მასზე შეჩერდა ფიფას არჩევანი.



ბრაზილიის ნაკრები გუნდი

მით, მსოფლიო თასის მფლობელს გამოავლენენ. გაიმართა 22 მატჩი; დაესწრო 1337000 მაყურებელი (საშუალოდ, 60773 თითო თამაშს). გოლების რაოდენობა — 88 (საშუალოდ 4,0 თითო შეხვედრაში). საუკეთესო ბომბარდირი: ადემირი (ბრაზილია, 9 გოლი).

ფინალი: ურუგვაი — ბრაზილია 2:1.

16 ივლისი, რიო-დე-ჟანეირო, „მარაკანა“, 174000 მაყურებელი.

გოლები: სკიაფინო (66); გიგია (79) ფრიასა (47).

მსაჯი: რიდერი (ინგლისი) ურუგვაი: მასპოლი, მ. გონსალესი, ტეჰერა, გამბეტა, ვარელა, ანდრადე, გიგია, პერესი, მიგესი, სკიაფინო, მორანი.

ბრაზილია: ბარბოზა, აუგუსტო, ჟუვენალი, ბაუერი, დანილო, ბიგოდე, ფრიასა, ადემირი, ჟაირი, ზიზინიო, შიკო.

სიმბოლური ნაკრები: მა-



მუნდიალის დანეგებას წინ უსწრებდა ერთი კურორტული ფაქტი. ინდონეზიის, ფილიპინებისა და ბირმის გუნდების მიერ შესარჩევ ციკლში უარის თქმის გამო, ინდოეთის ნაკრებს პირდაპირ ტურნირის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მიეცა, მაგრამ ფიფამ ის შეჯიბრებიდან მოხსნა. საქმე ის გახლდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებში ინდოელები ჯიუტად მოითხოვდნენ ფეხშიშვლად ასპარეზობას...

ბრაზილიელები თავიანთი გუნდის გამარჯვების წყურვილით იყვნენ შეპყრობილნი. ჩემპიონატის გახსნის დღეს რიო-დე-ჟანეიროში საზეიმო კარნავალი დაიწყო, რომელიც ტურნირის დასრულებამდე არ შეწყვეტილა. მუნდიალი კი ბრაზილიისა და მექსიკის ნაკრებთა შეხვედრით გაიხსნა, რომელიც ახალაშენებულ, 200 ათასი მაყურებლისთვის გათვალისწინებულ „მარაკანაზე“ მიმდინარეობდა. მინდორზე გუნდების გამოსვლა 20 საარტილერიო ზალპით აღინიშნა. ზეცაში 5 ათასი მტრედი გაუშვეს, სტადიონის თავზე აჭრილი თვითმფრინავები და ვერტიკალური ტრიბუნებსა და მოედანზე ბურთებსა და მუნდიალის პროგრამებს ყრიდნენ. საყოველთაო მხიარულების გვირგვინად მასპინძელთა ნაკრების დამაჯერებელი სასტარტო გამარჯვება იქცა (4:0). გარდა ამისა, ბრაზილიელებმა სრულიად ძალდაუტანებლად, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

ყველაზე დიდ სენსაციად ინგლისელთა მარცხი აღმოჩნდა, რომლებმაც, როგორც იქნა, მსოფლიო თასისთვის გამართულ ბრძოლაში ჩაბმა გადაწყვიტეს. ჩილეს გუნდზე გამარჯვების შემდეგ, ისინი აშშ-ის ნაკრებს ხვდებოდნენ. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთი ამ მატჩის წინ წერდა: „მსოფლიოში ფეხბურთის თამაში მხოლოდ ესკიმოსებსა და ჩრდილოამერიკელებს არ შეუძლიათ“. როგორც ჩანს, იმავე აზრის იყვნენ აშშ-ის გუნდის შესახებ თავად ფეხბურთელებიც, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ კიდევ. ამ პაექრობაში ერთადერთი გოლი ინგლისელთა მცველის, ალფ რამსეის უხეში შეცდომის შედეგად გავიდა. შემდეგ, ალბიონელებმა ესპანელებთანაც ნააგეს და პირველობას დაემშვიდობნენ, მა-



გრამ სამშობლოში დაბრუნებას მაინც ფინალური მატჩის მეორე დღეს, 17 ივლისს აპირებდნენ.

მოკლენების ამგვარად განვითარების შედეგად, ინგლისური გაზეთების ტონიც შეიცვალა. ესპანეთთან ბრიტანელთა ნაკრების მარცხის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი წერდა: „2 ივლისს რიო-დე-ჟანეიროში ინგლისური ფეხბურთი ამ ქვეყნიდან წავიდა. მისმა „გარდაცვალებამ“ ძალიან დაამწუხრა ნაცნობ-მეგობრების დიდი წრე. ინგლისური ფეხბურთის სსოვნას სამარადჟამოდ შევინახავთ“.

მაღევე დაყარეს ფარ-ხმალი იტალიელებმა, რომლებმაც ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი მატჩი შვედეთის გუნდთან დათმეს (2:3). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ბრაზილიაში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ: 1949 წელს კლუბი „ტორინო“ ავიაკატასტროფაში მოყვა, რის შედეგადაც ნაკრების რამდენიმე წევრი დაიღუპა.

ძალიან უმართლებდა ურუგვაის ნაკრებს. ფინალურ ჯგუფში მატჩების მსვლელობისას ის ყველა მე-

და ხელს. ტემპერამენტის ბრაზილიელი ქომაგები თავიანთი საყვარელი გუნდისაგან მეტოქის განადგურებას მოითხოვდნენ. თავად განსაჯეთ: ბრაზილიელ გულშემატკივართა მიერ გამოტანილ ტრანსპარანტებზე 7:0, 8:0 და 10:0-იც კი ეწერა!..

ბრაზილია დიდი გამარჯვების აღსანიშნავად ემზადებოდა. ათობით საარტილერიო დანადგარი სიგნალს ელოდა, რათა მთელი ქვეყნისთვის ზალკებით ემცნო მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვება. გულშემატკივრებს ათიათასობით შამპანურის ბოთლი მოემზადებინათ გასახსნელად. მზად იყო უამრავი სუვენირი და ვიმპელი, რომელზეც ეწერა: „ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონია!“ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს რიო-დე-ჟანეიროს საკანონმდებლო ასამბლეაში დეპუტატის ადგილსაც სთავაზობდნენ...

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძლები ურუგვაელთა კარს შეუჩერებლად უტევდნენ და მეორე ტაიმის დასაწყისში გოლიც გაიტანეს. უკან დახევა და დაცვაში


მოჩვენება ინგლისელს უყომაგებს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სანკრთელ შეკრებაზე მყოფი აშშ-ის ნაკრების ბაზაზე, არც მეტი არც ნაკლები, მოჩვენება გამოჩნდა. სანკრთელი ბაზა სამხრეთ აფრიკის პროვინცია, გაუტენგში მდებარეობს, სადაც უკვე არაერთხელ შენიშნეს XIX საუკუნის ჯარისკაცის აჩრდილი. როგორც The Sun-ი წერს, მოჩვენება ბანაკის ტერიტორიაზე ლამაზობით ხედავენ. ადგილობრივი მცხოვრებლის თქმით, ჯარისკაცის აჩრდილი ამერიკელი ფეხბურთელების სანკრთელი ბანაკის ტერიტორიაზე „დახეტება“ — სწორედ იმ ადგილზე, სადაც 200 წლის წინ მოკლეს. „ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოჩვენება ინგლისის ნაკრებს უქომაგებს“, — აცხადებს The Sun-ის კორესპონდენტთან მოსაუბრე სამხრეთაფრიკელი. შეგახსენებთ, რომ აშშ-ისა და ინგლისის გუნდები ტურნირს ერთ ჯგუფში დაინწყებენ. მათი დაპირისპირება რუსტენბურგში 12 ივნისს შედგება.



რონალდინიო მუნდიალის მატჩების ყურებას არ აპირებს

ეროვნულ ნაკრების მიღმა დარჩენილი რონალდინიო მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ტელევიზორში ყურებას არ აპირებს. სწორედ ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა იტალიური „მილანის“ ნახევარმცველმა. „რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებს ვუქომაგებ. მაგრამ პირველობის მატჩების ტელევიზორით ყურებას არ ვაპირებ. მე ფეხბურთის თამაში მიყვარს და არა — ყურება“, — დასძინს დუნგას გადაწყვეტილებით იმედგაცრუებული რონალდინიო. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იმ მოთამაშეთა სიაშია, რომლებსაც მუნდიალზე თამაშის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ ძირითად



შემადგენლობაში მოხვედრილი რომელიმე ფეხბურთელი ტრავმას მიიღებს ან რაიმე სხვა მიზეზით ვერ შეძლებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამგზავრებას.



1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონი

ტოქესთან აგებდა, მაგრამ თავის სასარგებლოდ თამაშის შემობრუნებას მაინც ახერხებდა. პირველი მუნდიალის გამარჯვებულებმა ესპანელებთან ფრედ ითამაშეს (2:2), ხოლო შვედებს მოუგეს (3:2). ბრაზილიელებმა იგივე მეტოქეები განადგურეს (6:1 და 7:1). ამ შედეგების გათვალისწინებით, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გადამწყვეტი დაპირისპირება მასპინძელთა იოლი გამარჯვებით დასრულდებოდა; თანაც, მასპინძელთა ნაკრებს მსოფლიო თასის დასაუფლებლად, ფრეც ჰყოფნიდა. მაგრამ მაშინ ვინ ფიქრობდა შეხვედრის ფრედ დასრულებაზე?! ტორსიდას ხომ მატჩის ასეთი სცენარით წარმართვა არ აძლევ-

ჩადგომა მათ არც ამის შემდეგ უცდიათ და კვლავ თავდაუზოგავად მიიწვედნენ წინ. სწორედ ამისთვის დაისაჯნენ: სკიაფინომ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მატჩის საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე, გიგამ ბრაზილიის კარში გადამწყვეტი გოლიც შეაგდო. ურუგვაის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ასე დასრულდა სამდღიანი ბრაზილიური კარნავალი: ურუგვაი მსოფლიო თასის მეორედ დაუფლებას ზეიმობდა, ხოლო ტორსიდა ისეთ მძიმე დეპრესიაში აღმოჩნდა, რომ თვითმკვლელობის ფაქტებსაც კი ჰქონდა ადგილი.



WORLD CUP 2010

თავი დაანებათ მარადონას!

დიეგო მარადონა ისევ სკანდალში გახვია. პრესკონფერენციაზე მიმავალი არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ავტომობილი უურნალისტების გარემოცვაში მოექცა, რის გამოც ერთ-ერთი მათგანი მანქანის დარტყმის გამო ძირს დაეცა. თვითმხილველთა თქმით, მარადონას ავტომობილს მას ფეხზე გადაუარა. გარდა ამისა, დონ დიეგომ დაზარალებულს ჯერ გინება დაუწყო, ხოლო შემდეგ რიტორიკულად ჰკითხა — რატომ დგამ ფეხს იქ, სადაც შეიძლება, გადაგიარონ? ოპერატორს ექიმებმა დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა ტრავმის შესახებ დაწვრილებითი ცნობა არ გავრცელებულა. ინციდენტი სპეციალური პრესკონფერენციის დაწყების წინ მოხდა, რომელზეც სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებული 23 ფეხბურთელი დასახელდა.

როგორც ცნობილია, 2009 წლის ნოემბერში ფიფამ არგენტინის ნაკრების მესაჭეს მასმედიის წარმომადგენლებთან არაეთიკურად მოქცევისთვის 2-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუხაჯა. გარდა ამისა, 1986 წლის ჩემპიონი 25 ათასი შვეიცარიული ფრანკითაც დაჯარიმდა. პრესა დიეგოს სხირად აკრიტიკებს, რაც თავად არგენტინელთა თავკაცს მეტისმეტად აღიზიანებს. გამონაკლისი არც მუნდიალზე გასამგზავრებული შემადგენლობის დასახელება ყოფილა, რის გამოც მარადონა კიდევ ერთხელ გახდა მძაფრი კრიტიკის ობიექტი. მან ხომ ჯიუტად განაცხადა უარი მსოფლიო პირველობაზე ხავიერ ძანეტის წაყვანაზე. არადა, ორიოდ დღის წინ, ვეტერანმა მცველმა მილანის „ინტერთან“ ერთად, ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოიგო. „მაურინიომ არ დაიჯერა, როდესაც გაიგო, რომ ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოვხვდი. მას ეს უცნაურად მოეჩვენა. „დედაჩემი გალიზიანდა, რადგან ეს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელშიც მონაწილეობა შემეძლო. მას იმედი ჰქონდა, რომ ძირითად შემადგენლობაში მოვხვდებოდი. მარადონას ხელმძღვანელობით შოტლანდიელთა წინააღმდეგ ჩატარებულ ჩემი პირველივე თამაშის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ნაკრებში არ მიმიწვევდნენ. სიაში ვიყავი, თუმცა ვხვდებოდი, რომ გუნდში მოხვედრა იოლი არ იქნებოდა“, — ამბობს ძანეტი.

ძანეტისგან განსხვავებით, მარადონას სამწვრთნელო ხედვით კმაყოფილია თავდაპირველი — კარლოს

ტევესი, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტადიონებზე იასპარეზებს: „მარადონა მშვენივრად აცნობიერებს იმას, რომ მსოფლიო პირველობაზე იოლი მატჩები არ გვექნება. ბევრი ამბიციური გუნდი დაგვიპირისპირდება, რადგან სატურნირო ცხრილი რთულია. მწვრთნელს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება, რაც მან კარგად იცის. დიეგომ ნაკრებში ჩინებული ატმოსფეროს შექმნა მოახერხა, თუმცა ჩვენთან დიდი კონკურენციაა. „ალბისელესტეს“ მაისური დამატებით, ძალიან ძლიერ მოტივაციას მძღვეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მატჩიდან მატჩამდე პროგრესირებას შევძლებთ. ოქროს მედლებისკენ მიმავალ გზაზე არგენტინამ ყველას დამარცხება უნდა შეძლოს. თავდაპირველად კი ჯგუფში უნდა მოვიგოთ“.

ყოფილ თანაგუნდელს მხარს უჭერს არგენტინული ფეხბურთის კიდევ ერთი ლეგენდა — გაბრიელ ბატისტუტა, რომელმაც მასმედიის წარმომადგენლებს თავშეკავებისკენ მოუწოდებია, რომ თავადაც დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდა ეროვნულ ნაკრებს, თუმცა ამის გაკეთებას არ ჩქარობს. მისივე თქმით, ამჟამად იგი სამწვრთნელო ხელოვნებას თეორიულად ეუფლება და თავის სამშენებლო ბიზნესსაც ხელმძღვანელობს. „არ მესმის კრიტიკისა, რომელიც ისევ



დაატყდება თავს დიეგო მარადონას. უმჯობესია, ყველა კრიტიკოსი გაჩუმდეს, შენიშვნების დრო დასრულდა. რა არის დღეს გასაკრიტიკებელი? რა, მარადონა კომენტარებს მიიღებს მხედველობაში? თუ მუნდიალის დაწყებამდე, ერთი თვით ადრე გადადგება? ეს ხომ ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა! ჩვენს მთავარ გუნდს ოთხი წლის შემდეგ კვლავ უნევს ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირზე ასპარეზობა და საჭიროა როგორც მწვრთნელის, ასევე ფეხბურთელების მხარდაჭერა“.

დიეგო მარადონამ კი ცოტა ხნის წინ მწვრთნელის დიპლომი ოფიციალურად მიიღო. მანამდე დონ დიეგოს მწვრთნელისთვის აუცილებელი სპეციალური დოკუმენტი არ ჰქონია. თავის დროზე არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ მარადონას დიპლომის გარეშე ნაკრებში მუშაობისთვის საჭირო ნებართვა მისცა.

ბექჰემი აპერიკელს დაზვირავს

„ლოს-ანჯელეს გელექსის“ ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი აშშ-ის ნაკრების მოთამაშეთა სკაუტ-დამკვირვებელი იქნება, რომელიც მსოფლიო პირველობის ფინალური ეტაპის ჯგუფურ ეტაპზე ინგლისის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მეტოქეა. ტრავმის გამო იგი ინგლისის ნაკრებს ვერ დაეხმარება, თუმცა ალბიონელთა თავკაცმა, ფაბიო კაპელომ სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებულ დელეგაციაში მაინც მიიწვია. „რამდენიმე მიზეზი არსებობს, რის გამოც კაპელომ მუნდიალზე ბექჰემის თანხლება ისურვა, — ამბობს ფეხბურთელთან დაახლოებული პირი, — ეს, რა თქმა



უნდა, მისი გამოცდილებაა. ის მსოფლიოს 3 ჩემპიონატზე თამაშობდა და სხვა ფეხბურთელები პატივს სცემენ. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კარგად იცნობს ბევრ ამერიკელ მოთამაშეს, ამერიკული თამაშის სტილს, ტექნიკას, ძალასა და სისუსტეებს. ჯერჯერობით არაფერია შეთანხმებული, მაგრამ საკუთარი ქვეყნისადმი ბექჰემის ერთგულება ყველას კარგად მოეხსენება და იგი კაპელოს უარს ნამდვილად არ ეტყვის“.



„საყვარელ ნივთებს გალაკტიონის ხიდიდან ვყრი“

მას ტელეეკრანზე თითქმის ყოველდღე ვხვდავთ, ჟურნალისტი, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ არაერთი მოთხრობისა და ლექსის ავტორიცაა. ყველაზე ძლიერ პროზაიკოსად გურამ რჩეულიშვილს მიიჩნევენ, ძალიან მოსწონს კამიუს შემოქმედებაც. ამ ორი ავტორის ნაწარმოებები მასში ერთნაირ შეგრძნებებს იწვევს. საყვარელ პოეტად ტერენტი გრანელს ასახელებს. ამბობს, რომ ცუდ ხასიათზე ყოფნისას, მის საფლავზე მიდის და კითხვებს უსვამს... „ერუდიტის“ სტუმარი ჟურნალისტი — დავით ძაშიაშვილი გახლავთ.

თამუნა კვიციანიძე

პრემიუმის მაგიერ

— ტერენტი გრანელის საფლავზე ხშირად დადისარ?

— ხანდახან... საერთოდ, ჩვევად მაქვს: საყვარელ ნივთებს გალაკტიონის ხიდიდან ვყრი... ზოგჯერ მათთან განშორება მიჭირს და ასეთ დროს, გრანელს ვეკითხები: — როგორ მოვიქცე? ისიც „მპასუხობს“, რომ გადავყარო...

— მაინც რა გადაგივადია?

— მაგალითად, რვეული, მასში ჩემს პირველ ლექსებს ვწერდი; მეგობრის ნაჩუქარი ჯამბაზი, რომელიც ჩემი კომპიუტერის მონიტორთან „იჯდა“ და საბრალო თვალებით მიყურებდა. ჯამბაზს პაულისოსი დავარქე. შემდეგ მოთხრობაც დავეწერე, რომელსაც ტრაგიკული ფინალი ჰქონდა. როგორც მკითხველს, გული დამწყდა და პაულისოს გამოვეშვიდობე — გალაკტიონის ხიდიდან გადავავადე.

— ლექსებს უფრო ხშირად წერ თუ მოთხრობებს?

— პოეზიას პროზა მირჩევნია. დღის საათებში არაფერი დამინერია, რადგანაც წერის მუზა ყოველთვის ღამესთან ერთად მოდის. შესაძლოა, დღე იმიტომ ვერ ვწერ, რომ ვმუშაობ და დატვირთული რეჟიმში მაქვს, მაგრამ თავისუფალი დღეებიც მქონია და მაინც ვერ დამინერია...

— პოეზიის საღამოებს ვიცო, რომ ხშირად მართავ. ნიგნის გამოცემაზე არ გიფიქრია?

— 2006 წელს, მეგობრების დახმარებით, კრებული გამოვეცი. ახლა კი აქტიურად პოეზიის საღამოებს ვმართავ. სასიამოვნოა, როცა შენი მოსმენის სურვილი უჩნდებათ; გაზაფხულზე ქალთა კოლონიაში ვიყავი. ახლა მინდა, რომ არასრულწლოვან პატიმრებთან მივიდე. საღამო ეზოში და „პაიეზდშიც“ ხშირად ჩამიტარებია. ბოლოს „როკკლუბში“ ვიყავით. მე ვკითხულობდი, რობი კუხიანიძე უკრავდა.

— შენი მუზა ვინმე კონკრეტული პიროვნებაა?

— ჩემი მუზა განწყობილებია... საერთოდ, კონკრეტულ პიროვნებებს ლექსებს ხშირად არ ვწერ. 2 წლის მანძილზე მუზად ბრონეულის ხე მყავდა, შემდეგ ჩემი დიდი ბებიების ნამზითვი — ფილთაქვები. რამდენიმე ლექსი ჩემს მეუღლეს — მარიამს მივუძღვენი.

— როგორც ვიცი, 2 შვილის მამა ხარ...

— დიახ. სახლში მე, ჩემი მეუღლე, პატარა დავითი და ნიკოლოზი ვცხოვრობთ.

— შვილს შენი სახელი რატომ დაარქე?

— ცრურწმენების და სიზმრების არ მჯერა, მაგრამ ასეთი რამ მოხდა — წლებია, რაც დედა საბერძნეთში ცხოვრობს. იგი ერთხელ, ერთი კუნძულიდან მეორეზე გადადიოდა, გზად მართლმადიდებელი რუსი მოძღვრები დამგზავრებინან, რომელთათვისაც დედას უთქვამს, რომ შვილიშვილს ელოდებოდა (მარიამი მაშინ 2 თვის ფეხმძიმე იყო). დამშვიდობებისას ერთ-ერთ მოძღვარს უთქვამს, — იცოდე, შენს შვილს ბიჭი შეეძინება და დავითი დაარქვითო. მოძღვრის რჩევა გავითვალისწინე — შვილს დათას ვეძახი.



— იოსებ გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ წერს: „ძველად ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა: მდებრიო ხალხისთვის — ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის...“ — დაასახელე ეს ადგილი.

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გრიშაშვილის დროს ძალიან პოპულარული იყო მუშთაედის ბაღი. შესაძლებელია, პოეტი მას გულისხმობდა.

— პარკის სახელწოდება გარკვეულ ისტორიულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული. მის შესახებ რა იცი?

— ვიცი, რომ მუშთაედი სპარსეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიური მოღვაწე იყო. სხვას ვერაფერს ვიხსენებ. აქ როგორ მოხვდა?

— ის რუსეთ-სპარსეთის ომის (1821-1828) დამთავრების შემდეგ შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა. ბოლოს იძულებული გახდა, სამშობლოდან გაეზნულიყო. რუსეთის მთავრობამ მას თბილისში 50 დესეტინა მიწა უბოძა, სადაც ბაღი გააშენა. 1845 წელს შაჰის მიერ შეწყალებული მუშთაედი ისევ სპარსეთში დაბრუნდა. ახლა კი მიპასუხე, რომელ ქვეყანაშია მდინარე პო?

— პო იტალიაშია.

— მისი პოეტური ბიოგრაფია ხანმოკლე იყო. 1917 წლის 14 იანვარს, ქუთაისში დაიბადა. ლექსების პირველი კრებული 1940 წელს გამოვიდა. 1943 წლის 23 ივნისს ქლექით გარდაიცვალა. დაასახელე ეს პოეტი.

— ლადო ასათიანი. მის სოფელს ბარდნალა ერქვა, რომლისთვისაც არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი.

— ასათიანის პოეზიიდან ამ ნუთში რომელი სტროფი გასხენდება?

— „...რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს/ სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ/ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს/ როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე...“ და კიდევ ერთი: „...რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს და თვითონ ლექსი ტკივილი არის“.

— რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდავი ძალაუფლებით?

— ვერ ვიხსენებ.



— დათო, ნუ ჩქარობ, დაფიქრდი...

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ):

— ა! დიქტატორს გულისხმობ, არა?

— რა თქმა უნდა. რა ეწოდება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გამავალ ხიდს?

— „ნითელი ხიდი“.

— რა ეწოდება ადამიანის ხასიათის გარკვევას მისი ხელნაწერის მიხედვით?

— არც ეს ვიცი.

— გრაფოლოგია. „ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს, ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე, პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს“ — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— ისლანდია, გერმანია, ირლანდია, ტაივანი, ესპანეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა მდებარეობს ნახევარკუნძულზე?

— ახლა უნდა მადროვო, ყველა ამ ქვეყანას გავის-სენებ (პაუზის შემდეგ). ესპანეთი, ასე არ არის?

— ნამდვილად ასეა. ფრენსის ბეკონი ამბობდა: „ფული კარგი მსახურია, მაგრამ — ცუდი ბატონი“.

— რის გამო დაითხოვეს იგი სახელმწიფო სამსახურიდან?

— რადგან სიტყვები: ფული, დათხოვნა და სახელმწიფო სამსახური ახსენე, ვხვდები, რომ ქრთამის აღებასთან გვაქვს საქმე.

— დიას, ის სამსახურიდან ამ ბრალდებით გაათავისუფლეს. ამერიკის ეს პრეზიდენტი ახალგაზრ-დობაში მოჯამაგირედ, მიწისმომწეოდ, ტყისმჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა. დაასახელე იგი.

— ეს მეც მახსოვს, მაგრამ რომლის ბიოგრაფიას უკავშირდება, ზუსტად ვეღარ ვიხსენებ.

— ლინკოლნი გახლდათ. რა ერქვათ მექადან მედინაში გაქცეულ მუჰამედის თანამებრძოლებს?

— მუჰაჯირები.

— „10000 ხიშტზე მეტად 3 გაზეთის მეშინია“

— ვინ არის ამ ცნობილი გამონათქვამის ავტორი?

— არ ვიცი.

— ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელი ქართველი მეფის მამას და შვილს ერქვა ბაგრატი?

— მოსაფიქრებლად 5 წუთს დამითმობ?

— მინიშნებას გეტყვი, თამარი, ერეკლე, მირიანი, გიორგი I — ამ მეფეებიდან ერთ-ერთი იყო.

— (ფიქრობს) გიორგი I. ჩემი აზრით, სწორი პასუხია.

— ნამდვილად ასეა. რა ჰქვია დღის და ღამის გათანაბრებას?

— ვიცოდი, მაგრამ იმ სიტყვას ვეღარ ვიხსენებ.

— ბუნიობა. ამალეობა, ბზობა, აღდგომა, ნათლისღება

— რომელია უძრავი ქრისტიანული დღესასწაული?

— ნათლისღება.

— გახსოვს თუ არა, ამ დღესასწაულს როდის აღვნიშნავთ?

— 19 იანვარს.

— „მიხა“, „არდადეგები“, „ბებერი მეზურნეები“, „დიდი მწვანე ველი“, „ნუცას სკოლა“ — რა საერთო აქვს ამ ფილმებს?

— (ფიქრობს) ყველა ფილმი მერაბ კოკოჩაშვილის გადაღებულია.

— მსოფლიოში ყველაზე დიდი კაშხალი ტაჯიკეთში მდებარეობს. მას ნურეტი ჰქვია და სიმაღლე 300 მეტრია. შემდეგ მოდის იტალიაში მდებარე 285-მეტრიანი გრანდ დიქსენი, შემდეგ?

— არ ვიცი.

— ენგურის, მისი სიმაღლე 272 მეტრია. რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლში, 502-515 წლებში მეფობდა?

— დაჩი ერქვა.

— „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურ-ვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრიოთ, მკვდარსაც კი გაეცინება“ — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ვაიმე, რა ნაცნობი სტროფია და დავიბენი, ვაჟა-ფშაველას არ ეკუთვნის?

— დიას. ორი კაცი მდინარის ნაპირას მივიდა, ორივეს გადასვლა მეორე ნაპირზე უნდოდა. იქვე იყო ნავი, რომელშიც მხოლოდ 1 კაცი ეტეოდა. მიუხედავად ამისა, მდინარეზე ამ ნავით გადასვლა ორივემ შეძლო და შემდეგ თავ-თავისი გზა გააგრძელა. როგორ მოახერხეს ეს?

— რაო, რაო? გამიმეორე, ვერაფერი გავიგე. (გამე-ორების შემდეგ) სხვა კითხვაზე გადავიდეთ, რა.

— ორივე პიროვნება მდინარის სხვადასხვა ნა-პირზე იყო მისული.

— მე კი ამ კითხვის ეშმაკობა ვერ გამოვიცანი.

— კიდევ ერთ ამდაგვარ კითხვას დავისვამ.

— არა, რა, სხვა რამე მკითხე.

— არ მგონია, პასუხის გაცემა ვერ შეძლო. გოგონა სარკესთან მივიდა, თავისი გამოსახულება დაინახა და შუბლზე აკოცა. შეიძლება თუ არა, რომ ასე მოხდეს?

— არ შეიძლება, სარკეში საკუთარ თავს შუბლზე ვერ აკოცებ.

— კანადელი სწავლული ჰენრი ლემანი ფიქრობ-და, რომ პოეტებში ეს 26-30 წლის ასაკში ხდება, ეტიმებში — 30-35, მხატვრებში — 30-35 წლის ასაკში. რას გულისხმობდა ლემანი?

— ზუსტად არ ვიცი, ამ დროს ნიჭის გაღვიძება ხომ არ ხდება?

— ლემანი ამას გენის გაღვიძებას უწოდებდა. ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. ოკეანეში მდებარე ღრმულებიდან ყველაზე ღრმა მარიანის ღრმულია (10863 მ). რომელ ოკეანეშია იგი?

— წყნარ ოკეანეში.

— ბოტიჩელის ფერწერული ტილო — „ვენერას დაბადება“ გახსოვს?

— რა თქმა უნდა.

— რაზე დგას ვენერა?

— ნიჟარაზე.

— არისტოტელე ამბობდა: „ნათესავი — ეს ჩვენი სხეულის ნაწილია“ — ვინ წარმოადგენს, მისი აზრით, ჩვენი სულის ნაწილს?

— ალბათ მეგობრები.

— დიას. რამდენი წლის იყო თამარი, როცა მამამ — გიორგი III-მ ტახტის მემკვიდრედ გამო-აცხადა?

— პატარა იყო.

— მაინც რამდენი წლის?

— 12 თუ 14 წლის, არა?

— 12 წლის იყო. „როცა მოცარტი ნოტებს არჩევდა, დროებით შერცხვა დროს და გაჩერდა“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ნიკო გომელაური.

— დაასრულე ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი — „ორატორმა თემა უნდა ამოწუროს და არა მსმენელთა“...

— „...და არა მსმენელთა მოთმინება“.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(პითხვაბი)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

- დაასახელეთ ავტომობილი, რომელსაც რუსეთში ყველაზე იშვიათად იტაცებენ.
- დაასრულეთ ბერნარდ შოუს სიტყვები: „ვისაც სურს, უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ის, ვისაც ...“
- დაასრულეთ აბრაამ ლინკოლნის სიტყვები: „შესაძლოა, მუდმივად ასულელო ზოგიერთნი, შესაძლოა, ცოტახნით ასულელო ყველა, მაგრამ შეუძლებელია ...“
- რა იარაღით მოკლა ბიბლიურმა დავითმა გოლიათი?
- რა აქვთ საერთო სიკვდილის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში — თანატოსსა და ძილის ღმერთს — ჰიპნოსს?
- რა არის „ქოსი“?
- რა არის „ქიმუნჯი“?
- „ღვინო ამაგრებს მამაკაცის ინტიმურ საშუალებებს. შესვამ, ორმაგად უზამ...“, — ვინ განმარტა ამგვარად „ლამის შოუში“ ამ გადაცემის სახელწოდების აბრევიატურა?
- დაასახელეთ ქართველი მეფე, რომლის ტყვედ ჩაგდების შემდეგაც ოსმალებმა საზეიმოდ სტამბოლში სამდღიანი უქმეები გამოაცხადეს.
- დაასრულეთ მიხაილ ყვანცკის სიტყვები: „ი ვსიოტაკი ლიუდი ნა ზაჰადე პრაიზაშლი...“
- ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმართარიგებიდან ზედამხედველებად ყველაზე ხშირად იეღოვას მონმეებს ირჩევდნენ. რატომ?
- რის გამო დამკვიდრდა თევზის ჭამა სპეციალურად ამისათვის განკუთვნილი დანა-ჩანგლით?

ანექლოცენი



მიხო მეზობლის ჭიდან წყალს იღებს და თავისაში ასხამს. „რას აკეთებ, ჯო?!“ — გადაირია მეზობელი. — „ჭაში სიდედრი ჩაგვივარდა და წყალი ყელამდე სწვდება!“ — აუხსნა მიხომ.

— იცი, რისი დანახვა შეიძლება გრძელფეხება, ქერა ქალის ცისფერ თვალბში?
— ვიცი! თავის ქალის უკან მხარის!..

ამაზონის ჯუნგლებში ტურისტი ხედავს, როგორ მიჰყავს ადგილობრივ ინდიელს ყელზე ქვაშებმული ქალი მდინარის პირას.

— მდაა, აქ ძალზე გამარტივებული ყოფილა განქორწინების პროცედურა.

სტაჟიორი მედდა განყოფილების უფროსთან მიდის:
— სხვა პაციენტს ვერ მომცემთ, ეს უკვე მოკვდა...
— რად უნდა ვერტმფრენს ამხელა პროპელერი?
— პილოტს რომ არ დასცხეს და არ გაოფლიანდეს.
— ნუ ახურებ!..
— მართალს გეუბნები. იმ დღეს ვმგზავრობდით ვერტმფრენით და დაჯდომისას პროპელერი გაჩერდა, უნდა გენახა პილოტს რა ოფლმა დაასხა!

— რად უნდა ვერტმფრენს ამხელა პროპელერი?
— პილოტს რომ არ დასცხეს და არ გაოფლიანდეს.
— ნუ ახურებ!..
— მართალს გეუბნები. იმ დღეს ვმგზავრობდით ვერტმფრენით და დაჯდომისას პროპელერი გაჩერდა, უნდა გენახა პილოტს რა ოფლმა დაასხა!

პატარა მიხოს მასწავლებელი ეუბნება:

— აბა, მიხო, ციფრებით 300 და 5 შემოდგინე ამოცანა.

მიხო კეფას იფხანს და მასწავლებელს ეუბნება:

— მამაჩემმა აიღო 300 ლარი ხელფასი, სახლში კი 5 ლარი მოიტანა. ამოცანა გვეკითხება: — სად დახარჯა მამაჩემმა 295 ლარი? პასუხი: — ბოზებში.

ახალგაზრდა გოგო მეგობარ მამაკაცს ეჩხუბება:

— შენ მე ქალიშვილობა დამაკარგვინე.

— არა უშავს, ახალს გიყიდი.

— სულ აირია ქვეყანა, უამრავი ლამაზი გოგო დადის, რომელსაც გათხოვება არ უნდა!

— რა იცი?
— თავად შევთავაზე!

მეგრელი და სვანი ლიფტში გაიჭედნენ:

— გვიშველეთ! გვიშველეთ! — ყვირის მეგრელი და მერე სვანს ეუბნება:

— მოდი, ერთად ვიყვიროთ.
— ერთად! ერთად! — აყვირდა სვანი.

სვანს მეზობელმა სთხოვა, ბავშვი მომინათლო.

— მე რა უნდა მოგინათლო, ჩემიც სხვას მოვანათვლინე!





გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „მოსკვიჩი“.
2. „... შეუძლია“.
3. „... მუდმივად ასულელო ყველანი“.
4. შურდულით.
5. ტყუპი ძმა იყო. თანატოსს ქვის გული ჰქონდა, არავინ ეცოდებოდა, რის გამოც იგი არა მარტო ადამიანებს, არამედ ღმერთებსაც ჭირის დღესავით სძულდათ.
6. სპილენძის დოლი.
7. „მუშტი“ და „ქიმუნჯი“ სინონიმებია.
8. ვახტანგ ტატიშვილმა.
9. სვიმონ I.
10. „... ატ დრუგოი აბეზიანი“.
11. ეს ტუსალები ეროვნებით გერმანელები იყვნენ. მათი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ საკუთარი სარწმუნოების გამო უარს აცხადებდნენ სამხედრო სამსახურზე და ამდენად, ტუსალთა შორის ყველაზე „ნორმალურებად“ მიიჩნეოდნენ.
12. ადრე ძნელი იყო მათი გარეცხვა და თევზის სუნის მოშორება.

საკანში ახალი პატიმარი შევიდა:

— რამდენი წელი გაქვს მისჯილი? — ეკითხება უახლოეს „ნარზე“ მწოლიარეს.

— თხუთმეტი.

— ჰოდა, იქითა „ნარზე“ გადამწევი, მე ათი წელი მომცეს და კართან ახლოს დავწვები, შენზე ადრე გავდივარ.

პარკში მერხზე შეყვარებულები სხედან. უცებ კაცი ხედავს, რომ ვიღაც მამაკაცი მის ქალს რაღაცას ანიშნებს.

— შენ თავის გატეხა ხომ არ მოგიწინა?!.. აბა, აახვიე აქედან!..

— წავიდოდი, მაგრამ სახლში ვერ შევდივარ, ცოლს აქვს ბინის გასაღები.

რეკლამა: სასადილოს პერსონალი დიდი ყურადღებით ეპყრობა მუშტრებს. აქ თითოეული მათგანისათვის ცალკეა გახსნილი საჩივრების წიგნი.

კამიკაძე ბავშვებს გაკვეთილებს უტარებს:

— კარგად მიყურეთ, ბავშვებო, თორემ ამას მეორედ ველარ გაგიმეორებთ.

სვანი სიცრუის დეტექტორზე უნდა შეამოწმონ. უხსნიან:

— გისვამთ კითხვას, თქვენ პასუხობთ, თუ მართალს ამბობთ, მწვანე ნათურა აინთება, თუ მოიტყუებით — წითელი. გასაგებია?

— გასაგებია, — ამბობს სვანი და მაშინვე წითელი ნათურა ინთება.

— გული მიკვდება, როცა ამ დასპირტულ ცხოველებს ვხედავ!

— რას ამბობთ, აქ ხომ სულ სამი ბაყაყია.

— საქმეც ეგ არის — სამი ბაყაყია, სპირტი კი ათ ლიტრამდე იქნება.

ლოთის ცოლი:

— ისევ მთვრალი ხარ?! გუშინ

ჩემზე ბედნიერი ქალი არ იყო, ფხიზელი რომ დაგინახე!

— გუშინ შენ იყავი ბედნიერი, დღეს ჩემი ჯერია!



სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გამოცდას აბარებს. წესი ასეთია: ყუთში ადამიანის სხეულის ნაწილები აწყვია. სტუდენტი ჩაყოფს ხელს და რომელი ნაწილიც ამოჰყვება ხელს, საუბარს იმაზე იწყებს.

ჩაყოფს ერთმა სტუდენტმა ხელი ყუთში და ამოიღო ძეხვი. გამომცდეელი ეკითხება:

— რა ნაწილია?

— ძეხვი!

გაკვირვებულმა ლექტორებმა ერთმანეთს გადახედეს. დიდი ხნის დუმილის შემდეგ ერთი გამომცდეელი შემფოთებული ეკითხება მეორეს:

— მოიცა, აბა, ჩვენ რა ვჭამეთ შესვენებაზე?!

რენიფორსობანა





კოროსკოპი

3-9 ივნისი

ფაჩა

გადატვირთული დღეები გელით. უამრავი საქმე უნდა მოასწროთ. დასვენების დღეები მეუღლესთან და შვილებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ.

კუჩო

ნუ წამოიწყებთ გრანდიოზულ საქმეებს. ისეთი დანიწყეთ, რომელსაც თავს კარგად გართმევთ. ახალი ნაცნობობა და ფლირტი გელით.

ტყუპი

თუ წარმატების მიღწევა გასურთ, მეტი ყურადღებით მოეკიდეთ საქმეს. მატერიალურად დაეხმარეთ ოჯახსა და მშობლებს. ნუ გამოავლენთ ეგოიზმს.

კიჩხობა

უცნობებს ნუ ენდობით. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ. საოჯახო სადილზე მეგობრები დაპატიჟეთ.

ღიმი

რაც უფრო გულახდილი იქნებით საყვარელ ადამიანთან, მით უკეთესია ურთიერთობისთვის. ივარჯიშეთ და დიეტა დიცავით.

ქანჭუცი

ახალი იდეების განხორციელება თქვენგან ბევრ ენერჯის მოითხოვს. ნუ გარისკავთ, ყველა ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონეთ. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი სიბოლო გამოავლინეთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

სახსტორი

უფრო აქტიური და მობილიზებული გახდებით, რაც უამრავი იდეისა და საქმის შესრულებაში დაგეხმარებათ. ნვეულებები და გართობა გელით.

მორიფი

სამსახურში ახალი იდეების განხორციელებით იქნებით დაკავებული. ახლობლები დიდი ხნის ვალს დაგიბრუნებენ, მაგრამ თანხის დახარჯვას ნუ იჩქარებთ.

მფრინველი

კვირა დატვირთული იქნება საქმიანი შეხვედრებითა და ახალი იდეების განხორციელებით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ. დასვენების დღეებში რომანტიკული შეხვედრები გელით.

ოხრის ჩუბ

მუშაობაში ინოვაციების დაგეგმვას არ გირჩევთ, ძველი მეთოდებით გააგრძელეთ მუშაობა. უფრო მობილიზებული გახდით, ნუ შეგემინდებათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების.

მეფე

კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად. შეყვარებულთან ურთიერთობას ნუ გაამწვავებთ. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას, ცოდნის გაღრმავებას.

ოფიცები

ახალ მეგობრებს გაიჩნეთ. მათთან ურთიერთობა განწყობილებას გამოგისწორებთ. კარგი პერიოდია ვარჯიშისთვის და დიეტის დასაწყებად. შესაძლოა, ლატარიაში მოიგოთ.

წარმატების მომხანი თვლავი და ბეჭდები

ნეკა თითი მეტყველებას, ურთიერთობას განსაზღვრავს. მასზე ყვითელი (ქარვა, ციტრინი, სერდოლივი) და მწვანეთვლიანი (ზურმუხტი, ქრიზოლიტი, ქრიზოპრავი) ბეჭედი ატარეთ. თუ საქმიან მოლაპარაკებაზე მიდიხართ, ნეკზე ქრიზოპრავისთვლიანი ბეჭედი გაიკეთეთ. თუ თირკმლები განუხებთ, ნეფრიტისთვლიანი (ოქროში ან ვერცხლში) ბეჭედი ატარეთ.

არათითი გულთანაა დაკავშირებული და მასზე ნითვლიანი (ძონი, ლალი, იაშმა) ბეჭედი გაიკეთეთ. თუ გასურთ, საქორწინო კავშირი დიდი ხნით შეინარჩუნოთ, მარჯვენა არათითზე ვერცხლში ჩასმული მარგალიტისთვლიანი ბეჭედი ატარეთ.

შუა თითზე ვერცხლში ჩასმული შავი და იისფერთვლიანი ბეჭდები ატარეთ. თუ შინაგანი სიმშვიდის მოპოვება გასურთ, ამეთვისტოსთვლიანი ბეჭედი გაიკეთეთ. ცუდი საქციელისგან ობსიდიანი დაგიცავთ. საუბრით ხალხზე გავლენას მოახდენთ, თუ ვერცხლში ჩასმულ მთვარის ქვას ატარებთ.


საჩვენებელ თითზე ოქროში ჩასმული ცისფერთვლიანი (სა-

ფრონი, ფირუზი, აკვამარინი) ბეჭდები ატარეთ. ისინი ენერჯით აგავსებენ, ავი თვალისგან დაგიცავენ და მოგზაურობაში საფრთხეს აგარიდებენ. ბიოენერგეტიკოსების აზრით, საჩვენებელ თითზე ოპალისთვლიანი ბეჭდის ტარებისას, გამოგისწორდებათ ურთიერთობა ნათესავებთან; მარჯანი სტრესისა და ემოციისგან დაგიცავთ; ბერილი კუჭ-ნაწლავის დაავადებებისგან (ოქროში ჩასმული ბერილისთვლიანი ბეჭედი მამაკაცებმა მარჯვენა ხელის, ხოლო ქალებმა


მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე უნდა ატარონ);


ცერა თითი თავს, ადამიანის ნებას განსაზღვრავს. მასზე ცისფერ და მწვანეთვლიანი ბეჭდები ატარეთ.

დაბოლოს, არსებობს ჩინური ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, თუ რატომ ვატარებთ საქორწინო ბეჭედს არათითზე. ორივე ხელის თითები ისე დაიჭირეთ, როგორც ეს ფოტოზეა ნაჩვენები. ახლა შეეცადეთ და ერთმანეთს დიდი თითები დააცილეთ. გამოგივიდათ. დიდი თითები მშობლებს ნიშნავს და ადრე თუ გვიან, მათთან განშორება მოგიწევთ. ახლა ნეკები (შვილები) დააცილეთ. გამოგივიდათ. შვილებმაც საკუთარი ოჯახები უნდა შექმნან. შუა თითი თავად ადამიანს ნიშნავს. ახლა ერთმანეთს საჩვენებელი თითები (და-ძმები) დააცილეთ. გამოგივიდათ. მათაც საკუთარი ოჯახები უნდა შექმნან. ახლა არათითების (მეუღლეები) დაცილება სცადეთ. არ გამოგდით (თუ, რა თქმა უნდა, სხვა თითებსაც არ დააცილებთ), რადგან მეუღლეების დაცილება შეუძლებელია.





		↘	1. მძიმე შრომა	2. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში	↘	3. გამოქვამული ქუთაისთან	↘	4. ხილი	↘	5. დედალიცენი	
		↙		↓		6. მოგროთონის პური		7. სამაგიდლო თამაში			
			8. მეთული				↙↘				
		↙				9. მსუბუქი არმიეი					
						↙					
								10. გამოშვები აგური			
11. მახრიბელა გველი	↗					12. სიძულვილის გრძნობა		13. ქართული ხალხური სიმღერა	↘	14. „ოკედლის“ მოდელო	
15. შვილი			16. კოსმოდრომი ვაზახეთში	↘	↗					↗	
17. პარაკოს დედაქალაქი	→		↓			18. თევზსაფარი თხილი	19. ამერიკული სპორტული საქონლის ფირმა		20. მანქანის დანაწევა	↘	21. პუშკინის ძიბა
22. ოხერი	→			↑		23. ერთგვარი სპორტული ნავი	→				
↗			24. ... გუდიაშვილი	↘		25. ქვეყანა აფრიკაში	→				
26. წვლის დიდი ფრინველი		↑		27. ქალაქი საქართველოში		28. შნაობი	29. იტალიის ფეხბურთის გუნდი	→			
30. ამფავებული დვინო			↙								↘
↘	32. სრული უწყებობა	→									
↘								33. ფოთლოვანი ხე			
	34. ორგანის კლავიატურა	↗									
	35. გოგოლის მოთხრობა	36. სისხლძარღვი						37. შემლილო, გადარეული			
		↙	38. ავეჯის ნაწილი	→							
39. იგფეა, რაც ქვეწარმეალი	→										



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ელექტრობა; 2. მეანი; 3. ქედანი; 4. არარატი; 5. უბანი; 6. ლინდგრენი; 7. გაი; 8. აისი; 9. აბოლიცია; 10. მარიჯანი; 11. ნატო; 12. ოტელო; 13. ბაცილა; 14. მალაუი; 15. სენეკა; 16. შნო; 17. ალაბამა; 18. აისი; 19. ესე; 20. შეკელი; 21. ლაბადა; 22. ბინოკლი; 23. ასული; 24. გალაუნა; 25. ელენა; 26. ვადა; 27. გვაბი; 28. ხალიჩა; 29. კოლტი; 30. ციმციმი; 31. მასალა; 32. ობი; 33. ვალაბი; 34. კნავილი; 35. ლატაერა; 36. კნავილი; 37. ასკერი; 38. ლოტო; 39. მარიონეტი; 40. ოლიმპი. **სურათებზე:** 1. ემლი ჯადი; 2. პოლ უოლკერი.

როდენი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!
 მისი დროულ მიღება თავიდან აგასილებთ წონაში მატებას

როდენი

- ეხომობიანად სეფთა, ბანახივი ჰიოლუხი
- ⊗ ხადს უხდის ნახშირწყობის სნიებოში ბანახვანს
- ⊗ ხადს ეწყობს სნიებოის ბოდომდე დანვანს
- ⊗ აწვიოთახს მანას ენახიოის მომახებოის ფონოე
- ⊗ ნოხმამდე დანჰყავს სნიბუენის ჰოხომონი დავხინი და ჰოდანსიხინი
- ⊗ ოხბანიზმიდან ბამოქავს ზადებოი სითოე და ჰუნახები
- ⊗ ანახიბებს სანჰბოის მომნადებოდ სისებანს



მოგვაკითხეთ მისამართო:
 თბილისი, რუსთაველის გზაზე. №28
 ან მიმართეთ „ნოფარმის“ და
 „ჯი პი სის“ სააფთიაქო ქსელს,
 როგორც თბილისში, ასევე
 ქუთაისსა და ბათუმში.
 დავიკავშირდით ტელ. ნომრებზე
 99 00 14; 895308405;
 893 668318; 899 21 02 32
 e-mail - promoita@mail.ru
nikosanilt@mail.ge

მედიკის წინ ბაცანეთ ინსტრუქციას, გვარდითი მოვლენების
 შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ აქვბს

სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე

წარმოგიდგინო: აუდიო ნიგნს

ქოეზიე

10 CD დისკი - რჩეული ლექსებით

**მხოლოდ „ბიბლუსის“
 წიგნის მაღაზიათა ქსელში**

ფასი 28 ლარი

პოსტმინეთ, გაისსენეთ





პოეზიის სიბოი!...

წიგნები მისამართო მიტანით. ტელ: 38-26-74; 14-09-91 „ელვა.ჯი“



„ქართული პროზის საგანმურნი“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!



ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №14 - არჩილ სულაკაური

წიგნის ფასი **3!** ღიახ, სამი ლარი!

ეს ფასი ძალაშია მხოლოდ **3** - დან - **10** ივნისამდე!

შეკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

- №1 გურამ დონანაშვილი
- №2 მიხეილ ჯავახიშვილი
- №3 ნოდარ დუმბაძე
- №4 ილია ჭავჭავაძე
- №5 გურამ რჩეულიშვილი
- №6 ვაჟა-ფშაველა
- №7 რეზო ჭავჭავაძე



- №8 აკაკი წერეთელი
- №9 გურამ ბებეშიძე
- №10 დავით კლდიაშვილი
- №11 ოტია იოსელიანი
- №12 ბრიგოლ აბაშიძე (ნიგნი-I)
- №13 ბრიგოლ აბაშიძე (ნიგნი-II)

გამოიწერეთ **გზა** და საგანმურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ

„**ელვა.ჯი**“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებისთვის

ფოტოკუჩიოზები



ბ82/23

ვინ გამოიგონა საფრენი აპარატი?



ახალი

გაიგათ უფრო მეტი !

31- მაისიდან 7 - ივნისამდე

მხოლოდ „კვირის კალიტრის“ გითხვევლისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!



ბიოთექნოლოგია №4

სამკანოლოგია (3D) ბაიოტექნოლოგია

„უეიბინგო“ კვირის პალიტრასთან ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმოწერითა საფრთხიდან

ნიგნის უეიბინგო მსურველები დაუკავშირდით „ბიოტექნოლოგია“ კურიერი სერვის ფონელ ტომს ადგილზე მოგართმევთ
ტელ: 38-26-73/38-26-74



*** - მალე**

- * ბიოტექნოლოგია
- * სტიქიური მოვლენები
- * მკაცრად
- * უკუბრუნება
- * ავსტრალია
- * უკუბრუნება
- * კოსმოსი
- * ზოომორფი
- * ბიოტექნოლოგია

სურათი „ეს სამყარო“-ს I, II და III ტომი „რაინდები და ციხე კომპენი“, „მეგობრული“ და „მტაცებლები“ გაყიდვაშია ნიგნის მაღაზიებში